

წიგნი

III

რაფიელ ერისთავი
ილია ჭავჭავაძე
აკაკი წერეთელი
ვაჟა-ფშაველა
ბაჩანა

თბილისი, 1986

სარედაქციო კოლეგია:

მ. ლებანიძე

ე. მალრაძე

მ. მაჰავარიანი

შ. ნიშნიანიძე

ბ. ფანჯიკიძე

ი. ქემერტელიძე

ჯ. ჩარკვიანი

ს. ცაიშვილი

ტ. ჰანტურია

ო. ჰილაძე

შემდგენლები:

ჯ. ღვინჯილია

მ. წიკლაური

მხატვარი

ჯ. ყავლაშვილი

К $\frac{4702170100-018}{М\ 601\ (08)\ 86}$ 193—86

რაფიელ ერისთავი

ასპინძის ომი

(მეფის ირაკლის მეორის და ოსმალ-ლეკთ-შორის 1770 წ.)

I

ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს, სამხრეთისაკენ ედემსა,
ევფრატის გაღმა გავხედე გადახრუკულსა ქედებსა,
აქ ვერ ვხედავდი ევასებრ მშვენიერებსა დედებსა,
არც სად ხეხილსა, არც წყალში ამაყსა თეთრსა გედებსა!

შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა უდაბური და მწირია,
მოვბრუნდი, მხარი ვიცვალე, ჩრდილოსკენ ვქენი პირია.
ვიარე, არ შევიმჩნიე მე ჩემი გასაჭირია...
ან კი რა მეთქმის? — კაცის თავს ვაება დიაღ ხშირია!

აგერ მოვედი და შევხვდი სანატრელს ნეტარებასა!...
ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთვლის ამის ქებასა,
გადაჭიმულა წალკოტად, შახედეთ ღვთისა ნებასა,
ეს საქართველო ყოფილა — ჰხვედრია ღმრთისა დედასა!..

ორი ზღვის შუა მდებარებს ქართველთა მიწა-წყალია,
ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად, ყინვისგან დაუმზრალია,
შიგ ბანოვანნი კეკლუცნი, მტრის თვალმა ჯერ ვერ დალია,
ვაჟ-კაცთ ცალ ხელში ჯვარი აქვთ, მეორე ხელში — ხმალია!..

ვიშ, რა ხალხია, რა ტურფა, რა გულოვანი, მოყვასი,
ოხვი. მხნე, ქრისტეს მორწმუნე, მტკიცე რჯულისა, კისკასი;
შურით, იქვით და ტოფიალით [illegible] [illegible] კავკასი,
ნოეს კიდობნის მტვირთველიც და ურწმუნონი ათასი!

რა ქვეყანაა, რა ჰშვენის, დამატკბობელი სულისა,
ვაზი ვარდს გადახვევია, გამლაღებელი გულისა,
არ ეკრძალების კავკასის, ღრუბლებით დაბურულისა,
ებგურად[1] ჰხადის ამ მთასა ზოგჯერ მიზეზად წყლულისა!..

II

აქა მეფობდა ირაკლი, გულადი, შეუპოვარი,
ნამდვილი მეფე ყმათათვის, სიკეთის დამმახსოვარი,
მის ხელში ყველა ხარობდა: მოხუცი, ძუძუ-მწოვარი,
არვისთვის ჰშურდა ნაშოვნი, არც მამის დანატოვარი!..

იყო მხნე, დაუღალავი, ხმალზედ ეკიდა მას ხელი;
ყველა აქებდა ირაკლის, მტერიც არ ჰყვანდა მძრახველი.
იყო ქვრივ-ოხრის მფარველი, მამა ობოლთა და ქველი,
მოძმე, მოყვასი ლაშქართა, — მით ისახელა სახელი!..

ვაი იმ დროსა, ირაკლის მტერი გარშემო ესია,
ხმლით იგერებდა ბილწებსა, იმათთვის გაულესია,
დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაჰმართის უარესია,
არ შეარჩენდა არავის, — ეს იყო მისი წესია!..

დააქროლებდა ირმასა პატარა კახი მალადა,
ერევანს იქით ქურთებსა ხარჯს ახდევინებს ძალადა,
ნათლისმცემელთან ლეკებსა თავს დაესხმება მკალადა,
იორზედ მოამბესაცა აღარ გაუშვებს მშრალადა...

მოუბრუნდება ქურთებსა და ერეზს გააცილებსა,
სამგორში ხირიმს დაუშენს, არც ერთს არ დააცილებსა,

---

[1] ებგური — შორიდან მზვერავი დარაჯი, ანუ ყარაული.

სამაჩაბლოში, კეეხისსა, ლეკებს ჩაამტვრევს კბილებსა,
და ახმეტაში დაესხმის, სულ აუტირებს შვილებსა!..

რა გაიმარჯვის, მობრუნდის, ცოტა ხანს დაისვენებდის,
ილაღის, იმხიარულის, მოყმით მხარს დაიმშვენებდის,
გასცემდის, უწყალობებდის, ცოტას არ დააჯერებდის,
იწვევდის სტუმართ, დიდებულთ, კეთილად მოიხსენებდის.

თუ რომ მეფეს და ქვეყანას მტერი სჭარბობს — გაჭირდება,
მტერი მძლავრობს, მედიდურობს, მოყვარე კი — გაძვირდება:
ერთს მოიმხრობს, ითათბირებს, მეორე კი — გიმძიმდება,
მაშინ გინდა ჭკვა და ფიქრი, — თორემ სევდა გიხშირდება!

იმ დროს მეფეს ოსმალეთი უხდებოდა მეგობრადა;
ლეკები კი — სწორედ რომ ვთქვათ — დადიოდნენ მეკობრადა;
დარჩა მარტო ქირიმ-ხანი, არ ჩააგდებს არაფრადა,
თუ მობრძანდა, პასუხს გასცემს და გამოვლენ ბარიბრადა...

მაშინ მეფე ირაკლისა საქმე ძლიერ დაეცარა,
ხონთქარი და რუსთ-ხელმწიფა აშლილიყვნენ საომრადა;
ეკატერინას ენება, რომ ირაკლი მოეხმარა
და იმისთვის ტოტლებენსა იერლიყი[1] მოსცა ჩქარა.

III

ღენერალი ტოტლებენი ქრცხინვალს იდგა რუსის ჯარით,
წინა წელში მოსულიყო, რუსეთიდან, არ მოპარვით,
ოსმალებთან შეტაკებას მოელოდა სულით მწარით,
აჰა, წიგნი მოუვიდა მეფასაგან მას სიჩქარით.

გადაიკითხა, წამოხტა და ირაკლის მიაშურა,
ტფილისისაკენ გასწია, მისი ხილვა მოიწყურა,
კარის კაცნი უწინ ნახა, არავინ არ მოიმდურა,
მერე იახლა მეფესა, ამბორი დაიმსახურა.

---

[1] იერლიყი — ბრძანება მეფის ქვეშევრდომზე.

მოახსენა: „დიდებულო, მომიკიდა ბრძანებაო,
ჩემის ძეფის, უძლეველის, ვისიც არ ძალ-მიძს ქებაო,
მიგიწვიოთ მის მომხრეთა, დამრთეთ, მომეცით ნებაო,
შავებათ ოსმალს, ძირს დავცეთ, ორს ვეღარ აგვიდგებაო...

რა მოისმინა ირაკლიმ, შუბლზედ გადისო ხელია,
ჩაფიქრდა რაღაც აზრზედა, ვითა შორს დამნახველია,
და უპასუხა ტოტლებენს: „საქმე სთქვი ჩემდა ძნელია,
დღეს ურიგდები ოსმალოს, — ღალატი რა სათქმელია?..

მართალია პატივსა-ვცემ, დიდსა მეფას და ძლიერსა,
ერთმორწმუნე მირჩევნია სხვა სჯულისა სულიერსა,
მაგრამ მტრები, თქვენ რომ წახვალთ, დამიჩაგვრენ სულმთლად ერსა,
დააქცევენ საქართველოს და დამსომენ ცარიელსა!..“

აქ ტოტლებენმა ირაკლის ჰკადრა: „რად გვაკლებ ნდობასა?
ეკატერინა დიდია, მოგფენს თვისს მფარველობასა,
მტერს მოგაცილებს, ფასს დასდებს შენს ხმალს და ერთგულობასა,
წყალობას მრავალს მოგიძღვნის, გიზამს დედობას, დობასა!..

ნუ დაენდობი ურწმუნოს, შენზე ღალატად მოსულსა,
ან რა ხელს მოგცემს თათარი, თუ არ დაგიფთხობს ტკბილ ძილსა?
რისთვის დაინდობს შენს ერსა, იმის საყვარელს ცოლ-შვილსა?
რა კავშირი აქვს ჯვართანა მაჰმადის სჯულით მოსილსა?..

შევერთდეთ, სიტყვა ირწმუნე ეკატერინა დიდისა,
ნუღარა გჯერა თათრისა, უსჯულოისა, ფლიდისა,
გაბედე ღვთის გულისათვის, დრო აღარ არის რიდისა,
ვეძგერნეთ ოსმალს, დავლეწოთ, მანამ ჭკვას მოიმკიდისა!..

ჩაფიქრდა მეფე ირაკლი: კარგია — ბრძანა — მჯერაო,
ვენდობი უფრო იმასა, ვინც ოსმალს დამამტერაო,
თუ დამესია უსჯულო, ყოფილა ბედის წერაო,
ამას ხომ მაინც იტყვიან: „ირაკლიმ მოიგერაო!..“

შევყრი ლაშქარსა, ვუბრძანებ, ხმალსა გაიკრან ხელია,
გასწიონ აწყვერისაკენ, შენც ჯარით იქ მოგელია,

იქა ვარ შენი მოძმეი, იქა ვარ სისხლის მღვრელია,
არ გეგონოს კი, უცნობოდ დავრბოდე, როგორც ხელია!..

მშვიდობით!.. ახლა მიბრძანდი, შენც მოამზადე ჯარია...“
ასე გათავდა თათბირი, როგორც ირაკლი ჩქარია!..
აქ ტოტლებენმა მადლობით გავლო სასახლის კარია...
შეიქნა ვაჟ-კაცთ მოწვევა, შეიძრა მთა და ბარია!..

IV

იფრინდაები[1] გაგზავნეს ქართლსა, კახეთს და მთაშია.
ოსმალ-ლეკებზედ იწვევენ არჩეულს ხალხს ლაშქარშია,
ისინიც აგრე შემოკრბენ, თითქო მოვიდნენ მკაშია,
მოიმღერიან ბიჭები, მხნეობა ისმის ხმაშია!..

რაზმი და რაზმი დააწყეს, მიუჩინეს უფროსები,
ცხენოსანი და ქვეითი სუყველანი ვაჟ-კაცები,
ქართლ-კახეთი, თუშ-ხევსური, არ მოჩანან აქ ოსები,
მაგრამ ზეით თუ არიან, სადაც იცდიან რუსები.

შეხედეთ ამ ჯარს, მშვენიერს, იმათ მხარ-მკლავსა, ბეჭებსა,
წითელ გულის-პირს, ყაწიმებს, შალვარში ჩამჯდარს ბიჭებსა,
ხმალი, ხანჯალი, დამბაჩა, ლეკებს არ გააკრიჭებსა,
თოფი, სიათა, ხირიმი, ოსმალის გულზედ იჭექსა!..

ვინ ვის სჯობია ამათში, აზნაური, თუ გლეხია,
თავადიშვილი, თუ გლეხი, ყველა მტრისათვის მეხია,
ამათმა მტერმა ქართლიდან ამოიკვეთოს ფეხია...
ამათზედ, ვგონობ, არავის ბევრი არ დაუკვეხია!...

დაიწყო ჯარი, დაიძრა, გაშალეს დროშა, ალამი,
ჰკრეს ბუკსა, დაფ-დაფი იკვრის, დიდი რამ, როგორც ხალამი[2],
ზურნა, ნალარა, კიჟინი, ვით ასწერს ამას კალამი?..
მობძანდა მეფე ირაკლიც, ჯარს შემოსძახა სალამი!..

---

[1] იფრინდა — ჩქარი მოარული.
[2] ხალამი — ქილა.

იარა ჯარმა, ავიდნენ, რუსს ამოუდგნენ მხარშია,
მეფე ტოტლებენს უღიმის, არ არჩევს თავის ძმაშია,
გასწიეს ერთად, შევიდნენ ბორჯომის ხეობაშია,
ირაკლი ჯარებს მიუძღვის, თან ახლავს ექიმბაშია[1].

გიორგი ბატონიშვილიც იქა ბძანდება ჯარითა,
აქ ახლავთ ბარათაშვილი, დემურაშვილი დავითა,
ხატულაშვილი სოლომონ, სოლომონ მეითარითა[2],
ამ ვაჟკაცების ყურებით მტერი გასკდება ჯავრითა!..

აგრე იარეს, მივიდნენ, აწყვერს მიადგნენ ციხესა,
აქ მოდარაჯემ შეუტყო, ციხიდან სროლა იწყესა,
ჯარი შეჩერდა, მოუსხდა ვინ კლდესა, ვინ ქვას, ვინ ხესა...
დამშვიდებული ომი სჯობს აჩქარებულ სიფიცხესა.

V

სჭექს და მოქუხს ზარბაზანი, თოფების ტკაცა-ტკუცია,
სამი დღის და ღამის ბრძოლას ციხე ძირს ვერ დაუცია,
ტოტლებენი მოღრუბლულა, ხმა არვისთვის გაუცია,
ზოგი იტყვის: „მტრის ენასა ირაკლი თუ გაუცია?..“

დილით მეფეს მოახსენეს უცნაური რამ ამბავი:
„წუხელ გრაფი აყრილაო, აღარა აქვს ჩვენი თავი,
ქვეგით მიდის ქვიშხეთისკენ, ჯარი მიჰყავს დაუცავი,
ვა-თუ რამე მარცხი შაჰხვდეს, ვა-თუ დავრჩეთ ჩვენ პირშავი?!..

რა მოხსენდა ეს მეფესა, შემოიკრა თავში ხელი,
ზე მოაჯდა თეთრსა მერანს, მოკლე გზა აქვს დასაქსელი,
გადაიჭრა ბილიკებით დაქანცული, ოფლით სველი,
ზეუძახა: „ღენერალო! მომიცადე, თუ არ მელი!..“

ჩაიჭრა და შეეეედრა ტოტლებენსა მოწიწებით:
„ეს რა მიყავ, დალოცვილო, აღარ ვიყავ შენის ქებით,

---

[1] ივანე ყარაეევი.
[2] მეითარი — ხელმწიფის მხლებელი (камергер).

ავრემც ღმერთი გადღეგრძელებს, გამობრუნდი შენის ნებით,
ორეემ მტერი დაგამარცხებს, ჩვენც შაერცხვებით, თქვენც წახდებით!

ტოტლებენი მოუბრუნდა, მოახსენა ირაკლისა:
— „მე ჯარებით წამოვედი, ბრძანება მაქვს ღედოფლისა,
თურმე ოსმალს გაურიგდა, მტერი არ ვართ ოსმალისა, —
თქვენ ნუ სწუხართ ჩემთვის, მეფევ, იმედი მაქვს მე უფლისა...

დაბრუნება ჩემგნით არ ჰხამს, ვერ გავსტეხავ ბრძანებასა,
მომიტევეთ, დიდებულო, ვერ მივყვები თქვენს ნებასა,
ჩემს ხელმწიფას ეწყინება, მისას ვირჩევ მე ხლებასა.
თქვენც გაუძღვებით ოსმალთა, შეისხამთ დიდსა ქებასა."

ამ სიტყვაზედ ირაკლისა თვალში ცრემლი მოერია,
გრაფს შესცქერის მრისხანეთა, როგორც ორბი მშიერია!..
და უთხრა მას: „რა მიყავი?.. რათ დამიღუპე ერია?.,
ოსმალთან ვიყავ განწყობით, ახლა კი ჩემი მტერია!..

შენ არ მიქადდი სიკეთეს, — რუსეთის მფარველობასა?..
რა იქნა შენი თათბირი?.. შენ არ მიქადდი ძმობასა?..
მეც თქვენი კალთა ვირჩიე ურჯულო თათრის ყმობასა..
ახლა რაღა ვქნა, ბედკრულმა, ვეღარ მოვსულვარ ცნობასა!."

„მე რას გავაწყობ, მიბრძანე, ამ რვა ათასი კაცითა?
მეტი არ მახლავს, შენც იცი, ვფიცავ მიწათა და ცითა,
მე კაცი სადღა შემრჩება, საქართველოის დაცვითა?...
მტრის დევნამ, მოყვრის ღალატმა, გლახ გული ჩემი გაცვითა!.."

ბერმე გულმშვიდათ წარმოსთქვა საქართველოის პატრონმა:
„იწამე ღმერთი, გარწმუნებ, არ დაგიწუნოს ბატონმა!"
აქ ცალი მუხლი მოდრიკა მტრისაგანაც მოსაწონმა,
ვედრება ბევრი ისმინა, ყოველი სიტყვის ამწონმა...

— „არ შემიძლიან, ხელმწიფევ, — სთქვა ტოტლებენმა, — არაო,
ეს არ იფიქრო ჩემზედა, მუხთლობს ან დაიზარაო;
თავს ნუ იმცირებ, აბრძანდი, ხვეწნა, ვედრება კმარაო,
ჩემს მეფას უნდა ვიახლო, უნდა წავიდე ჩქარაო".

ამის გამგონე ირაკლი, ზე წამოვარდა მარდათა,
თეთრსა მოახტა ტაიჭსა, მისთვის არ იყო ბარგათა,
მიაქროლებდა მთა-გორზედ, ეკალი უჩნდა ვარდათა,
რუსის ჯარისთვის დიდათ სწუხს, გულში ჩაეჭრა დარდათა!..

მობრძანდა თავის ურდოში, ჯარსა ამხნევებს გმირია,
თვითონ პირისპირ იქ არის, საცა-კი გასაჭირია,
იძახის: „კაი მაგასა! ზედ დაამტვრიე პირია!..
თავი მოსჭერით ლეკებსა და ოსმალებსა ცხვირია!..“

შებინდდა. ომი შეჩერდა. დრო იყო დასვენებისა,
ირაკლიმ იხმო სარდლები, ღირსნი თამამად ქებისა,
ბრძანა: „გაგზავნონ კაცები. ჰქმნან ბატონისა ნებისა,
შეუტყონ რუსთა, მშვიდობა რომ მეფეს იამებისა...

მერმე უბრძანა: „ასე სჯობს, თუ კი არა ვარ ფლიდია,
სულ აიყაროს ჯარები, ეხლავ მცირე და დიდია,
წინა კაცებმა ასპინძას მტკვარზე აჰყარონ ხიდია,
თორემ ოსმალნი, რომ ვხედავ, ჩვენგნით დღეს მოსარიდია.

დაიძრა ჯარი ქართველთა, ასრულდა მეფის ბრძანება,
ასრულდა მისი თათბირი, მისი სურვილი და ნება...
გათენდა, ვიღაც გამოჩნდა, ქარივით მოექანება.
იძახის: „რუსნი გავიდნენ, არ მისცემიათ რამ ვნება!..“

სამშვიდობოში რუსების გასვლა იამა ირაკლის,
აწ ხელგაშლითა ბრძანდება, აქ ბევრს აღარას ინაღვლის,
თითო ჰყავს, ათსა სჯობია, მათით შეავსებს დანაკლისს,
ოღონდ კი შაჰხვდეს მალე მტერს, ამას ნიადაგ ინატრის...

VI

ათი-ათასი ოსმალო, ლეკებს რომ ქართლზედ ამტერებს,
დასდევნებია მეფესა, მოჰსხმია ასპინძის სერებს,
ქართველთ თარეში იმ დროსვე თურმე მათ სოფლებს ამტვერებს,
შაჰხვდნენ ოსმალნი და ჰხოცვენ, ირაკლი ძლივსღა აჩერებს!..

ბატონს მოჰხსენდა, რომ მტერი კიდევ მოელის ჯარებსა,
გარს შამოერტყმის, დაამწყვდევს, შეუკრავს ტაშის კარებსა,
ჯარს ამოუწყვეტს, გაჰყუჟავს, მიწას არ მიაბარებსა...
აგერ მოაწვა კიდეცა, ჯარს დავლით გაახარებსა!..

მოაწვა ლეკი, ოსმალი, გაჭირდა, საქმე ძნელია,
დასწიეს ქართველის ჯარებსა, ერთ-პირად მიჰყვეს ხელია,
მეფე გიორგის იბარებს, შველა ჰხამს საქებელია,
გაჭირდა საქმე, ქართველთა ღმერთიღა არის მხსნელია!..

მოიხმო მეფემ ივანე, რომ ახლდა ექიმბაშია,
უბძანა: „გასწი საჩქაროდ ბატონის-შვილის ჯარშია,
სთხოვე გიორგის გვიშველოს, აქ ამომიდგეს მხარშია,
აქ მიჭირს იმისი ჯარი, ქართველთა სისხლის ღვრაშია!“.

ივანემ ცხენსა გაქუსლა, მიიჭრა გიორგისთანა,
გადასცა მეფის ბრძანება, როგორც ჰხამს კარგი ყმისგანა,
ეუბნა: „ბატონიშვილო, მობრძანდი ირაკლისთანა,
უჭირს მამათქვენს, არ ახლავს მშველელი თქვენი ხმლისთანა!“..

გიორგიმ ბრძანა: „ივანე, მოდი შენც ჩვენთან დარჩიო,
მერწმუნე, ჩემსა მოყმეში, მე შენ არ გამოგარჩიო,
ნუ მეღრიჯები ამაოდ, როგორც ფართლისა ჩარჩიო,
თუ გაუჭირდა მამაჩემს, მაშინ სხვა უნდა ვარჩიო!“.

გიორგის მხლებმაც შესძახეს: „ივანე, დარჩი ჩვენსაო,
დახე ჩვენს წყობილებასა, დახე ჩვენს სიმაგრესაო“...
ივანე გიორგისა სთხოვს: „გაფიცებ მამა თქვენსაო —
წავიდეთ, თორემ ქართველნი ლამის სულ ამოწყდესაო!“.

„არა, ივანე, აქ დარჩი, ჭკვიანნი ასე შვრებიან“...
—„დარჩი აქ“, — სხვებმაც მოსძახეს, — „არა“! რას მეუბნებიან?..
ირაკლის სახელსა ვფიცავ, ესენიც კარგს არ შვრებიან,
წავალ და მეც იქ მოვკვდები, სადაც ქართველნი სწყდებიან!..“

ივანემ ცხენსა გაჰქუსლა, მიეჩქარება ერთგული,
ესმის ხმა ზამბულაკისა[1] და უწუხს ექიმს გლახ-გული,

---

[1] ზამბულაკი — მეტის მეტი დიდი თოფი.

აგერ ლაშქარიც გამოჩნდა, მებრძოლი, მტერთან შერთული,
ნუგეში არა მიაქვს-რა, ამაზედა სწუხს ბედ-კრული!..

ბატონი შემდგარა სერზედა, სარდლები უმშვენებს მხარსა,
მტერი მძლავრობს და მოიწევს, ლამის შემოერტყას გარსა;
აქ ირაკლი მოტრიალდა, გადაჰხედა მთა და ბარსა.
მოუბრუნდა ქართველებსა, გადასძახა თავის ჯარსა:

„გამიგონეთ, გულის ძმებო! ოსმალი შემოგვესია,
მტერს ზურგი არ დაანახოთ, ეს ხომ ჯაბანთა წესია,
დღეს გვაქვს სიკვდილის ლხინია, გვინახავს უარესია,
ეცით გულ-და-გულ, მაგათთვის ჩვენ ხმალი გაგვილესია!..

რომ დავმარცხდეთ, რა იქნება? — ვერ მიუვალთ ჩვენსა ქალებს,
პირშავები, შერცხვენილნი, სად გავახელთ მაშინ თვალებს?..
ქართველის ქალი, მართლად მწყრალი, ისევ ჩვენზედ ივალალებს
სჯობს ამოვწყდეთ, ვაწეწინოთ ჩვენზედ თმანი, იმ მალალებს[1]!

გავსწყდეთ, ძმებო, სჯულისათვის, მამულისთვის სისხლი ვსთხიოთ,
შემწეთ ჩვენის სიმართლისთვის, — მაღლით ღმერთი მოვიწვიოთ,
ვეცნეთ მტერსა, დავერივნეთ, დავიფრინოთ, ხმლითა ვსდიოთ,
მეც თქვენში ვარ, თოფი მკარით, თუ სისუსტე შემამჩნიოთ!.

გამიგონეთ, გულის ძმებო! მოისმინეთ ჩემი აჯა,
ეკვეთენით მაგ ჩვენსა მტრებს, გაამხნევეთ თქვენი მაჯა,
მამულისთვის დახოცილთა, ღმერთმა ნეტარება ჰსაჯა,
აბა, ძმებო, კაი მაგათ!.. ღმერთმა თქვენს მკლავს გაუმარჯვა!“..

— გავსწყდეთ! — შესძახეს ჯარშია, — ვეცნეთ ოსმალს დაღალულსა,
დავერივნეთ, — იძახიან, — თუ გვხედავენ დაძალულსა?.
„დედა შეირთოს ცოლადა, ვინც უღალატოს მამულსა!
ვინც არ იბრძოლოს ვაჟ-კაცად, — ლაჩარსა ჰგვანდეს მალულსა!..“

„დავერივნეთ! გავწყდეთ, გავწყდეთ!..“ და შეიძრა ისევ ჯარი...
ვინ ლეკს ეცა, ვინ ოსმალოს, ვინ ვის დასცა თავში ზარი?

---

[1] მალალი — სათუთი, დამწვარი.

ვინ მტრის ბრძოლით მაძღარია, ვინ არ არის სისხლით მტკბარი?..
მეფე-კი ერთს შესცქერია, ამის ფიქრი იქით არის...

ის ყოფილა ლეკი ვინმე, ნაქები მთელს დაღისტანში,
კოხტა ბელადს ეძახიან, არ ინძრევა ცხენზედ ტანში,
ქართველის ჯარი შეაყენა, მრისხანეობს, ჰყავს ყოყმანში,
და იძახის: „ირაკლი-ხან! გამობრძანდი!..“ დაჰკრა ტაში...

აქ ივანე ექიმბაში მოიჭრა და ძლივსღა ქშენა,
პასუხს ამბობს გიორგისას, აღარ უჭრის საწყალს ენა,
მაგრამ მეფე ყურს არ უგდებს, დრო არა აქვს იმოდენა,
თვალი დარჩა კოხტაზედა, იყურება იმისკენა.

ძოაჯდა ცხენსა, გადიჭრა, ვით ელვა მკვირცხლი და მალი,
შვიდი ხევსური თან ახლდა, ეს იყო ირაკლის ძალი,
მივარდა კოხტა ბელადსა, მეხივით დასცა თავს ხმალი,
შუა გააპო, მაგრამ მკვდარი ცხენზედ ჯდა საწყალი!

დაჰკივლა: „კაი ამათა! არ იქა წუნკალაებსა!
ვინა ხართ ჩემი მოყმენი, მოეფინენით კლდეებსა,
არ წაგივიდნენ ლაჩარნი, არ შეეფარნენ ტყეებსა!..“
ეკვეთნენ გმირნი ქართველნი, მტერს უბნელებდნენ დღეებსა!

აქ უყურეთ, ოსმალ-ლეკსა დაერია ქართლის ჯარი,
წასწევენ და წამოსწევენ, პანტასავით ცვივა მკვდარი,
ხმლები ელავს, კიჟინაა, აგერ მოდის სისხლის ღვარი,
ზამბულაკიც მკვახეთ მოქუხს, ხმას იძლევა მთა და ბარი!..

დავით სარდალი მტერს ჰკაფავს, დიდგვარი ორბელიანი,
ბარათაშვილი ზაალი ლომგულობს ეს პირწყლიანი,
სახელოვანობს სოლომონ, ის თარხნიშვილი სვიანი,
დემურაშვილი დავითა ტრიალებს ხმალ-სისხლიანი!..

„კოხიო ბობლიაშვილი, — აქებენ: — რაებს შვრებაო?
— გამგელებულა ეს თუში[1], წინ ვერვინ დაუდგებაო;

---

[1] წოვიხ თემისა.

ნაკუდა ქუიძესშვილი რა კანჯარივით ხტებაო, —
შვიდი დაკაფა ხმალ-და-ხმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო!..[1]“

იფრინეს მტერი, მისდევენ, ჰხოცვენ, იჭერენ ოსმალსა,
თოფის დუგლუგსა წაჰკრავენ, არც აკადრებენ მათ ხმალსა,
მტერი, უხიდოდ დამხჩვალი, მიაქვს და მიაქვს მტკვრის წყალსა,
საფლავსაც ნუღარ მოელის, ან ვინ აღირსებს საწყალსა!..

გათავდა ომი ფიცხელი, კარგი და სახელოვანი,
სახელი ყველამ იშოვა, ვინც იყო აქ გულოვანი,
დავლა იშოვეს, ტყვეც ბევრი, არც ერთი მცირე წლოვანი,
ქართველნი მხიარულობენ, ოსმალთა იწყეს გლოვანი!..

აგერ მობრძანდა გიორგიც და მიულოცა მამასა,
გადაეხვია ირაკლი და ასე უთხრა ამასა:
„მტერს იქ ელოდი, მაგრამა, იქით არ ჰქონდა გზა მასა,
აქვე დავუხვდი მურდალსა, აქვე გადვუხდი ჭამასა!..“

იმხიარულეს დიდებულთ, საქმე დააწყეს დილისა,
ირაკლი ახლა სხვას ფიქრობს: „მე დრო არა მაქვს ძილისა,
მტერი ბევრი მყავს, არ მინდა გავხდე იმათი კბილისა,
ვა თუ რამ ჭირი მოჰფინონ“, — წასვლა დაესკვნა ტფილისსა.

VII

ცა მოწმენდილი, ლაჟვარდი, ტფილისს დასცქერის მზიანი,
მთაწმინდა, სოლოლაკის მთაც, გახურებული, კლდიანი,
მეციხვანები ფრთხილობენ, რომ არვინ მოსცეს ზიანი,
მტკვარი მღელვარებს, ვერ მორწყა ქალაქი ბაღებიანი.

მყუდროებაა ყოველგან, დარაჯნი მაინც ფრთხილობენ,
განჯის კარს[2] თვალი ადევნონ, დღე-და-ღამ ამას ცდილობენ;
დიღმის კარს[3] საფრთხე არა სდევს, თუმცა არც აქ გულგრილობენ;
მრავალნი მოქალაქენი ბაღებში ზურნით ლხინობენ!..

---

[1] მესტვირულ ლექსში არიან მოხსენებულნი ეს თუშები: კოხიო და ნაკუდა („კრებული“, 1873 წ. წიგნი, VII, გვ. 27).

[2] განჯის კარი — ერევნის მხრიდამ ტფილისის კარები.

[3] დიღმის კარი — დასავლეთის მხრის კარი ტფილისისა.

დედოფალი დარეჯანი შინ ბრძანდება სასახლეში,
სადილ-უკან, სამღერალად, ძოწეულსა ითვლის ხელში,
მტკვარსა რასმე გადასცქერის, ფიქრით ჰფრინავს სამოთხეში,
ჰფიქრობს კიდე ირაკლიზე: „სად რას არი, მთა და კლდეში?“..

ამ დროს ქვრივი ბეგთა-ბეგის შემოვიდა, უცებ სტირსა,
შეიძახა: „დედოფალო“, და იხოკავს ფრჩხილით პირსა...
„თუ გაიგე, — ხმა გაისმა, — ბატონია გასაჭირსა,
რას უზიხარ, ავიყარნეთ, დავიხიზნოთ ტყისა პირსა!..“

რა ისმინა დედოფალმა, უცებ ზეზე წამოვარდა,
შეჰკივლა და შეიკივლა, იცრემლა და გულს იდარდა,
გაჰკრა ხელი, წამს წუღები გაიძრო, კარს გამოვარდა,
სიონისკენ მიაშურა, ხალხს მოჰფინა გლოვის ფარდა!..

ვაჟ-კაცნი ქუდებ მოხდილნი, დედები ფეხშიშველები,
ბიდიან ღვთის-მშობლის წინა, მაღლა უპყრიათ ხელები,
ევედრებიან ღვთის-დედას, ჭირი აცილოს ძნელები,
მღვდელნი პარაკლის იხდიან, ცრემლი ჩამოდის მწველები!..

ყველამ დაკეტა დუქნები, აივსო მთლად ეკლესია,
გამოასვენეს ქუჩაში ხატები, როგორც წესია,
ხალხი ქვითინებს გულითა, ღაღადებს მათი მწყემსია!
ამ დროს იკივლა ვიღაცამ: „ოსმალი შემოგვესია!..“

ერთი იძახის: „ვინ სცრუობს? — ეგ ქართველები არიან,
ოსმალოს ტანისამოსით მორთულან, მოუხარიანთ,
ოსმალოს მკვდრებიც წყალს მოაქვს, მათი მზიდავი მტკვარია. —
ხალხს ვინ აშინებს? ვინ ბრიყვობს? — აბა რა სახუმარია?!.“

ამ დროს, მართლა, იქ მობრძანდა თვით ირაკლი გმირთა-გმირი,
თან ახლავან თავადები, მოუმკიათ დიდი ჭირი,
ხატს ემთხვივნენ სულ ყველანი, ხალხი იქ სდგა ანატირი,
მერე მეფემ დედოფალსა გადუკოცნა გული, პირი!..

შეიქმნა ხალხში სიამე, ხალხი არის მხიარული!..
გამარჯვების ხმა გაისმა, გაუმრთელდა ყველას წყლული,
ყველას ტუჩზე ღიმი უქრის, არვინ მოჩანს დაჩაგრული,
მადლობაა — ღვთის წინაშე, სიხარული ყველგან სრული!..

მეფე მობრძანდა სასახლეს, ჯერ არ ეკრა, ვგონებ, ბინდსა,
პატრუცაგი[1] დაამზადა, ელჩებს ჰგზავნის ექვსს, თუ შვიდსა,
ასპინძაზედ გამარჯვებას რუსეთში სწერს, აღარ რიდსა,
იქ ნაშოვარს ტყვეებს ჰბედავს, რომ მიართოს მეფას დიდსა.

მეორე დღეს სასახლეში გამარჯვების სადილია,
დიდებულნი სოვდაგარნი იქ არიან, ხადილია[2],
ბევრი წყალობა გაიცა — ქართველთ მეფის წადილია,
კიდევ ბევრს და ბევრს ჰპირდება, — ბატონისგან ქადილია.

შეიქნა ლხინი, მეჯლიში, ყანწის და ჯამის ტრიალი,
ჭიქების ტყორცნა, ღიღინი, გალობა, თასთა წკრიალი,
შეზარხოშებულთ ვაჟ-კაცთა სიმღერა, კულის კრიალი!
გარეთ ზურნა, ბუკ-ნაღარა, დაფ-დაფი, ხალხის გრიალი!..

მეფე ადგა, დაილოცა, სიტყვა არ ჰსურს გააგრძელოს,
გამარჯვება ყველას უძღვნა, ყველასთვის სურს: — ისახელოს...
აქ სარდალმა სავსე სტაქნით დაიძახა: ადღეგრძელოს!..
გაუმარჯოს ირაკლისა!.. გაუმარჯოს საქართველოს!..

ხალხმა ერთობ შემოსძახა: ადღეგრძელოს! ადღეგრძელოს!
— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!
— ღმერთმა ხელი მოუმართოს!

5 მაისს, 1880 წელსა.
ქ. თბილისი.

---

[1] პატრუცაგი — მეფისაგან მეფესთან მინაწერი.
[2] ხადილი — მხიარულება.

ილია ჭავჭავაძე

ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ

(ᲫᲣᲚᲕᲜᲘ ᲘᲕ. ᲞᲝᲚᲢᲐᲠᲐᲪᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲚᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ)

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

რუსთაველი

I

ალმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
ალმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვისკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად ამოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,

ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,
თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დადუმებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა, —
და ცაც უღრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
„ნუ გჯერსო, — მითხრა, — ეს მყუდროება,
„სტყუისო ზეცა და ქვეყანაცა!
„ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს
„ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
„მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
„მადლი ცისა არ მიჰკარებია.
„სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
„ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი, —
„ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ, —
„თვით მაგ დუმილში რა წყევლაც არი!..“

III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამა
მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი
და ყოვლად მხსნელმა სასოებამა
მომცა ნუგეში მაცხოვნებელი.

ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალებს,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სადც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს,
იქ ძალუძს კაცსაც ბედნიერება.
ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა,
ეჭვთაგან წინათ გვემული გული
განცხოვლდა წმინდის სიყვარულითა;
გარდმომეელინა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.
თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე
ხედვად უცნაურთ სახილველისა,
მოეხსნა ყურთა თითქო სიბნელე
სმენად ბუნების მეტყველებისა.
მეწვიენენ იგი უცხო ხილვანი,
სავსენი ლხენით, ნეტარებითა —
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა.

IV

და მომეევლინა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული;
ვითა ქვეყანა — ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
მის გარეშემო შვენოდნენ მთანი
და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი მბღღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა.
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე,
ჰრბოდა, ჰბღაოდა, მილრიალებდა,
სჭექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ

და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.
იქით შორს სჩანდნენ მინდორნი, ტყენი,
და იმათ შორის — არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენს წმინდა თვალ-წინ აყვავებულა:
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ — შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართვლის სიცოცხლე ჰდუღდა,
იქ მამულისთვის ქართვლის ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ — იგი ქართველნი!..
გულ-ხელ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს, —
და ძარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.

VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა

არ მიიზიდა მოხუცის თვალი,
მთიდამ ამაყად გადმომზირალი, —
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა
სიყვარულითა იგი დამზერდა.
საიდანა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი?
რათ დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ვსთქვი ესა, მსწრაფლვე მომესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწყმო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, პე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.
ვიდრე ძე შენი ჯერ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,

უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

VIII

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს;
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ჭალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება, —
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

IX

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული, —
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი.
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი, — უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა.

X

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წარხდომის გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების;
მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმალ გაცუდებულა.
აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,

ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან:
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

XI

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლვით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა — ორად ჰხდის...
ნონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება.
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ეევედრება მის თვალი შვებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!..

XII

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგსარდება.
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი.

XIII

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად,
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია,

მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება —
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

XIV

„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა შფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა

უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიკთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღუღუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალის მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, —
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

XV

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდ გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა.
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.

აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართლისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

XVI

„აგერ ტფილისიც... ყრმასაც და ბერსაც
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება;
ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ყღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს, —
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,
ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,

ერთნაირად და უფერულადა.
რისთვისც მაშანი იღვწოდნენ უწინ —
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთვარის ღიმილზე — პატიოსნებას
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

XVII

„აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების:
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი:
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა
ჰყვაოდა ქართველის წყლულთა კურნებად,
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა,
სად იმა წყაროს წყლით გაბანილი
ქართველის ტკივილი დაყუჩებოდა.
აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა.

XVIII

„ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!... მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

XIX

„თვალ-წინა მიდგა ის კირთების ბედშავნი დღენი,
როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა,
და შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი,
შენმა მოძულემ და მოლალემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიცა მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებრ ჰქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსვრელი
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება,

რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულების და კირთების ქვეშ ქედსა იხრიდა,
და მონებრივის თვალთმიმქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულდაკეტით დღე-და-ღამ ჰზრდიდა.

XX

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართვლის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იდვა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურის-გებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
 იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება. —
და შენ, ჰე ქართლო, მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართვლის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.

XXI

„მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...
შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
მას აქეთია ოთხ-კუთხივ მტერნი

შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
მაგრამ ვაჟკაცნი შვილები შენნი
გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
იყო დრო, როს შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჰაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ეხლა რალაა!.. გაჰქრენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

XXII — XXIII

XXIV

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,
აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა...
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულნი.
როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,

დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?“

XXV.

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებშე,
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი;
ქარმა დაჰღმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,
რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა,
ზვავმაც მაღლიდამ დაიგრიალა, —
და მყის ბუნების მშვიდი დუმილი
ბნელ ჯოჯოხეთად გადიქცეოდა.
წყალი და ცეცხლი, შეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირეოდა.
მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა...
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს
ვერ გაატანა თვალმა უძლურმა...
„ნუ თუ გათავდა ამით ხილვა ეს!“ —
შემომტირა მე მწუხარე გულმა.
მცირე ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოიღიმა ნათლად მთამაცა,
და მზისა სხივით გაბრწყინვებული

კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

XXVI

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.
ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი.
დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა,
იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მაშული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!...“

XXVII

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯვრ არ მენახა მე ცისარტყელა.

26 იანვარი, 1859 წ.
[პეტერბურგი]
(ბოლო რედაქცია 1872 წ.)

ქართველის დედა

(სცენა მომავალი ცხოვრებიდან)

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

ხალხური სიმღერა

ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებულ-,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინვებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა, —
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ.
ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან
მისუსტებული და მოხუცებული დედა).

დ ე დ ა

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება.
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,
იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული,..
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?..
ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლოს არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიან მკერდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა
და ეგრეთ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!...
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო,
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,

პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრეთ ნაშოვნი რად წაგვერთვი მესავთა შენთა?
რაღად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..

შ ვ ი ლ ი

(შემოდის გახარებული)

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..
მაგრამ შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დ ე დ ა

მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!.
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,
როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შ ვ ი ლ ი

როგორ? მეც მგზავნი საომრადა, დედის-ერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დ ე დ ა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შ ვ ი ლ ი

არას დროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედა-ჩემო!.. რასაც მნუკავ, აღგისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?!

(ისმის გარედან ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდება)

დ ე დ ა

(თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები,
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოვკვდები...
იმ დროშდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ,
ვიდრე საომრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს, —
და მერე კი ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა ორ-ჰირად)

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.
თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!
მაშ მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა."

(ქუჩიდამ ისმის დედაკაცების და სოფლის პატარა ბიჭების ძახილი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს". ისმის ციცინა და ხმაურობა)

დ ე დ ა

(აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

(ჩამოიყვანს ლოგინიდგან, დედას შეუჯდება მხრებში და მიიყვანს ფანჯარასთან)

შ ვ ი ლ ი

შეხე, დედილო, ამ განწირულ ყმაწვილკაცობას,
ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.

(დედა, რა დაინახავს ჯარს, ცრემლს ვერ იმაგრებს და სტირის)

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს,
დიდი, პატარა მხიარულობს, შენ, რა გატირებს?

დ ე დ ა

ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვაროთ!
ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ,
რომ ჩვენ შეგვასწროს მამულისთვის თავდადებულნი
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მიმიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)

ვაიმე, შვილო, რამდენს დედა აუტირდება,
რომ ველარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!..

შ ვ ი ლ ი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!..

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და
გარედამ იძახის)

ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი

კიაზო, წამო!.. რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია... ჩვენს ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შ ვ ი ლ ი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან — მეომარს, შენგან — შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადაეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და, ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი! გზადა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

ვაი შენს დედას!.. მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის.. უძლურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები?!
ვაი თუ მოვკვდე და ვისგანღა დავიტირები?..

(სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე
უეცრად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალში თვალს
უყრის და მცირეს ხანს ამ ყოფით არის)

დ ე დ ა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შ ვ ი ლ ი

(გაოცებით)

მერე, რო მიყვარს?

დ ე დ ა

(ძლივს ბედავს თქმასა)

მასთან დარჩი!

შ ვ ი ლ ი

მერე მამული?

დ ე დ ა

(თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია,
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოდა მარტო მოვკვდები,
ვიღა დამმარხავს?... წადი... წადი... ნუ გვიანდები.

შ ვ ი ლ ი

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...

ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს კლავს შენს სიყვარულში;
რა სხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, დედი! მეძნელება შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დ ე დ ა

(ღონემიხდილი გადაიქცევა ლოგინზედ და სულთმობრძავი ამბობს)

ვაიმე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდ ხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი.
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!..

(კვდება)

14 ივლისი, 1860 წ.
პავლოვსკი.
(ბოლო რედაქცია 18 მარტი, 1871 წ.)

რაჟდენიძე სერათი
ანუ
ეპიზოდი უაჩალიხ ცხოვრებიდან

პოემა

„მიეც გლახაკთა საპურპლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

შოთა რუსთაველი

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, —
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი,
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა — მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,

თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი.
  მიდის ურემი და უეცრადა
ვიღაცამ ტყიდამ ასკუპა ცხენი,
მივარდა იგი ურემს მედგრადა,
მუმუნვარე სახის ამაყად მჩენი.
  — ვერ მიმასწავლებ კუდი-გორის გზას? —
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.
  — რატომ ვერ, ძმაო! აგერ აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადეგ, წადი, — და როცა
ცხვირწამოწვდილი მთა შეგიყრება,
ის მთა იქნება კუდი-გორაცა.
იქ რა გინდა შენ? — ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება: —
იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბლაჭიაშვილი იქ იმყოფება.
მე, როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი —
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები,
ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალია, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი.
  — შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;

როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ,
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებული! —
  და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა მთამა.
  თითქო შენატრდა იმას მეურმე.
„ახ, ნეტავი შენ!“ — წაიდუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერე
შურით, ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა.
  კუდი გორასთან ერთი ტყე არი, —
უწინ ყაჩაღის იყო საფარი, —
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი და წამობურული.
იქა ცხოვრობდა ბღაჭიაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.
  მთვარე ჩასული იყო დიდ ხნისა,
როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა,
ფრთხილად ეძინა ბღაჭიაშვილსა,
ბედისგან მწარედ განაწირალსა.
მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი
კაზმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებასა.
უეცრად შეჰკრთა, აცქვიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა;
მერე ტრიალით იწყო ფრუტუნი
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდ ხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი დააფრთხობინა.
წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე,

შეჰკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ — მოყვრად, თუ მტრადა?“

მ ხ ე დ ა რ ი

— მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა.

კ ა კ ო

— თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მ ხ ე დ ა რ ი

— ამინ!.. შენ არ ხარ ბღაჭიაშვილი?

კ ა კ ო

— დიაღ! გახლავარ!.. რა გნებავს შენა?

მ ხ ე დ ა რ ი

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.

კ ა კ ო

— მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა.

მ ხ ე დ ა რ ი

— გულს გული იცნობს და ღონეს — ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.

კ ა კ ო

— ხოშ-გელდი, ძმაო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;

გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
სად მიღამდება, იქ მითენდება;
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება...
უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეციერით ტყეში,
კურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-და-ღამ ხელში, —
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!..
მე თანა მყვანან რკინისა ძმები:
ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი,
არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა,
მოუდრეკია როგორც რომ ჟინი;
ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა,
გამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
და კაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა.
ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმც, ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა.
ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ, წამო!
ღარიბულადა მე დაგიხვდები,
და ნუ დამძრახავ ყაჩაღსა, ძამო,
თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.
  მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად
და წამოჰყარა აღვირი ცხენსა;
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად

და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა.
მოჰხსნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც სავსე გადმოიღო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გავაზედ
და მყის გაიგდო ცხენი ბალახზედ.
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,
და მოეწონნენ ორნივ ერთმანეთს.
მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასხდნენ,
მდუმარედ იყვნენ ორნივ დიდ ხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ სინჯავდნენ,
ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:
— ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები
და არ დამძრახავ მეტ კითხვისთვინა:
მითხარ, საიდამ გემცნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?

მ ხ ე დ ა რ ი

— შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშვმაც კი იცის ვინ არის „კაკო“!
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს;
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცევიხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,

გლეხკაცი როგორც ძმა ჰყვარებია,
გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხენა,
შვილსავით კალთით უტარებია!
აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰხურებია!
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოს...
ჯერ არ მენახე მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა;
შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი,
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა,
ბოლოს კი, ძამო, გამიწყრა ღმერთი,
დამიტრიალდა უკუღმა ბედი!..
ყური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
რაც გადამკიდა მწუხარებამა,
და როგორც, ერთ დროს ბედის მადლიერს,
გზა დამიხლართა ბედისწერამა!
მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დავღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ჭლხინობდნენ, და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!..
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა,
ჩემს ამხანაგებს გავექცევოდი,
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი.
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნაღველი;

პატარა გულმა გამოიდარა,
და შეუბრუნა ნაღველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი;
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვღონდებოდი.
ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!
არარა მქონდა იქ საფიქრელად,
ჩემი მოძმენი არ მაძალებდნენ.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ, ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე,
და რიგ-რიგითა ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
რაკი ტრედის-ფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხობდა.
ავიშლებოდით, და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა, ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავის ძროხას ყველა ზლაზვნითა
ასაშვებლადა მიესეოდა.
ზოგი აქ მიდის თექა-მოსხმული
და მიიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა,
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული

და ერეკება თავის ძროხასა;
და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ,
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზედ:
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხობდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით,
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდარობდით
და ზეზეურად დავნაყრდებოდით;
მერე ვმართავდით თამაშობასა.
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
და შუადღისა, გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა;
ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ეხლა ის ლხენა?!..
საღამოს ჟამზედ ისევ იმ-რიგად
ცეცხლსა ანთებულს მოეუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით.
ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნ;ს
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდნ;
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა,
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა:
მიყვარდა მე ის ქეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

ეგრეთ მინდორზედ, ძმაო, ვყვაოდი
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდ ,
შინაურობის არ მქოდა ჯავრი!
მე ჯერეთ ვიყავ პაწაწკინტელა
და მადლიერი ჩემ კეთილ დღისა
და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მადლიერია თავის ბედისა.
მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა.
ეგრე იქნება მუდამ, მეგონა,
მადლიერად და უნაღვლოდ მამა,
მაგრამ კი ბოლოს ის დააღონა,
მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
ყმის ბედი რა-რიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...
დრო გადიოდა და თან მიჰქონდა
მამი-ჩემისა უბედურობა,
მამა თანდათან მიბერდებოდა,
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!..
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი,
შრომის სურვილი იმ უბედურსა,
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დროგარდასრულსა.
საბრალო მამა ჰხედავდა ცხადად,

რომ რამდენადაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, ძამო, გლეხკაცის ბედი,
ის უკუღმართი, უღმრთო წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გაუბრუნდდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!
  მაშინ შევიქენ მე ოცის წლისა...
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრს ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,
თუ გულსმოდგინედ მივეშველოდი.
მაგრამ მე კიდე ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა,
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვღუპავდი,
შინ კი ოჯახი მეღუპებოდა.
  ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა.
  მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულდაწყვეტილი
იახლა ამ-გვარს უხამსსა ბატონს.
— შენი ჭირიმე, — უთხრა, — ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამაღონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

ბ ა ტ ო ნ ი

—რაო, რას ბოდავ?

მ ა მ ა

— შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბ ა ტ ო ნ ი

— ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?..
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?

მ ა მ ა

— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძლურდი,
თორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
მინამ შემეძლო — სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა;
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,

უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო.
ცელარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!..
ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!..
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კენესამე,
მინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი.
გამომიზრდია ჩემი ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა.
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
ამდენი ჯაფა გამიწევია
ნუთუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროო-დროდ ადრე და მალე
მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბ ა ტ ო ნ ი

— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვნი კარგ მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა, „ერთი მაქვს — სჯობს ათასს მქონდეს“...

მ ა შ ა

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბ ა ტ ო ნ ი

— გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები!

მ ა მ ა

— რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა!
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბრძანე, შენი კვნესამე, შენი!

ბ ა ტ ო ნ ი

— თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენაღვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მ ა მ ა

— შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, —
რა პასუხია, როგორ იქნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბ ა ტ ო ნ ი

— სუ!..შე ქოფაკო!... გაიკმინდე ხმა!..
ხმა... კრინტი მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

მ ა მ ა

— როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ,
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, —
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..

ეს იყო, ძამო!.. ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის ულმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექმნა, აბა სთქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა!..
მაგრამ როგორც ცივ რკინას და ქვასა,
ვერ დაულბო, ვერ, გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედგაწყვეტილ, მოყლულმა გულმა,
და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.
ჩიბუხის ტარით მაშა-ჩემს მტრულად
ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გალახულა თავისი დღენი.
საწყალი იყო თავის-მომწონე.
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
თუმც ალარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,
„ბიჭო, როზგები! ბიჭო, როზგები!“
და მამა-ჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმები!..
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
იმისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე, რომ მაგონდება...
არც უღონობამ, არც სიგამხდრემა,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა!..
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი... —
გულამომჯდარმა წაიდუდუნა,
მერე მდუმარემ მწუხარე თავი
ამოიკვნესა და ძირს ჩაღუნა.

წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გული
და შეუტია მწყრალად ზაქროსა:
— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგაძალებდი
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...
რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
როგორ სწუწვნიდნენ მამა-შენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ ილებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...
შენ, ძმავ, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,
შენ დედაკაცად დაბადებულხარ,
ფუ, მაგ კაცობას!

მ ხ ე დ ა რ ი

— კაკო, ნუ სწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...
მინამ ბატონი ხელითა სცემდა —

როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ“ რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი მამას მოჰკლავდნენ,
მკვდარსა და ცოცხალს კბილით შესჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა, ულმრთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.
მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდან გადვიგდე მაშინვე თექა,
და, რო ჰყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარ!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის-ფიცარი —
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა.

კ ა კ ო

— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხნოს შენმა მშობელმა —
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა —
ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძამო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წეღან გითხარ, ყველა დამითმე,
ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ-წინ თავი დაიღოს.

მ ხ ე დ ა რ ი

— განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი.

ვით მეტი იყო წელან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.
მაგრამ, ეჰ, კაკო!.. მე მაგ სიკვდილმა
გულის ჭრილობა არ გამიმრთელა;
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა
მამას ცერაფრით ვეღარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა...
მივვარდი მამას... უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად გაშეშებული!..
ვაიმე, მამა მე მომკდომიყო
როზგ-ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად!..
მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად.
  და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

11 დეკემბერი, 1860 წ.
პეტერბურგი.

მეოთხე დიმიტრი თავდადებული

(ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს)

უქმე დღე იყო, ტვირთმძიმეი და დამაშვრალი
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.
„ეჰ, რას ჰყაყანებთ“, — დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა, —
შინაც ძლივს ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტა ფრთა გაშალოს გულის წადილმა...
ბრმა მეფანტურევ, გვითხარ რამე, მამა-შვილობას!
გვითხარი რამე, ბერი-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ეანგი მოაშორო კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული,
გული გაზრდილი ვაებითა, წვით და დაგვითა“.
ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა:

I

„მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა,
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა.
იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში,
როცა მამულის-შვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.

შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.
შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.
უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის-თავს
შეაკლავდა როგორც ლომი.
მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად — ხმალი ხელში.
ეგრეთ, შვილნო, აქ ცხოვრებდა
უწინდელი ქართვლის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

II

„ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ.
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით...

ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.
წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქომია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.
ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვეს
და სხვას კი გზას უნათვიდეს.
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

III

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.
დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარ-ბეჭ-პრტყელი, ტანმაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.
კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისნიერი.
ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო ჯაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოივლიდა ქვრივს და ობერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა —
წავა — იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.
ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა.
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

IV

„მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.
ერთხელ ყეინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გადიყენა
ნახევარი სათათრეთი.
მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის —
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.
შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და განდგომილი;
ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.
დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.
ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

V

„ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც...
— „რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ.
თუ პირში სული მიდგაო“.
გაუგზავნა მოციქული:
— „გამოცხადდი ჩემ-წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ავადენო.“
დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის, — იმ ღვთის-რისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.
რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.
დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...
— „წავალ — მომკლავს, და არ წავალ —
ამიოხრებს ქვეყანასა“.
ბოლოს ბრძანა: — „თავს მოვუყრი
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო —
წესია მეფეთ ქებულთა.
ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან. —
წასვლას თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, —
მეფის, თუ ქვეყნის დამხობას?“

VI

„ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე ქრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ, დიდმა და პატარამ
თაყვანი სცეს ბატონს ყმურად.
ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითაც,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით ყურებითა.
უბძანა თუ: — „დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.
შეიტყობდით, მომივიდა
ყეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.
თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო,
ავადენ ნაცარ-ტუტასა.
თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება“.

VII

„დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი.
მივიდნენ და თაყვანი სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.
— „მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა?!
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!
თუ შენ აღარ გვეყოლები,

რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არვინ დაგვებადება.
მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლის-მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.
მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!
ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაქმევ
ერსა შენსა შემნატკრელსა.
ნუ, ნუ გვაქმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილის-შვილამდიე...
აქ მოვიდეს, მის დახვდრა
ამ ჩვენს ქედზედ დააქდიე".

VIII

„ეხლა წადგა სპასალარი...
— „მეფევ. რაც სთქვეს, მართალია,
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, —
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!
თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —
სახელიო, ან სიკვდილი.
ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..

მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი.“
ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული,
დიდ ხანს იყო დაღონებით
ეგრე თავჩაკიდებული...

IX

„ბოლოს ბძანა: — ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარით, რა მადლი არი!
ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ:
რა ვქნა, — ასი ერთზე მოვა,
ამას ვწუხარ და ვვალალებ.
ჩვენი კაცი ერთი — ასსაც.
ვიცი არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს.
ხალხი ურგოდ გამიწყდება.
მერე უკაცურს ქვეყანას
დასწვავს, დაჰბუგავს, დაანგრევს,
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს.
ხატებს, მამათ სალოცავსა
წამურტლავს და შეგვიგინებს,
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძაღლსა და ღორს ათრევინებს.
ქალწულთ-ქალზედ ძალით მივა,
წაჰბილწავს, ნამუსს დაუმხობს;
ორსულ დედაკაცებს კიდევ
მუცლებსა ხანჯლით დაუპობს.
დედას თავის ძუძუთა-შვილს
კბილითა დააგლეჯინებს,
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალეწვინებს.

X

„ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.
ქვეყნის ამოდენი ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება!
ეს სულ მისთვის? მარტო მისთვის.
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.
მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
სირცხვილს ამბობთ! — რა სირცხვილი?
მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.
თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს — მთელი ერისათვის!..
არა! წავალ, არ დავდგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა.

XI

„შენ რას ბძანებ, მღვდელმთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?“

ატირდა და მოახსენა:
„ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს.
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.
მეფეო, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
მეფეო, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...
ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია, —
მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.
ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთი-სოფლის გულისათვის!..“

XII

„მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:
— „დიდებულნო, ხომ ისმინეთ,
რაც სთქვა წმინდა მღვდელმთავარმა!..
მოყვასთათვის თავდადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.
ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!..
წავალ და, თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსდებ.
მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეს,

ღარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.
  გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დააჩაგვრინოთ.
  თუ დაგბრუნდი, თქვენს სამსახურს
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და — სული ჩემი
შეავედრეთ მაღალ ღმერთსა."
  ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი:
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.
  მართალს ვაქაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია.

XIII

„ბძანა და მსწრაფლ დაიშალა
დიდებულთა იგი კრება...
უხმო მხლებელთ და უბრძანა
წასასვლელად მომზადება.
  სთქვა და ურდოს კიდეც წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა: გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.
  გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჯინჭველა ჰფუსფუსებდნენ
შინა-ყმანი სასახლისა.
  ხმა გავარდა ქალაქშიაც:
მეფე ჩვენთვის სდებს თავსაო,

უშლიდნენ, არ დაიშალა, —
ვერ ვუღალატებ ხალხსაო.
შეიძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეცა ერთმანეთსა,
მოზღვავდა და იგრიალა
და მიაწყდა სასახლესა.
მივიდნენ, ნახეს, მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით
მოედანი სასახლისა.
წინათ ბარგით გაეგზავნათ
ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალთად იყო,
ტურფად კაზმულ-დარახტული.

XIV

„თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა, —
ყველა ასე კარგნი იყვნენ.
წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა.
საამოა გაწყობილის
ვაჟკაცების რაზმის მზერა!
კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა
მათს სიკეთეს, სიტურფესა.
მარქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ-გარეთა ატარებდნენ,
მათი მხედნი დიდებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.
იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰგვრიდა,
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო — თითო სოფლად ჰღირდა.

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული,
უკეთესს ვერ ინატრებდა
კაცის უძღომელი გული.
მეფისა იყო ის ცხენი,
თამამი, — თითქო ვეფხვია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერვის შეედგა ფეხია.
ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი როგორც შველია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა, —
თუ არ ბატონის ხელია.
ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჩექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა.

XV

„გამობრძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყვნენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.
მეფეს ახლდა მხარმარჯვნივა
გულმწუხარე მღვდელმთავარი
და მხარმარცხნივ შუბლშეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.
მღვდელმთავარი სწუხს და ჰვაებს
მეფის თავგადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.
ხალხიც დაჰხვდა თავის მეფეს
ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა
მათთვის გულის-ტკივილითა.

უბძანა თუ: — „რასა სწუხხართ?
იქმნას, რაც კი საქმნელია!..
ერისათვის თავდადება
მეფისათვის სახელია.
რაც მომივა, მომივიდეს,
მე იმისთვის არ ვინაღვლო...
თქვენ ჭირს დაგხსნით... დეე ვიქმნე
მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო.“
ხმა ჩაუწყდა, ველარ-რა სთქვა,
მოეგება თვალში ცრემლი...
თქმულა: ქვასაცა მაგარსა
გასტეხს ტყვიის რბილი ცრდემლი.
მოუმატა ხალხმაც სულთქმა,
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში
ობლისა და ქვრივ-ოხრისა.

XVI

„უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაირღვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერი-კაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი.
მკერდზედ სცემდა თოვლივითა
მოხუცებულს თეთრი წვერი.
მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,
თუმც ყავარჯენს დაებჯინა.
ის ამ ქვეყნის აღარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში,
მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

XVII

„მოახსენა: — „ჰე მეფეო,
ნუ შემრისხავ ერთგულ ყმასა!
მე ხომ მხედავ, გარდასრულვარ,
სამარიდამ გაძლევ ხმასა.
მეფევ, კისრად აგიღია
ტვირთი ჩვენის შავის ბედის,
ბედისწერას მისცემიხარ
უბედურის ჩვენის ქვეყნის.
ვიცით, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,
როცა ნდომობს თავგანწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.
მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ!
მამობასა ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?
ერს ოფლის მღვრელს და ტვირთმძიმეს
ჭირსა ლხინად ვიღა გვიქცევს?
წუთისოფლის მძიმე უღელს
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?
ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბედსა და მშვიდობასა
ველარ მოუმართავ ხელსა.
ჩემებრ უძლურს, გაჭირვებულს
მწედ ველარ მიეშველები,
ღარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
პატრონად არ ეყოლები!

XVIII

ნუ სწუხხართო!.. განა, მეფევ,
ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს — მაინც დასდნეს
ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.

გულს რად გვიკლავ? რად მიდიხარ?
ნუთუ, მეფევ, ხსნა არ არი!..
ქუდზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.
ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯერ უნახავს ქართვლის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.
აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია;
მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის ქართვლის ბუდე.
შეჰკრიბე დიდი, პატარა,
გაუძეღ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლადა!
ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაჰხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.
ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!..“

XIX

„უბრძანა თუ: — „ბერო-კაცო,
მესმის შენი ერთგულება...
შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება.

მაგრამ გეტყვი: ჯარს არ შევკრებ,
არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
მარტო ჩემი გულისათვის
არ შევაკლავ მტერს ათასსა.
ჩვენის ქვეყნის შავი ბედი
როგორც ტაროსი იცვლება,
დრო მოვა და თქვენი თავი
უფრო მეტად დასჭირდება.
მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა:
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტოთ თქვენა?..
განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ ედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის
ღმერთი იყო და ჯვარს ეცვა.

XX

„მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეს სიკვდილი სიცოცხლეა.
არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.
არ დავიშლი, ვსთქვი და კიდეც
თავი უნდა გავიწირო,
ისე მოვკვდე, რომ ჩემ გამო
დედა შვილზედ არ ვატირო.
წავალ-მეთქი!.. თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.
ეჰ, რაც ჰსურდა, არ დასცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..

აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.
  თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
ხოცვა, ჟლეტა, სრვა და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება
თქვენი ლოცვა და კურთხევა.“

XXI

„თითქო ზეცით ზარი იყო,
თითქო ღმერთი მოევლინა, —
ხალხი პირქვე მყის დაემხო
საკვირველის მეფის წინა...
  თურმე დიდებას მადლისას
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდს მადლს
თავისი ზარი ჰქონია.

XXII

„მეფეს ერი შეეცოდა,
სთქვა: — მეც ვსწუხვარ, რომ გშორდებით,
ღმერთს ვსთხოვ, იყვნეთ ჩემს შემდეგ
მშვიდობით და გამარჯვებით.
  ნურას გიკვირთ, რომ ქვეყნისთვის
მეფე თქვენი თავს არ ჰზოგავს!
ამასა იქმს ყველა, ვინც კი
ჰკუით სჭრის და გულით ჰზომავს.
  მე მივდივარ!.. მეფე თქვენი
დიდს და მცირეს გეთხოვებით,
რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,
რაც შეგცოდეთ, შემინდევით.“
  ბძანა და ცხენიც მოართვეს,
ზედ მოახტა ვეფხვსავითა;
ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი რომ დაენახა,
თვალი გაუშტერდებოდა;
მისებრი ცხენზედ მოხდენა
ბევრს ვაჟკაცს ენატრებოდა.
გამოეთხოვა ყველასა,
ვინც კი შინ. სახლში ჰრჩებოდა,
სხვა კი ამხედრდა დიდკაცი
ყველა, ვინც უნდა ჰხლებოდა.
ამხედრდა თვით მღვდელმთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეევედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.
წაბძანდა და თან იახლა
ის ამალა და მხედრობა,
უკან მისტირს ერი, ბერი,
გლეხობა თუ დიდკაცობა.

XXIII

„მინამ მეფე მიმავალი
ურდომდინა მიეიდოდა
იმისი მისვლის იმედი
ყეინსა გადასწყვეტოდა.
ებძანა თავის' სარდლისთვის:
— შეჰკრიბე ჯარი, ლაშქარი,
წადი, დიმიტრი მომგვარე
ან ცოცხალი, ანუ მკვდარი;
თუ არა, იმის ქვეყანას
შეესიე და მოსრეო,
სულ ძირს დაეც, რაც წინ შეგხვდეს,
ქალაქი თუ სიმაგრეო."
წინ შეხვდა მეფეს ეს ჯარი,
მრავალი და უთვალავი,
მაშინვე მიხვდა: აქაო
ამბავია რაღაც ავი.

უხმო მხლებელთ და უბძანა:
— „ფიცსა გთხოვთ და უნდა მომცეთ:
თუ უკადრისი მაკადრონ,
თქვენ არავინ ხმა არ გასცეთ.
  თავს დაიხოცთ, ვერას უზამთ,
ჯარია მოზღვავებული;
თქვენს სიკვდილსაც არ იკმარებს,
თქვენგნით გაბოროტებული, —
  წავა და ხალხს ამოგვიჟლეტს,
აგვიოხრებს ქვეყანასა...
ნუთუ მთელს ხალხს ანაცვალებთ
ვაჟკაცთა თაკილობასა?!
  ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას,
რაც ჩემს თავზე განგებულა!
საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო,
ბრძენთაგანა ასე თქმულა.
  კვლავ ფიცსა გთხოვთ: სისხლს ნუ დაღვრით,
ნულარ დამიმძიმებთ სულსა!..
განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს, უქმად დანთხეულსა.“

XXIV

„რას იქმოდნენ? მისცეს ფიცი
გამწყრალთა, გაბრაზებულთა,
სირცხვილის ჭამა ირჩიეს
ქვეყნისთვის დავალებულთა.
  ბევრმა იკრა გულში ხელი,
სთქვა გულწრფელად: „ვაი დედას!
დრო მოგვივა და ამ თათრებს
არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენას!“
  ბატონმა ბძანა: — „ვინა ხართ?
წადით, ჰკითხეთ — რა სწადიან?
თუ მე უნდივარ, აქა ვარ,
ჰქმნან ის, რასაც მიქადიან...“
  მალე დაბრუნდა უკანვე

მეფის კაცი მოციქული,
მოახსენა: — „სარდალს ვუთხარ,
მეფევ, შენი ბძანებული;
მითხრა: — „მეფე შენი გვინდა,
თუ მოგვეცა თავის ნებით,
არას ვერჩით თქვენს ქვეყანას,
აქედამვე დავბრუნდებით.“
იამა, ბძანა: — „მადლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება
და ცოდვილი ჩემი სისხლი
ამაოდ არ დაიღვრება.“
თვით წაბძანდა სარდლისაკენ,
მის წინ შეაყენა ცხენი,
უბძანა თუ: — „მე ვარ მეფე,
რაც გენებოს, იგი ჰქმენი“.
მისცვივდნენ უკადრისადა,
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი.

XXV

„მიჰგვარეს ყეინს ურჯულოს,
სისხლმსმელს ადამიანისას...
საღერღელი აეშალა,
ვით კრავის წინ მხეცსა ტყისას.
გაწყრა: — „როგორ გაბედეო,
არ გადუდეგ ჩემს მოსისხლეს?
სთქვი პასუხი და იცოდე,
შენი განკითხვის დღეა დღეს.
იცოდე, რომ წინვე მითქვამს:
თავი უნდა მოგეკვეთოს!
ამის შეცვლა თითონ ღმერთმაც
ჩემმაც მე ვერ შემომბედოს.
მინამ მოგკლავ, მსურს აქ ჩემ-წინ
შეინანო ბრალი შენი,

აქ ჩემ ფეხთ-წინ აღიარო
შენვე შენი სიმუხთლენი..“
  მეფემ უთხრა: — „შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხვნელია.
  შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.
  ჰქენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ, —
რად გწადს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო?..“
  გაწყრა ყეინი ამაყი,
ეს როგორ გამიბედაო!
უბძანა: — „ჰგვემეთ და სცემეთ,
ბნელეთს ჩააგდეთ ეგაო.“
  წაიყვანეს მეფე ჩვენი
და საბნელეთში ჩააგდეს;
შემოარტყეს გარს მცველები,
კარს კლიტეები დაადეს.

XXVI

  „სასჯელი დაუგვიანა
იმ ღვთის-მგმობელმა თათარმა,
მინამ მოაკვლევინებდა,
სცემა, ჰგვემა და აწამა;
  აწამა, ვით სვავმა ტრედი,
მეფე იგი საკვირველი
და ვერ გაძლა მის წვალებით
ის უღვთო და სისხლის-მსმელი.
  ერთხელ მეფე, ნაწამები
ძლიერად და ულმობელად,

ბნელში ეგდო ძალმიხდილი,
უპატრონოდ, უზრუნველად.
  როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ლოცვითა
და ცრემლები გადმოჰყარა.
  მოსთქვამდა თუ: — „ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.
  მე არა გთხოვ, — მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, — სისხლი აქ დაღვრილი
ჩემი სხვისთვის შეიწირო.
  ღმერთო, ღმერთო!.. თვალ-წინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი.“

XXVII

  „უეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაშედილი;
ორი ვიღაც შემოვიდა
ფეხაკრეფით როგორც ჩრდილი.
  მოვიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა, მისნი იყვნენ,
და ჩაიკრა ორივ გულსა.
  მოახსენეს: — „შევისყიდეთ
და გავტეხეთ ქრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენ ხელთ არი.
  ნულარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანღა იქნება:
ხვალ თავს გჭრიან, — ასეაო
ყეინისა თურმე ნება“.

უბძანა თუ: — „ადრეც მითქვამს,
არ გადვირჩენ სხვისით თავსა,
ჩემ-მაგიერ არ დავლუპავ
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.
ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქ!.. ტყუილია
თათბირი და ყველა რჩევა!“
ბევრს ეველრნენ და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათ ხვეწნას და მუდარათა!

XXVIII

„გათენდა დღე ხართ-ამხდელი,
ვაი იმა დღის დამსწრესა!
ტყვე მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავ-საკვეთსა.
ხალხი, თამაშად მოსული,
ვით ჯინჭველა ირეოდა,
თვით ვეზირიც ყეინისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.
ვეზირს გვერდთ ედგა ჯალათი
ერთი რალაც საზარელი,
იღლიამდინ დაემკლავა
ძარღვიანი ტლანქი ხელი.
ამ ორ შუა ჩააყენეს
ფერმიხდილი წვალებითა...
დადგა მეფე... ღმერთს შეხედა
ნაღვლით სავსე თვალებითა.
მერე თვალი იმავ ნაღვლით
მოედანს შემოატარა...
ის ყოფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა...

შეჰკრთა როგორც ხორციელი,
უმისოდაც ქანც-წყვეტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა,
როგორც ერთი დაბნედილი.
მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული...
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული...
გაოცდა და მიიხედა,
ჰნახა თვისნი დიდებულნი!..
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ,
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.
მღვდელმთავარიც მათთან იყო,
თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათის ცოდვით და ვაებით
ქვებიც კი ატირდებოდნენ.
თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი, ტომი,
ქვეყანა და თავის ერი...
ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!
ამას კი ვეღარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..
მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: — „დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც კმარა!..“
სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
— „ჰა, ჯალათო!“ — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა...“

[1878 წ.]

ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘ

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ

(ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲝᲚᲦᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲡ)

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი, —
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ის ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,

მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჟი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი —
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ-შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.

როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრობდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოლდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭექვა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, —
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეცა ეს ხმა უჩვეი მწირსა.
ყური ათხოვა — და თითქო ვიღაც
ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ღალადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის

მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა, — „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
— „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვაა? შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

X

— „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს.“
და იმ ბნელაში იგი წვალებით
ავიდა მაღლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
— „გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა..
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა“.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარეთ, ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ-ქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქექა, ჩაჯდა ცეცხლა-პირს
და გაიწოდა სათბუნად ხელი.
— „უჰ, უჰ, რა ცივა!.. — სთქვა მან სტუმარმან: —
ლამის გავშეშდე სიცივისაგან!..“
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
და კისრად იყო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით.

XII

— „შეშა არა გაქვს? — ჰკითხა სტუმარმა: —
მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი,
ხვალ თუნდა ერთ ზურგს მე ამოგიტან,
ოღონდ დღეს გავთბე, შენ შენი ღმერთი.“
მეუდაბნოემ იქავ კუთხიდამ
მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება

განდეგილს თვალწინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოველის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: — „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
— „მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ
ცხვარს ვაძოვებდი მამი-ჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყევ ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გაეშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა ჩამის ნათქვამი: —
ნუ, ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, —
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ‘ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გაპობრუნება,
გვიანლა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებ წამოუშინა,
ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,

ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ... რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზე, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დაეღუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დაეღუპე, — ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამოდა,
ჰქექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვსთქვი, — აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

„დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის,
გავალწევდი-ღა ამ ღამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვსთქვი, რაც მომივა, ღე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ ხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, — ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“.

XVIII

— „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი.“
— „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე.“
— „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს!“
— „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“
— „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,

აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.
— „მას აქეთ ბევრი წელიწადია?“
— „არ ვიცი“. — „როგორ“? — „არ ვთვლი წელთა-სვლას
მოვშორდი შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ყამთა-ცვლას!“
— „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
— „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“...
— „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“

XIX

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი,
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო.
სულისთვის ხორცი გაუწირნია.
უწუთისოფლოდ მარტოდა სძლებსო, —
გამკვირებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტავ მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!.
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

XX

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?..“—„რა გითხრა, შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
— „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“
— „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

XXI

„უბედურსაო“?!.. და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა და სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩვენ ილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო“?! ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა

სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი მშვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდაეებასა?

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას იწვეედა
და იმა წვეევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერც გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,

ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდი თუ არა“!
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივ ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთის-მშობლის საფარველ-ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
თვალ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
დილის ნიავი დაპკროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალებით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიდამ გამოელისო

თვის უკანასკნელ ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
 და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.

XXVIII

გულზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

—

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი, 1883 წ.

პეპეი ზეროთელი

თეიმურაზ ერისთავი

ისტორიული პოემა

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი,
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი,
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთა შესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს,
და ოცნებაც ლაჟვარდ ფერად

წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის
ველოდებით შეხორცებას!
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

ᲙᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

I

მეფე დავითს, კურაპალატს,
ჰქონდა ერთხელ წვეულება:
მშვიდობის დროს ჩვენს მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა;
ილხენდნენ და გაჰკიოდენ
ერთხმად „მრავალჟამიერსა“.
და მართლადაც რომ ჰშვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი
შუღლს მათ ველარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც,
ვინ იყო, რომ ვერ ჰხედავდა?..
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდენ,
ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზე მუშაობდენ,
უქმე-დღეზე მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო“

სათვითოო არ იცოდენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ სმაზე ახსენებდენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ
მეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გმირებს იგონებდენ,
მამულისთვის ომებში მკვდარს;
და მღვდელმთავრის კურთხევითა
სვამდენ იმათ შესანდობარს...
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო.
ამგვარივე იყო იმ დღეს
ზომიერი ჭამა და სმა...
მოილხინეს, გაშაირდენ
და ერთმანეთს სტყორცნეს მათ ზმა.
ორაზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა...
ყველას მეფის ხუმარა სჯობს,
არვინ არის იმისთანა.
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულად, გალეკსულად,
ცალფეხ ზმების საპასუხოდ
ეუბნება ორლესულად:
„მაღლით წვიმა მოდიოდა,
„ნაბადმა ვერ დამფარაო,
„დამასველა მან, თავიდან
„ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!“
ხუმარამ სთქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს-კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
„ხუმარათაც ვარგებულხარ,
„ეაკკაცობით პირველიო,

„მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
„თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო!“
  აქ თორნიკეს ხსენებაზე
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
„სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს
ეგე შენი გამოცანა?
რა ჯრის, რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო?
მომიკვდა, თუ დასნეულდა?
სთქვი! ტყუილს ნუ მიბედავო!“
მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზე
დღეიდან-კი ხელს იღებსო.
თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერცა სხვაო,
რადგანც უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა,
გეევედრები ცრემლის ღვრითო!..“
მეფემ ბრძანა: „არ გიწყრები,
გმადლობ, ვფიცავ ჩემსა მზესო.
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოვჰკითხავ მას მიზეზსო!“
სახლთუხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო!“
ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოდ, ვინც იქ ჰყავდა.

II

გამართულია დარბაზი,
ერიც სამსჯავროდ შეყრილი...
წინ სდგას თორნიკე პირნათლად,
წარბიც არა აქვს შეხრილი.
თავი ჩაიგდო სამსჯავროდ,
მიჰყვა საერო ნებასა,
ჯერ ელის მისგან ბრალდებას
და მერე განჩინებასა.
აბრძანდა მეფე ბრალმდებლად,
ამას კანონი ითხოვდა,
და თაყვანი სცა კრებულსაც,
სანამდი სიტყვას იტყოდა.
თვალამღვრეულად შეხედა
თორნიკეს მრავალწლიანსა;
სიტყვები ყელში ეჩრება,
უმისოთ სიტყვაწყლიანსა.
ბრძანებს და მისსა სიტყვასა
ყურს უგდებს მთელი კრებული;
კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
სხვაგვარად ჩაფიქრებული.
ამბობს: „მბრუნავი ქვეყანა,
ვიცით, რომ ცვალებადია:
ვისაც მიინდობს, გასწირავს,
მისთვის მახე და ბადეა.
მოყვარეს გადაამტერებს,
მტერსა გაუხდის მოყვრადა,
დღევანდელს ლხენა-სიცილსა
ხვალ გადაუქცევს ოხვრადა.
კაცობრიობის დიდება
მას მიაჩნია ჩალადა
და შეუქმნიეართ ჩვენ მხოლოდ
ამ სოფლის მაჩანჩალადა!..
შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
მეფიდურ უეჭველობით!
ან ერთი რა ვართ ამ სოფლად

უსუსურ ჭიანჭველობით?
თუმცა ესე სჯრის გონება,
რომელიც უტყუარია,
მაგრამ ადამის სისხლმა კი
ჩვენი ცხოვრება არია.
გული, მეურჩე თავისა,
ცხოვრების წინამძღვარია
და ამის გამო ჩვენს საქმეს
და სიტყვას შუა ბღვარია!
ხშირად მონურად ვასრულებთ
დღეს, რაც რიგი და წესია,
და იმას ვიმკით კანონად,
რაც ძველ დროს დაუთესია!..
მეცა ადამის შვილი ვარ,
თქვენსავით შვილი ქართლისა,
თავდადებული ქვეყნისთვის,
მაძიებელი მართლისა.
მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი:
ხელთა მაქვს მეთაურობა!
საქმის დროს საქმე შემშვენის
და ხუმრობის დროს — ხუმრობა.
გუშინ რომ გული მილხენდა,
თქვენც ლხინად მყავდით წვეული;
და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროდ,
გულზედა სისხლმოთხეული.
ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად,
და შეუმცდარი ამ ქვეყნად
მეფეცა ნუ გეგონებათ!
ჩვენის წინაპრის გონებას
ადრევე გადუწყვეტია,
რომ სამსჯავროში ისა სჯობს,
მსაჯული რაც რომ მეტია!
და, აჰა, მეცა შეგყარეთ
სამსჯავროდ, როგორც წესია...
თქვენ საჯეთ და მე ავირჩევ,
რომელიც უკეთესია:

თორნიკე მხედართმთავარი,
თითქოს ხახვს გვაჭრის ყურზედა,
მოულოდნელად ხელს იღებს
საერო სამსახურზედა.
გვიწუნებს გმირი სარდლობას,
აპირებს მოსვენებასა;
არც დასდევს მეფის სურვილსა,
არც ითხოვს ხალხის ნებასა...
დიდ მამულიშვილს ურჩობა
ქვეყნის არ შეეფერება!
ვერ მივხვდი... მეტად მაკვირვებს
ამგვარი კადნიერება!
სწორედ აქვს რამე მიზეზი,
შესაწყნარ-პატივსადები,
თქვენგან არდასაფარავი,
საეროდ გასაცხადები.
და უნდა გვითხრას სახალხოდ,
მისთვის მყავს მოწოდებული,
რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
ხალხისგან ბრალდადებული.
თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
უბრალოდ დამძრახველია:
განაგონებით გადასწყვეტს,
რისიცა არმნახველია!..“
ეს თქვა და ტახტზე დაბრძანდა
მეფურად მეფე სვიანი,
გვერდით მოუსხდნენ მსაჯულად
მოხუც ჭაღარათმიანნი.
მერე სხვებიცა ჩამოჰყვენ,
დასხდენ რიგ-რიგად ყველანი...
მდივანს მზათა აქვს ქაღალდი,
საწერ-კალამი, მელანი.
აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
პასუხს ელიან სარდლისას,
წრფელ სინიდისის მექონის
და მასთან სიტყვა მართლისას.

III

ახოვანი, მშვენიერი,
თეთრწვერა და თეთრთმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროდ
მოწიწებით ტკბილხმიანი.
თაყვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს ორი მხრითა.
გულზე ჯვარად ხელებს იქდობს,
თავდახრილი, ცრემლის ღვრითა.
წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარის ოხვრით ვერ იქარვებს,
გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოდ ის ჩავარდა
და რომ მასზე გულს იყრიან
ისინი, ვინც მას უყვარდა.
გულნატკენად რომ უყურებს
სხვებს, თვითონაც გული სწყდება,
მაგრამ თავის პირადობა
აღარ ახსოვს, ავიწყდება.
და საერო ნება-სურვილს
მორჩილებით აძლევს პასუხს
და თანდათან მისი სიტყვა
შეუპოვრად სჭექავს და ჰქუხს:
„ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,
ყოველ მიზეზის მიზეზსო,
ვიფიცავ საქართველოსა
და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
რომ მართალი ვარ იმაში,
რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!
დაბლა ეს გული მიმოწმებს
და მაღლა — ღმერთი ზენაო!
მართალი არის, დღეიდან
რომ ვსტოვებ სამსახურსაო,
თუმც გული ჩემი ერთგულ.

ძველებურადვე ხურსაო.
თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარგავ
ხორციელ ნეტარებასო...
ვერ ხედავთ გულდაწყვეტილის
მოხუცის მდუღარებასო?
მაგრამ მივყვები საგანსა
აწ უფრო უდიდესსაო:
ის მარღვევინებს გაბედვით
ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო.
დრომ მოითხოვა აწ ჩემგან
სხვაგვარი სამსახურიო
და, რომ უარვჰყო, დავრჩები
ძველზედაც უმადურიო...
ეჰ, მეფევ! ბრალს რათ მადებდი
შენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
რომ სამსჯავროში მაგდებდი
ვით ორგულს... ქვეყნის მტერსაო?
იძულებით ვარ აწ მთქმელი
ყოვლისფრის უნაკლულოდო,
რაც გულმა გადამიწყვიტა
მხოლოდ მე საიდუმლოდო!
თქვენი ნებაა! მონა ვარ
მე თქვენის სურვილისაო!
სიტყვაა მხოლოდ წამალი
გულისთქმის, ურვილისაო!"
მოხუცმა ამ სიტყვების დროს
ცრემლები ჰღვარა მრავალი
და უნებურად დაიწყო
თვისი თავგადასავალი:

IV

„მწარ წარსულის მოგონებით
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა...

ბევრს თქვენგანს ის არც-კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე-კი დღესაც გულზე
მაშინდელი მაზის დაღი!
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულად გვესეოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქმელად...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელად.
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა...
მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
ერისკაცი, თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდათ ყველას ლელო!
სადღა იყო განსხვავება?
რის ბატონი? ან ვისი ყმა?!
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომკაცურად
შეებმოდა ერთი ასსა.
„ჰკა მაგის ხმა“ ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,

შეიღება წითლად მდელო.
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
ჭირნახული საქართველო!
განახევრდა ქართველობა...
მაგრამ მტერს კი სძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღსდგა მკვდრეთით!“
და მართლაც რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთამბრძოლი
და გადმოსცეს შვილიშვილთა,
მარგალიტი ვით ობოლი!..
მხედართმთავარ-უხუცესად
იყო მაშინ იოანე,
შემდეგში რომ ბერად შედგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი.
მტრისა ისრით გახვრეტილი
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირად მამა-პაპის სისხლზე
თავისასაც ზე ანთხევდა...
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება:
სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლად თვისის ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის ჩემსავით მხცოვანებით.
მხოლოდ უთხრა დარაზმულ ჯარს
„უქმია აწ ფარ-ხმალიო!

აწ სხვა მმართებს სამსახური
და მიმიწევს სხვა ვალიო!“
დაგვლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა, მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მითხრა: „თორნიკ! ჰა, შენ გეონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი;
ვინძლო ღირსად აასრულო
მომავალში შენი ვალი!..“
ამ სიტყვებმა მომიმატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იგრინო ფოლადობა
და სულმაცა ამაღლება!
თუმცა ამგვარ დიდებისა
უღირსად თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურად
დღემდე ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავათ იყო ის, თუ კარგათ,
თქვენს ხელთ არის დაფასება:
მე არ მფერობს ჩემის თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოდ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემის პირველობის
და მე მხოლოდ ვთავკაცობდი,
შემწირველი დიდ მადლობის.
მეფისა და სამშობლოს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს... სხვას დავაცლი!
იმიტომ რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე... ძველად:
ჩემ სისუსტეს გული გრძნობს და
გონება სწყვეტს უეჭველად!
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება

აღარ ძალუძს მუხლსა და მკლავს!
ადრინდულად ზუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი...
და ვით შევსძლო, მაშ, სარდლობა,
როცა ასტყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ჰხედავ აქ, სუყველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათასგვარად
ბრძოლის ველზე გამოცდილი.
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
ახსნილი და განსწავლული.
ჩემზედ მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო
დღეს შეშვენის მას სარდლობა,
და რათ დახვდეს ღობე-ყორედ
იმათ ჩემი პირველობა?..
რომ ამხადო პირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის!
უმადურად ჩაითვლები...
გქონდეს რიდი ქვეყნის ენის!
და, რომ ჩემის წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოღალატე შევიქმნები...
მეძულება მე სამშობლო!..
აი, მეფევ, თუ რად ვბედავ
თქვენს წინაშე მე ურჩობას,
და სულ სხვა გზით მიმავალი
გილოცავ თქვენ გამარჯობას!..
იოანეს მივაშურებ...
შევუდგები მეც მის კვალსა
და თქვენისვე ნებადართვით,
სხვას გადავცემ ამ ჩემ ხმალსა!"

ესა სთქვა და მისი ხმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამგვარმა მისმა სიტყვამ
გულში ბევრი აატირა...

V

ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის
პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების...
მისი ტყვეა ხშირად სმენა.
ხან გონება გამოცდილი
მას მოიქნევს მრავალგვარად,
ხან, მფარავი ხვაშიადის,
გული აგებს გრძნობის ფარად.
დროზე უნდა მოხმარება,
მხმარებელიც გონიერი,
რომ ხან ნაღვლით გაიღეესოს,
ხან ძირტკბილით ენის წვერი...
თორნიკემაც ნაღველ-თაფლად
გრძნობა გულში ჩაიყენა
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა.
მით მოხიბლა, როგორც მეფე,
ისე ყველა მსაჯულიცა
და იმათის თანხმობითა
სურვილი მან გაიმტკიცა...
ჩამობრძანდა მეფე ტახტით,
ვეღარაფრის ვერამთქმელი,
მივიდა და მოხუცებულს
გადახვია ძმურად ხელი.
უთხრა: „თორნიკ! როგორც მეფემ,
მოგისმინე საუბარი.
თანახმა ვარ, და აწ გეტყვი...
როგორც ძმა და მეგობარი.
რომ ჯერ კიდევ ქვეყნისათვის

საჭირო ხარ... დიდი მარგი, —
და უდროვოდ აგიღია
საიმქვეყნო საგზალ-ბარგი.
უცხო მხარეს გადაკარგვა,
ვფიცავ, შენი მიმძიმდება!
ნუთუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს
არ აქვს იგივ ძალ-დიდება?"
მოახსენა: „ვიცი, მაგრამ,
ქართლშივე რომ მიგულებენ
ჩემი გაზრდილ-ერთგულები,
რომ არ მნახონ, ვერ გასძლებენ,
მეცა გული არ გამიძლებს,
ვერც მე დავთმობ იმათ ნახვას,
და ცოდვილ სულს ბევრს დავაკლებ:
გადავყვები სოფლის ზრახვას...
იქ-კი არვინ მეყოლება
შემაცდენი, უცხო მხარეს.
დღე ყოველ და ყოველ წამსა
ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს.
და ვითხოვ, რომ ღმერთმა, მეფევ,
გადიდოს და გადღეგრძელოს
და წყალობა არ მოაკლოს
ჩვენს პატარა საქართველოს!.."

VI

ათონის მაღალ მთაზედა,
მთაწმინდად სახელდებულსა,
სადაცა უდაბნოებსა
და ტაძრებს წმინდად გებულსა
რიცხვი არა აქვსთ, იქ ლავრა,
დაუდებელი ფასისა,
ყველაზე პირველი არის
დიდისა „ათანასისა".
გინდ დარი იყოს საამო,
გინდა ავდარი საზარი,

სამოთხის სადგურს გვაგონებს
მაღლობზე მდგომი ტაძარი.
ხან, ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა
და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა;
ხან ისარივით სხივები
დილის მზის ეტყორცნებიან.
თითქოს იმ საღმრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან.
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თითქოს მიმსვლელი იქ ბინად,
თავზედ ედგმება წმინდასა
წმინდა დიდებულ გვირგვინად.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკობენ
და ამ გალობით ძალთაძალს
აღმაღლებულად ამკობენ.
წინ უძევს ბაღი ხ, ხილის,
ხელოვნად შენაკაზმისა.
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმინდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთისხილისა
და ყვავილები ველისა,
საკურთხად აღმომფშვენელნი
ბუნებით საკმეველისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოდ და მარგადა
და სასულდგმულოდ ცხოველთა
მიანიჭებენ ხარკადა!..
მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით
წიაღგახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,

ვით ანდამატი რკინასა.
აქვე მოსულა ულუმბოთ
იოანეცა ქართველი
და მორჩილობის დროსავე
გასთქმია დიდი სახელი.
დღეს მოძღვარია ნეტარი
ბერისა მრავალასისა
და მეგობარი იმავ დროს
წინამძღვრის ათანასისა.
დიდი ხანია, სამშობლო
მან დაუტევა ნებითა,
მაგრამ გული-კი ისევე
უღელავს ხოლმე ვნებითა,
როდესაც მოაგონდება
მისი სამშობლო შამული
და, გატაცებულს ოცნებით,
არეევით უცემს მას გული!..
და მაშინ სცდილობს მიეცეს
მარტოობასა შორს სადმე,
ბუნების ჭვრეტით გაერთოს
და გულს მიჰფინოს სიამე.

VII

ერთხელ დილაᲘ იოანე
შემდგარიყო მაღალ სერზედ
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ ᲬᲕერზედ.
ზღვა და ხმელი იმის თვალთ წინ
იშლებოდა ედემურად
და სამოთხის სიამესა
გაემსჭვალა უნებურად...
დიდხანს, გრძნობამორეული,
ვეღარაფრის იყო მთქმელი,
მხოლოდ ნიშნად ნეტარების
მას აეპყრა მაღლა ხელი.

თითქოს მაშინ მას უნდოდა
ცა და ქვეყნის შემყარება,
რომ ამითი წუთიერი
გაგრძობოდა ნეტარება!..
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი,
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განზრახ პირი.
შეკრთა უცბად იოანე
და უთხრა მას ბერძნულ ენით:
„ვინ ხარ, შვილო? ან რასა მთხოვ?
მიპასუხე გამოჩენით!“
— „შენსა ლოცვა-კურთხევასა
მამაშვილურ-მეგობრულად!“
უპასუხა იოანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოანე ააჩქარა,
ტანში რაღაც უნებურმა
ჟრუანტელმა დაუარა.
მივარდა და ხელი სტაცა,
ააყენა დაჩქარებით;
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით...
აკვირვებდა ულოდნელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი.

I

ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბოებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წალმა-უკუღმა ტრიალი?..
ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო...
საქვეყნოდ იყვენ ქებული,
სწავლით და მეცნიერებით
ბევრგვარად აყვავებული.
ცხოვრების კანონს უდებდენ
სხვადასხვა ქვეყნის ერებსა,
საუპატიოს ართმევდენ
მათზე ცუდმზრახველ მტერებსა,
ვინ იფიქრებდა იმ დროში
ამ ხალხის დამცირებასა
ისე, რომ მით მოღებოდა
ბოლო მათ ნეტარებასა?
ერთ ჭირსა, კარზე მიმდგარსა,
სხვაც ბევრი წაეკიდება!..
სხვადასხვა ჭირმა ბერძნების
დაცარა ძველი დიდება.
და არ თუ გარეშე მტერი,
შინაურებიც ბრიყვობენ:
ჰგლეჯენ მას ნაწილ-ნაწილად
და ერთმანეთში იყოფენ!
ბოლოს კი ერთმა მათგანმა
სულ ერთად მოჰხვია ხელი:
ის იყო სპარსთა ჭმართველი,
სკლიაროს ერქვა სახელი.
თითქმის ბრუსამდე მოადგა,
ხმელეთის გზების შემკვრელი,
და კოსტანტინეს ქალაქის
არის აღების მსურველი.
წინ ვეღარავინ უდგება

მოჯანყის ძლიერებასა;
და ელის დედაქალაქიც
იმისგან აოხრებასა.
იჩაგვრის მცირეწლოვანი
კონსტანტინე და ბასილი,
დედა მათს თეოფანიას
ჭმუნვით აქვს გული ავსილი.
დაღონდა პარაკიმომენ,
კარისკაცებში პირველი
და, ერთად დედოფალთანა,
ბიზანტიისა მმართველი.
დარბაისლებიც შეყრილან,
გადუწყვეტია ყველასა,
რომ თვითონ თავს ვერ იხსნიან,
და არც ელიან შველასა;
და უპირებენ ისევე
სკლიაროსს შევედრებასა,
რომ ნუ ინებებს ამ ქვეყნის
უწყალოდ აოხრებასა!..
მაგრამ წამოდგა ამა დროს
მოხუცი სევისტოფორი,
რომელსაც დარბაისლებში
არ ჰყავდა ჭკუით თანსწორი;
მით ყურადღება კრებულის
მიიპყრო ანაზდეულად
და მოჰყვა, რასაც ჰფიქრობდა,
მჭევრმეტყველებით ჩვეულად:

II

„ზეცა დაჰყურებს ქვეყანას
თვალითა ლმობიერითა:
გამოსცდის, გამოაბრძმედებს
ჭირითა მრავალფერითა.
და ამისათვის არ გვმართებს
წაკვეთა სასოებისა;

კუბოს კარამდე მძებნელი
ჩვენ უნდა ვიყოთ შვებისა.
გულგატეხილი ყოველი
მოღალატეა თავისა,
უარმყოფელი სჯულისა
მისივე საესავისა.
მაკვირვებს, დარბაისლებო,
დაცემა ჩვენი სულისა!
აბა, რა ვნახეთ ნიშანი
სამეფოს დასასრულისა?
როგორ დაანგრევს აწ ღმერთი
ქრისტიანობის ბუდესა
ისე, რომ საბოლოოთაც
აღარ აძლევდეს ზღუდესა?
თუ ბიზანტია აქამდე
სხვა ქვეყნებს სცემდა ნათელსა,
არ დავიჯერებ, რომ ახლა
თვითონ ჩავარდეს ის ბნელსა!..
ბევრი შესწირა მან მსხვერპლი
ქრისტიანობის სახელსა
და ვერ გასწირავს მას ღმერთი:
გამოუგზავნის დამხსნელსა!
მეტყვით: „სად არის? ვინ არის?
რომელი კუთხე ქვეყნისა,
რომ გექონდეს მისგან იმედი
დახმარების და დახსნისა?“
თქვენც იცით, არის ქვეყანა,
მპყრობელი ქრისტეს სჯულისა,
საქვეყნოდ დამნახვებელი
ქვეყნიურ სასწაულისა,
მოყვრულად მოყვრის მიმღები,
მტრისა დამცემი ზარისა,
პირველ მეომრად ცნობილი
დღეს ქრისტეს წმინდა ჯვარისა.
საქართველოა ეს მხარე,
წილხვედრი ღვთისა დედისა!..
ჭირში მაგარსა არ უყვარს

სუსტად მოდრეკა ქედისა!..
ამ ქვეყნის მეფეს მივმართოთ,
დიდ დავით კურაპალატსა,
და ის გადუხდის სკლიაროსს
ამ აჯანყება-ღალატსა!"
  როგორც რომ ბნელსა ღამესა
მთვარე გამოჩნდეს უეცრად
და გაანათოს მიდამო
სხივების ფენით ვერცხლისფრად,
ისე ქართლისა ხსენებამ
გამოაფხიზლა კრებული
და აღუბეჭდა იმედით
მათ სახე შეწუხებული...
და ზოახსენეს დედოფალს:
— „ერთხმად თანახმა ვხდებითო:
მიჰმართეთ ქართველ მეფესა
და ნუღა შეწუხდებითო!..
ისეთი წიგნი მისწერეთ,
რომ მით მოულბოთ გულიო,
და საკადრისიც გაგზავნეთ
იმასთან მოციქულიო,
რომ ჩვენის ქვეყნის ცოდნაში
ის იყოს უკეთესიო
და თანაც კარგად ესმოდეს
მას საქართველოს წესიო!.."
ასე არჩიეს და ერთხმად
მიჰმართეს სევისტოფორსა,
მაგრამ ის ამგვარ არჩევანს
გულწრფელად იჭერდა შორსა,
რადგან მას ეგულებოდა
სხვა ვინმე საუკეთესო,
და შეევედრა კრებულსა:
„გთხოვთ მომისმინოთ აწ ესო.
ათონის მთაზე ააგეს
ტაძარი ნათლისმცემლისა;
იქ ორი წმინდა ბერია,
მთხეველი წმინდა ცრემლისა.

ულუმბოსავე გაითქვა
მათი სიწმინდის სახელი;
არ ასვენებდენ: დღითიდღე
ემატებოდათ მნახველი.
მაშინ მიჰმართეს მთაწმინდას,
დააგდეს ძველი სავანე;
ერთია თორნიკ-ქართველი,
მეორე — დიდ-იოანე.
ერისკაცობის დროსავე
ყოფილან სახელგანთქმულნი
და ჯერაც არ იქსებიან
მათს მხარეს დავიწყებულნი.
მოვიხმოთ ერთი მათგანი,
ვაკისროთ მოციქულობა,
რომ მეფეს სრულად გადასცეს
ეს ჩვენი ჭირნახულობა;
რომ თქვენსა ბრძნულსა წერილსა
სიტყვითაც ბევრი დაურთოს
და ქრისტეს ერის გამოხსნის
სურვილი გულში აუნთოს!..
მალე გავგზავნოთ, სიჩქარით,
რომ დღე და ღამე იაროს,
და მანამ, როგორც იქნება,
ჩვენ გავუმკლავდეთ სკლიაროსს!"
ეს რჩევა ერთხმად მიიღეს.
მთქმელსა სწირავდენ ქებასა
და მაშინათვე შეუდგენ
ამ საქმის ასრულებასა.

III

ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო
ბერძნების მისაშველებლად,
სიკეთე მოიეფეო.
ათონით დაბრუნებული,

თორნიკე მოციქულობსო
და „ორივ ხელით იკმება
ქადა, თუ გული გულობსო“...
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაუკაცი ჩვენთაგანიო!
ამაზე კარგი რად გინდა
ბურთი და მოედანიო?..
ისარ-კაპარჭი მომართეს,
ხმალს ჰლესენ, ფარსა ჰფერაევენ;
მათთვის საბგზავროდ ქალები
ტანისამოსებს ჰკერავენ...
ჯოჯიკ-მთავარის თანხმობით
ეს უთქვამს გამრეკელსაო:
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო!
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივყვეთ შეეარდნულადო,
ფიცხელი ომი ავსტეხოთ,
საქები ადრინდულადო!“
ხალხიც ამ აზრზე დამდგარა,
მასვე სთხოვს კურაპალატსა,
და, ვინც იურჩებს, იცოდეს,
მას შესწამებენ ღალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერპდა... რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორღაც
შეტად შორს დაუჭერია.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმასთან მეფის თანხმობით
და უთხოვიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.
მოხუციც ამის მნახველი
თუმცა-კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა.
ორბელიძე და ჯოჯიკი,
ორივე გააწბილაო

და გამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულმკვდარი ვამბობ ვარსაო!
აწ ველარ გავცვლი ფარ-ხმალზე
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ ავსაო!
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო;
და მღვდელმთავარი თუ ამხსნის,
იქნება მისი ნებაო,
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემს გულშიც აიგზნებაო!..“
არსენი იყო იმა დროს
ქართველთა კათალიკოსი,
პატივცემული ყველასგან,
ბრძენი და პიიტიკოსი.
გაბრძნილი საღმრთო მადლითა,
საეროდ გაბრწყინვებული,
მწიგნობართ-უხუცესობა
მას ჰქონდა მინიჭებული.
ოქროპირობდა მშვევრობით
ძლიერი მქადაგებელი
და მწვალებელთა მრავალთა
მზამეტყველ-პასუხმგებელი.
ამას მიჰმართეს საერთოდ,
ამისი ჰქონდათ იმედი,
რადგან თორნიკეს ვერავინ
შეაგონებდა მის მეტი.

IV

— „შედი, მარტოა, კათალიკოსი,
ნუ ეგულები იქ დიდ კრებასა,
ჩვეულებრივად ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.

ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო...
მარტო შენთან ჰსურს დღეს საუბარი!“
ეს უთხრა ერთს ბერს სახლთუხუცესმა
და შესავალი უჩვენა კარი.
შევიდა ბერი ფეხაკრეფილი,
მორჩილებითა და დიდი კრძალვით:
იქ დახვდა არსენ ტახტზე მჯდომარე,
გატაცებული ფიქრით და ხალვით.
პირველ შესვლაზე ვერ დაინახა
კრძალვით მისული მასთან სტუმარი,
ბოლოს შენიშნა... აკურთხა მაღლით
და გადასახა ხელგაშლით ჯვარი...
წინ წადგა ბერი. ჯერ უამბორა.
ფერდაკარგულსა გული უძგერდა,
მერე ჩამოდგა და შორიახლოს
ის თავდახრილი კრძალვით გაჩერდა.
კათალიკოსმა შეჰხედა მაშინ
ლმობიერებით და გაიცინა.
— „დიდაარს მხოლოდ ღმერთი-უფალი
აქ, ქვეყანაზე, და ცათა შინა!..
რისთვის მეკრძალვი? მომიახლოვდი,
დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ისევე მსურს შენთან განვაგრძო,
ადრე რომ გვქონდა, ის საუბარი.
შენზედ არა სჭრის სხვისი სურვილი,
არცა ვედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენთავად რა გადასწყვიტე?
ასრულებ ქვეყნის წადილს, თუ არა?“
— „არ შემიძლია, ყოვლად სამღვდელოვ!
ვერ ვუღალატებ მაღალ მცნებასა
და ვერ უარვყოფ მსოფლიო კრების
დაკანონებულს სურვილს, ნებასა!..
რა კი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვყავი,
ვერ გავტეხ აღთქმას!.. ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი.
მღვდელ-მონაზონსა საქიოსკენ

უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!..
აღარ შემშვენის, რომ ხელმეორედ
სისხლით შევღებო ჩვენი ფარ-ხმალი!..
ღმერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინდიდან
არ მნდომებია ფეხის გადმოდგმა!
შვიდ დღეს მირჩევდენ წმინდა მამები
და ვერ შესცვალეს ჩემი გულისთქმა.
თვით წინამძღვარი და იოანეც
ამაოდ დაშვრენ: ვიდექ უარზედ,
სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი,
არ გამაგზავნეს სასახლის კარზედ.
იქ დედოფალი დარბაისლებით
ვნახე სულ ერთად შეწუხებული:
საქრისტიანო სკლიაროსისგან
წაბილწული და აოხრებული.
მხოლოდ-ღა ქართლზე მათ დარჩენიათ
ერთი ნუგეში... ერთი იმედი!..
დღეს ჩვენს ხელშია იმათი შველა,
რომ დაუბრუნოთ წაღმავე ბედი!
მიბრძანეს მეფის მოციქულობა,
არ გამივიდა მათთან უარი!..
ტახტს ასველებდა დედოფლისაგან
ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი.
სამაგიეროდ ქართლს ჰპირდებიან
ზემოქვეყნების დამონებასა;
მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა.
ეხლა კი ისევ უნდა გავბრუნდე,
ამას მოითხოვს ჩემი ღირსება,
თუმც ვერ დავფარავ, რომ სოფლის ზრახვით
ეს ჩემი გული ისევ ივსება.
და, რასაც ერთხმად ჩემგან მოითხოვს
დღეს სამსახურსა ქართველთა ერი,
იმას ხომ სხვებიც აასრულებენ?
რა საჭიროა იმისთვის ბერი?
განა ცოტა ჰყავს მეფეს სარდლები?
ერთს იმათთაგანს მიანდოს ჯარი

და მეც, თუ ჰნებავს, თან ვეახლები,
მაგრამ მექნება მე ხელში ჯვარი
და ხატი ყოვლად წმინდა დედისა,
როგორც მოძღვარსა და არა სარდალს;
სხვებმა იბრძოლონ და გამარჯვებას
მე შევსთხოვ ცრემლით მხოლოდ ძალთაძალს“.
— „კეთილი!“ ბრძანა კათალიკოსმა:
„რაც ადრევე სთქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაშ, ვით უმცროსმა, უფროსის ნება
რომ შეასრულო, ამაზეც მზა ხარ?
ვით კათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგად იცი, ხელთა მაქვს ნება;
მაგრამ მე მაინც მსურს შეგაგონო,
რომ შემცდარია შენი გონება:
ნუთუ, შენ, მართლა, რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა მშვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავმოყვარეობით
ამ მიუწდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოვლგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა!
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერად
რად მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი!“
— „ვითა რეგვენი, ღირსი არა ვარ,
ბატონო, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ რა ვქნა, რომ მეც საპასუხოდ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?
და კიდევ გკადრებთ: ლოცვა კარია
ცოდვილისათვის სინანულისა
და მსარტოობა სადმე უდაბნოდ —

გასპეტაკება მადლით სულისა!
ამა სიმართლეს უარს ვერა ჰყოფს,
ვინც ქრისტიანად ნათელღებულა;
ამის მაგალითს ქრისტე მით გვაძლევს,
რომ ორმოცი დღე მან იმარხულა“.
— „არა, მამაო! მაგგვარი ახსნა
საცალმოგვოა და შემაცდენი;
მაგითი შუქი დაიჩრდილება,
ჭეშმარიტების გადმონაფენი.
ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა,
მაგრამ ის იმ დროს იმა ლოცვითა
ქვეყნად საერო საქმეს ჰზრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ?
განა ამ სოფელს ის უარჰყოფდა?
თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა?..
თვითონ არ დაჰგმო ფარისეველების
გზაჯვარედინზე ლოცვა საქვეყნო
და ნაცვლად მოგვცა მოკლედ სათქმელი
საყოველდღეო „მამაო ჩვენო?“
ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის,
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?
და მრავალისა მეტყველებათა
ვერვინ გაიღებს სამოთხის კარსო“?
საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული!
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი!
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც.
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი!“
— „ეგ ყველა კარგი, მაგრამ ამ სოფლად
შესრულებული ვისაც აქვს ვალი
და, რომ გააგრძოს კიდეე რამ, მისთვის
არ დარჩენია ღონე და ძალი!

ნუთუ არა სჯობს უქმად ყოფობას,
გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მლოცველად
და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლად
ურგებ ტვირთად და ხელის შემშლელად?
განა ეს ჩემი უარისყოფა
კერპობა არის და უმეცრება?
მეც კარგად მესმის, რომ ქვეყნიურის
შრომით ეძლევა სულს ნეტარება!
ადრეეაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ,
რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემს უძლურებას!
დღეს, შედარებით, ბევრი მჯობია!
სახალხოდ ვამბობ ამ აღსარებას".
— „არა! „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო",
ხომ კარგად იცი ეს შენც, მამაო?
დღეს ერი გირჩევს ერთხმად წინამძღვრად
და უარის თქმა არის ამაო!
როდესაც ასე დარწმუნებული
არის რაზედმე ერთპირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით
ამაღლებული გმირი-ძლიერი.
დღეს ქართველები შენის სარდლობით
ჰფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა
და უნდა მივყვეთ ჩვენც იმათ სურვილს
და მოხიბლულსა მათსა ნებასა!
ჩემი სიტყვები რომ იგულისხმო,
ხალხის ღაღადსაც დაუგდე ყური!..
ნუთუ გამოხსნა ქრისტიანობის
არ იყოს ისევ ღვთის სამსახური?
გასავრცელებლად ქრისტიანობის
საკმაო არის, დიახაც, ჯვარი,
მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად
ხშირად გვჭირდება ხმალი და ფარი!..
როგორც გვირგვინსა მისის ქმნილების
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნად.
და ეს ძღვენია კეთილი საქმე,

ქრისტიანობის სვეტიცხოველი,
და შენც, თორნიკე, ამის სახელით
ისევე ფარ-ხმალს მოჰკიდე ხელი!..
შეიბ მახვილი და გარეგნობით,
დროს შესაწონად, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!"
სთქვა მღვდელმთავარმა და გადასახა
მადლმინიჭებით მოხუცსა ჯვარი...
და მეორე დღეს თორნიკ-სარდალმა
კიდეც შეჰყარა საომრად ჯარი.

ჯარი მესამე

I

„თავგასულია სკლიაროს
მთავარი ბარდაველიო;
ბერძნების სისხლით შეჰლება
ურჯულომ მთა და ველიო!
ორად გააპო სამეფო,
აოხრებს ნახევარსაო;
სპარსელები და სომხები
შემოჰხვევიან გარსაო!
გრიგოლ და ბაგრატ თანა ჰყავს,
ორი ძმა თარონელიო,
მათ მიუციათ მომხრებად
მოჯანყისათვის ხელიო.
მოქის თავადიც აქ არის,
აფრანიკ, სომეხთ გმირიო,
და საღალატოდ შეუკრავთ
სუყველას ერთად პირიო.
გაულეწიათ ბერძნები,
იჩაგვრის ძველი ლომიო,
მაგრამ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ

აწ-ღა სხვაგვარი ომიო!
შორის ქვეყნით ვართ მოსული
სჯულისთვის მეომარიო;
ხელში გვიჭირავს ფარ-ხმალი,
წინ გვიძღვის ქრისტეს ჯვარიო.
ჩვენ ვართ თორმეტი-ათასი,
თითოს შეგვხვდება ათიო,
მაგრამ რა გვიჭირს? ადრევაც
გვინახავს შებმა მათიო!
ჰა, ბურთი, ჰა მოედანი!..
მობრძანდეს ბარდაველიო
და ამოიგოს მან ჩვენგან
იმისი სისხლი ძველიო!
სიკვდილი ან გამარჯვება!
ვინც თავი დაიშუროსო,
დედა შეირთოს მან ცოლად,
ლეჩაქი დაიხუროსო!..“

II

მცირე აზიას, ჰალისის პირად,
ერთი ხანია ბანაკად მდგარი,
ასე იმღერის გუნდად და გუნდად
შეუპოვარი ქართველთა ჯარი.
მათი გუგუნი, მათი კიჟინი
ზე ეფინება ირგვლივ მთა და ბარს,
და ესე ყველა ეკლად და ისრად
გულში ესობა სკლიაროსის ჯარს.
კბილებს ილესავს ბრაზმორეული,
არც დღე, არც ღამე არა აქვს ძილი;
მაგრამ რას იზამს? მარჯვე დროს ეძებს
მათ შესაბმელად სკლიაროს ფრთხილი.
ქართველი ჯარის ვაგლახად შებმას
გამოცდილება სარდალს აფიქრებს
და ვეღარ ჰბედავს თვითონ იერიშს,
დახვდომა უნდა... ამაგრებს საფრებს.

უნდა, რომ ჯარი მან მიიტყუოს
იმ სიმაგრეში და იქ ებრძოლოს:
თუ არ ამ ხერხით, ისე სხვაგვარად,
ის არ მოელის კეთილსა ბოლოს;
და საკენწლავად გუნდად და გუნდად
წასატყუებლად აგზავნის ჯარებს,
და განზრახულად თვითონვე აღებს
მტრის შესასვლელად ბანაკის კარებს.
მაგრამ თორნიკე გამოცდილია:
არ მოტყუვდება ამგვარი მახით,
მათვე უპირობს გამოტყუებას
სხვაგვარი ხერხით და სულ სხვა სახით.
იქ ქართველებთან ლაშქრადვე იყო
დასავლეთელი ბერძნების ჯარი
და, რომ თორნიკეს ემონებოდნენ,
მათ მოსდიოდათ ამაზე ჯავრი...
ასე ამბობდენ მათი სარდლები:
„მართლაც რომ ღმერთი ჩვენ გვიწყრებაო:
მთავარსარდლობა ქართველს უჭირავს,
ეს არის ბერძნის დამცირებაო!“
ეს სცნო თორნიკემ, ჯერ გაიღიმა,
რაღაც სხვა ფიქრმა მას გაუელვა,
მერე შეუმუხნა რისხვით წარბები,
აინთო სახე, მთლად აიღელვა.
და სთქვა: „მოვსულვართ შორის ქვეყნიდან
მოსახმარებლად კეთილად, ძმურად
და ესენი კი პასუხს გვაძლევენ
ბატონობითა და მედიდურად?!
დიდი ხანია, რაც ჩემ ბრძანებას
აღარ უგდებენ ბერძნები ყურსა
და არად ჰხდიან, თქვენც ჰხედავთ, ძმებო,
ჩვენს ერთგულებას და სამსახურსა!
მაშ, თუ ასეა, აღარ გვაქვს ბრალი,
გულთამხილავო, შენ ჰხედავ, ღმერთო,
რომ უმიზეზოდ შემომწყრალ ხალხთან
აღარა გვაქვს-რა აწ ჩვენ საერთო!“
სთქვა და უბრძანა ჯარს ამხედრება,

საქართველოსკენ უკან გაბრუნდა;
ამით ბერძნები მარტო დაჰყარა
და მიაყარა მათ ქვა და გუნდა...
ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა,
დააგდეს მყისვე მათი სიმაგრე,
გამოვიდენ და ყოველის მხრითა
ბერძნების ჯარი შემოჰკრეს გარე;
მისვლის უმალვე ასტეხეს ბრძოლა,
რადგან საგულეს ჰქონდათ მათ გული
მით, რომ ბერძნები ქართველებისგან
დარჩენილიყვენ მიტოვებული.
რაღა გზა ჰქონდათ? მაშინ ბერძნებმაც
ფარ-ხმალს მოჰკიდეს საომრად ხელი
თუმცა-კი ჰგრძნობდნენ, რომ გამარჯვება
იმათთვის იყო მეტად რამ ძნელი;
აღარ უნდოდათ შერცხვენილიყვნენ:
თავი შესწირეს, ჰბრძოდენ გმირულად,
სანამ ურიცხვმა და უთვალავმა
მტერმა არ სძლია ისინი სრულად.
დამარცხდენ, თუმც კი ხელცარიელი
არ დარჩენიან არც ისინი მტრებს:
რიცხვი არა აქვს სპარსელებისა
და თან სომხების დაჭრილებს და მკვდრებს!..
შაგრამ სკლიაროს ამ გამარჯვებას,
რადგანაცა სთვლის უკანასკნელად
და ვერვის ჰხედავს აწ მის სურვილის
მოწინააღმდეგ ხელის შემშლელად,
დღესასწაულობს; გრძნობა მორეულს
უდროოდ ათრობს მეტი სიამე
და ლხინს ეძლევა გულდამშვიდებით
გაუსხლეტელად ის მთელი ღამე,
ის-კი არ იცის, რომ იქვე, სერზედ,
სდგას თორნიკ, მისგან დავიწყებული;
დაჰმზერს მტრის ბანაკს და სარდლებიცა
იქვე ჰყავს გარე შემოხვეული.
სხვადასხვა რჩევას აძლევს სარდლებსა,
მათ-მათ შესაფერს თვითოეულად,

და სახვალიოდ ჯარებს ამზადებს
მტრის შესაბმელად, ჯერ-კი ფარულად.
—„ახლა ხომ ჰხედავთ, თუ რას ნიშნავდა
ბერძნებთან შუღლი და მოშორება?
თუ არ ამ ხერხით, სხვებრ არ შეგვეძლო
სომხის სარდლების ჩვენ მოღორება.
არ დააგდებდენ საფრებს და ბრძოლას
არ დაგვიწყებდენ ველზე გაშლილად;
და, თუ პირიქით მივადგებოდით,
დაგვამარცხებდენ მაშინ ადვილად.
მაგრამ, მადლობა ყოვლის შემძლებელს!
ასრულდა ჩემი განზრახულები:
ვგონებ, რომ ვეღარ გაგვიმაგრდენ ხვალ
ამ გაშლილ ველზე დაღალულები!
თუმც შეგვიძლიან თავზე დავესხათ
ახლაც; ეს ჩვენთვის სულ ადვილია,
მაგრამ რადგანაც არ მოელიან,
ეს ღალატსა ჰგავს და სირცხვილია.
გვიჯობს მივადგეთ გამოცხადებით
ისე, როგორც რომ ვაუკაცთ წესია!
და უკუღმართად ნუ მოვმკით იმას,
რაც ძველებს წაღმა დაუთესია!“
ასე ამბობდა მოხუცებული,
აწყობდა რაზმებს, ჯარს აფრთხილებდა;
სარდლებს სხვადასხვა მხრით აგზავნიდა
და ჯარსაც თვითონ უნაწილებდა.
— „შენგან დავიწყებ ჯერ, ჯავშანიძე:
ომის ველზე ხარ დაბერებული,
გამოცდილი ხარ და, რა თქმა უნდა,
ზომას დაიჭერს ეგ შენი გული.
შენსებრ ჭაღარა ათასი კაცი
ამოირჩიე, შეკრიბე ჯარი,
მათ წინ წაუძეღ და საიდუმლოდ
მიდი, აიღე მტრების საფარი!
და, როდესაც აქ ომი ასტყდება,
თქვენ არ გექნებათ მონაწილობა:
უჩინრად უნდა იმალებოდეთ...

არვინ გაბედოს მასზე ცილობა!
რაც უნდა მოხდეს აქ, თქვენ მაინც იქ
ჩუმად იყავით... არვინ აჩქარდეს,
რომ სურვილისგან გატაცებულის
ერთი ისარიც არ გადმოვარდეს.
მხოლოდ, როდესაც უკუქცეული
ისევ მოსძებნის საფარს მტრის ჯარი,
მოულოდნელად მაშინ იქ დახვდით
და გრგვინვით მეხად დაეცით ზარი!
შენვე გაგზავნე ჩუმად კაცები
ჰალისის პირად... თუ მოახერხონ,
რაც ხიდებია სუყველა ერთად,
ქვეშიდან ისეთ გვარად დახერხონ,
რომ ზედ შემდგარი ლაშქრის სიმძიმე
მომეტებული ვერ აიტანონ,
ჩასტყდენ ჰალისის მდინარე წყალში
და მტრისა ჯარიც თან ჩაიტანონ!..
— აწ, ორბელიძევ, შენ უნდა გითხრა,
მოწინავე ხარ რადგან სარდალი
და სუყოველთვის შენგან ატყდება
ომისა ცეცხლი და ბრძოლის ალი...
ოთხიათას კაცს, სულ ახალგაზრდებს,
თავგამეტებულს, წინ წაუძეხი;
გრიგალ-ქარივით ჩამოუქროლე
და შენებურად დაეცი მეხი!..
მემარჯვნე სარდლად გამრეკელია,
მემარცხნედ — ლომკაც სავარსამიძე
თითოს სამ სამი ათასი კაცი
ახლავთ, არიან ომის სიმტკიცე.
და დანარჩენი ათასი კაცი
აქვე დარჩება ჩემ თანამხლებლად;
ჯოჯიკი არის მათი უფროსი,
გაჭირვების დროს მოსაშველებლად.
როდესაც ატყდეს პირველად ომი
და გაიმართოს ისრითი ბრძოლა,
გაიფანტენით, თორემ ძნელია
შეჯგუფებულად მტრებზედ მიწოლა.

და შემდეგში კი, ხელჩართულ ომში,
შეერთებულად უნდა იბრძოლოთ,
მხოლოდ გუნდ-გუნდად დაჰყაეით ჯარი,
რომ ერთმანეთსა გამოუნაცვლოთ.
ძველი საფრისა და მდინარისკენ
ნუ დაუდგებით, გზები დაუგდეთ
და სხვაგან კი მათ ყოველი კუთხით
უნდა დაუხვდეთ და გაუმაგრდეთ!
მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა
მომეტებული სიტყვა და რჩევა?
აქ შეგეწიოსთ წმინდა გიორგი
და მაღლით ღმერთმა მოგცეთ კურთხევა!"
ეს სთქვა თორნიკემ და გაისტუმრა
სარდლები ჯარის მოსამზადებლად
და თვითონ-კი იქ დარჩა სულ მარტოდ
მლოცველად ღვთისა და მადიდებლად.

III

ვითა ეთერი მზეთუნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდისფრად ილებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერმიხდილად ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შესტრფოდა.
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
გამსჭვალულიყო მისის თანგრძნობით
და უგალობდა „ციურ ნანინას"
საიდუმლო და უცნაურ გზნობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი
ბანსა აძლევდენ ღვთიურს ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთაძალი.
ციური ნიჭის მისაღებელად

ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლად დაეცა გულზე მანანა,
ააელფერა და გაახარა!..
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურად იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა.
მაგრამ ამა დროს საზარელი ხმით
უცბად რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა:
შეიქნა ბუკის, საყვირის ცემა,
ასტყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი.
აჰა, თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლად ორივე ჯარი!

IV

— მაღლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს.
ისე დაჰყურებს მთავარსარდალი;
წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ,
ყოველი მხრისკენ სჭრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს, ტურფად დარაზმულს,
ოთხიათასსა დაჰყურებს ჭაბუკს.
მხოლოდ იმ წამის მომლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში, გაჯურვებულებს
ძლივს-ღა უპერენ თავს ბედაურებს;
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარშლით აცქვეტენ ყურებს,
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ თან იერიში,
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში.
თავში უდგია რაზმს ორბელიძე,
ჯერ ახალგაზრდა გმირი სარდალი,

და იმან იცის, თუ როდის ასტყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
შორს მათგან, მარჯვნივ, ქვეითი ჯარით,
მოფენილია მთლად ტყე და ველი;
საფარში აჯენს შორ-შორ გაფანტვით,
მტრისა სამიზნოდ, მათ გამრეკელი.
და მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით
მიექანება ჰალის-მდინარე,
საკარსამიძის დამდგარა ჯარი,
ფარ-ხმალ, ჯაჭვ-ჯავშან, შუბ-მოელვარე.
ჯავშანიძე-კი მხოლოდ-ღა ერთი
აღარსადა სჩანს, აქ არსად არი:
წინა ღამითვე მან საიდუმლოდ
აიღო ჩუმად მტრისა საფარი.
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრად ამხედრებს დიდ ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ
და ჯარასავით დატრიალებს გარს.
მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თარონელს,
მარცხენა მხარეს მისვე ძმას გრიგოლს,
და არ ჰგონიათ, თუ შეჰხვდებიან
ისინი თავის თანასწორს და ტოლს.
და ორბელიძის საპირდაპიროდ
თვით აფრანიკე გამოსულია...
წვერ-ულვაშს იგლეჯს; მეტის სიფიცხით
ალმური ასდის... გულმოსულია:
„როგორ თუ ასე მცირე მხედრობით,
ასე თავხედად ჩემზედ მოდისო?
სიკვდილისაგან ატროებული,
მძებნელი არის, სწორედ, ლოდისო!“
წინა ომებში გათამამებულს
მარჯვე ცხენოსან სპარსელების ჯარს
სიტყვით ამხნევების მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრულ საჩუქარს.
იმათაც ნიშნად შეუპოვრობის
განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოდ

გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით გამრეკელისგან
სამოციქულოდ გამონატყორცნი;
მას თანვე მოჰყვნენ ხსვების ისრებიც,
გულის გამპობი და გასაოცი.
ააგეს ფარი, მომართეს მშვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველის კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოდ ხანდახან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა.
გახურდა ბრძოლა... გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...
აჰა, ამოდის მხიარულად მზეც!
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება.
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულად
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი:
მიუხვდენ სარდალს გულისპასუხსა
მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს:
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.
დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას!“
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირდაპირ, ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრად დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი, სასისხლოდ გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი,
ფარმომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინა და გაიშალენ
სახელდახელოდ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფად
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე.

კიეინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახაჩუხის ხმა გულსაზარი
არეულია და ფეხით გააქვთ
ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი.
აგერ მხედარმა, შავით მოსილმა,
გამოაჯტუნა მერანი მინდვრად;
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურად:
— „სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
აფრანიკ მქვიან! შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწეო!..
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული ხარის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკისკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნულარ გვიანობ! გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!“
ხმალსისხლიანი, თავზე ჩაფხუტით
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ზარი.
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი...
ახალ გუნდს მკაცრად რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა
და სიხარულმა ააცახცახა:
მისი სურვილიც თურმე ის იყო,
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვადასხვა რაზმში მიჰქრი-მოჰქროდა.
თავი მოსწია გაქანებულ ცხენს,
ყალყზედ შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა: — „გმირს არ შეჰშვენის

დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!“
მოღუნეს მშვილდი, მოსდვეს საცერე
და ერთმანეთსა სტყორცნეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი,
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი;
მერე გადიგდეს მშვილდები მხარზედ
და ხმლებს მოავლეს საომრად ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა, გასაკვირვალი.
მოჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თანდათან ალი.
მოსწყინდათ ფარი და უკუაგდეს,
დაადგნენ ორნივ მარტო შიშველ ხმალს;
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოდ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს.
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ ცხენს,
განზე გაუხტა და აიშორა.
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა:
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელმეორედ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა,
თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი, ფეხმალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია.
შეკრთა აფრანიკ!.. დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექნა:
იდგა უძრავად, ვით ცოცხალ-მკვდარი.
გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,

ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
— „ნუ გეშინიან! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება,
მხოლოდ თანსწორის იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს!
აწ სასიკვდილოდ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,
მარდად, უეცრად ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა.
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრანაცემს
უნებლიეთად გაუტყდა გული;
შესწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბად დამფრთხალი
იქითკენ, სითაც შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.
„ჰკა მაგას, აბა, არ გაუშვათო!“
შეჰკივლა გმირმა მაშინ ქართველებს,
დაიგრიალა ცხენოსანთ ჯარმა
და გამოუდგა სომეხ-სპარსელებს.
მირბის აფრანიკ თავისის ჯარით,
მირბის და უკან არ იხედება;
მას ორბელიძე მისდევს ჯარითვე,
მისდევს, თანდათან ცეცხლი ედება.
დაუახლოვდა უკანა ჯარი,
უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი,
მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში ამოჰყო თავი.
მდევრები მაინც არ ეშვებიან,
ქვესკნელშიაც-კი ჩაჰყვებიან თან:
თან შეჰყვენ ერთად იმ ხეობაში

და მიიმალენ... ალარა სჩანან...
თურმე იქ ვერაგ სკლიაროს-სარდალს
სხვა ჯარი ჰყავდა ჩასაფრებული
და ქართველები შეტყუებული
დაემწყვდენ, დარჩენ გარშემოკრული.
რალა გზა ჰქონდათ?.. დაიქვეითეს.
ამოესაფრენ თავ-თავის ცხენებს;
იბრძვიან, მაგრამ იციან, რომ მათ
მტერი კაი დღეს არ გაუთენებს.

V

როგორც ისარი, იმ ხეობიდან
გამოხტა ცხენი ამ დროს უეცრად...
ხტის და ჭიხვინებს, ძუა-ფაფარს ჰშლის,
გარბის, გამორბის მარტოკა მინდვრად.
ხან ყურებს აცქვეტს, ხან მიწას სუნავს,
თითქოს დაეძებს მის პატრონ მხედარს,
და იმის გამო ასე ხვიხვინებს,
რომ ვერსად ჰხედავს ვერც ცოცხალს, ვერც მკვდარს.
ამ უპატრონო ცხენის დანახვა
თორნიკეს დარჩა მეტად საწყენად,
რადგანაც იცნო მან მაშინათვე
ის ორბელიძის ბედაურ ცხენად.
„ვეჰ! — დაიყვირა — ცუდ ნიშანს ვხედავ,
ამას არ უნდა ბევრი ფიცი:
საფრთხეში არის და განსაცდელში
ცხენოსანთ ჯარი, სწორედ ვიცი!“
და უთხრა ჯოჯიკს: — „ახლა შენ იცი,
შავი დღეების შენ ხარ გმირი:
„ძმა ძმისათვისო, ამ დღისათვისო“,
გაგვიადვილე გასაჭირი!“
მოახტა ჯოჯიკ მაშინ ბედაურს,
მასთანაც მთელი იმისი ჯარი,

და დაექანენ დაღმა მინდვრისკენ
გრიალით, როგორც გრიგალი ქარი,
დასცეს კიჟინა საოცარის ხმით,
მიწას გააკრეს ბედაურები
და მიეშურენ ხეობისაკენ
ზტრის სისხლის მნდომნი, გაუმაძღრები.
შორით მოესმათ ქართველთ კიჟინა,
იცვნეს ჯოჯიკის ხმა და იამათ,
იმედმა სიმხნე გაუორკეცათ
და ბრძოლა იწყეს უფრო თამამათ.
გაახლდა ომი. შეკრთა სკლიაროს,
უგზავნის შიკრიკს მაშინ თარონლებს,
რომ მოახმარონ ქვეითი ჯარი,
ჯოჯიკისაგან შეშინებულებს.
დააგდეს ორთავ ბრძოლის ადგილი
და მოაშურეს ანაზდეულად,
ალყად შემოკრეს ქართველი ჯარი,
ჩაიმწყვდიეს რა იწროში სრულად;
და არ ეპვობდენ აწ გამარჯვებას!..
ხერხის და რიცხვის ჰქონდათ იმედი,
მაგრამ უკუღმა გადუტრიალდათ
მოულოდნელად იმათაც ბედი:
კვალში მისდია გაბრუნებულ ჯარს
და თანვე მიჰყვა მათ გამრეკელი, —
ტყვილა არ ერქვა მას მეტ სახელად
„შავი ქლდის მელა და მიწის მგელი“.
შეატყობინა საკარსამიძეს,
სადაც იბრძოდა მტერი, უჩვენა
და, რაც დღე მაშინ ქართველებს ადგათ,
მტრის ჯარს იგივე დღე დააყენა:
შემოჰკრეს ირგვლივ და ორ ცეცხლ შუა
გამოიმწყვდეული დარჩა მტრის ჯარი...
გზაარეულებს ყოველის კუთხით
თავზე ატყდებათ მეხი და ზარი.
აივსო ხევი მკვდრებით... დაგუბდა
ბლომად აქ და იქ სისხლისა ღვარი
და, თავის შველა რომ ვისმე ჰსურდეს,

ბასაქცევი გზა აღარსად არი!
მაშინ გახედა შორით თორნიკემ
და სთქვა: — „გაერთდა, ვხედავ, ბრძოლაო!
სწორედ ახლაა მათთვის საჭირო
გამოცდილ სარდლის თან მიყოლაო!“
მოაყვანინა ბერკვიცი, შეჯდა,
მიეშურება სადაც ომია:
სიბერე ახლავს, მაგრამ ჯერ კიდევ
გულით ჭაბუკი, სიმხნით ლომია.
ომი რომ ნახა, გულს გადეყარა,
არ დარჩა ბედის უმადურადა
და გაიელვა ზედიზედ მტრებზე
მისმა მახვილმა ძველებურადა.
შემოურბინა ჯარს ირგვლივ გმირმა,
სარდლებს გადასცა მისი ბრძანება:
„გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს,
დეე, გაიქცნენ მიეცით ნება!“
და გზა გაუხსნეს დასავლეთისკენ,
გაუკეთეს რა განზრახვით კარი
და მხოლოდ სამის კუთხიდან მკაცრად
მტერს აწვებოდა ქართველი ჯარი.
იბრუნეს პირი დასავლეთისკენ
მტრებმა, გაქცევა ერთად იკადრეს
და მიაშურეს ისევ ძველ საფარს,
ძველსა სიმტკიცეს და ძველ სიმაგრეს.
მაგრამ როდესაც მიუახლოვდენ,
„ვაი“-ზე „უი“ მეტი დაერთოთ:
იქ ჯავშანიძე დაუხვდათ ჯარით
და ეს ნუგეშიც სრულად წაერთოთ.
დაჰყარეს იქვე მათი ფარ-ხმალი,
ვეღარ გაუძლეს ამდენ სიმწარეს,
ერთიც დასძახეს: „თავს ვუშველოთო!“
და მიაშურეს ჰალის-მდინარეს.
შეცვინდენ ხიდზე — ჩაუტყდათ ხიდი:
ჩაცვინდენ წყალში კისრა-კოსრითა,
ზოგი დაიხრჩო და ზოგს ნაპირზე
უწყალოდ ჰხოცდენ ხმლით და ისრითა.

მოისრა ჯარი... გადარჩა მხოლოდ
თვით სკლიაროსი მცირე მხედრობით
და გაეშურა ბაღდადისაკენ,
სასოვმიხდილი უბედურებით.

VI

გათავდა ომი. . . კიდეც დაღამდა,
ბნელმა მოჰფინა ის არემარე;
შესწყდა კიჟინა და იმის ნაცვლად
კვნესა მოისმის აქა-იქ მწარე.
ზოგი წყალს ჰნატრობს სიკვდილის წინეთ,
ზოგი შველას და შემწეობასა,
ზოგი ბედს ჰყვედრის და ტანჯვით ამბობს,
რომ სიკვდილი სჯობს იმის ყოფასა. —
ისინი, ვინც რომ ერთ წუთის წინეთ
მხეცივით სისხლით ვერა სძღებოდენ,
ახლა, იმ კვნესას რომ ყურს უგდებდენ,
იმათი ცოდვით იდაგებოდენ.
უნდოდათ შველა, მაგრამ, სიბნელით
რომ ვერ ჰხედავენ აქ ველარაფერს,
ერთად არეულ-დარეულებში
ველარ არჩევდენ მოყვარეს და მტერს!
ბრძანა თორნიკემ: — „გაურჩეველად,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთნაირად მოჰკიდეთ ხელი!
სიკვდილი ყველას ათანასწორებს:
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!..
ვეცადოთ ყველა და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაჰბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავად ისიც ეყოფა!“

ასე ისურვა და იმ სურვილზე
უარს ეტყოდა მხედრობა განა?
მხოლოდ უცდიდენ მთვარის ამოსვლას,
და, ჰა, მთვარემაც ამოატანა!
ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით
და გადმოხედა ნაზად ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათა და გამოაჩინა
დასანახავი გულშესაზარი,
თითქოს უნდოდა ეჩვენებია
კაცისთვის ბოროტ-ნამოქმედარი.
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია
ხეობა, ღელე, ტყე და მინდორი!
ვისიც სიცოცხლე დილას ჰყვაოდა,
ახლა შეიქნა ლეში და მძორი.
აგერ დაჭრილი!.. აგერ ძევს მკვდარი!..
გაკვეთილია საბრალო ორად!
აგერაც ერთგან ათასზე მეტი
ზე დაჰჩეხიან ერთმანეთს ხორად!..
ამ ერთ ადგილსა რას მიუზიდავს
ამდენი სული? რა ანდამატით?
მხოლოდ იმითი, რომ ორბელიძე
აქა ძევს მკვდარი, ცუდად... ღალატით.
მისი სიკვდილით ცეცხლმოდებული
მტერს ქართველები ეჯახებოდენ,
ბევრს მიიძღვანდენ საიქიოსკენ
და თვითონაცა ზე აკვდებოდენ.
არვინ ელოდა აქ გადარჩენას:
ერთი ათს და ოცს ეჩხუბებოდა
და თუ ჯოჯიკი არ მოსწრებოდათ,
მაინც ვერავინ გადარჩებოდა.
მაგრამ ჯოჯიკმა იმათი სისხლი
ამოიგო და ჯავრი იყარა
და დაამწარა სკლიაროს ის, რაც
ერთხან ღალატით მან გიჯხარა!
გადაჰკრა ლახტი აფრანიკს თავზედ,

დასცა სიმწარით გარეტებული,
შედგა ფეხებით, უგმირა შუბი
და სასიკვდილოდ გაუპო გული.
როგორც დაჭრილი ვეფხვი, ბაგრატიც
ისე მივარდა მას ბარდაველი,
მაგრამ ჯოჯიკმა მოასწრო თვალი
და წაუჭირა მას ყელში ხელი.
ამ დროს გულდაგულ წამოეპარა
მას უკანიდან ვიღაც სპარსელი,
მაგრამ ხელიდან გავარდა ხმალი,
რომ დაინახა იქ გამრეკელი.
ამისმა მოსვლამ სრულად მიხადა
სკლიაროსის ჯარს ჯანი და ღონე,
რადგანც თან მოჰყვა სამი ათასი
მას მეომარი სულ თავ-მომწონე.
მაშინ ჯოჯიკმა და გამრეკელმა,
გასაძაგრებლად მისცეს მხარი მხარს...
მაგრამ ამითი კი ორბელიძეს
ვეღარ უშველეს, მიტყუებით მკვდარს...
და, აჰა, ახლა, ამოდენ მკვდრებში
სულ ყველაზე ძირს ის გდია მკვდარი!
ზურგში ურტყვია მას მტრის მახვილი
და გულზე ადევს მისივე ფარი...
ცოტა შორს, განზე, შავი კლდის ძირში
უწვერულვაშო ეს ვინღა არის?
თავს დაჰხვიხვინებს, ტორს სცემს მერანი,
რომ გააღვიძოს მისი მხედარი...
მაგრამ ამ ნეტარ საუკუნო ძილს
აწ ვერ დაუფრთხობს ქვეყნად ვერღა რა!
დედის ცრემლების მან საპასუხოდ
აქ, ბრძოლის ველზე, სისხლი დაღვარა
და შეასრულა მით ღირსეულად
მამულიშვილის უკვდავი ვალი:
თავის სამშობლო ქვეყნის ხსოვნაში
სამარადისოდ დახუჭა თვალი...
ეგებ სხვა რამე გულდასაწვავი
სიკვდილის წინეთ აგონდებოდა

და სასიკვდილო შხამი გულის წყლულს
უფრო სახმილად ეკიდებოდა?
ვინ იცის, რა და რა საიდუმლო
მან საიქიოს თან წაიტანა?
შორს სადმე ქართლში დედამ გამოსცნოს,
ან გულის სატრფომ ეს გამოცანა...
აგერ ისრისგან მთლად დაცხრილული
გდია მოხუცი პირნათლად მკვდარი,
თითქოს სძინავსო და ეზმანება
მას შორეული ტკბილი სიზმარი...
აჰა, დაჭრილი მიფორთხებულა
ბევრის წვალებით დიდ ხისა ძირში,
სურს დაიყვიროს, მაგრამ საძრავი
ენა აღარ აქვს მომაკვდავს პირში.
აგერ სიდანღაც უცნაურის ხმით
გამოიძახის კვნესით დაჭრილი:
თავზე აწევან საბრალოს მკვდრები
და ემატება მითი ტკივილი.
ამდენ დაჭრილის კვნესით და ოხვრით
აღარსად არის აქ ყურთა სმენა:
სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარსული
არეულია სხვადასხვა ენა,
გამწარებული გამოთქმის კილო
და დედა-აზრი ერთი აქვს ყველას;
სწყევლიან თავის ბედს და გაჩენას
და გასაჭირში ითხოვენ შველას:
მაგრამ ბევრს მათგანს ველარ უშველის
სიკვდილის მეტი ველარაფერი,
თუმც-კი მოყვრულად ეშველებიან
და აღარავის აღარ ჰყავს მტერი.
ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა...
აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი,
მაგრამ მათ რიცხვში ხუთიათასი
გამოერია ქართველიც მკვდარი...

კარი მეოთხე

I

გამობრძანდა ქალაქს გარეთ
მეფე დავით ბედნიერი,
თანვე ახლავს ყოველის მხრით
წამოსული ქართლის ერი.
რიცხვი არ აქვს დარაზმულსა
ქვეითსა და ცხენოსან ჯარს...
შეჰხარიან ბატონ-მეფეს,
მორჩილებით უვლიან გარს.
გარეშემო მთა და ბარი
წვრილფეხობით მოფენილა,
თითქოს რაღაც დიდ წყალობას
ექადოდეს მათ ეს დილა.
ცალკე სერზე უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული.
სხვებზე მეტად დასტყობიათ
საზოგადო სიხარული.
წინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს
ბაგრატ, მისი შვილობილი,
კათალიკოს-მღვდელმთავრები
იქვე დგანან კმაყოფილი.
სათვალმაქცოდ არა ბრწყინავს
ერისა და ღვთის რჩეული:
თან არა აქვს მას გვირგვინი
და სამეფო სამკაული!
მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს,
რომ ის დიდი ცხებულია,
ვინც ერისგან გულის წმინდით
ნაკურთხი და ქებულია?
ყველა იცნობს მამა-შვილურ,
არც რიდი აქვსთ და არც შიში;
მიდიან და რჩევას ჰკითხვენ,
როგორც ლხინში, ისე ჭირში.
აი, ახლაც უთვალავი
ეს ერი სულ მას შეჰყურებს
და მოელის გულის ძგერით
ნახოს: მეფე რას აპირებს?

გაიხედეს შორს მინდვრისკენ
და რაღაცას მოჰკრეს თვალი:
ძირს შავად და მაღლა ღრუბლად
მათკენ იყო მომავალი.
ეს იყო, რომ ბრუნდებოდა
საბერძნეთით ქართლის ჯარი,
და ცხენების ფეხთა მტვერსა
ალმა ჰყრიდა ღრუბლად ქარი.
თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ
მხედრებს გული აუძგერა
და საგმირო, ჩვეულებრივ,
შემოსძახეს მათ სიმღერა:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა;
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.
ბოლოს მაინც გამარჯობა
დარჩა!.. ყველა გააოცა!..
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა...
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“

მოახლოვდენ ამ სიმღერით,
დადგენ ცოტა მოშორებით;
დაქვეითდენ, წინ წამოდგენ
და დარაზმდენ ახჩარებით.
თაყვანი სცეს ერთად მეფეს,
ცალი მუხლი მოიყარეს;
სიმდაბლის და მორჩილების
ნიშნად, თავი მოიხარეს.
წადგა მეფე და შესძახა:
— „გამარჯვება მძლეველ ჯარსო!
ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლს და
საუკუნო სახსოვარსო!
გამარჯობა ქართველ დედებს,
ჩვენს გამზრდელსა და მშობლებსო:
მათი ძუძუ გვავაუკაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“
ამ სიტყვებმა აიტაცა,
ააღელვა მთელი ჯარი,
შესძახეს და მათი გრგვინვით
ირყეოდა მთა და ბარი:
— „გაუმარჯოს ქართველ დედებს!
ვაშა! ვაშა! მძლეველ ჯარსო!
დღეგრძელობა ბატონ-მეფეს,
ქვეყნის თეალსა და ჯავარსო!“

II

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდვა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი.
მოახსენა: — „აჰა, მეფევ!
„გრამატაა“ დედოფლისო,
მაგიერი სასყიდელი
ჩვენის სისხლის და ოფლისო.
ბასილი და კოსტანტინეც

ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემოქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილიშვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდძალიო:
სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.
მაგრამ, მეფევ, მე რად მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო?
თქვენს დიდებულ ბატონობას
შემოვწირავ ყოვლიფერსო:
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარიც ქვრივ-ობრებსო!
ამდენი ჯორკიდებული
ორივესთვის იკმარებსო!"
მეფემ უთხრა: — „გმადლობ! ვიცი,
ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო...
მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის
არ ვიღებ არც ნახევარსო!
შენია და შენვე გქონდეს,
მოიხმარე, როგორც გსურსო,
რაღა ძღვენი ეჭირვება
შენს ღვაწლსა და სამსახურსო?"
მაგრამ თორნიკ უპასუხებს:
— „ნუ მარგუნებ, მეფევ, ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო!
ჯვარია და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო;
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!"
ვერ შეთანხმდენ, თუმც სარდალი
ცრემლით სთხოვდა მუხლმოყრილი,
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავდახრილი.

III

ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩევ-ჯიხვების მაღალ სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს,
აღარა სჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ,
და მაღლობიდან ის სადგურებიც
ჩვენს შავ ბედს შავად გადმოჰყურებენ...
ვერა ოთხფეხი, ვერა ფრინველი,
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი;
ვერც უწმინდური რამე ქვემძრომი:
იქ ბუდობს მხოლოდ წმინდა ფუტკარი;
და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს,
თორემ სხვა... გინდა კაციც შევიდეს,
რაღაცა შიში ააკანკალებს.
ამგვარად ჰფიქრობს დაბალი ხალხი,
ცრუ-მორწმუნობით არის შემცდარი,
მაგრამ ამ გულწრფელ მათ შეცდომაში
მაინც სიწმინდე და მადლი არი.
თორნიკეს დროსაც ამგვარ მღვიმეში
ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხშიშველსა,
წელზედ ეყარა თმები და წვერი.
ხშირად სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთმოყვარება:
მუნჯად ვიდოდა, ხმას არვის სცემდა,
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამადლიდა:
უყვარდა გლეხი, ქვრივი, ობოლი,
მამაშვილურად ყველას უვლიდა.
თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში
ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისის მარჯვენის მადლს ჰფიცულობდა
ყოველი გლეხი, გაჭირვებული.

როცა სახადი, გადამდები რამ,
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელად და საპატრონოდ
წმინდა მოხუციც იქ გაჩნდებოდა.
და სასყიდელი იმისი იყო
ხმელი პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყენილი,
არც მხიარული და არც გამწყრალი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა..
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არვინ იცოდა,
თუ რას ჰფიქრობდა და ან რას გრძნობდა.
იცოდენ მხოლოდ, რომ ბერი იყო,
ცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახლოს,
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ-სალოსს“.
როდესაც მეფემ არ შეიწყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სიჩუმე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წარსდგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველად ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,
როდესაც ბატონს ეს მოახსენა:
— „მეფევ! სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის...
სისხლის სანაცვლოდ იმათ მოიმკეს
რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც
მამულის სახელს თავი შესწირეს,
და გაითხარეს სამარე ისე,
რომ შორს მშობლებმაც ვერ დაიტირეს?
რათ არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს,
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს,
ქრისტიანობა იღუპებოდა!..
მთაწმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,

იქ ააშენეთ მით მონასტრები,
რომ სუყოველდღე, წირვა-ლოცვის დროს,
იხსენებოდენ ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა,
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა,
რომ მის წილხვედრი მცირე ივერი
მსხვერპლს სწირავდეს მის მფარველს და მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილიშვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!"
სთქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ...
დასთანხმდა მეფეც და ერმაც მასთან
ერთხმად შესძახეს ხმამაღლა: „ამინ"!..
აღარვინ იყო საქართველოში
იმ დღიდან იმა ბერის მნახველი;
ძხოლოდ ერთხელ-კი, როცა ქვეყანას
ჩამოსწოლოდა უკუნი ბნელი,
ორი მოხუცი ენახათ გზაზე
ხელყავარჯნებით შორს მიმავალი.
ათონისაკენ მიემართათ მათ
პირდაპირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ, ვით ბნელ ღამეში,
თითქო უძღოდათ რაღაც ნათელი...
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი.

IV

ერთხელ ათონში ასტეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს ღაღადი.
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
სუყველამ ერთად ვნახეთო ცხადი:
„მოსცურა ახლოს ღვთისმშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელიო.
ვამოსვენება გვინდოდა, მაგრამ

არ მოიკიდა ჩვენი ხელიო.
ყველა ვერ ჰხედავს: ღამით ნათელი
და დღისით ოაღაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ეუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორს მისცურავსო.
მისი სიწმინდის შეხების ღირსი
აღარ აღმოჩნდა არცა ერთიო.
სჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მაღლით ღმერთიო!"
ასე სტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
აღთქმებსაც დებენ საკანონოდა
და ღირსს მათსავე გუნდში ეძებენ.
მაგრამ არ იქნა, სანამდის ძილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედაღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:
— „ამაოდ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქვთ ღმერთთან ბრალიო.
არც ჩემთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყრალიო.
მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო,
და თქვენგანს არვის არ შეუძლია
ჩემი აქედან წასვენებაო.
ჩემ სადიდებლად რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო
და ყველასათვის შიგ შესასვლელად
მათ გაუღიათ მისი კარიო,
იქ სცხოვრობს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი გაბრიელიო,
და ნათლით მოსილს იმ ჩემ ძლიერ ხატს
იმან შეახოს მხოლოდ ხელიო,
რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულმოქმედს
დაერქვას: „კარის ღვთისმშობელიო!"

გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი გუნდად გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა სალმრთო ლიტანიობა;
წინ მიუძღოდა იმათ თორნიკე
და იოანე მცირე კრებითა,
და ივსებოდა იმათი გული
მომეტებულის ნეტარებითა.
მიიღეს ხატი და დაასვენეს
დანიშნულს ადგილს სიხარულითა
და ივსებოდა წმინდა ტაძარი
იმავე დღიდან სასწაულითა.
მაგრამ ყველაზე შესანიშნავი
იხილეს მაშინ ერთი ჩვენება,
რომლისაც მსგავსი ჯერ არც ენახათ
და არც ყოფილა სადმე ხსენება:
გამოიხატა ცაზე გვირგვინი,
ვარსკვლავებისგან გამოქედილი,
დაადგა თავზე ივერთ მონასტერს
და გაანათა წმინდა ადგილი,
და ნათლის სხივებს აელვარებდა
დიდხანს, სანამდის არ დადგა დილა!..
შემდეგაც თურმე არა ერთგზისა
იმავე ადგილს გამოქედილა.
დღეს ის ნიშანი კი აღარა სჩანს:
დიდი ხანია, რაც რომ გამქრალა...
უეჭველია, ჩვენს გულგრილობას
გარისხებია!.. ჩვენზე გამწყრალა!..
მაგრამ სულმნათსა საქართველოსას,
ღვთისმშობლობა დღეს, ერთი სიზმარი
ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა — წმინდა მოწმობის,
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალნი,

საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმაშეწყობილად
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
— „დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ აიღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!..“
  რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეჰხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა...

1884 წ.

ორი ქართველი

ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი

I

დაბერდა ჩვენი გოგია,
ძველი ქართველი რაინდი:
სიცოცხლის დილას მოშორდა,
მოუახლოვდა მას ბინდი.

სიბერემ თავზე დასთოვა,
გაუქრო გულისა ალი:
ძარღვებმაც ერთად უსუსტეს,
მუხლებმა უწყეს კანკალი.

და გულდაწყვეტით იძახის:
„სად არის ძველი ჯანიო?
ხმალს რომ იქნევდა, დღეს იმ ხელს
მიმძიმებს ყავარჯანიო!“...

ჩიფჩიფით ამბობს ამ სიტყვებს,
ჩაცვივნული აქვს კბილები,
და პირში სიცილს აყრიან
პატარა შვილიშვილები:

— „პაპია, რაზედა ჯავრობ?
ვის ემუქრები და რასო.
რომ ძლივს აბრუნებ მაგ ენას,
როგორც ბებია ჯარასო?

იკმარე, რაც მოგივლია
შენს დღეში მთა და ბარიო!
ახლა დაჯექი და გვითხარ
შაირი, ან ზღაპარიო!“

— „ჰაი, თქვე კუდიანებო...
თქვე ეშმაკებო... თქვენაო!
შაირსაც გეტყვით, ზღაპრებსაც, —
თქვენთვის არა მშურს ენაო;

მაგრამ ცელქობას არ მოჰყვეთ,
არ შემიშალოთ ხელიო,
თორემ იმ ტყიდან გამოვა
და ყველას შეგჭამსთ მგელიო!“

ჩეროში დაჯდა მოხუცი,
გარს შემოუსხდენ ბავშვები;
ეუბნებიან: „პაპია!
მოჰყევი ჩქარა!.. რას შვრები?“

ხმის გასაწმენდად პაპია
მოჰყვა ძალდაძალ ხველასა;
მერე ახსენა უფალი
და ეს უამბო ყველასა:

— მსოფლიო ცხოვრებაშია
ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნივ — ოფლი და გუთანი,
გარედ — სისხლი და ხმალიო!

დედაენა და ერობა
ქრისტეს სჯულს უკავშირაო;
მათ დასაცველად ოთხკუთხივ
ომები გაახშირაო!

არ შეუშინდა მონგოლებს,
სპარსელებს და არც თათრებსო!

ამბობდა: ჩემი სამშობლო
მონებას არ იკადრებსო,

სანამდის შვილი შერჩება
უკანასკნელად ერთიო,
რომელიც ეტყვის ურჯულოს:
„მრწამს ჩემი ქრისტე ღმერთიო!“

ახსენებს წმინდა გიორგის,
უშიშვლებს ქართულ ხმალსაო,
და გაჰკვეთს ბასრი მახვილი
ერთად რბილსა და ძვალსაო.

და მართლაც არწივ-ლომობდა
ქართველი მაშინდელიო!..
დედაც სხვა იყო იმ დროში,
სხვაგვარი შვილის მზრდელიო!

მათი, „ნანინაც“ სხვა იყო,
არ ჰგავდა ახლანდელსაო,
მონურსა, გასაკიცხავსა,
სიყრმითვე გასარყვნელსაო.

მჯობნისა მჯობნე ამ ქვეყნად
არადეს გამოლეულა...
ბევრი ჩვენს რაინდებშიაც
გმირი რამ გამორეულა;

საშვილიშვილოდ გამხდარა
მათი ქება და ხსენება!..
მამულიშვილის ხსენება
ამ ქვეყნად ღმერთმაც ინება!

ახლა ის არის ქებაში,
ვინც პლუტი, ანუ ლოთია;
მაშინ კი — ბებურიშვილი
ადამი, ანუ ოთია!

II

ახალციხის სიახლოვეს
ერთი დიდი მინდორია,
მაღალ მთის ძირს გადაშლილი
სუფრასავით... სულ სწორია.

გარს არტყია უტეხი ტყე
ამ ბუნებითს მოედანსა;
ერთს მუხლზე ვერ გადაირბენ
ვერც მის სიგრძეს და ვერც განსა.

მზის ჩასვლის დროს ამ მინდორზე
გამოგოგდა თეთრი ცხენი;
ზედ ჭაბუკი ვინმე იჯდა —
ცხენ-უნაგრის დამამშვენი.

სამამაცო იარაღით
ტურფად იყო შეკაზმული;
ეტყობოდა მხარ-ბეჭიანს,
მკერდში ედვა რკინის გული.

ამაყურად მოიმზერდა,
აგელვებდა მის ტაიჭსა;
ხან დეზს ჰკრავდა, ახტუნებდა,
ხან აძლევდა ნელსა ბიჯსა.

და ვინ იცის, იმ დროს მხედარს
რა ოცნება სად აფრენდა?!
აგონებდა სატრფოს კოცნას,
თუ მტრებზედა გულს უღრენდა?

ფიქრებისგან გამსჭვალული,
შუაგზამდის რომ მივიდა,
უცბად ცხენი შეუჩერდა...
ყრმაცა შეკრთა...გაუკვირდა,

გულში ეს თქვა: „ნათქვამია
ცხენი გულთმისანიაო:
ამის ასე შეჩერება
ცუდი რამ ნიშანიაო!“

გავაზივით გაიბერტყა,
იარაღსა ხელი მიჰყო,
მათრახიცა წელში ირჭო,
თოფი ბუდით გამოიღო.

და მიიხედ-მოიხედა,
ოთხსავ კუთხეს ავლო თვალი,
მაგრამ ვერსად ვერ შენიშნა
ვერც მტერი, ვერც მისი კვალი!..

თეთრას დეზი გაუქანა,
გუნებაში ჩაიცინა...
— „აჩუ!“ ცხენი არ ინძრევა...
აიმართა, იჭიხვინა!

მის ჭიხვინზე მარცხნივ, ტყეში,
სხვა ცხენმაცა იხვიხვინა...
მხედარმა სთქვა: — „იქ ვისია?
მოყვრისაა, თუ მტრის ბინა?

„მტერი ხარ, თუ მოყვარე ხარ?
ნუ იმალვი! — მიაძახა —
ვაუკაცია პირდაპირი,
იმალება მხოლოდ გლახა!“...

ამ სიტყვებზე ფინთიხივით
გამოვარდა ტყიდან კაცი;
შავმოსილი, შავის ცხენით,
ჰგვანდა, იყო ის მამაცი.

ჯერ ლეკურად იჟღურტულა,
ქართულიცა გაურია:

— შეგანანებ ბუქარასა!
შენი სისხლი მეც მწყურია!

„არ იცი, ვის ემუქრები
და ვისთან ხარ გულადიო?
შენს წინა სდგას დაღისტნელი
ლეკი, ალლი ფოლადიო!“

ჭაბუკმა უთხრა ღიმილით:
— „კარგ ბიჭსა გხედავ თვალადსა
და ვმადლობ ღმერთსა, თუ მართლა
შემყარა ალლი-ფოლადსა!

„მე მის ძებნაში დაღისტნის
მთა და ტყე გამილევია!
ვწუხდი: ვერ შევხვდი და მისი
სისხლი არ დამილევია!...

„ლეკო, შენც ჩემი სახელი
უთუოდ გაგეგონება,
გეტყვი თუ არა, ვინა ვარ,
მთლად დაგებნევა გონება.

„ეგებ მრავალჯერ ჩემს სახელს
შენთვის დაეფრთხოს ტკბილ-ძილი...
ადამ რომ გაგიგონია,
მე ვარ ის ბებურიშვილი!

„შენმა შეყრამან, ბელადო,
მე გული გამიხარაო,
მაგრამ შენთვის-კი ის სჯობდა,
რომ მიწა გაგეთხარაო!“

ეს რომ უთხრეს ალლი ფოლადს,
თორნესავით ის აენთო...
— „ჰა, ბურთი და მოედანი!
მობრძანდი და გავსწორდეთო!“

გამოვიდენ შუა ველზე,
აღელვებდათ გულის ვნება;
ძნელი არის ორ ვაჟკაცის
ერთმანეთის შეტაკება.

თოფ-დამბაჩა აიცილეს,
ორთავ თავი დაიფარეს;
მაგრამ ერთმანეთზე მისვლა
ხმალდახმალ არ დაიზარეს.

გამეტებით ხმალს იქნევენ,
ორთავ შველისთ მათი ფარი,
ჯერ არც იქით და არც აქეთ
გამარჯვება არსით არი!

შეკრთა თეთრა ჭრილობისგან,
შეაჩერა პატრონი წამს,
ამით ლეკმა ისარგებლა,
მოუქნია ხმალი ადამს...

მაგრამ ტყვილა არ უქებდენ
ადამს ომში მარჯვე თვალსა;
ხმალსა ხმალი მიაგება,
არ ჰზოგავდა თვისსა ძალსა.

მარილივით გადაემტვრა
ალლი-ფოლადს მისი ხმალი;
მაშინ კი სთქვა: — „გაქცევაა
ჩემი მხოლოდ აწ წამალი!“

დეზი ჰკრა და გამოიბრუნდა,
გააჭენა ბედაური;
ადამ აყრის კიჟინასა:
„დამრჩი! შენ ხარ ჩემი პური!“

წინ ალლი და უკან ადამ
დადგომიან ტრიალ მინდორს,

და, ჰა, შავმა ბედაურმა
მოიტოვა თეთრა ის შორს!

ადამ მწარედ ფეხებს იქნევს,
მტერი მიდის... გულს ასკდება,
მაგრამ ბევრიც რომ იჯავროს,
ამით, აბა, რას გახდება?

ამ დროს უცბად წინ შემოხვდათ
იმათ ერთი ვიღაც მგზავრი:
ჯორზე იჯდა, ღიღინობდა,
არაფრის არ ჰქონდა ჯავრი!

გაქცეულს ლეკს რომ შეჰხედა,
როგორც კურდღელს უცაცხანა:
— „ჰოი! ჰოი! ვეღარ წახვალ!
ბევრი დამრჩა შენისთანა!“

წყნარად თავი დაუარა,
სვეტივითა წინ დაუხვდა
და ისეთი მიაყვირა,
რომ ლეკს გული შეუწუხდა.

მოუქნია ხმალი, თავი
წააცალა, როგორც წიწილს:
მერე მიუბრუნდა, უთხრა
ეს სიტყვები ბებურიშვილს:

— „მე გაქცეულს არ მოვკლავდი,
მაგრამ იყო ხათრი შენი;
შეგატყვე, რომ შენ გინდოდა
დაგერჩინა მისი ცხენი.

„და, ჰა, ღმერთმა მოგახმაროს
იარაღი და ეს ცხენი!
შენ შეგმატოს, რაც დღეს ამას
უდროოდ აკლდეს დღენი!“

ეს უთხრა და მიატოვა,
სიტყვა აღარ გაუგრძელა!
ჯორს დეზი ჰკრა, „ჩიშო!“ უთხრა,
გზას გაუდგა ნელა-ნელა..

თავბრუ დაესხა ადამსა,
აღარ ეხსნება მას კრიჭი:
სირცხვილით ვეღარ გადადგა,
ვეღარც გადმოდგა წინ ბიჯი.

თითქოს გაქვავდა, ვერ უთხრა
ვერც მადლი, ვერც საყვედური!
სთქვა: „ღმერთო, რა გაწყენინე,
რად მრისხე მე უბედური?

მერჩია, იმ ლეკს მოვეკალ,
ენებებია მაცხოვარს!..
სირცხვილი კი არ ეშმია
ჩემთვის ამ ვიღაც მათხოვარს!

ჯორის პატრონი ცხენს სწუნობს,
ოქროთ მოჭედილ ფარ-ხმალსა!
ყველას მე მაძლევს საჩუქრად,
როგორც მდიდარი საწყალსა!..

ან არის სწორედ სალოსი,
ანუ ვიღაცა ლოთია“.
და მიაძახა: — „ვინ ხარო?“
პასუხი ესმის: — „ლოთია!“

ამ სიტყვამ გამოაფხიზლა
ადამი დაღონებული
და ჯორისაკენ გაიქცა
სიამით აღელვებული.

— „მომიცადეო! — უძახის, —
ადამი გევედრებაო!

ჰსურს, მიესალმოს ოთიას,
როგორც მას ეკადრებაო!

შენმა ქებამ და სახელმა
კახეთი შეაჯერაო!
შენის შეყრისთვის იკურთხოს
დღეს ჩემი ბედისწერაო".

ძირს ჩამოვიდა ოთიაც,
წინ მიეგება ადამსა;
ერთმანეთს მეტის ზრდილობით
ველარ უბედვენ სალამსა.

ადამი ამბობს — „ოთიავ!
ბრძანე სალამი, შენია!..
მე რომ გავბედო პირველად,
ჯერ ყმაწვილი ვარ, მრცხვენია!

„მასთანაც შენი მეტია
ვაჟკაცობისა სახელი!
არა, ნუ გინდა იმერელს,
რომ გამაბრიყვო კახელი!.."

— „ბატონო, რისთვის მიწყრებით?
როგორ მიბრძანებთ მაგასო?!
ეგ რომ ვიფიქრო, ღირსი ვარ,
დამაბან ვირის ბაგასო!

„ვინ გაასწორა, ბატონო,
ნეტავი მთა და ბარიო!
მესხი ვარ აზნაურშვილი,
თქვენ — დიდ თავადის გვარიო!..

„უნდა მიბოძოთ სალამი,
როგორც თქვენს ერთგულ მონასა,
და მე მადლს ვიხდი გულითადს,
ამ ჩემი თავის წონასა!"

მაგრამ ადამ მაინც ამბობს:
— „მოდი, აბა, ასე ვქნათო,
რომ არ დაგვრჩეს ერთმანეთზე
საწყენი და სამუნათო.

ძმებსავითა გადვეჭდიოთ,
გადავკოცნოთ ერთმანეთი;
და აქ მტკიცე მეგობრობას
გაამტკიცებს მაღლა ღმერთი!“

ესა სთქვეს და ერთმანეთსა
გადააჭდეს ყელი ყელსა;
მერე დასხდნენ სასაუბროდ
იქვე რბილს და მწვანე ველსა.

ოთიამ იწყო: „კი გატყობ,
გშვენის ბებურიშვილობა,
თვალ-ტანადობა, იერი,
დარბაისლობა, ზრდილობა!

წეღან კი ვეღარ შეგნიშნე
ვერც ერთი ეგე დიდება:
ვაჟკაცს არ ჰშვენის, თქვენ იცით
მტრის უკან გამოკიდება“.

ადამმა უთხრა: — მართალ ხარ,
არ ვიცი, ისე რად გავხდი!
გადმიყოლია სურვილმა,
ვაჟკაცის წესსა გადავხდი.

„მაგრამ მას სისხლი ემართა
ბევრ ქრისტიან კახელისა;
სხვა ლეკი იყო ის ლეკი,
სხვა ხმლისა და სხვა ხელისა!

„ალლი-ფოლადსა ეძახდნენ,
შენც გაგეგონოს ეგება;

მისთანა მტერი, ხომ იცი,
მტრის მახვილს ძნელად ეგება!“

ოთიამ დასტური მისცა:
— „გამიგონია მეცაო!
ჩვენშიაც ჩამოდიოდა
ეგ წუპაკი და ქეცაო!

„ქურდულად იპარებოდა
ეგ საძაგელი მყრალიო!
შევყროდი — ვერ გავკოცნიდი,
ცუდად ვიყავი მწყრალიო!“

ადამ ამბობს: — ბედი ჰქონდა,
ტოლ ვაჟკაცსა არ შეჰყრია;
თორემ მაგის ძებნაშია
ბევრი ოფლი დამიღვრია.

დაღისტანში გადავსულვარ,
მთები სრულად მოვიარე,
მაგრამ გული მიღრინავდა,
რომ ვერსად ვერ შევეყარე.

დღეს წავაწყდი ულოდნელად,
ტყეში იყო ჩასაფრული,
მისმა ნახვამ ამაკრეფოლა,
ამიჩქარა მეტად გული.

შევუტიე... მომაშურა...
შევეტაკეთ ორთავ მტკიცედ...
უსიკვდილოდ არ გაშვება
ერთმანეთის დავიფიცეთ!..

ხმალსა ხმალი შემოვუკარ,
შუა გატყდა მისი ხმალი,
მაგრამ ცხენმა იპატივა:
სწრაფი იყო და ფეხმალი.

არ დამნებდა და გამექცა,
მარდად ცხენი გააჭენა
და უთუოდ წავიდოდა,
შევრცხვებოდი, თუ არ შენა!

მე-კი შენი სიმარჯვითა
პირველ მითი დამაღონე,
რომ სხვად ვინმედ მომეჩვენე
და ოთია არ მეგონე.

და ან როგორ ვიფიქრებდი?
ჯორზე ზიხარ, თითქოს მღვდელი,
და მტერს ისე მივარდები,
როგორც ცოფიანი მგელი!

ვინ ჯორი და ვინ მხედარი?!..
ამის მეტი ვის უნახავს?!
იარაღიც ისეთი გაქვს,
დედაკაციც კი დაგძრახავს.

ნუთუ ვერსად გიშოვნია
ბედაური შესაფერი,
იარაღი მოჭედილი
ვერცხლით, ოქროთ განაფერი?!"

მესხმა უთხრა: — „ბედაური
ვაჟკაცს ნეტავ რად უნდაო!..
თვითონ მტერს არ გაექცევა,
არც გასდევს, თუ გაბრუნდაო!..

ფეხალაგობ შესაბმელად
ჯორი, აბა რას უშლისო?
საქმე მკლავით გადასწყდება,
თუ ხმალს მარჯვედ გაუშლისო!

მოჭედილი იარაღი
მოატყუებს მხოლოდ თვალსა,

სააშიყოდ როცა წახვალ,
ააჩქარებ სეკლუც ქალსა.

თორემ ვერცხლით თავს ვერ იხსნის,
ვისაც ადგას გასაჭირი,
ხმლის ქარქაში არაფრად ღირს,
უნდა სჭრიდეს მხოლოდ პირი.

და ეს ხმალიც ისეთია,
დიდი დავით წერეთლისა,
რკინეულებს, როგორც ყველსა,
ისე სჭრის და ისე სთლისა.

როცა დავით ჰპატრონობდა,
ხუთჯერ იყო დამარხული
ას-ერთ კაცის მოკვლისათვის,
როგორც დიდი ჭირნახული.

საუნჯეა მამაცისთვის,
მეც-კი ბევრჯერ დამიმარხავს;
და, იცოდე, შემცდარია,
ვინც მე ამ ხმალს დამიძრახავს!“...

გაუკვირდა ადამს მისი
მსჯელობა და ხასიათი,
და გაგრძელდა საუბარი
სულ ამგვარი მაშინ მათი.

გულგახსნილად ისაუბრეს,
ვით წესია მეგობრისა;
ზოგი ეს სთქვეს, ზოგი ის სთქვეს,
ამ მთისა და იმ ბარისა.

როცა გაყრა დააპირეს,
სიტყვა მისცეს ერთმანეთსა:
ვინც გასტეხდა მათში სიტყვას,
შესცოდებდა მაღლა ღმერთსა.

უნდა ორნივ იმავ ალაგს,
სადაც შეხვდენ მტერსა ავად,
ყოველ წლობით მოსულიყვნენ
ერთმანეთის სანახავად.

მაგრამ დასდვეს ძმობილობაც,
ბეგარა და სამსახური,
რომ მიუძღვნან ერთმანეთსა
მათგან მოკლულ მტრისა ყური.

და ყოველ-წლივ ასრულებდენ
შეგობრები ამ პირობას,
ას-ასობით სძღვნიდენ ყურებს,
იმტკიცებდენ მით გმირობას.

როცა მოკვდენ ეს გმირები,
გაეხარდათ მემკვიდრეებს...
უყურებდენ დიდ სკივრებსა
და ამბობდენ: „გაგვამდიდრებს!“

მაგრამ კლიტე რომ გატეხეს,
გააქნიეს სიმწრით თავი,
ოქრო-ვერცხლის ნაცვლად ნახეს
საარაკო სანახავი:

დაშაშხულის ყურებითა
ზანდუკები სავსე დახვდათ!
და, რომ გაჰყვეს ის საუნჯე,
თითო-თითო ყველას გახვდათ!..

1892 წ.

ნათელა

ძველებური ამბავი

შესავალი

ამაღლდით, გრძნობავ, გონებავ!..
ასცილდით მზე და მთვარესა!..
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,
მოციმციმ-მოელვარესა!

შეიტყვეთ საიდუმლობა
ზეციურ ტკბილი ხმებისა
და შეისწავლეთ კანონი
იმათი შეთანხმებისა!

მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩანგურსა
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზეესურსა.

რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი,
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი...

დიახ, მსურს დავდნე და გავქრე,
რომ მას მოვფინო ნათელი!..
ნათელა არის იმისი,
ვისაც მე ვამკობ, სახელი.

ნაწილი პირველი

თ ა ვ ი I

ერთხელ თურმე მზე და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი:
გაშორდენ და შემაერთი
ჩაინგრიეს გზა და ხიდი.

შუა ჩადგა გველეშაპი,
დრო იხელთა, ჩაეპარა...
აღარც მზე სჩანს, აღარც მთვარე...
ორივ ერთად მიეფარა.

დადგა ბნელი, საზარელი
დრო, მხეცების სანავარდი!..
მზის სხივების ვეღარ მჭვრეტი,
გახმა ია, დასჭკნა ვარდი!..

სწორედ ამ დროს, სიბნელის დროს,
მოევლინა ქართველს ჭირი!..
აღარც ძმობა, აღარც ყმობა,
აღარც სიტყვა, აღარც პირი!..

ერთი ძუძუთ გამოზრდილი,
ერთი დედის ორი შვილი,
ერთს ჭირსა და ერთსვე ლხინში
შეთანხმებულ, გამოცდილი,

ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა!..
და ორივეს ჩამოაკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.

ეს უნდოდათ მონგოლებსაც,
გაიხარეს გულით დიდად,
შუა ჩადგენ და ძმებ შუა
შური გასდვეს გზად და ხიდად.

გაეგონათ, ქართველები
პირდაპირად ვერვინ სძლია,
და იმათი დამჩაგვრელი
მხოლოდ სულის სიმდაბლეა!..

გზას დაადგნენ ცბიერების,
ხალხსა ჰრყვნიდენ მრავალგვარად;
სიცრუე და ორპირობა
ხელთ ეჭირათ ხმლად და ფარად.

სიმართლეს და კარგ კაცობას
აღარ ჰქონდა გასავალი
და სდევნიდნენ კაცურ კაცებს,
ან ჰქონოდათ, გინდა, ბრალი.

ჩამოაგდეს ქვეყანაში
სიღარიბე, სიღატაკე:
მთა და ბარი გაასწორეს,
შეაერთეს ზღვა და ვაკე.

დღეს-ხვალობით შელახული,
დაიჩაგრა, გატყდა ერი:
შიგადაშიგ გამოუჩნდა
ძმას მისივე მოძმე მტერი!..

მამა-პაპის წაღმა ხნული
შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს!
და ამერეთ-იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს.

ძველი ქება და დიდება
დაჭკნა უცბად, როგორც მდელო:
ადრინდელის ჩრდილი იყო
დაჩაგრული საქართველო!..

ყოველი მხრივ გაისმოდა
სულთაბრძოლის „ვაი!“-„ვიში!“

და დაცემულ ქართველობის
ალარ ჰქონდათ მის მტრებს შიში!..

ეგონათ, თუ ქართლის ბედი
საუკუნოდ მიეფარა
და მომავალ სიცოცხლესაც
შავი მიწა მიეყარა!..

რა იცოდენ, რომ მის წილხვედრს
დედა ღვთისა არ სწირავდა
და ტანჯვაში გამობრძმედილს
მომავლისთვის იფარავდა!

ზოგჯერ კერა ჩამქრალია,
ცივი ნაცრის გარე პირი...
და უსითბო, უსიცოცხლო
ზედ აყრია მას ნახშირი!

მაგრამ, თურმე, შუა-გულში
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა
და ინახავს მერმისისთვის
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

ქვეყნის კერაც ასეთია:
გინდ დახუჭოს მკედრულად თვალი,
იმის გულში მაინც ღვივის
დაფარული ნაპერწკალი!..

თ ა ვ ი II

ცაში ვარსკვლავი ვარსკვლავზე
ღვთისაგან დანათესია,
მაგრამ იმათში ყველაზე
შუქურა უკეთესია!..

ბევრია საქართველოში
პირთამზე, მზეთუნახავი:

მაგრამ, „ნათელას“ რომ სჯობდეს,
არავინ არის მნახავი.

ტანადობა აქვს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა,
ღიმილი — ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან მოელვარისა.

ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე — ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.

ცისფერი მისი თვალები
სამოთხის ჩამსახველია!
კოპებამდე სცემს ხუჭუჭი,
შავი, უკუნი, ბნელია!..

ოდნავ უპობენ ლალ ბაგეს
კბილები მარგალიტისა,
თან ახლავს ენა ბულბულის
და მოჭიკჭიკე ჩიტისა.

ქალია ქველი წერეთლის
პატრონი „მოდინახისა“,
უნებლიეთად დამგები
სასიყვარულო მახისა!

აღარც დედა ჰყავს, არც მამა,
ობლობით განაზარდია...
ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი,
ედემში რგული ვარდია!

სადაც კი საქართველოში
განთქმული მეომარია, —
თვალი იმისკენ უჭირავს,
ნათელას მაძებარია.

მაგრამ ნათელას პასუხი
საერთოდ გადაჭრილია:
„ჯერ ჩემი გული ყველასთვის
როგორც სამარე, გრილია!

„და ვერაფერი გაათბობს,
თუ არ სხვაგვარი გმირობა!
საცოლოდ იმან მიგულოს,
ვინც შეასრულოს პირობა:

მე ერთი ჩოხა შევკერე,
თეთრი რაქმ... მშვენიერია!
წელში ვიწროა, წერწეტი,
ბეჭებში განიერია.

„არსად ეტყობა ნაკერი,
ძაფები დაკარგულია;
და ოქრო-მკედით ნაქედი,
სახეებ მოქარგულია.

„შვიდი მტკაველი სიგრძე აქვს,
და შესაფერი განია!..
ოქროს ღილები შემიბამს,
ცრემლებით გამიბანია.

ვისაც ის ტანზე მოუვა,
იმან ჩაიცვას, სხვამ არა!..
მაგრამ სხვაც არის პირობა,
ეს ერთი მარტო არ კმარა:

„წავიდეს მტრებში იომოს,
გვიჩვენოს ძალა მკლავისა!
წითლად შეჰღებოს საპირე
ამ ჩემი ნახელავისა!..

„ნახოს სახელი მისთანა,
რომ არ ენახოთ არც ძველად:

ასოცი თავი მომართვას
ჩემი სარების სარქველად;

„რომ შემოევლოს მესერად
ამ ჩემ დიდ ციხე-დარბაზსა...
და მაშინ მხოლოდ ეს გული
გათბება... დასდებს მას ფასსა!“

ყოველი კუთხით გაისმა
ეს უცნაური პირობა!
ყველას უნდოდა ესინჯა...
გამოეცადა გმირობა.

მთლად მოეხიბლა ქვეყანა
ნათელას ციურ სახესა:
გუნდად და გუნდად მოატყდენ
გმირები მოჭდინახესა!..

სინჯვენ... არ ერგო ის ჩოხა
არავის ტანადობასა!..
ეთხოვებიან ნათელას
და სჯერდებიან დობასა.

დღე-დღეზე მიდის, თვე-თვეზე,
გარბიან წელიწადები!
და ფრთებს იქვეცავს სურვილი,
ნათელას გულში ნადები:

„ვაი, თუ ცუდად ვკარგავდე
ჭაბუკ დროს, სანეტაროსა,
და ჩემმა გიჟმა ოცნებამ
ამაოდ ჩამიაროსა?“

თავი III

მაღლიდან გადმომდგარიყო
მზეთუნახავი ნათელა;
სარკმელში იყურებოდა,
გული უცემდა ნელ-ნელა.

სევდა რამ შემოსწოლოდა
შავი ფიქრებით მღელვარეს;
შეეკრა ტევრი წარბები,
სახეს ჩრდილავდა ელვარეს.

ხან ფიქრით გატაცებული
შორს აშტერებდა თვალებსა,
ხან ისევ გონზე მოსული
გადაჰყურებდა ჭალებსა.

ყვირილა ადიდებული
მოიკლაკვნოდა ღრიალით,
რეტი ესხმოდა ჭალებში
აქეთ და იქით ტრიალით!!

ხიდი წახვეტა, რაც იყო,
შეჰკრა გზა გაღმა-გამოღმის!..
დიდზე უწევდა მუქარა
მისი მყვირალა ცივი ხმის.

ანაზდად შორით გამოჩნდა
მხედარი თეთრი ცხენითა,
მოაგელვებდა მერანსა,
თითქოს მოჰყავდა ფრენითა.

მოადგა, ხიდი არ დახვდა,
ცხენი მოაგდო კიდესა!
დეზი ჰკრა, წყალში გადუშვა,
ისველებს ჩაფხუტ-რიდესა.

გამოეხვიენ ტალღებში
ცხენი და კაცი, ორივე!..
ღმერთზე ჰკიდია მათი ხსნა,
საეჭვო არის მათი სვე!

თვალი მოავლო ნათელამ,
იკივლა: „ილუპებაო!..

და შველაც ხორც-შესხმულისგან
იმათი არ ეგებაო!“...

დაღუპვას რომ არ უყურეს,
თვალთ მიიფარა ხელები!..
მაგრამ გასცურა მხედარმა,
გადააჭენა ველები;

შეუდგა აღმართს... გულდაგულ
მიადგა მოდინახესა!..
სარკმელს შეჰყურებს მღელვარე,
ეძებს სასურველ სახესა.

არავინა სჩანს... ხორციელს
ვერავის ჰხედავს ის თვალით!..
მხოლოდ მაღლიდან დაეშვა
იმის წინ ჩოხა ფრიალით.

აიღო ხელში, გასინჯა,
ჩაიცვა — ერგო კიდეცა!..
გაიორკეცა სურვილი,
მისთვის გაიხსნა კიდეცა!..

კოცნა შესტყორცნა სარკმლისკენ,
მოახტა მარდად თეთრასა!..
და, რომელ გზითაც მოვიდა,
დაადგა ისევ იმ გზასა!

არ სთქვა: ვინ იყო? რა გვარი?
საიდან იყო მოსული?..
წავიდა და თან წაიღო
ნათელას გული და სული.

თ ა ვ ი IV

ერთი ხანია — ნათელას
ძღვნად მოსდის ოქროს კავები
და ზედაც ჩამოხირხლული
სამშობლოს მტრების თავები.

არავინ იცის, ვინ გზავნის?
ვის მოაქვს ციხის კარზედა?
დღითიდღე თავებს აგებენ
სარქველად გამხმარ სარზედა.

ერთი აკლია ასოცსა!
იმასაც ელის ნათელა...
მაგრამ დრო გადის, არ მოაქესთ,
არ იქნა... არა ეშველა.

ფიქრში ჩავარდა ლამაზი:
„ვაი თუ მოჰკლეს გმირიო?!
მაშინ დაბნელდეს ჩემთვის ცა,
ჩაინგრეს ქვეყნის პირიო!..“

წარმოიდგინა ავი რამ,
ოცნებით დართო ჭირი ჭირს;
თმა გაიშალა, ძირს დაჯდა
და აღარც იკრავს გულისპირს!

არ იხედება სარკმელში,
აღარ ადევნებს მგზავრს თვალსა!..
ისე იქცევა, როგორც-კი
შეჰფერის ჭირისუფალსა.

თმაგაშლილს შავი სამოსი
უმატებს ელვარებასა.
რა შეედრება ქვეყნად მის
გულ-მკერდის მღელვარებასა?!

შევიდა მასთან გამდელი,
მისი საყვარელ-რჩეული;
მიუალერსა გაზრდილსა
და სიტყვა ჰკადრა ჩვეული;

„ბატონიშვილო, ვისა ჰგლოვ?
რათ ემონები ოცნებას?!
ლოცვა-ვედრება შეჰფერის
და არ ყვედრება ღვთის ნებას!

„ეგებ არ იყოს ის მკვდარი...
შენ კი იგლოვდე ცოცხალსა,
ცეცხლს იკიდებდე უჯეროდ
და ზედ ასხამდე ცხელ წყალსა!..

„ადე, ნუ ზიხარ! ჩაიცვი,
მოიმართე სამკაულითა..
და, ვინც გსურს, იმის სიცოცხლე
ღმერთს შეავედრე გულითა“.

დასთანხმდა ქალი, წამოდგა,
მიჰმართა დედაღვთისასა:
სთხოვდა მას შუამდგომლობას
და შემწეობას ძისასა!

გათენდა დილა საამო,
ქვეყანამ გამოიღვიძა:
და დედამიწას დაჰხარის
და ცას შეჰნატრის ძირს მიწა.

კაცი, პირუტყვი, მცენარე
მზეს მოელიან საამურს,
ბულბული ჩანგურს უმზადებს
და შაშვი უკრავს სალამურს.

ტოროლა მაღლა ჰაერში
ზარს აწკარუნებს რიკ-რიკით,

ჩაუქროლ-ჩამოუქროლებს
მერცხალი ტკბილი ჭიკჭიკით!

ქვეყანა აღტაცებული
უგალობს ქებათ-ქებასა
და ყვავილები სამსხვერპლოდ
უკმევენ სუნნელებასა!..

არ სძინავს არცა ნათელას:
ხატის წინ მუხლმოყრილია,
ცრემლსა ჰღვრის საკვედრებელსა,
მით სასოება ტკბილია!..

უცბად გაიღო კარები,
მსახურმა ფეხი შემოდგა;
არ მოელოდა მლოცველი,
შეკრთა და ზეზე წამოდგა.

უბრძანა: „კადნიერება
ეგ შენი მეუცხოება;
მაგრამ შლეგი ხარ, უზრდელი,
ბევრი რამ მოგეთხოვება?!

„უდროოდ, განა არ იცი,
ჩემთან არავის უვლია?!
ნება აქვს მხოლოდ ერთ გამდელს,
და ისიც მოკრძალულია“.

— ჩემო ხელმწიფევ, ნუ მრისხავთ!
არა გხლებივარ ნებითა:
შეგვემთხვა უჩვეულო რამ,
გიახელ იძულებითა.

კარზე მოგვადგა მხედარი,
არ ამბობს, თუ ვინ გვაწვია;
წითელ ცხენზე ზის და ტანზე
ჩოხაც წითელი აცვია.

პირდაპირ მოდის, უშიშრად,
არც არავისი ჰრცხვენია!..
კალთაში გამოხვეული
მოაქვს რაღაცა!.. ძღვენია!

ნახვა ჰსურს, სული მიუდის!
ამბობს: „მაჩვენეთ ჩქარაო!
ვარ კარგი მახარობელი
და არა მეტიჩარაო“.

გულმა უმთხრობლა ნათელას,
ვინც იყო მისი სტუმარი!
ბრძანა და გააღებინა
მაგარი ციხის მან კარი.

შინ შემოვიდა სტუმარი,
მის ნახვას არრა სჯობია!
ედემში ზრდილი ალვისხე
სამოთხის შენამკობია!

ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,
მუხლები მოიყარა მან...
ვერ გამოჩნდება იმასთან
ზღაპრული გმირი ყარამან!..

ჰკადრა: „მოვსულვარ თქვენი ტყვე,
პირობის შემსრულებელი!
თქვენის სხივის და ჯავარის
შეფრქვევით მადიდებელი.

„უბრძანეთ, ცხენი გაბანონ,
ჩოხაც გარეცხონ თბილ წყლითა.
ცხენიც თეთრია, ჩოხაცა,
შეღებილია სისხლითა!

„და, აწ, მიიღეთ ჩემგან ძღვნად
ვით პირის სანახავიო,

ქვეყნის მტრისა და ორგულის
ეს მეასოცე თავიო!“

გაჰმსჭვალა ვაჟის სიკეთემ,
შეკრთა წერეთლის ასული!
მადლობის გადასახდელად
ძლივს მოიბრუნა მან სული!

„კურთხეულ იყოს“—წყნარად სთქვა,
შენი აქ მობრძანებაო!
თვალით გიყურებ, არ მჯერა...
მგონიხარ მოჩვენებაო.

„თუ ღვთით ხარ მოვლინებული,
ცხადი რამ, ხორციელიო,
ვინ ხარ და სიდან მოსულხარ?
მითხარი! პასუხს ველიო!..“

ყრმამან მიუგო: „მაგისი
ძნელი არ არის ცოდნაო,
მთავრის შვილი ვარ, მთავარი,
დადიანი ვარ ცოტნაო!..“

ქალმა სთქვა: „ცოტნეს სახელი
გამიგონია მეცაო,
კურთხეულ იყოს მარადის
ჩვენი შემყრელი ზეცაო!“

ხელი ხელს მისცეს, გული გულს,
თვალი თვალს გაუყარესა,
და გაიმართა ნადიმი
ყველგან საჩხერის მხარესა.

ნაწილი მეორე

თ ა ვ ი I

იქ, სადაც ხობის ნაპირზე,
დღეს ძველი მონასტერია.
მთავრის სასახლე ყოფილა,
მიდამოც დიდი სჭერია.

იმისი კოშკი მაღალი
უჭვრეტდა ოთხსავ მხარესა;
მახლობლად თავზე ივლებდა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა.

მისჩერებოდა იალბუზს,
გადაჰყურებდა შავზღვასა,
შეფერადებულ ჭალებსა,
სანახავს სხვასა და სხვასა!

არცერთი კუთხით მომსვლელი
მტერი არ გაუცდებოდა:
მისი პატრონის მხარ-მკლავი,
შორით შორამდე სწვდებოდა!

ის იყო ცოტნეს სადგური,
იქ მიიყვანა ნათელა!
და მიიწვია ქორწილში
მან ქვეშევრდომი სუყველა.

შემოკრბენ აფხაზ-მეგრელნი,
სვანებთან ერთად ჭანები.
ქართლ-კახეთ-სამესხეთოდან
მეგობარ თვისიანები.

ააგეს ფანჩატურები,
საჯდომი ბევრ ათასისა;
ქვეშ ორხოები დაფინეს
დაუდებელი ფასისა.

თავში დაბრძანდა მთავარი
და გვერდით დედოფალია,
სხვები ჩამწკრივდენ რიგ-რიგად.
როგორც წესი და ვალია.

გახურდა ლხინი. ჩვეულებრ,
შეიქნა ყანწის ტრიალი!..
ხელიდან ხელში გადადის
თას-აზარფეშა-ფიალი!..

და ვინც ბევრს არ ჰსვამს, შიგდაშიგ
არაკრაკებენ „კულითა“!..
გაჩნდა ღიღინი, გალობა,
სიმღერა კრიმანჭულითა.

იქ ისმის „დილა-ოდილა“,
„კაბდუარი“, „თინა-თინაო!“ —
აქ „შადი“, „მრავალჟამიერ“,
„მზემ სხივი მოგვიფინაო!“

გამხიარულდა ერთგვარად
ჩუყველა, დიდი, პატარა,
მაგრამ დედოფლის სახეს-კი
ღრუბელი გადაეფარა!

შეწუხდა ცოტნე და უთხრა:
„აგრე რათ მოიწყინეო?
მაპინძელი ხარ, ხომ იცი,
რიგია, მოილხინეო!

„თუ საწერეთლოს დათმობამ
შენ მაგრე შეგაწუხაო,
სჩანს, ზეცა გამრისხებია
და რისხვით გადმომქუხაო!„..

მზე რომ ჭიატობს წვიმის დროს,
ამბობენ: „მზე პირს იბანსო,

და ცისარტყელა შვიდფერი
მას მხარს უმშვენებს და განსო“.

იმას მოჰგავდა ნათელას
თვალცრემლიანი ღიმილი
და ანგელოზის გალობას —
მისი პასუხი ხმატკბილი.

„ჩემო ხელმწიფევ! შენთან მყოფს,
მომაგონდება მე ვინა?
მაგრამ სხვა რამემ შორიდან
საგრძნობლად გულზე მიკბინა!

„ველარ მოვისმენ გულგრილად
„შადსა“ და „მრავალჟამიერს“,
სანამდი საქართველოში
ბატონად ვხედავ ქვეყნის მტერს.

„თვალწინ მეხატვის ერთი რამ,
ისა მკლავს და ის მაღონებს:
ლიხს იქით მოძმე ქართველი
ყმად გაუხდიათ მანგოლებს!

„დღეს აქ ლხინი გვაქვს საერო
ყანწ-აზარფეშის ტრიალი;
იქ კვნესა ისმის დაჭრილთა
და ქვრივ-ობლების ღრიალი!

„არ გვშვენის და არ შეგვფერის
ეს გულცივობა წყეული,
ადრე ორივე ვყოფილვართ
ერთი ტკივილით სნეული.

„ხომ ხედავ ამდენ ვაჟკაცებს
გმირთაგმირს, ლომთალომებსა?
ცოდვა არ არის, ესენი
ერიდებოდენ ომებსა!?.

„აქ რას უსხედან? წავიდენ!..
შენ უწინამძღვრე, მთავარო!
და მეცა თქვენთან, იცოდეთ,
მამულის მსხვერპლად მზა ვარო!“

სთქვა და გაჩუმდა, მის სახეს
დაადგა თითქოს ნათელი;
თავი მოხარა სიმდაბლით,
გულზე დაიდვა რა ხელი.

ზეზე წამოდგა მთავარი,
შემკრთალი გაოცებითა!..
ხალხიც შეჰყურებს დედოფალს
უბიწო აღტაცებითა!..

მოულოდნელმა პასუხმა
გრძნობა-გონება არია!..
თითქო გაქვავდა ეს ხალხი,
უხმოდ, უძრავად მდგარია.

პასუხის ვეღარ მიმღებმა,
ნათელამ გაიმეორა:
„ქალი ვარ, ჩემო ხელმწიფევ!..
ნუ მრისხავ, თუ რამ გეჭორა!“

გამოარკვია ამ სიტყვამ
მთავარი გაბრუებული
და ათქმევინა, რაც ჰქონდა
გულში იდუმალ დებული:

„სწორუპოვარო მშვენებით,
სიბრძნითაც ამაღლებულო!
ოჯახისშვილო, ნაზარდო,
ქართველად აყვავებულო!

„დიდი ხანია, ჩემ გულსაც
ეგევ სურვილი ჰმსჭვალავდა,

მაგრამ სიფრთხილე საჭირო,
ვით საიდუმლოს, ჰმალავდა.

„გონზე მოსულან, შეთქმულან
ამერთა დიდებულები,
მათში ჯაბანსა, საეჭვოს,
არავის არ ვეგულები!

„მოუწერიათ ჩემთვისაც.
ითხოვენ შემწეობასა...
დღეისსწორს მივალ ჯავახეთს,
მით დავუმტკიცებ ძმობასა.

„ჭირი და ლხინი საერთო
მოძმეთა შუა ვალია...
ამის თავდები, ვფიცავ ღმერთს,
ბრწყინვალე მომავალია!

„ეს ხალხიც მიტომ შევყარე,
რომ გამემეღავნა ყველა ეს,
მოსამზადებლად მე სხვა დროს
ხელთ ვერ ვიგდებდი უკეთესს!“

ეს რომ სთქვა, მოუბრუნდა სხვებს:
„ხომ გაიგონეთ თქმულიო?
ჩვენ შეთანხმებულ სურვილზე
რას ამბობს თქვენი გულიო?“

ერთხმად დასძახეს: „იცოცხლე,
მრავალჟამიერ!.. ჟამიერ!..
ჭირიც და ლხინიც საერთო —
კავშირი იმერ-ამიერ!!“...

ღიმილით ბრძანა მთავარმა:
„მეც მაგას მოველოდიო:
თქვენით და თქვენგან მომეხსნა,
გულზე რომ მაწვა ლოდიო!

„კმარა! მაგაზე საუბარს
ჩვენ ხვალაც მოვესწრებითო,
დღეს სათხოვარი მაქვს ერთი
და იმას გევედრებითო:

„დაჯექით!.. გამხიარულდით,
ნუ მოჰშლით ლხინს და მღერასო!
ვინ გაჰქცევია უდროოდ
ვარსკვლავს და ბედისწერასო?!“

გამხიარულდენ სტუმრები,
გამრავალკეცდა ლხინიცა...
მოლხენით არის მთავარი
და მისი თვალის ჩინიცა!

ღიმილით ამბობს ნათელა:
„ჩანგური მომაწოდეთო!
ველარას ფარავს დღეს გული,
რაც ვიცი, თქვენც იცოდეთო!“

სიმებზე ბროლის თითები
დააწყო ნაზად... რბილადა!
ყელმოღერებით დაჰმღერის,
ჩანგურიც მოსთქვამს ტკბილადა:

„ჩანგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო:
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა — დელა — დელაო!“

„თავის ჰანგებზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი–მეორის თანხმობით:
„ოდელა — დელა — დელაო!“

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,

რომ არ გაფუჭდეს ჩანგური:
„ოდელა — დელა — დელაო!“

„ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა — დელა — დელაო!“

„ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა:
„ოდელა — დელა — დელაო?!“

„შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა-მელაო
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,
„ოდელა — დელა — დელაო?!“

მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე:
„ოდელა — დელა — დელაო?!“

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: „დელა — დელაო!“

„კმარა! ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო.
ვერც ვუკრავ!.. ვეღარცა ვმღერი:
„ოდელა — დელა — დელაო!“

სთქვა და გადასდვა ჩანგური,
შეხედა ღიმით მთავარსა:
ნათელა ნათელს ადიდებს,
ამკობს ჯავარი ჯავარსა!

თავი II

ხმალს ილესავს იმერეთი,
აწყობს, ჰმართავს მშვილდ-ისარსა!
ლიხს გადივლის „ორირაშით“,
იქაურებს მისცემს მხარსა.

საიდუმლოდ ემზადება,
მიჰყავს ცოტნე დადიანსა!..
წინ წაიძღვანს ჭყონდიდელსა,
კურთხეულს და მადლიანსა.

გაიხსენებს ბაგრატის დროს,
დავითის და თამარისას!..
სამშობლოსთვის ცხელს ოფლს დაჰღვრის
და სისხლს შეჰსვამს მისის მტრისას.

ისე გასწყვეტს ძირიანად,
არ გაუშვებს არც ერთს მთხრობლად!..
მაშინ მხოლოდ დაბრუნდება
იმერეთში მახარობლად!..

ასე ჰფიქრობს გმირი ცოტნე!..
ამასავე ჰფიქრობს ერი...
ბატონი ყმით, ყმა ბატონით,
ორივ ერთად ბედნიერი!

მაგრამ, ვაი! გაუცუდდათ
იმედი და გულის ძგერა...
ბედუკეულმა გადუბრუნდათ
საწაღმართო ბედისწერა!

წიგნი მოსდის დადიანსა,
მეგობრების მონაწერი!
წაიკითხა... შეიცხადა:
დაიგლიჯა თმა და წვერი!..

მოეწერათ: ნუღა „მოხვალ!
თავს უშველე, ნუ აჩენო!..
შეთქმულობა გაგვიმჟღავნდა,
დაგვიჭირეს ყველა ჩვენო.

„ნუ მოსცდები, ნუ იფიქრებ,
გზა არა აქვს ჩვენ საშველსო!..
ანის ქალაქს გვაგზავნიან,
გვიმზადებენ განსაცდელსო.

„რადგან ღმერთმა აგაშორა
ჩვენი ბედი, ჩვენი სვეო,
იცოცხლე და მაგიერი
მტერს როგორმე მიუზღეო!“

წაიკითხა, დაიყვირა:
„რა შეგცოდეთ, ღმერთო, შენო. —
შენს მორწმუნეს, ღვთისმშობლის ხვედრს,
ამ სატანჯველს რომ უჩენო?

„ნუთუ ყველა იღუპება
საქართველოს ღირსი ძეო,
ბურჯი მისის ეროვნების,
მომავალის სიმტკიცეო?!

„მაშ პირშავად რაღათ დავრჩე,
მათი ტანჯვის მოწამეო?
მათთან ჭირი, მათთან ლხინი...
უიმათოდ რა ვარ მეო?!“

სთქვა და გულში გადიწყვიტა:
„მათთან წავალ მეც მალეო,
ტოლებში რომ არ გამოვსხლტე,
ვარ ამისი მოვალეო“.

თავი III

ვინ მოსთელის, ჭირი რამდენი
უნახავს ანის ქალაქსა!..
სისხლით მორწყული არ იყოს,
ვერ ნახავ მტკაველ ალაგსა!

ყოველი მტერი ძველთაგან
ამ კუთხეს მოაწყდებოდა,
მკვიდრი, დამხვდური შამაცად,
თავგამეტებით წყდებოდა.

დღეს ერთი იყო, ხვალ სულ სხვა:
მტერი მტერს ენაცვლებოდა!..
ურდო ურდოზე მოსული,
არვისგან დაითვლებოდა.

მაგრამ ქალაქი ტანჯული,
განსაცდელს უმაგრდებოდა,
და, ვით ამირანს გულ-მკერდი,
წყლული კვლავ უმთელდებოდა!..

ძლივსღა სულმობრუნებული,
ხელახლა აოხრებულა:
შესულა ურდო მონგოლთა,
ნოინი გამთავრებულა!..

სამეფო ტახტზე დამჯდარა,
ის... სისხლით უმაძღარია!..
აქედან მიდის საომრად,
ოთხკუთხივ!.. მიუხარია!

სხვა ქვეყნის ტანჯვა, აკლება
მათი წესი და რჯულია!
დღეს გამარჯვების ლხინი აქვ'ით,
უზომო სიხარულია.

ზურნის ჭიჭყინში გაისმის
კიჟინა გამარჯვებისა
და ჭიანურში — ქვითინი
სხვადასხვა მხარეებისა.

ფიალად ხელში უჭირავსთ
კაცის გამხმარი თავები...
ზიზღის ბუდეა იმათი
ყოველგვარ სანახავები.

სწორედ ამავ დროს გარეთ-კი
სულ სხვა ამბავი რამეა:
დამდგარა ტანჯვა-კრულვის დღე
და მწუხარების წამია!..

ალყად შეუკრავს დარაჯებს
დიდი მოედნის პირები,
შუაში ხელფეხშეკრული
ჰყრიან ქართველი გმირები.

ტიტველზე თაფლი წაუსვამსთ,
მზეს უფიცხებენ მხურვალსა!
წყალს ნატრულობენ, არა აქვსთ...
ყელი უშრებათ მწყურვალსა.

გარს ეხვევიან ბუზები...
სად არის მომგერებელი?!
შორსა ჰყავთ ჭირისუფლები
და მათი დამტირებელი!..

ჰკითხავს მტარვალი: „ვინა გყავთ
მომხრე და მოზიარეო?“
— ამ ქვეყნად ზღვა და ხმელეთი,
მაღლა ცა, მზე და მთვარეო!

დაცინვით ეუბნებიან,
შიში არა აქვსთ რისხვისა...

რა იცის გულში ნადები
და საიდუმლო სხვამ სხვისა!

გამოჩნდა შორით მხედარი;
ცხენი მოჰყავდა ოთხითა,
მოედნის პირზე შეჩერდა,
თვალს ავლებს ყველა კუთხითა.

უბრძანა დარაჯთუხუცესს:
„ვინა ვარ, ვერ მიცანიო?
ნოინის უცხო სტუმარი,
ცოტნე ვარ დადიანიო.

„ქართველ ერისთვებს, დიდკაცებს,
სადა აქვსთ მათი ბინაო?
მეც უნდა მათთან შივიდე,
წამყევ, წამიძეღ წინაო!“

დაცინვით უთხრა დარაჯმა:
„არ ბრძანდებიან შორსაო!..
და ჩვენც შინაყმად ვახლავართ,
როგორც ნოინის სწორსაო!“

შევიდა წრეში ქვეითად,
პირდაპირ მიეშურება,
გულ-ღვიძლს უსივებს ნაღველი
და სიმწრით პირი უშრება!..

მივიდა, ნახა ტყვეები...
შეჰყვირა: „ვაშა! ვაშაო!!
დღეს უფრო ბრწყინავს თქვენი მზე,
ვარსკვლავმა იკაშკაშაო!

„გმირნი ხართ, კვდებით გმირულად,
საქრისტიანოს მსხვერპლადო,
ამიერ საშვილიშვილოდ,
სამშობლოს სადიდებლადო!

„მაგრამ რას მერჩით მეგობარს,
ყველგან თქვენს მოზიარესო,
რომ გამომწირეთ თქვენში და
დამაგდეთ იქით მხარესო?!“

ეს თქვა და გაიძარცვა ტანს,
დაჯდა ტყვეებთან ტიტველა!..
თავი გასწირა ნებითა
და გააკვირვა სუყველა!!.

თ ა ვ ი IV

ლხინგადახდილი ნოინი,
ტახტზე ზის დაფიქრებული:
თვალწინ ეხატვის ქვეყნები
გადამწვარ-აოხრებული!..

ბევრი სხვადასხვა რჯულისა
და ტომის არის მნახველი,
მაგრამ სულ სხვაა მის თვალში
უცნაურობით ქართველი:

„არავის ებრძვის, პირიქით,
დამხვდურად მეომარია!..
ვინც მის ქვეყანას არ ერჩის,
მოძმე და მეგობარია.

„არსად გაუდის მოყვრობა,
და არც მტერები აკლია,
მაგრამ ხომ მაინც პირწმინდად
ჯერეც ვერავინ დასძლია?!

„რა გამოვიდა, რომ ვძლიეთ?
განა ძლევაა ეს ძლევა?!.
რაც უფრო ჭირში ვარდება,
მით სიმხნეც მეტი ეძლევა.

„გაგვინახევრდა ლაშქარი...
ერთში ათსა ვცვლით მონგოლსა,
და რაღა ძალი შერჩება
მომსვლელსა და მის მომყოლსა?!

„ნუთუ ჩვენც მართლა სხვებსავით
დიდხნობა არ გვიწერია
და დროებითი აქ ყოფნა,
ვით საქარ-ბუქო მტვერია?!

„რაში არა ჰგავს? შეთქმულნი
ასამდე დაგვიჭერია...
რომ ასჯერ მეტიც არ იყოს,
აბა, რა დასაჯერია?!

„მაგრამ არ იქნა, არ გატყდენ:
არ უდრკებიან განსაცდელს!..
ვინ იყო მათთან ღალატში,
არც გვარს ამხელენ, არც სახელს.

„არას ითხოვენ!.. ზვიადად,
ამაყად იტანჯებიან!..
რაღაც მომავლის იმედით
და სასოებით კვდებიან.

„ძნელია მათზე უფლება
და მათგან სხვისი მონება!..
სულ სხვა გზა უნდა... სხვა ხერხი...
და გამჭრიახე გონება!..

„ვერ გასჭრის მათზე, ვით სხვაზე,
ეს სასტიკობა-ავობა!..
სადაც ლომობა არ გადის,
იქ უნდა მელიაობა“.

ამას ჰფიქრობდა ნოინი,
უსივდებოდა ნაღველი,

რომ მოახსენეს: „ქალია
ვიღაცო, თქვენი მნახველი“.

შავით მოსილი, პირბადით
შინ შემოვიდა სტუმარი...
ანიშნა მარტო დარჩენა
და გადუკეტა სხვებს კარი.

წადგა წინ შორიახლოსა,
პირბადე გადაიხადა:
მისი ციური მშვენება
ნოინის გულმა იხატა!..

ჯერ მისი მსგავსი ამ ქვეყნად
არსად ენახა სულდგმული;
სულმა წასძლია ბინძურსა
და აუძგერა გლახ გული.

ზეზე წამოდგა... იმავ დროს
წინ ბიჯი წადგა თვით ქალმა
და იმის ბროლის თითებში
უცბად იელვა ხანჯალმა.

უთხრა: „შეჩერდი!.. ნუ მოხვალ!
რომ დაიმშვიდო, სჯობს, გული;
შენ სატრფიალოდ არა ვარ
ამსიშორს შორით მოსული!..

„სათხოვარი მაქვს წმინდა რამ...
მოგენდვე წმინდის გულითა!..
ნუ შეურაცხყოფ ქაცობას,
ნუ დამდაბლდები სულითა'.

„ნუ შფოთავ! დაჯექ, დაწყნარდი
და მოისმინე ვედრება!
სულგრძელობასთან ზრდილობას
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!“

ვით გაღალული თვალისკვრით,
ჩაჯდა უსიტყვოდ ნოინი;
დაუცხრა ვნება ჩვეული,
გაქრა სურვილი და ყინი!

ჯერ არც ჰსმენია ამგვარი
და არც რამ გაუგონია!
ჰფიქრობს, თუ მოჩვენებაა,
და ან სიზმარი ჰგონია!..

უყურებს თვალით, არ სჯერა!
ისმენს და მაინც იჭვშია:
უმტყუნა ძალამ სულ-ხორცის
და უჩვეულო შიშშია!..

ქალი შეჰყურებს პირდაპირ,
ლამის გახვრიტოს მან თვალით!
კაცი, ძლივს გონზე მოსული,
ოდნად ხმას იღებს კანკალით:

„მაშ მითხარ, რისთვის მოსულხარ?
რა არის შენი სურვილი?
მისთანას რას მთხოვ, ვერ მოგცე,
ვერ მოვკლა ნდომის წყურვილი!?“

„გინდა, ტახტს მოგცემ, დედოფლად
დაგსვამ და გეთაყვანები!
მონად გაახლებ მეფეებს...
ჩიტის რძით გაიბანები!“

ქალი მიუგებს ღიმილით:
— დედოფალი ვარ ისეცა!
შაგგვარ დიდებას არ ვეძებ
არ დამიგმია ისე ცა!

— „მაშ, სულს შეგწირავ, თავს მოგცემ,
გულს დავდგამ საფეხურადა!

და შენს სურვილში დავდნები,
დავიწვი უცეცხლურადა!“...

— არა, ნოინო! ნუ ჰფიქრობ!..
ვერ დავთმობ ჩემსა კერასა!
გული სხვას მივეც და შენთვის
ვეღარ დაიწყებს ძგერასა!

— ეგებო, რჯული გიშლიდეს
მე აღვიარებ შენს რჯულსა!..
ზეცაში ახვალ — აგყვები,
ჩახვალ — ჩაგყვები უფსკრულსა!..

— „ეგ არას უშლის! ღმერთი ხომ
ყველასთვის იგივ ერთია!
რჯული გზა არის სხვადასხვა,
იმ ქვეყნად შემაერთია!..

სხვა მიზეზია: სხვა მიყვარს,
ის არის ჩემი ქმარიცა!
მისი ვარ, იმას ვეკუთვნი
მე ცოცხალიც და მკვდარიცა!..

აქ გადმოვარდა, როდესაც
გაიგო სხვების ტყვეობა!
ობლად დაგვყარა სუყველა,
დასთმო ლხინი და დღეობა!

აღარ გამიძლო გულმა და
შევუდექ მეც მის კვალობას:
ვეთხოვებოდი სამშობლოს,
ვიგლოვდი ყმაწვილქალობას!..

მსურდა, მომესწრო, მენახა,
მომეკრა სადმე მე თვალი!
და ან მის უცხო საფლავზე
გულში ჩამერჭო ხანჯალი!..

მოველ, ვიკითხე ყოველგან...
ცოცხალი არის, შევიტყვე...
ტიტვლებთან ტიტვლად დამჯდარა,
ნებით გამხდარა შენი ტყვე.

იმას გთხოვ, იმას გავედრებ!
მისთვის მოვსულვარ, ნოინო;
სული არ გამაწირვინო...
სიცოცხლე მომაპოვინო!"

გაოცდა მშვენიერებით...
სიტყვა-პასუხიც უკვირდა!
ის ერთი წამი ნოინსა
მთელ საუკუნედ ეღირდა!..

დღემდის ეგონა, თუ ქალი
მარტო ვნებისთვის შექმნილა!..
ახლა-კი ხორცი დადუნდა
და სული სულსა ეტკბილა!

იგრძნო რაღაცა ციური,
მიუწვდომელი მან ძალა!..
გარდიქმნა მისი არსება,
ბუნება გამოეცვალა.

და უმაღლესის სურვილით
შეჰყურებს, როგორც ღვთაებას!..
რა სჯობს, რომ გული უბიწო
ციური ჯაჭვით დაებას!..

სთქვა: „საქართველოს მფარველი
დიდი ყოფილა... ძლიერი!
სადაც შობილხარ, გაზრდილხარ,
რათ უნდა გაქრეს ის ერი?!

„რაც მოხდა ჩვენში, დავიწყდეს!..
მოვითხოვ მე შენდობასა!..

აწ-კი მსურს „მამა-შვილობა“
და ვნატრობ მე შენ „დობასა!“...

„ახლა მოვიყვან შენს ქმარსაც...
ვნახავ, თუ შენი ღირსია
და თანაც ჩემი სიძობის
შესაფერ-საკადრისია?

„კუთხეში დაჯექ პირბადით!
მოისმენ ჩვენსა საუბარს!
იმანაც გვითხრას: ვის ეტრფის?
თავს ვის შესწირავს, ვინ უყვარს?

თ ა ვ ი V

ოქრო და ვერცხლში ჩამჯდარი,
მარტო შემოდის მთავარი.
არ ახლავს მისი მოყმები
და არც მოჰყვება მტრის ჯარი.

თავი დაუკრა ზრდილობით
და ჰკითხა: „რა გსურს? მიბრძანეთ“?
ნოინმა შეკრა წარბები,
სცდილობს ეჩვენოს მრისხანედ.

— „ვინ ხარ? და სადაური ხარ?
ვერ ვხედავ შენს აქ მომყვანსა!..
თუ საქართველოს შვილი ხარ,
დღემდის ვერ მცემდი თაყვანსა?“

— „მე სათაყვანოდ მოსული
არც დღეს გახლავარ, ნოინო!..
ნუ ჰფიქრობ, ცოტნე დადიანს
ტყუილი შენ ათქმევინო!“

— ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე,
რომ ორად აგდებს მანგოლსა?!

სცდილობს სამშობლოს გამოხსნას
და სხვებსაც ეძებს ამყოლსა?

— „დიახ, ისა ვარ, ნოინო!
მართალი გაგიგონია“.
— „მაშ ჩემთან როგორ მობედე?..
მადლობას გეტყვი, გგონია?!“

— „არ მიფიქრია მაგაზე!..
სხვა იყო ჩემი განზრახვა:
აქ მოყვრებს ვეგულებოდი...
მომინდა მათი დანახვა!“

— „ხომ ნახე ისეთ პატივში,
როგორც მათ შეეფერება?!“
— „ვნახე და გავიზიარე
მეც მათი ბედნიერება.

„ჭირში და ლხინში ყოველგან
ვყოფილვართ გაუყრელადა...
დღესაც მოვსულვარ მათთანვე
სისხლის და ცრემლის მღვრელადა“.

— „შენ მარტო? სხვები სად არის?
რათ გაიფანტენ ბზესავით?“
— „თუ ყოფილიყვნენ, ისინიც
აქ მოვიდოდენ ჩემსავით“.

— „აფერუმ თქვენს მეგობრობას!..
აფერუმ ვაჟკაცობასა!!
მაგრამ ვერ გიქებთ ბატონის
მოღალატობა-მტრობასა!“...

— „როდის გიწამებთ ბატონად,
დაჰკითხებიხართ ჩვენს გულსა?
თუ ტვირთი მძიმე მონების
ძალით დაგვადგით ჩაგრულსა?!

„ძალმომრეობის კანონი
დღეს ერთის არის, ხვალ სხვისა...
ბედია მომნიჭებელი
წყალობის, გინა რისხვისა!

„დღეს მოხარკე ვართ ჩვენ თქვენი
და კიდეც ვიხდით ნებითა...
დროს ვუცდით... ჩვენს ღმერთს შევყურებთ
იობის მოთმინებითა.

„უმიზეზოდა რათ გვდევნით?
რისთვის გვეპყრობით მტრულადა?
რას გარგებსთ რჯულის მოსპობა
და ან ერობის, სრულადა?!..

„სანამდის ხელს არ აიღებთ
ამ უნაყოფო ცდაზედა,
ყოველთვის მტრულად დაგხვდებით
ყოველ სარბიელ გზაზედა!“..

— „დაგვხვდებით?.. და რას გაიტანთ?
ეს დღე მოგელისთ ყველასა!..
თქვენ თავად ძალი აღარ გაქვსთ
და ვისგან ელით შველასა?“

— „ღვთისგან!.. რომ ჩვენმა შვილებმაც
ქვეყნისთვის სისხლი ღვაროსა!..
„ჩვენ წავალთ, ისინი მოვლენ
ტურფასა საბაღნაროსა!..“

— „აფერუმ, ქვეყნის ერთგულო!
კაცი ხარ, კაცურადა სჯი!
მომწონს ეგ სიტყვა-პასუხი:
არ გირისხდები, არა გსჯი!

„გაძლევთ სრულ თავისუფლებას,
როგორც შენ, ისე ტყვეებსა!..

და თქვენ მხარესაც ავაცდენ
სამგლოვიარო დღეებსა.

„იყავით მარტო მოხარკედ...
შევეტკბოთ წლიდან-წლობითა:
თქვენ ჩვენი კარგი სტუმრობით,
ჩვენ თქვენი მასპინძლობითა!..

„მხოლოდ მეცა გთხოვ, იცოდე,
სამაგიეროდ ერთს რამეს:
შენს ცოლს აქებენ ყოველგან
და ის მომგვარე ერთ ღამეს!..“

როგორც რომ ვეფხი დაჭრილი,
ისე ათრთოლდა ცოტნეცა,
ააკრაჭუნა კბილები
და, ცოტას გაწყდა, რომ ეცა:

— „ბედს უმადლოდე, ხალვათად
რომ ხარ მასპინძლად მჯდომარე,
და მე კი სტუმრად მოსული,
ხმალ-ხანჯლით შენ წინ მდგომარე!

„ეგ ერთი გითქვამს!.. მეორედ
ენას არ წააცდენინო!
გონებამიხდილს სასირცხვოდ
სისხლი არ დამადენინო!“

ნოინმა წარბი გაიხსნა,
ღიმილიც მოერია მას!
და სიტყვით ცივ წყალს ასხამდა
მის აღელვებულ გულისთქმას!

— „ნუ სჯავრობ!.. განგებ გითხარი...
მინდოდა შენი გამოცდა...
რაც სთქვი, ტყუილი ყოფილა,
აგერ თვითონვე წამოგცდა!!

„სამშობლო“, „მოძმე“, „მოყვარე“
სიტყვა ყოფილა უბრალო!
ნუთუ არა ღირს იმდენად,
რომ შენ ერთ ქალში გასცვალო?!“

არ მოელოდა ამ სიტყვას!
შერცხვა და შეკრთა მთავარი...
ცოტა შეჩერდა და შემდეგ
პასუხი მისცა ამგვარი:

— „მე რა ნება მაქვს მაგისი?
მონა არ არის, — ცოლია!
ჩვენი კანონი სულ სხვაა:
ცოლი ქმრის უღელტოლია!“

— „მაშ, კარგი! რადგანც მე მინდა
დღეიდან შენი მოყვრობა,
ნუ ვაწყენინებთ ერთმანეთს,
განზე გადავდვათ აწ მტრობა!..

„ხომ ჰხედავ, აქ რომ ქალი ზის?
ის ჩემი შვილობილია.
ვატყობ, რომ შენი ჰვრეტითა
ისიც-კი კმაყოფილია!

„მაგაზე უფრო მშვენიერს
ქვეყნად ვერ ჰნახავ ვერც ერთსა!..
რომ შენი ცოლი ვერა სჯობს,
თავდებად გაძლევ მეც ღმერთსა.

„სასიძოდ ამირჩევიხარ:
მინდა ის მოგცე ცოლადა;
დაგიახლოვო და მყავდე
ჩემი თავისვე ტოლადა!“...

— „ვინ ღირსა მაგ თქვენ წყალობას
და ამ უდიდეს ოცნებას?!

მაგრამ ორცოლიანობის
რჯული არ გვაძლევს ჩვენ ნებას“.

— „ეგეც არ გინდა? მაშ კარგი!
პირობას გიდებ კიდევ სხვას:
იზამ — არ გავტეხ ჩემ სიტყვას,
არა და — ნახავთ ჩემს რისხვას!..

„მოდი, ახადე პირბადე,
აკოცე, როგორც საყვარელს!
და აგისრულებ მაშინ მეც
მაგ შენი გულის საწადელს!“

ებილწა ცოტნეს პირობა,
მაგრამ არ იცის, რაღა ჰქნას?
სხვა გზა არა აქვს მოყვრების
და მის სამშობლოს გამოხსნას!..

წარმოსთქვა: „გულთამხილავო!
შენ ჰხედავ, მატანს ძალასო...
მივალ და ისე ვაკოცებ,
როგორც ხესა და ჩალასო.

„რა არის კოცნა უნდომი!
უგულოდ... უსიყვარულოდ,
თუ არ სიცოცხლე ბედკრული
უსიტკბოდ... უსიხარულოდ?!“

დასთანხმდა! ქალთან მივიდა,
საკოცნად თავი დახარა!..
ქალმა გადიძრო პირბადე...
ნოინმაც გადიხარხარა!..

როგორც შვიდძალი ფერადი
ამშვენებს ცისარტყელასა,
ისე დაეტყო სახეზე
სიამოვნება ყველასა!..

1897 წ.

ბაქიზრდელი

ნამდვილი ამბავი

ვუძღვნი ჩვენს პედაგოგებს

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა მღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად —
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, —
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს,
ეკრძალება ჭექა-ელვას.

მაგრამ, როცა დაჰქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არემარე.

მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავად ლამაზია

და იმასთან ყველა ტყუის,
რაც-კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზრდილ-გამოწვრთნილი:
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს
ვინ ჰპატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შესტრფის და ვინ შეჰხარის?

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მიაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლად
მოიყვანა ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზიბროლა — სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

ელფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი — მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველად
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს სცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად ჰგრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე ,ვანა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს!
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..

ქარი ზუის გულსაკლავად
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს!!

დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის ყარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსა გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამფეხ სკამს—დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის...
თავ-პირი აქვს შებუდნული
ყაბალახით და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა

და, ბაშლიყი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა:

„მასპინძელო! — სიცილით სთქვა —
წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?“

— საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო..
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?

მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი,
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

შეეხვეწა: აბა ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო.

— არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვანაირი გულისთქმისო...

უპასუხა და მოუყვა:
„მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

„ალმასხიტს ხომ კარგად იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

„ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ,
ერთადერთი საშიშარი.

„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

„ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არად აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია!..

„მთვარესავით ხელუხლები,—
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

„ჯერ გაჰლალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

„დამიჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,

ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო!“

„ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმც-კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი თავმომწონე.

„აი რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯი ლაფშა მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგან სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

„გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო:

„მის ოცნებას, მის გულისთქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.

„ეს შენც იცი, — არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი, —
სავაუკაცოდ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!

„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

„ერთმანეთის მინამსგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.

„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაჰზუის თავზე ქარი.

III

ირიერაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ტკბილად მძინარ ნაზიბროლას,
თუ გავუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას“...

სასოებით შედის ქვაბში
და რას ჰხედავს იქ საკვირველს!?
ნაზიბროლა ჩუმად სტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ჰხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!
და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ სტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს — სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!

„ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რათ ემდური?

„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,

თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
სჩანს, ნამუსი შეუნახავს,
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა მის ძიძის შვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

— „შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, აწ-კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ რომ ვერას გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მით ცხენები,
ააღელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დალმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდნენ შორიახლოს
მინდვრის პირად, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

— „საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!

„არა სთქვა-რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

„ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედად
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვის ხელი!..

„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ჩემ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,

მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!“...

— „არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

„მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად,

„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!“

გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით, —
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოდ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭანმაკია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, —
არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან
მიდის ახლა საფარ-ბეგი,
მორდუობის გამტეხი და
ჩვეულების გადამდეგი.

ეუბნება ყოველიფერს,
უნებურად რაც შეემთხვა:
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოხნაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგრძეგანა.

ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“
— „მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..

„მხოლოდ ეს-კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

— მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!.
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ.

პატარა კახი

ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა

მოქმედნი პირნი

კახეთის მეფე თეიმურაზ II.
დედოფალი თამარ — მისი მეუღლე.
პატარა კახი — მისი ძე, მემკვიდრე.
გივი ჩოლოყაშვილი — პატარა კახის გამზრდელი.
ლევან ქვაბულიძე.
რევაზ ბებურიშვილი.
მწყემსი.
მოხუცი ბრმა — გელად წოდებული.
ტურფა — მისი ქალი.
თედო რამაზიშვილი — რევაზის მსახური.
ელენე — ლევანის და.
ბაადურ-კუტი.
მუშები.
შიკრიკები და
ამალა.

მოქმედება პირველი

დიდი ტყე, წინ ვაკით. შორით უზარმაზარი მთები მოსჩანან. ერთ პატარა გორაზე ზის მწყემსი და სალამურს უკრავს.

გამოსვლა პირველი

მწყემსი

(ჩამოდის ვაკეზე და მარჯვნივ ტყისკენ იყურება)

დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრა ყური,
ანდამატურის ძალით გამოსწევს
აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური.
(დაფიქრდება. ნაღვლიანის ღიმილით)

ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე?!
იქ, ბარში, ყველა ჩემი ტოლები
მტრებში ვეფხვივით დანავარდობენ
და მე კი ცხვარში აქ ვიმალები!..
ისინი მტრის სისხლს ჰღვრიან უწყალოდ,
ზიზღით ევსებათ მრისხანე გული,
მე კი ქალივით აქ ცრემლებს ვაფრქვევ
და სიყვარულით მიძგერს გლახ-გული!..
მერე როგორ დროს? მაშინ, როდესაც
სხვა უდიდესი წინ გვიძევს ვალი! (დაფიქრდება)
მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად,
გულთამხილავო, და არ მაქვს ბრალი!..
კიდევ არ სჩანან... ეგებ წავიდენ,
გაიარეს და ვერ მოვკარ თვალი?
აჰ, ღმერთო ჩემო! ჯერ უმისოდაც
დაბნეული მაქვს მე გზა და კვალი!
(მიბრუნდება და მაყვალს დაუწყებს კრეფას)

გამოსვლა მეორე

ბრმა მოხუცი და ახალგაზრდა ქალი

მ ო ხ უ ც ი

აქ შევისვენოთ!

ქ ა ლ ი (აქეთ-იქით იყურება)

თქვენი ნებაა!
სწორი, ვაკეა... ჩრდილიც ყოფილა...
წამოწექ!.. მუხლზე დამადე თავი
და დაიძინე!.. აქ კიდეც გრილა.

მ ო ხ უ ც ი

მუხლზე? კი, მაგრამ რომ გეტკინება!

ქ ა ლ ი

მაშ ქვას მოვიტან... სადმე იქნება...

მ ო ხ უ ც ი

აჰ! არა, შვილო, რა საჭიროა?
უსასთუმლოდაც დამეძინება. (ჯდება)
საკვირველია, თითქოს გაგრძელდა
ეს პატარა გზა დღეს ერთიორად;
ამასთან კიდევ მხარიც მომექცა
და მომეჩვენა უსწორმასწოროდ. (ამთქნარებს).
ასე სცოდნია თურმე სიბერეს:
დააუძლურებს თვალებსა და ყურს...
ერთი ხანია ყურიც მიწივის,
თითქოს უკრავდენ სადღაც სალამურს!

ქ ა ლ ი (გაწითლდება)

ეგ, მამავ, მართლაც სალამურია.

მ ო ხ უ ც ი

სალამურია?! მერე ვინ უკრავს
იმ დროს, როდესაც ურიცხვი მტერი
ამ ჩვენს ქვეყანას გარშემო აკრავს?!
მაშინ, როდესაც ბარში ქვრივ-ობლებს
მტრები მუსვრენ და სარზე აგებენ,
აქედან ჩვენი ეს მთიულები
სალამურის კვრით უპასუხებენ?..

ქ ა ლ ი

მწყემსები უკვრენ და თავს იქცევენ;
ხელში კომბლებით აქ უდგიან ცხვრებს..

მ ო ხ უ ც ი

ეგ უკეთესი!.. ვაჰ, ჩემს მოსწრებას!!
რა ესმის ამ ჩემს დასადგომ ყურებს?...
ამისთანა დროს იმ შერცხვენილებს
რა ემწყემსებათ და რა ეცხვრებათ?
მაშინ, როდესაც იმათ მოძმეებს
მძიმე ბორკილი ფეხში ეყრებათ... (დაფიქრდება)
ეჰ, თეიმურაზ! რა მტყუანი ხარ,
რომ მოაშურე ამ მთის სიმაგრეს

და ბარელები ოხრად დაჰყარე,
რომ არ უყურო იმათ სიმწარეს.
შენ რომ გულს იტეხ, მტერი თამამობს
და შეუპოვრად ქართველს აძრობს ტყავს!..
დამნაშავე ხარ!.. მაგრამ მეფე ხარ
და ვინ რას გეტყვის? ვინ რას მოგკითხავს?..

ქ ა ლ ი

ყარგია, შამავ! მაგდენს რომ შფოთავ,
კიდეეაც მიტომ არ გეძინება.

მ ო ხ უ ც ი

მგზავრმა რა გითხრა? ქოშისგორამდე
მისასვლელი გზა შორი იქნება?

ქ ა ლ ი

არა!.. ისე სთქვა: „აგერ არისო“,
თუ მართალია და არ მოპორა!.. (სიჩუმე)
მაამილო! ვისი აგებულია
და ან რათ ჰქვიან მას ქოშისგორა?

მ ო ხ უ ც ი

ძველი დროების ამბავი არის,
მე ზღაპარივით გამიგონია,
და გეტყვი, შვილო, რადგანაც სურვილი
მაგის შეტყობის გულში გქონია:
ამბობენ, ვითომც რომ თამარ მეფემ
ერთ დროს არავინ ინახულაო;
ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
აქ, შუამთაში, იმარხულაო.
რომ გაიწმინდა სულით და ხორცით,
ქოში გაიძრო მოქედილიო,
აავსო მიწით და თან წაიღო,
რომ დაენიშნა ის ადგილიო,
სადაც ერთ დროში კახელ ყმაწვილებს
თავი დაედვათ, წამებულადო,
და იქ დაჰყარა ნაკურთხი მაწა,
ძღვნად და საკურთხად დიდებულადო.

იმის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს:
ყოველი კუთხით იწყეს დენაო;
გაკეთდა გორა და ზედ თამარმა
წმინდა ტაძარი ააშენაო.
როდესაც თურმე პირველად სწირეს,
მაღალმა მთებმა იწყეს დრეკაო
და თამარ მეფეს, ნათლით შებურვილს,
ზეცით მოესმა ზარის რეკაო!

ქ ა ლ ი

ნეტავი იმ დროს და მაშინდელ ხალხს,
რომ სასწაული თვალით უნახავს!..
მამილო! ახლა ქართველ ქალებში
თამარისთანა აღარავინ გვყავს?

მ ო ხ უ ც ი (იცინის)

რას ამბობ, შვილო? იმისთანები
განა ყოველთვის იბადებიან?
ოცნებასავით საამაგალითო
ვარსკვლავებივით ნათლად ჰქრებიან!..
(სიჩუმეა, რაღაცას იგონებს)
სიტყვა უდროოდ გამაწყვეტინე!
არ მაგონდება... შვილო, დავბერდი...
ჰო, ქოშისგორა, ვის სახელზეა?
ის უნდა მეთქვა... მაზე გავჩერდი.
ტაძარი ყოვლადწმინდის სახელზე
სულ ჩუქურთმებით აგებულია
და სასწაულის მოსაგონებლად
ხვალინდელი დღე დადებულია.
მივალთ და ვნახავთ იმ ძლიერ ტაძარს!..
გულს დავიმშვიდებთ სიწმინდის ნახვით!..
ჩვენც გვმართებს, შვილო, რომ სხვებთან ერთად
ღამე ვათიოთ ლოცვით და მარხვით.

ქ ა ლ ი

მაგას რაღა სჯობს?! მაგრამ თუ, მართლა,
ამაღამ ძილი არ შეიძლება,
აქვე რომ ცოტა გამოიძინო

და შეისვენო... რა გენაღვლება?
მეც ცოტა ხნობით ტყისაკენ წავალ,
სოკოს მოვძებნი, ან მოვკრეფ მაყვალს,
მაგრამ აქვე კი ახლოს ვიქნები,
არ მოგაშორებ არც ერთ წუთას თვალს.

მ ო ხ უ ც ი

ჰო, კარგი, შვილო! მაყვალს კი ნუ სჭამ,
რომ დასუნთქული არ ჩაატანო.
მანამდე მეც აქ თვალს მოვატყუებ,
მაგრამ შენ კი არ დამაგვიანო. (მიწვება)

ქ ა ლ ი

(მიდის ტყეში და აქეთ-იქით იხედება)

რა ამბავია, რომ აღარ მოდის?
ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანა?
რომ არ მოვიდეს? როგორ არ მოვა?
ჩემს უნახავად დღეს გასძლებს განა?
არა! კი მოვა, მისი ჭირიმე!
მაგრამ, ვაი, რომ როდესაც ვხედავ,
გულში ბევრი მაქვს მასთან სათქმელი
და პირადად კი ვერას ვუბედავ!..
გული მიტოკავს და რაღაც ყელში,
როგორც რომ ბურთი, ისე მეჩრება...
ენა მებმევა... ხმას ვეღარ ვიღებ,
სიცხეს მაძლევს და პირი მიშრება!..
ჩუ!.. სალამური... სწორედ ის არის!..
იშ!.. შეხედვასაც რომ ვერა ვბედავ!..
მაყვალს დავუწყებ ჩემთვის აქ კრეფას,
ვითომ არ მესმის!.. ვითომ ვერც ვხედავ...

(ზურგს შეაქცევს და მაყვალს დაუწყებს კრეფას)

გამოსვლა მესამე

(გამოდის მარჯვნივ) ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ წ ყ ე მ ს ი

მ წ ყ ე მ ს ი (მიუახლოვდება)

ტურფავ!

ქ ა ლ ი (შეკრთება)

უიმე!

მ წ ყ ე მ ს ი

რამ შეგაშინა?
მე ვარ, ვერ მხედავ, შენ გეთაყვანე?

ქ ა ლ ი

უეცრად შევკრთი... აღარ გელოდი...
ამდენხანს რისთვის დაიგვიანე?

მ წ ყ ე მ ს ი

მე კი არა, თქვენ დაგიგვიანდათ,
დიდიხანია რაც მე აქ ვიცდი.

ქ ა ლ ი

ვერ მოვატანეთ... გზა გაგვიგრძელდა,
რადგანაც განგებ ბევრჯერ გადავცდი.

მ წ ყ ე მ ს ი

გადასცდი? რათა?

ქ ა ლ ი

როგორ თუ რათა?
ბრმა არის, მაგრამ არ ავიწყდება...
სულ იმ ერთი გზით რომ მოვიყვანო,
დაუკვირდება და მიგვიხვდება.
რაც შემიძლია, ვუბნევ გზა და კვალს!..
კიდევ კარგი, რომ გზა გამშრალია!..
ხან აღმა მიმყავს და ხან თავდაღმა,
ვატყუებ, მაგრამ შენი ბრალია!..

მწყემსი

შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე,
რომ ჭკვიანი ხარ!.. მოხერხებული!..
მაგნაირ ცოდვას ზეცაც არ გიწყენს...
თავდები არის თვით სიყვარული.

ქალი

მეც მაგრე ვფიქრობ, რომ ბევრს შეუნდობს
და აპატიებს კაცს სიყვარული...
მაგრამ რა ვიცით, რომ ამ ჩვენ ორში
ერთი არ არის მოტყუებული?
უფროსებისგან გამიგონია:
კაცები ქალებს აბრიყვებენო
და, სიყვარულს რომ გამოსტყუებენ,
გულგრილად ხელსაც აიღებენო.

მწყემსი

ეგ მართალია!.. მოხდება ხოლმე,
მაგრამ მე სხვა ვარ!.. ნუ გამრევ მათში!..
მაშინ შემირცხვეს გვარისშვი... ჩემი...
ჩემი ბიჭობა და წვერ-ულვაში!..
(გამოიგლეჯს ულვაშის ღერს და აძლევს)
აი, წაიღე! ეს სიყვარულის
საწინდარია!.. შენ შეინახე!..
თუ გიღალატო, „ფუ!“ უთხარ, დამგმე!
შემარცხვინე და ცუდად დამსახე!!
მამაპაპური ეს ჩვეულება
დღეს რჯულად არის გადაქცეული
და, ვისაც ქუდი ახურავს თავზე,
ვერ გასტეხს... თუ არ შეჩვენებული.

ქალი

არ ვიცი, რა ვქნა? ერთი ხანია
რაღაცა ძალი გარს შემომედო...
ჯერ ვინაობაც შენი არ ვიცი,
მაგრამ გული კი სრულად მოგენდო.
შენგან მოხიბლულს და დამონებულს

რასაც კი ამბობ, უეჭვოდ მჯერა,
ამას გიმოწმებს დღეს ჩემი სახე,
ჩემი თვალები და გულისძგერა.
ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა...
შენ შოგაბარებ ამ ჩემ გულისთქმას
და ჯერ, სანამდის ჯვარს არ დავიწერთ,
ისე გენდობი, როგორც ჩემ ღვიძლ ძმას!
მაგრამ მაინც მსურს, რომ შემოგფიცო...
(გამოიძრობს თმას, გამოსკვნის და აძლევს)
აჰა, წაიღე ჩემგან საწინდრად!
თუ დაგივიწყო, ჩააგდე ცეცხლში,
რომ მეც დავიწვა და ვიქცე ნაცრად.

მწყემსი (აღტაცებით)

ოჰ, ნეტარებავ! სიტკბოების ზღვავ,
გაუზომელო, სივრცით უძირო!
თვით უკვდავების კამკამო წყარო,
ჩემთვის ცისა და ქვეყნის კავშირო!..
შენ შემოგევლოს გარს ჩემი თავი!
უშენოდ ქვეყნად განა კი გავძლებ?
ასი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ერთად
შენ შემოგწირავ!.. შენ დაგანაცვლებ!!
(უპირებს მოხვევას)

ქალი (ხელსა ჰკრავს)

უი!.. რას შვრები?

მწყემსი

მინდა გაკოცო.

ქალი

ჯვარის წერამდის? ცოდვა რომ არი?
აჰ! არა! არა!... წადი... გამშორდი.
ვერა!.. ჯერ, სანამ არა ხარ ქმარი...

მწყემსი (დაღონებით)

მოგშორდე? კარგი! შენი ნებაა.

ქ ა ლ ი (აღშფოთებით)

ჰო! წადი... წადი... მომშორდი მალე!.
(მწყემსი მიდის)
მიდიხარ? კარგი, მაშ იქ ამოდი...
ქოშისგორაზე... შენ გენაცვალე!..
მიდის!.. წავიდა.. არა, ნუ წახვალ!..
(მივარდება და მიეკვრის გულზე, მერე ისევ მოშორდება)
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მემართება?! (ხელს ჰკრავს)
ახლა კი წადი!.. ნულარ მოიცდი.
ნუ! ნუ! ხომ ჰხედავ?! არ შეიძლება!..
(თვალებზე ხელს იფარებს. მერე ისევ მობრუნდება)
წასულა!.. აგერ მთაზე გადადის..
აი, მობრუნდა და იყურება...
ნეტავ რათ არის ერთს და იმავ დროს
ტკბილიც და მწარეც ბედნიერება?..
(ჩაჯდება, თავს ჩაღუნავს, ხელებს მიიფარებს და ტირილი აუვარდება)

მ ო ხ უ ც ი (წამოვარდება ზეზე შეშფოთებული)

რა ამბავია?.. აქა ვარ, შვილო!..
რა დაგემართა? რამ შეგაშინა?
ძაღლმა ხომ არსად შემოგიტია!
წყეულმა გველმა ხომ არ გიკბინა?

ქ ა ლ ი

არა, მამილო, არაფერია!..

მ ო ხ უ ც ი

მაშ, შვილო, მაგრე რამ მოგაწყინა?

ქ ა ლ ი

მარტო რო დავრჩი, ჯავრმა წამიღო
და უნებურად გული მატკინა.
მწარე ნაღველიც, ცრემლში ჩართული,
თვალთ მომეჩქეფა, გადმომეწურა!..
თვითონ არ ვიცი, რა ძალა იყო,
რამ ამატირა... ცრემლად დამწურა!

მ ო ხ უ ც ი

ჰო!.. სულ ეგ იყო, სხვა არაფერი?
მივხვდი!.. ეგ, შვილო, არაფერია:
სისხლი თამაშობს მოჭარბებული
და გულიც მისგან ანაძგერია.
მოგწყინდა განა? რაღა თქმა უნდა,
სულ მარტოობა ვის იამება?
მე ჩემს მომვლელად ამიყვანიხარ
და შენ კი გული სხვას გეუბნება.
შენი ყვავილი ახლა იშლება,
ჩემი ფესვებიც კი დამზრალია
და ერთ უღელში რომ გაბმული ვართ —
ეს, მე რომ ბრმა ვარ, მისი ბრალია!
მაგრამ, ეჰ შვილო, მოიცა ცოტა:
ჩემი ცხოვრების გზა გავლილია,
აწ, სადაც არის, მომიკითხავენ,
ჩემი დღეები გამოთვლილია!..

ქ ა ლ ი

აბა, რას ამბობ?!. კიდეც ეგ არის,
რომ მე მატირებს და სულს მიხუთავს!
შენ გეჭირვება ყურისმგდებელი
და მაგისთანა კი არავინ გვყავს.
მწყემსი რომ ჩვენ არ მოგვშველებოდა
იმ დღეს, ძაღლების მოსაგერებლად,
ხომ დაგვწიწკნიდენ სულ ლუკმა-ლუკმად
და გავხდებოდით ყვავ-ყორნის მსხვერპლად?
არა, შამილო, ქალი სუსტია,
კაცის ოდნობას როგორ შეიძლებს!
ნეტავი ერთი ვაჟი გყოლოდა!

მ ო ხ უ ც ი

ეჰ, რათ მაგონებ დაკარგულ შვილებს?
ვაი მათ მომგონს!.. განა არ მყავდა.
მაგრამ არ შემრჩა! გამიწყდა ყველა!..
სამი ერთს ომში ერთს დღეს მომიკლეს
და ეს თვალებიც მან დამიბნელა;

ცოდვა არ არის, მე კიდევ ვიყო
და ისინი კი?! (სტირის. სიჩუმეა)

ქ ა ლ ი

ნეტავი ერთი
ყმაწვილი ვინმე გეშვილებოდეს,
რომ ჩემთან ერთად შენ ყურს გიგდებდეს,
სულ შენთან იყოს! თავს გევლებოდეს!..
მაშინ მეც...

მ ო ხ უ ც ი

შენ რა? შენ რას იზამდი?..
გამიზიარე შენი გულისთქმა!

ქ ა ლ ი

იმას, რომ... მაშინ მეყვარებოდა
შენი გულისთვის, როგორც ღვიძლი ძმა.

მ ო ხ უ ც ი

ჰმ... მესმის! მესმის, თუ რა ღვიძლი ძმა!

ქ ა ლ ი

როგორ თუ რა ძმა?.. ეგ რა სიტყვაა?

მ ო ხ უ ც ი

ვიცი, რაც არის! განა ვერ მივხვდი?
შენ რომ ძმას ამბობ, ის ძმა სულ სხვაა! (იცინის)

ქ ა ლ ი

ოჰ, რაებს ამბობ! (მორცხვობით) რა დროს ეგ არის?
ბზე შუბის ტარზე გადმოიხარა.

მ ო ხ უ ც ი

მართლა? მაშ ახლა კი დრო ყოფილა,
აბა, ჰე, შვილო, წავიდეთ ჩქარა! (მიდიან)

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი

(ტყიდან გამოდის პ ა ტ ა რ ა-კ ა ხ ი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით)

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი

ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ, რა კარგია
სამოთხის ნიჭი, თავისუფლობა!!
რად მინდა, რომ ვარ ბატონიშვილი?
და რაღად მიღირს უფლისწულობა,
თუ ჩემს ნებაზედ ბიჯსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!..
მძიმე უღელი დავდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულისთქმას!!
(შორიდან სალამურის ხმა მოისმის)
ჩუ!.. სალამური!.. მწყემსია სწორედ.
აი, სად არის ბედნიერება:
სცხოვრებს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება.
(დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს)
ვიშ! რა კარგია ეს სალამური!..
როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას!..
სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს
და აფერადებს მაცდურ ოცნებას!!
მიგვაფრენს სადღაც ლაჟვარდ უფსკრულში,
ედემის კიდით შორეულ მხარეს
და აქ აერთებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს.
(დაფიქრდება და ყურს უგდებს სალამურს)
გაშიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით, დამუქრებული,
მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენის ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩივარი;
მაგრამ იმავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაკებოდეს გრიგალი ქარი,

გადაეღუნოს, გადმოეღუნოს
და მოეთხაროს სულ ძირიანა:
მერე ენახოს მწყემსს წაქცეული,
ხელში აეღოს პატარა დანა
და გამოეჭრას მას სალამური,
რომ მოწყენის დროს სული ჩაჰბეროს,
და მთა და ბარის დასატკბობელად,
ააკვნესოსო და აატიროს...
ეს უნდა იყოს ის მაცდური ხმა,
პირველ მწყემსისგან მოგონებული!
აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი,
ერთად შეთხზული, შეზავებული!..

ხმა ტყიდან

ბატონიშვილო!.. უუუ!

პატარა კახი (შეკრთება)

უჰ, ღვთის რისხვა!
რომ არ მომნახო, არ შეიძლება?!
დარბაისლური ზრდილობით მოხვალ,
რომ მომიწამლო ტკბილი ოცნება!..
უუუ! აქ ვარ!.. აქეთ წამოდი!..

გამოსვლა მეოთხე

იგივე და გივი

გივი

ბატონიშვილო, სად ბრძანდებოდი?
ერთხანს გეძებე ამ უტეხ ტყეში
და, რომ ვერ განახე, შიშით ვკვდებოდი!..

კახი

რამ შეგაშინა? მგელი შემჭამდა?
რისთვის ჩამომრჩი? ვისი ბრალია?

გ ი ვ ი

წინ შემხვდა ერთი მოხუცებული,
იმასთან შევდექ, შემიყოლია.

კ ა ხ ი

მართლა?!. მეც შემხვდა... ვგონებ, გიჟია!
ან დღეს უთუოდ სადმე დამთვრალა:
ფული მივეცი მას სამოწყალო,
იუკადრისა და დამამწყრალა!

გ ი ვ ი

რომ სცოდნებოდა, თუ ვინ ბრძანდებით,
კადნიერებას ვერ გაბედავდა.
მაგრამ ბრმა არის, ის, უსინათლო,
და ბატონიშვილს ვერა ჰხედავდა!..

კ ა ხ ი

გლახაკი, ბრმა და ამპარტავანი?!

გ ი ვ ი

გლახა არ არის, თუმც კი გახლავს ბრმა:
სახელოვანი იყო ის ერთ დროს
და დღესაც სხვაა მაგის გულისთქმა!..
სხვას რამეს ითხოვს მაგისი გრძნობა,
სხვაგან მიჰფრინავს მაგის გონება!
მაგისი ღვაწლი და სამსახური
სამოწყალოთი არ იწონება!..
გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
ჰშვენოდა სიმხნე და მამაცობა...
მტერთან საომრად მაგას დაჰყავდა
დაბალი ბალხი და გლეხკაცობა...
მთაში და ბარში სწორად ნაქებსა,
დღესაც იგონებს მაგას სუყველა,
გასაოცარი ვაჟკაცობისთვის
მეტი სახელი დაარქვეს „გელა“.

კ ა ხ ი

ეგ არის გელა?

გ ი ვ ი

დიახ, ეგ გახლავს.
დაბრმავებულა ერთი ხანია...
მიკვირს, აქამდის რომ ცოცხალია,
რაც მაგას ჰირი აუტანია.
ამდგარა, დადის სოფლიდან სოფლად,
წინ დაუძღვება პატარა ქალი,
და გლეხკაცობას ურჩევს, რომ იმათ
გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი
და მიეშველონ ძმურად ბარელებს.
მტრისგან დაჩაგრულს და დამონებულს!
გულის გასახეთქ საყვედურებით
მათაც აშფოთებს და უღელვებს გულს.

კ ა ხ ი

ხალხი რას ამბობს?

გ ი ვ ი

სიტყვას უჯერებს:
ემზადებიან მტერთან საომრად
და, მეთაური თუ გამოუჩნდათ,
თან მიჰყვებიან ყველა ერთპირად.

კ ა ხ ი

მეთაურიო?.. მერე ბატონი
თეიმურაზი რაღასა ბრძანებს?

გ ი ვ ი

ჯერ ლოცვაშია!.. ხალხს ღმერთს ავედრებს,
და მტერთან ბრძოლას კი აგვიანებს!

კ ა ხ ი

მერე და, არ სჯობს, რომ უპატრონოს
და ყური უგდოს დაჩაგრულ მოყმებს?
ცრემლით ვედრება და წირვა-ლოცვა
მიანდოს მხოლოდ მან წმინდა მამებს?

გ ი ვ ი

ეგ მართალია! მაგრამ ბატონი
გულის ფრიალმა დაასნეულა...
დღეს ქვეყნის თვალი თქვენ შემოგყურებს
და მხოლოდ თქვენზე იმედობს ყველა.

კ ა ხ ი

მე?

გ ი ვ ი

დიახ და თქვენაც გმართებთ სიფრთხილე!..
დღეს ჩაგვაშხამეთ კინაღამ დილა:
დაკოდილ დათვზე ხმალდახმალ მისვლა
ვისგან ნახულა? სად გაგონილა?

კ ა ხ ი

მინდოდა მკლავი გამომეცადა,
ერთის მოქნევით გამეპო, მსურდა,
და ის მაწუხებს, რომ უღონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა.

გ ი ვ ი

რას ბრძანებთ?! მაგრე მტერს რო შემოჰკრათ,
თვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირს.

კ ა ხ ი

ნეტავ პირველად ჩემი მახვილი
მტერს მოხვედროდა და არა ნადირს.

გ ი ვ ი

განა მაგას კი ვერ მოესწრებით?!

კ ა ხ ი

რაღა დროს, ჩემო მოჭირნახულე?
მეჩვიდმეტეში გადამდგარი ვარ!..
თექვსმეტი წელი დღეს შევისრულე.
მაგრამ მორჩილი რომ ვარ ტანადად,
მიტომ ეგონივართ ყველას პატარა
და ნადირობით გინდათ გამართოთ!..

ტყვილა ნუ ჰფიქრობთ!.. ახლა კი კმარა!
საკუთარ ტანჯვად მე მიმაჩნია
ჩვენი სამშობლოს უბედურება
და ვერ ვუყურებ გულდამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!..
რა დროს ლხინია და ნადირობა?!
განა ეს არის დღეს ჩვენი ვალი?!
წადი, მშობლებთან მიშუამდგომლე:
გზა დამილოცონ, მიკურთხონ ხმალი!

გ ი ვ ი (აღტაცებით)

გმადლობ, ღმერთო, რომ ამ დღეს მომასწარ!
ამას ელოდა მოხუცი გივი!!
და ჭირნახული რომ არ წამიხდა.
ბედს არ ვემდური! აღარას ვჩივი!..
ბატონიშვილო, ეგ სიტყვებია,
შენგან რომ მსურდა მე გამეგონა..
მოშეცი ხელი, რომ გეამბორო! (იჩოქებს)
შენ წინ მუხლს ვიდრეკ ერთგული მონა.

კ ა ხ ი

ნუ! ნუ! ადექი!.. ჩემო გამზრდელო!
ეგ შენს ჭაღარას არ ეკადრება... (აყენებს)
მამაშვილური შენი მოხვევა
გულსა სწყურია!.. სულს ენატრება!
(გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)
ახლა კი დროა, ჩემო გამზრდელო,
საქმეს შევუდგეთ... დრო ძვირად გვიღირს!..
რევაზმა რისთვის დაიგვიანა?
საფათერაკო ეგებ რამე სჭირს!..

გ ი ვ ი

არა, ბატონო, თქვენს დაკოდილ დათვს
ის გამოუდგა წეღან კვალდაკვალ...
შორს არ იქნება და, თუ მიბრძანებ,
მე დავუძახებ, ახლავე წავალ!

კახი

კარგი იქნება! მანდ, ვგონებ, ახლოს
მწყემსია ვილაც, სალამურს უკრავს,
და გადასძახე, რომ ჩამოვიდეს,
მაგრამ ნუ ეტყვი ჩემს ვინაობას!
(გივი გადის. კახი დაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ ამბობს)
რაები მითხრა ჩემმა გამზრდელმა?
გული დამწყვიტა და ამიძგერა!..
ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო
რომ ამოვარდეს — სწორედ არ მჯერა!..
მაშინ, როდესაც ბრმაც თურმე სცდილობს,
რომ აუხილოს ქვეყანას თვალი,
მე თავხედობად რათ ჩამეთვლება,
რომ ავასრულო სამეფო ვალი?
თუ მაგაჩემი, ნამდვილი გმირი,
სახელგანთქმული და თავმომწონე,
დღეს სნეულებამ ისე დასძლია,
რომ მიხდილი აქვს ძალი და ღონე..
მე აქ არა ვარ? შვილი არა ვარ?!
იმისი ვალი მე არა მხდება?
რა მშობელია მამა, რომელიც
ნაშობისაგან არ ითავსება?
კმარა მონება! კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთპირად ერი,
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!..
მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

იგივე და მწყემსი (მოუახლოვდება)

მწყემსი

ბატონიშვილო!.. (თავს უკრავს ქუდმოხდით)

კახი

თითქოს მეცნობა!..
გამარჯობა! შენ მწყემსი ხარ, ვგონებ?

მწყემსი

მწყემსი გახლავარ, შენი კვნესამე!
რისათვის მიხმე და რას მიბრძანებ?

კახი

მაგდენს არაფერს! — ის შენ იყავი,
რომ აკვნესებდი წეღან სალამურს?

მწყემსი

მე გახლდი!

კახი

მარტო შენთვის უკრავდი,
თუ სხვაც გიგდებდა აქვე სადმე ყურს?

მწყემსი

ჩემთვის ვუკრავდი, ჩემო ბატონო,
მწარე ნაღველის გასაქარვებლად.

კახი

კი მაგრამ, შენთან რა უნდა ნაღველს?
მთებში დადიხარ აქ თავისუფლად!

მწყემსი

ეჰ, დალოცვილო, რა გამოვიდა,
რომ ვიყო მარტოდ თავისუფალი...
მაშინ, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანას
რისხვით დაჰყურებს მაღლით უფალი?..

კახი

სჩანს, ბარელი ხარ?

მწყემსი

არა, ბატონო!

კახი

მაშ აქაური თუ ხარ, მთიული,
რაღა გაწუხებს ამ სიმაგრეში?

მწყემსი

იქაურებზე შემტკივა გული!..
განა მარტო მე? მთლად მთიულები
იმათი ცოდვით იდაგებიან!
მაგრამ ვერ ჰხედვენ ვერსად მეთაურს
და თავისთავად რას გახდებიან?..

კახი

ბატონი მეფე?

მწყემსი

აქ ამობრძანდა...
თავი აქ მოსცა, ამ სიმაგრეში,
და ბარელები ოხრად დაჰყარა,
სულ უპატრონოდ, თათრების ხელში.
კიდევ კარგი, რომ ამის მნახველი
ჯერ არ იტეხენ მთიულები გულს
და იმედი რამ პატარა-კახის,
როგორც მომაკვდავს, მათ უბრუნებს სულს.

კახი

პატარა-კახის?

მწყემსი

დიახ, ირაკლის.
ძალიან რამეს მოგახსენებენ.
ჯერ მისი საქმე არვის უნახავს,
მაგრამ ისე კი მეტად აქებენ!
განაგონობით... ასე ამბობენ:
გივის გაზრდილი სხვა იქნებაო
და არ შეარჩენს თათრებს ჩვენს სირცხვილს,
ღმერთმაც წყალობა თუ ინებაო.

 კახი

მართლა? მაშ რო სთქვას ბატონიშვილმა:
„მტერზედ მივალო“, ხალხი გაჰყვება?

მწყემსი

განა კაცები მარტო? ქალებიც
თან გაჰყვებიან... არვინ დარჩება!..

კახი

შენც თან გაჰყვები?..

მწყემსი

მე რა დამიშლის?

კახი

ცხვრებს რაღას უზამ, ჩემო ძამია?

მწყემსი

ცხვრებს რაღას დავდევ?.. ამისთანა დროს!..
სუყველა მგლებსაც დაუჭამია.
ნეტავ კი მართლა მოვესწროთ იმ დროს,
რომ წინ გვიძღოდეს ბატონიშვილი
და ქართველებიც თან მოსძახოდენ:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“

კახი

ამინ! გისმინოს ღმერთმა... ინებოს!
ეგრეც რომ მოხდეს, კი შეიძლება... (დაფიქრდება)

მწყემსი (თავისთვის)

მოედვა!.. (სიჩუმე)

კახი

დაცხა!.. წყალი მომწყურდა!.. (მწყემსს)
ახლოს ხომ წყალი არ გეგულება?

მწყემსი

ცოტა შორს გახლავს... კარგი წყაროა,
მაგრამ როგორ ვქნათ? არ გვაქვს ჭურჭელი.

ქ ა ხ ი

აი, თანა მაქვს, აგერ მათარა,
და ეს წაიღე! მოჭიდე ხელი!..
(გადაუგდებს; მწყემსი აიღებს და გაუდგება გზას)
(ფიქრის შემდეგ)
ჰე, ვერა ჰხედავთ, რას ამბობს მწყემსი?
თურმე იმასაც კი სტკივა გული,
რომ უცხო ხალხი შემოგვესია
და ჩვენც თავს ვუხრით სულგანაბული!..
მაგრამ ჯერ კიდევ, მადლობა უფალს,
არ შესჩვევია ხალხი მონებას
და საქვემძრომოდ არ ავარჯიშებს
მონურის ხერხით ჭკუა-გონებას!..
დიახ, მონობას მიუჩვეველი
ჯერ კიდევ გული სხვას გვეუბნება
და სავაუკაცო პირდაპირობას
მოითხოვს მუდამ მტკიცე ბუნება!
ჩვენც თუ ახლავე არ მივაწოდეთ
სამართლიანი მას სულის საზრდო
და ხანგრძლივობამ თავისი კვალი
ნელ-ნელ შეპარვით, ერთხელვე დასდო,
მორჩა, გათავდა... ამოიფხვრება...
ტყუილაღაა მერე იმედი...
და ის სჯობს, ბარემ ახლავე ვნახოთ,
რასაც გვექადის მერმისთვის ბედი.

(დაფიქრდება)

გამოცვლა მეოთხე

ი გ ი ვ ე. რ ე ვ ა ზ დ ა გ ი ვ ი

ქ ა ხ ი

რევაზ? სად იყავ?

რ ე ვ ა ზ

თქვენ დაკოდილ დათვს
გამოვუდექი, კვალში მივყევი.

თუმც სასიკვდილოდ არის დაჭრილი,
მაგრამ გადავლო ის დიდი ხევი
და ჩაიმალა ისეთ ნაპრალში,
რომ ადამიანს არ მიესვლება.

კახი

ყორნები ხომ კი ჩაფრინდებიან?
დეე, ილხინონ, ჰქონდესთ უფლება! (იცინის)

რევაზ

ყორნებს, ბატონო, რომ არ სცალიათ?
ჯერ კაცის ხორცსაც ვერ ერევიან!..
გადაფრენილან აქედან ბარში
და ჩვენს მოძმეებს თავს დასჩხავიან!!

კახი

რევაზ! რათა გაქვს ეგ მწარე ენა?
სიტყვას არ იტყვი, თუ არ დაშხამულს!..
არ იცი, რომ ეგ შენი პასუხი
ეკლად ესობა ჩემ ნაღვლიან გულს?

რევაზ

რა ვქნა, ბატონო, რომ მეც ამ გულში
ჩამგუბებია მწარე ნაღველი
და ტკბილად ვეღარ მისველებს ენას,
რომ ტკბილ რამესი ვიყო მეც მთქმელი!
ღმერთმა ხომ იცის...
(დაინახავს მწყემსს, წყალი რომ მოაქვს და უცბად შეკრთება)

ჰა! ეს ვინ არის?!
ამას რას ხედვენ ჩემი თვალები?
ახლა კი გიცან, ვინც ხარ, შე მხდალო!..
გაჩერდი! ვეღარ დამემალები!
(ხმალს ამოიღებს და მიაშურებს)

მწყემსი

რევაზ! მიცანი? კეთილი! მაგრამ
ხომ არ გაშინებს ჩემი კომბალი?
აჰა, ესეც კი გადამიგდია,

რომ არ წაგიხდეს შენ შიშით თვალი!
გინდა ხელებიც მქონდეს შეკრული,
მაშინაც მაგ ხმლით ვერ შემაშინებ!
დრო გაქვს მოხვიდე ხელცარიელზე,
ძლევა დაგრჩება და გაიცინებ!..

რ ე ვ ა ზ (ხმალს ჩაიგებს)

ჰა, დედაბერო! შენ მაგ სიტყვებით,
იცოდე, დღეს თავს ვერ შემაბრალებ!..
ხანჯალი ხომ გაქვს? ამოჭიდე ხელი!
მეც მარტო ხანჯალს დავატრიალებ.
(იღებენ ხანჯლებს და იწევენ ერთმანეთზე)

კ ა ხ ი

ეი!.. შეჩერდით!.. არ იცით, სად ხართ?
მაგ თავხედობას აქ ვისთან ჰბედავთ?
დაგვიწყებიათ, ან თქვენ ვინა ხართ,
და ან მე ვინ ვარ? ველარა მხედავთ?
ვფიცავ თავს და მზეს დედიჩემისას,
თუ წინ წაგიდგამსთ აწ კიდევ ფეხი,
მაშინ თქვენ ჩემი ძლიერი რისხვა
თავზე დაგატყდესთ, როგორც რომ მეხი!..
გივო! რას ნიშნავს ეს მოქმედება?

გ ი ვ ი

მტრები გახლავან ერთიმეორის!

კ ა ხ ი

ბებურიშვილი?! მტერია მწყემსის?!
ვილაც მეცხვარის, ვილაც მელორის?!

გ ი ვ ი

ეგ მწყემსი ლევან ქვაბულიძეა...

რ ე ვ ა ზ

ჩემი ძმის მკვლელი, ჩემი მოსისხლე!

კ ა ხ ი

მართლა?!

ლ ე ვ ა ნ

მე მოვკალ სწორედ მაგის ძმა,
მაგრამ არა ვარ მაგის მოვალე.
და სასახლიდან გამოგდებული...

გ ი ვ ი (სიტყვას აწყვეტინებს)

აღარ შეეძლო მეფეს ჰხლებოდა.

რ ე ვ ა ზ

ამდენი ხანი თურმე მწყემსებში,
სჩანს, უსირცხვილოდ იმალებოდა!..

ლ ე ვ ა ნ

სცდები!.. არ ეთქმის უსირცხვილობა
იმას, ვინც ჩვენში ამისთანა დროს
ტყეში გაჭრილა ყაჩაღად მისთვის,
რომ ქვეყნის მტრებზე მან ინადიროს.
ურცხვი ის არის, ვინც დღეობებში
ლხინებს უნდება და აშიყობას!..
გლახაკად დავრჩე, ის მირჩევნია,
თუმც კი დიდკაცობ, შენსავით ყოფას.

რ ე ვ ა ზ

თუ კაცი იყავ და წვერი გესხა,
უმალ მე უნდა გამსწორებოდი.

ლ ე ვ ა ნ

პირადი მტერი არა ვყოფილვარ
და უბრალო სისხლს ვერიდებოდი.

რ ე ვ ა ზ

როგორ? ნოდარი შენ არ მოჰკალი?
და ის ჩემი ძმა განა არ იყო?

ლ ე ვ ა ნ

ეს მხარეც ჩემი სამშობლო არის
და ვალად მედვა სისხლი ამეღო.

ك ა ხ ი

რაები მესმის?

ლ ე ვ ა ნ

დიახ, ბატონო!
ის იყო ჩემი გულისტკივილი,
რომ თავს დაგვესხენ მტერნი თუ არა,
მათ მიეკედლა ბებურიშვილი...
ქართველობაზე უშვერდა მათ თითს
და, თავმომწონედ, ქიზიყის მხარეს
ურცხვად აძლევდა ბოროტ მაგალითს!

რ ე ვ ა ზ

სტყუი!.. ის მხოლოდ მტერს იტყუებდა,
თვალებს უბამდა... და დროს ეძებდა...

ლ ე ვ ა ნ

გულში რა ჰქონდა, ეგ ვინ რა იცის,
და საქმით კი სულ სხვას გვიჩვენებდა.

რ ე ვ ა ზ

აგრეც რომ იყოს, შენ არ შეგეძლო
მაინც ჩემი ძმის გასამართლება!

ლ ე ვ ა ნ

ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს,
ყოველ კაცს აქვს სრული უფლება.

გ ი ვ ი

ეჰ, ყმაწვილებო, ყური დამიგდეთ!
უადგილოა სიტყვები მწარე!..
გეტყვით უბრალო ჭეშმარიტებას...
მას დამიმოწმებს ყველა მეცხვარე:
როცა მეცხვარის ძაღლებს მოუვათ
ჩხუბი და მწარედ ერთმანეთს ჰკბენენ,
მაშინ პატრონსაც აღარ ჰზოგავენ,
თუ მიეშველა... მასაც უღრენენ...
მაგრამ იმავ დროს, თუ გაჩნდა მგელი
იმ არემარეს, სადმე მახლობლად,

შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად
იმ მტერს მისდევენ მოსაგერებლად.
თუ კი ოთხფეხსაც ჰქონია, ვხედავთ,
ამდენი გრძნობა და მოსაზრება,
მაშ ადამიანს... მაღალ ქმნილებას,
განა შეჰშვენის და ეკადრება,
რომ მთლად გადაჰყვეს მის პირადობას,
შინაურებზე არისხებდეს გულს
და ვერ ჰხედავდეს. მეტის სიფიცხით,
მის დასაღუპვად მტერს, მასზე მოსულს?
ნუთუ ვერ ჰხედავთ რა დღე გვადგია?
რამ დაგავიწყათ თქვენ თქვენი ვალი?
გინდათ დაჩლუნგოთ თქვენ ერთმანეთზე
მტრის სასიკვდილოდ ნალესი ხმალი?!
ეგ ღალატია და დრო კი სხვას გთხოვსთ...
მიეცით ხელი ერთმანეთს ძმურად
და წმინდა სისხლი ერთად დასთხიეთ
მამულისათვის მამაპაპურად!

ლ ე ვ ა ნ

თუ არ მაგ მიზეზს, სხვას რას შეეძლო,
რომ ქვაბულიძე გამოეცვალა. (ტანზე იხედება)

რ ე ვ ა ზ

აღარას ვიტყვი! დრომდი მოვიცდი!..
რა გაეწყობა: „აღმართს ჰხნავს ძალა!“

კ ა ხ ი

ბებურიშვილო! ვერვინ დაგძრახავს,
რომ გულს გიკლავდეს დამკლისუფლობა
და მიტომ უფრო გეკუთვნის დღეს შენ
მოთმინებისთვის ჩვენი მადლობა!..
შენ, ქვაბულიძევ! კარგად ვერ გიცნობ,
მაგრამ ისე კი ბევრჯერ მსმენია,
რაც შეგმთხვევია ქვეყნის გულისთვის
და ან სიმდაბლით მოგითმენია...
ხომ გაიგონეთ გივის სიტყვები?

იმასთან ერთად მეც პასუხს ველი!
და წინდაწინვე ვიცი, ამ რჩევას
რომ ვერ უარყოფს ვერა ქართველი!
დიახ, თქვენ გმართებსთ, რომ ერთად, ძმურად
მტრის შესარცხვენად მისცეთ ხელი ხელს
და ეაუკაცობა თქვენი მიუძღვნათ
ამ ჩვენს ქვეყანას, როგორც ტკბილ მშობელს,
მინდა, რომ თქვენთან მეც ერთად ვიყო,
საასპარეზოდ მოგცეთ მხარი მხარს
და ჩვენს მაგალითს ყველა მიჰბაძავს,
ვისაც სამშობლო კი სწამს და უყვარს!
მტერი დაგვცინის!.. ჩვენ ხმას არ ვიღებთ!
რა დროს შიშია? და რა დროს ძილი,
წავიდეთ! საქმეს შევუდგეთ ერთად!
ან გამარჯვება და ან სიკვდილი!..
(მიდის და ისინიც თან მიჰყვებიან)

გ ი ვ ი (მარტო)

გმადლობ, უფალო, ახლა კი ვხედავ,
არ წამხდენია მე ჭირნახული!
პატარა-კახის გმირულმა სიტყვამ
რაღაც იმედით ამივსო გული!..
თუმცა უდროოდ დაგვისნეულდა
ძველი არწივი, თეიმურაზი,
და მის შემყურე მამულიშვილებს
გულს სასალბუნო დააჩნდათ ხაზი,
მაგრამ მის ნაცვლად მაღლით ბუდიდან
გადმოფრენილა დღეს შევარდენი!..
ახლა კი დროა სვიმონიეით ვთქვა:
„აწ განმიტევე მე, მონა შენი!“

ფ ა რ დ ა

მოქმედება მესამე

სცენა პირველი

(მაღლობზე შორით ქოშისგორა მოჩანს, ზედ ეკლესიით. თემოზაა. დაბლა ვაკეზე, გზის პირად, მუშები სიმინდს სთოხნიან და მღერიან)

გამოსვლა პირველი

მ უ შ ე ბ ი

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო,
დაგქროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო,
ეუეუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო!

მ ე თ ა უ რ ი

აბა, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე!
ნუ შეჩერდებით ჯერ!.. ნუ დაღალდით!
ეს ერთიც კიდევ ჩამოვუაროთ!
სულ ჯარასავით დაუტრიალდით!..

მ უ შ ე ბ ი

ნუ გეშინია! წაგვიძეს! გასწი!
არ ჩამოგრჩებით ჩვენც, მეთაურო!..

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

ხომ ხედავ, ისეც ალმური აგვდის?..
რათ გინდა, უფრო რომ გაგვახურო?

მ ე თ ა უ რ ი

ჰო! მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ!
დაჰკარით, სანამ მიწაც სველია!..

მ ო ხ უ ც ი

ეს ყველა კარგი, მაგრამ უქმს რომ ვტეხთ,
ეს განა კარგი საქციელია?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

ვითომ რა იცის?

მ ო ხ უ ც ი

როგორ რა იცის?
მაშ აღარ არის მადლი და ცოდვა?
მღვდელმა რა გვითხრა?..

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

მღვდელს რას უყურებ?!
ასე იციან სულ იმათ როტვა.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი

იმან თუ არ სთქვა, ჩვენ კი არ ვიცით,
რომ უქმის ტეხა, მართლა ძნელია!

მ ე ს ა მ ე გ ლ ე ხ ი

ნეტავ რას ამბობ? რა დროს ეგ არის?
გეტყობა, საქმე შემოგელია!
ვერ ჰხედავ, ბარში რა ამბავია?
თესლად მარცვალიც არსად ვარდება!
ჩვენ რომ აქ ახლა უქმეს მივდიოთ,
ბარი შიმშილით ამოვარდება!..

მ ე ო თ ხ ე გ ლ ე ხ ი

ახლა სხვა დროა! ღმერთიც არ გვიწყენს:
შრომა მისივე ნაბრძანებია!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

კარგია ერთი! რაებსა ჰბოდავ?
ვგონებ, სიზმარი დაგზმანებია!..

მ ე თ ა უ რ ი

გაუსვით ჩქარა!.. ტყვილა ნუ სცდებით!
ცოდვა ჩემს თავზე მე მიმიღია!

ახალგაზრდა

აბა, დავიწყოთ ისევ მუშური
და ბანი გვითხარ შენ, პირაღია!..

მუშები

ყანაო, გულ-ხელგაშლილო,
ქვეყნის მოკეთევ, ყანაო!
მოყვრულად შემოგსევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა,
გაგთოხნით ყოველგანაო...

(ბუკს აყვირებენ)

ახალგაზრდა

რა ამბავია?

მეორე გლეხი

რა უნდა იყოს?
ხატობაა და ბუკს აყვირებენ.

ახალგაზრდა

ვითომ რათაო?

მესამე გლეხი

აყვირონ, თვარა
მაგითი ყეენს გააკვირებენ...

მოხუცი

გელა იქნება! უთუოდ უნდა
შეჰყაროს ხალხი და უთხრას რამე...

მეთაური

აბა, ბიჭებო... გაუსვით ჩქარა!..
მომყევით წყობით (ახალგაზრდას), შენც მხარი მამე!

მუშები

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბრძანაო!

აგშორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!..
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო.
ყანაო, ჩემო ყანაო!
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო. (შეჩერდებიან)

მ ე თ ა უ რ ი

ბიჭოს!.. სამხრობა წამოგვპარვია!..
ახლა კი დროა, რომ შევისვენოთ!..
წავიდეთ ჩრდილში! სამხარი გველის,
მოეწყინება მარტო, უჩვენოდ!..

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

აბა, ჰე!.. მოდი, წავიდეთ ერთად!
თუ მაგრე არის, უნდა ვუშველოთ!

მ ო ხ უ ც ი

სწორედ არ გვაწყენს, რომ ცოტა ყელი
ჩვენც ჩავიწმინდოთ და ჩავისველოთ. (მიდიან)

გამოსვლა მეორე

მ ო ხ უ ც ი დ ა ყ მ ა წ ვ ი ლ ი ქ ა ლ ი

მ ო ხ უ ც ი

სად ჩამოვედით?

ქ ა ლ ი

ყანაში!

მ ო ხ უ ც ი

მერე?
რატომ მუშები აღარ მღერიან?

ქ ა ლ ი

წასულან იქით, სამხრად დამსხდარან,
აგერ მუხის ქვეშ, ჩრდილში არიან!..
მივიდეთ?

მ ო ხ უ ც ი

არა, სჯობს მოვუცადოთ,
აქავე მოვლენ, რომ ისამხრებენ. (სხდებიან, სიჩუმეა)

ქ ა ლ ი

ამდენხანს თემი რომ არ იშლება,
რა ამბავია? რას უყურებენ?

მ ო ხ უ ც ი

აწ, სადაც არის, დაიძვრის ხალხი;
ქვეითად ამ გზით ჩამოივლიან.

ქ ა ლ ი

ცხენდაცხენ რატომ არავინ მოდის?

მ ო ხ უ ც ი

ჩვეულებაა და ვერ შესცვლიან!
ქვევით ბარში ჰყავთ დაყენებული
დიდკაცებს მათი ბედაურები...
წესის გატეხა ძნელია, შვილო!
სასწაულს აგრე ნუ ეხუმრები.
იჰ, ვენაცვალე იმის ძალს და მადლს,
რომ არ სჩვევია კაცის გარჩევა.
გინდ დიდი იყოს, გინდა პატარა,
ერთია მისი რისხვა-კურთხევა!..

ქ ა ლ ი

რა ხალხი იყო!!

მ ო ხ უ ც ი

სულ დიდკაცობა!..
ბატონიშვილიც იქ ბრძანდებოდა?

ქ ა ლ ი

ასე ამბობენ... იმდენი სული
სუყველა იმას შესჩერებოდა!

მ ო ხ უ ც ი

შენ რომელს უფრო შესჩერებოდი:
იმას თუ იმის ვილაც შინაყმას?
ჰა?.. რათ გაჩუმდი? რაღათ მიმალავ
გულისპასუხებს შენს მშობელ მამას?

ქ ა ლ ი

აკი გითხარი!

მ ო ხ უ ც ი

ჰმ... სულ ის იყო?
სწორედ მაკვირვებს, სად მიგიგნია?
და დიდიკაცის შვილი რო იყო,
ვითომ აქამდის არა გცოდნია?

ქ ა ლ ი

რას მივხვდებოდი და რა ვიცოდი?
უბრალო მწყემსად თავს მაჩვენებდა.
უკან დაგვდევდა ყველგან ლანდივით,
გზაში გვხვდებოდა, არ მასვენებდა.

მ ო ხ უ ც ი

პირველად, შვილო, სად გაიცანი?

ქ ა ლ ი

არ გახსოვს, ძაღლი რომ მოგვიგერა?!

მ ო ხ უ ც ი

მაშ იმ ტყეშიაც ხომ ის არ იყო,
უეცრად გული რომ აგიძგერა?..
ახლა კი მესმის!.. ესეც მითხარი:
მწყემსურად რაღათ იმოსებოდა?

ქ ა ლ ი

აკი გაიგე წუხელი?! თურმე
ბატონის რისხვას ემალებოდა.

მაგრამ, რაღაი ბატონიშვილმა
იცნო, ვინც იყო, და თან იახლა,
ტანისამოსი გამოიცვალა
და თავსაც აღარ იმალავს ახლა.

მ ო ხ უ ც ი

შენ რაღა გითხრა?

ქ ა ლ ი

რა უნდა ეთქვა?
ფიცი ხელახლად გამიმეორა.

მ ო ხ უ ც ი

ეგები უნდა გაცდინოს, "შვილო,
და ყმაწვილურად რამე მოჭორა?..
თორემ სად ჩვენ და სად დიდი კაცი?
შორი-შორს გვიძევს, შვილო, საზღვარი!
შენ არ შეგირთოს, განა ცოტაა
თავადის ქალი გასათხოვარი?

ქ ა ლ ი

ის ასე ამბობს, რომ სიკვდილამდე
არ გაგეყრები... ჯვარს დავიწერო.

მ ო ხ უ ც ი

აჰ, არა "შვილო, გულში ნუ იდებ
მაგ სიტყვებს!.. სჯობს, რო არ დაიჯერო!

ქ ა ლ ი

იცი, რა მითხრა: „გელას ქალი ხარ,
მერე დედოფლის მონათლულიო
და, რომ შეგირთო, ვერვინ დამძრახავს,
ვერც მცირე და ვერც დიდებულიო!“

მ ო ხ უ ც ი

ეგ მართალია!.. ღმერთმა ქნას, შვილო!
მაგაზე კარგი რაღა იქნება?

ქ ა ლ ი

არა, მამილო, რომ არ მატყუებს,
გული მარწმუნებს და მეუბნება.

მ ო ხ უ ც ი

რატომ აქამდის არ მითხარი რა?

ქ ა ლ ი

მეუბნებოდა: „ჯერ დავფაროთო,
მერე უეცრად, ჯვარისწერის დროს,
მოხუცი მამაც გავახაროთო!“

მ ო ხ უ ც ი

ქრისტემ ახაროს და აძლიეროს,
თუ ცბიერობით არ ამბობს ტყუილს!..
ქვაბულიძეა... სიტყვა, ვგონებ, რომ
დაეჯერება მამამისის შვილს!!.
მამამისს ზაალს კარგად ვიცნობდი,
ერთხელ სიკვდილსაც გადავარჩინე,
როდესაც ტურა რამაზიშვილი
მის წინ სატევრით ძირს დავაწვინე.
თუ არ მომეკლა, ჰე, ის-ის იყო
ზაალს მოჰკლავდა ის მოღალატე,
მაგრამ მივასწარ, დღე დავუმოკლე
და იმისი დღე ზაალს შევმატე.
ის რომ მოვკალი, მისი წუნკლები,
ლეკებიც, შეკრთენ... გაიქცა ყველა!..
და მეტსახელად მაშინ დამერქვა
ვაჟკაცობისთვის გულადი „გელა“.

გამოსვლა მესამე

(რევაზ ბებურიშვილი და თედო რამაზიშვილი ჩამოიცლიან და
შორიახლოს დგებიან: ათვალიერებენ ქალს)

რ ე ვ ა ზ

ეს არის? მართლა კარგი ყოფილა!..

თ ე დ ო

მე განა ტყუილს მოგახსენებდით?..
კარგია, მაგრამ რა გამოვიდა?
ამ დაწყევლილთან რომ ვერას გავხდით!

რ ე ვ ა ზ

ეგები, ბიჭო, თავპატიჟს იდებს:
მაგითი უნდა მეტი დაგვცინცლოს!..

თ ე დ ო

რა ბრძანებაა! ცოტა ვაძლიეთ?
არ მიმიკარა, არ იქნა, ახლოს!
იმდენი ფული და სამკაული
გადმომიყარა, თავში მახალა!
„მე შენი გულის არ გავხდებიო!..
დამეთხოვეო!“ შემოგითვალა.

რ ე ვ ა ზ

ნეტავ რას ნიშნავს ეგ გულმაგრობა?

თ ე დ ო

ლევანზე არის გადარეული:
იმას იგონებს, იმაზე ჰფიქრობს
და მისთვის უძგერს უტყუვრად გული.

რ ე ვ ა ზ

მე კი ლევანზე რაღა ნაკლე ვარ?

თ ე დ ო

მეც ეგ არ მიკვირს! მაგრამ თვალია:
ჯერ ერთს შეჰხედავს, მოეწონება,
მერე მეორეს... ეგეც ქალია!..
მე კიდევ ისევ იმ აზრზედა ვარ:
რომ მოვიტაცოთ, კარგი იქნება!
მაგრამ ლევანი გადაირევა,
რომ გაიგონებს და ეწყინება!..

რ ე ვ ა ზ

ლევან ვინ გდია? იმას რას დავდევ?
ნეტავ შემეძლოს, გულზეც გავხეთქო!
ერთხელაც არის, ხომ უნდა შევხვდეთ...
და სასიკვდილოდ უნდა ვაფეთქო.
მე იმას ვფიქრობ, რომ სასახლეში
ეუცხოებათ, გაჯავრდებიან!..

თ ე დ ო

თათრობა არის... მათ დაჰბრალდება...
ეჭვს ვინ აიღებს? რას მიჰხვდებიან?
სულ მარტოდმარტო, შორს მთაში ცხოვრობს
მოხუცებული ჩემი მამიდა...
რომ მოვიტაცოთ, იქ მივიყვანოთ
და იქ დავმალოთ! მეტი რა გვინდა?
მაშინ სულ სხვაა... მამიდაჩემი
დაგვეხმარება, რაც შეიძლება...
და დაგნებდება, როცა იქნება:
ქალია, გული გამოეცვლება.

რ ე ვ ა ზ

კარგი, მაგრე ვქნათ! რა გაეწყობა?
უნდა ვუცადოთ უნებურად დროს!
ახლა კი უნდა ისევ წავიდეთ,
ბატონიშვილმა არ ჩამოგვასწროს! (მიდის)

თ ე დ ო

ჰმ, გელავ! გელავ! მე შენი სისხლი,
დიდი ხანია, უნდა ამეღო,
მაგრამ, ბრმა რომ ხარ, დრომდის ვიცდიდი, —
და მოთმინება ახლა კი მეყო!
რომ მომეკალი, რა იქნებოდა?
რაღას ჰგრძნობს კაცი, როცა გაქრება?
არა, ამგვარად ვალის გადახდა
არ იქნებოდა შურისძიება!!.
ქალის დაკარგვით, ამ სიბერის დროს,
უნდა დაგტანჯო და გაგამწარო

და მამიჩემის მკვლელის, ამგვარად,
გულიდან ჯავრი ამოვიყარო!..

გამოსვლა მეოთხე

ჩამოდიან გივი და ბაადური

(აყვანილი მოპყავთ)

ბ ა ა დ უ რ

სადა ხარ, ჩემო ყმაწვილკაცობავ?...
როგორ დავკუტდი!.. როგორ დავბერდი!..
სადღაა ის დრო, ჯეირანივით
აქ რომ ავირბენ-ჩამოვირბენდი?!

გ ი ვ ი

შეც მაგას ვჩივი, ჩემო ბაადურ!
ვინ დაგვიბრუნებს ისევ გაზაფხულს?!
მხოლოდ სხეული ძალას ვერ ატანს,
თორემ სურვილი შერჩენია ვულს!

ბ ა ა დ უ რ

შენ კი რა გიჭირს ჯერ, ჩემო გივო?
მაინც ვერ დაგრევს ჯერ ხელს ჭაღარა...
მე თუ ასე ვარ... განა სიბერით?
უფრო ჭრილობამ დამასაპყარა.
რაღა ვარ ახლა? აღარ ვეკუთვნი
აღარც აქ ცოცხლებს და აღარც იქ მკვდრებს!..

გ ი ვ ი

ცოტა მიგიძღვის განა აქ ღვაწლი?
უმსახურობას ვინ დაგაყვედრებს?!.
რასაც გვინიშნავს ბედის ვარსკვლავი,
გადუვალია ჩვენ თავზე ყველა... (სიჩუმეა)
ჩვენ რომ ვეძებდით, ა, სად ყოფილა!
აქ ჩამოსულა, აგერ ზის გელა.

ბ ა ა დ უ რ

აქ არის? მართლა, მაშ ვიმიყვანეთ!
აღარ მინახავს დიდი ხანია...
ბრძოლის ველიდან ბევრი დაჭრილი
ორივეს ერთად გაგვიტანია.
(ქალი განზე მიდგება. მიიყვანენ.)
ვის ვხედავ კიდევ? გმადლობ, უფალო!
ჰა! გამარჯობა! რასა იქ, გელა?

გ ე ლ ა

ღმერთმა გაცოცხლოს, მაგრამ ველარ გცნობთ:
უსინათლო ვარ... ჩემთვის დღეც ბნელა.
ხმასაც რომ ველარ ვარჩევ, ბატონო?!
შელახული მაქვს სიბერით ყური...
ცოტათი, ვგონებ, კი მენიშნება:
ხომ არ ბრძანდებით თქვენ ბაადური?

ბ ა ა დ უ რ

გამოიცანი! სწორედ ისა ვარ!
შენ ბრმა ხარ და მე დაკუტებული!..
სხვებ ხომ კარგად ხარ? რასა იქ, გელა?
არ გაგტეხია განა ჯერ გული?

გ ე ლ ა

გული რომ მერჩის, იმის ნახევრად,
ნეტავ, მიჭრიდეს ძალი და ღონე.

ბ ა ა დ უ რ

გული მეც მერჩის, მაგრამ სიბერეს
თავი მივეცი და დავემონე...
წავიდა, გელავ, ჩვენი დრო, გაქრა,
სულ სხვა დრო არის და სხვა კაცები!..

გ ი ვ ი

მეც ეგ მაწუხებს, ჩემო ბაადურ,
და გულს მიწყლულებს, ღმერთს გეფიცები!..
დროსაც სცოდნია დაჩიავება:
აღარავინ ჰგავს თავის წინაპარს...

და ამ მიზეზით წაქეზებული
შემოგვეხვია მტერი მედგრად გარს.

ბ ე ლ ა

არა, უფალი სულ არ გასწირავს
ღვთისმშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!
მხოლოდ გამოსცდის, რომ შეცოდება
მან იგულისხმოს და შეინანოს!..
(ქუდს იხდიან და პირჯვარს იწერენ)

გაგოსვლა მეხუთე

პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი, რ ე ვ ა ზ, ლ ე ვ ა ნ, თ ე დ ო დ ა ს ხ ვ ა მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი

კ ა ხ ი

ხედავთ, ბებრები სადა ყოფილან?
ეგერ თავისთვის ლაპარაკობენ!..

რ ე ვ ა ზ

უთუოდ ახლა ჩვენს დროს ჰკიცხავენ
და თავისას კი დიდად ამკობენ!

კ ა ხ ი

განა არა აქვთ, რომ ვთქვათ, სიმართლე?

რ ე ვ ა ზ

კი მაგრამ, მაგით რა გაკეთდება?

ლ ე ვ ა ნ

ძველი ამბავი მოხუცებულებს
სულსა და გულზე მალამოდ ხვდება.

კ ა ხ ი

ეგ მართალია! (გაჰხედავს) ე, დაგვინახეს...
გივი წამოდგა... მოხუციც დგება.
მივიდეთ, ვუთხრათ თქვენი ამბავი,
რომ გაიგონებს, გივს იამება! (მიდიან)
გივო, ერთ რამეს გიმახარობლებ,

რაღა თქმა უნდა, რომ გიამება!
ლევან და რევაზ დღეს შევარიგე
და მათი შულლი აწ გათავდება.
ერთიმეორის დაშორებული,
აქამდის მეტის შურით და მტრობით,
დღეიდან უნდა შევაკავშირო
საშვილიშვილოდ ტკბილის მოყვრობით:
ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ქვაბულიძემ
ცოლად შეირთოს ამ რევაზის და...

ქ ა ლ ი

უი! (ხელებს მიიფარებს პირზე)

ყ ვ ე ლ ა ნ ი

რა იყო, ნეტავ, რა ამბავია? (მისცვივდებიან)

კ ა ხ ი

რამ შეგაშინა, ქალო, რა მოხდა?

მ ო ხ უ ც ი (თავისთვის)

ვიცი, რაც არის! (ქალს) რას შერები, შვილო?

ქ ა ლ ი

ბუზი!.. კინალამ ბუზმა მიკბინა!..

ლ ე ვ ა ნ

ბუზი კი არა, ფუტკარი იყო,
მეც დავინახე! რამ შეგაშინა?
მაგის ნაკბენი დიდხანს არ გასტანს,
წყლული ადვილად მოგიშუშდება!
ახლა რომ გულში ჩაითქვა რამე,
გამიგონია, აგისრულდება.

კ ა ხ ი

იცი ვინ არის ეგ ქალი, ლევან?

ქ ა ლ ი (თავისთვის)

რა მომივიდა, ვაი სირცხვილო!..

რ ე ვ ა ზ

გელას ქალია. (ხელს აღებს გელას)

კ ა ხ ი

გელა ეგ არის?

გ ე ლ ა

გახლავარ, ჩემო ბატონიშვილო!..

გ ი ვ ი

დიახ, ეს გახლავსთ და მისი ქალიც
ბატონ-დედოფლის მონათლულია!

გ ე ლ ა

სწორედ!.. და ესეც, დიდი ხანია,
მისი დანახვის მონატრულია.

კ ა ხ ი

მართლა? მაშ რატომ თავის ნათლიას
არ ამოუყვან და არ აჩვენებ?
იცოდე, ხვალვე ამოიყვანე
და დღეს კი დედას მე მოკახსენებ.
(ქისას იღებს და უპირავს ხელში)
შენ, ჩემო გელავ, გუშინაც შევცდი.
რომ მოგაწოდე ეს სამოწყალო...
მაგრამ ნათლულს კი ნება მაქვს მივცე:
ჰა, გამომართვი ეს ქისა, ქალო!

გ ე ლ ა

ბატონიშვილო, ნუ გამიწყრებით!
ვინ ბრძანდებოდით, არ გამიგია,
თორემ, ვიცი, რომ თქვენი წყალობა
ტალახიანი ჯოხიც კარგია.
სადა ხარ, შვილო? მოდი! იახელ!
და მოეხვიე მუხლებზე ბატონს
ღმერთი მოხედავს მაგ შენს ობლობას
და გამოგვიჩენს მფარველს და პატრონს!
(ქალი უპირებს მოხვევას, ირაკლი არ აძლევს ნებას)

კახი

მაგას ნუ იზამ, სულიერო დავ!
მოდი, როგორც ძმას მომხვიე ხელი!
(თვითონ მოჰხვევს ხელს ქალს და ჰკოცნის)
აბა, მოხუცო, არ დაგავიწყდეს!
ხვალ სასახლეში უთუოდ გელი!.. (მხლებლებს)
დროა წავიდეთ აწ, ყმაწვილებო!

რევაზ

თქვენი ნებაა! როგორც გვიბრძანებთ!..

გივი

ჩვენც გამოგყვებით, ჩემო ხელმწიფევ!

ბაადურ

ვიახლოთ, ნურც ჩვენ დავიგვიანებთ!
(მიდიან, რევაზ და თედო ჩამოსხდებიან)

რევაზ

რა უთხრა გელას ბატონიშვილმა,
ხომ გაიგონე, ახლა შენ იცი!
სულ ორი ბიჭი და ერთი ცხენი...
ჩამოართვი კი ორივეს ფიცი! (მიდის)

თედო

მესმის, ბატონო! განა არ ვიცი?
ეგ სულ ადვილი სამსახურია... (თავისთვის)
მეც გადაგიხდი სამაგიეროს,
გელავ, მე შენი სისხლი მწყურია!..

გამოსვლა მეექვსე

მოხუცი და ქალი

მოხუცი

შვილო, რა იყო, რომ შემარცხვინე?

ქ ა ლ ი

რა ვქნა, მამილო, უეცრად შეკრთი!

მ ო ხ უ ც ი

აკი ვამბობდი: ტყუილია-თქო!
გენიშნა, განა? ახლა ხომ მიხვდი?
რაღა რევაზის დას დანიშნავდა,
თუ ნდომებოდა ჯვარის დაწერა?..

ქ ა ლ ი

არა!.. მგონია, აქ სხვა საქმეა,
რომ მიღალატოს, მაინც არ მჯერა.
ფუტკრის არაკი რომ მოაყოლა,
ჩემ გასაგონად სთქვა და არა სხვის!
ა, აგერ მოდის, დაბრუნებულა,
და ვნახოთ, თვითონ, აბა, რას იტყვის?

გამოსვლა მეშვიდე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ლ ე ვ ა ნ (მობრუნებული)

ლ ე ვ ა ნ

დავბრუნდი, რომ შენ გისაყვედურო:
ისე შეკრთომა განა იქნება?

ქ ა ლ ი

გული ბუდიდან ამომივარდა!
ახლაც კი მიძგერს!.. შენ გეცინება?..

ლ ე ვ ა ნ

სჩანს, არ ყოფილხარ ჩემ სიყვარულზე
ჯერ კიდევ კარგად დარწმუნებული,
თორემ რას დასდევ, ვინც რა უნდა სთქვას?
ნუთუ საგულეს არა გაქვს გული?

გ ე ლ ა

გაფიცებ, ლევან, მამიშენის სულს,
ამ საცოდავ ქალს ნუ ეხუმრები!

მართალი არის, ბრმა კი ვარ. მაგრამ
გონების თვალით ჯერ ვიყურები:
თქვენ მხოლოდ ხუმრობთ...

ლ ე ვ ა ნ

(სიტყვას აწყვეტინებს) როგორ თუ ვხუმრობ?
ვგონებ, თვითონ შენ მწუნობ სასიძოდ!

გ ე ლ ა

ბე თქვენს სიძობას ვერ დავიჯერებ,
რა ვქნა? ხატზედაც რომ შემომფიცოთ!..

ლ ე ვ ა ნ

შენ, ჩემო გელავ, კარგად ვერ მიცნობ:
სიტყვის გატეხას არ ვარ ჩვეული
და სათამაშო, საბავშვო ბურთად
არ მიმაჩნია ეს ჩემი გული!
უცნაურ ძალით და უნებურად
შემყვარებია ეგ შენი შვილი,
და რაღა გაგვყრის ამიერიდან
უკუნისამდე, თუ არ სიკვდილი?

გ ე ლ ა

კარგი!.. იმაზე მაშ რაღას იტყვით,
ბატონიშვილმა რომ აქ გიბრძანა?

ლ ე ვ ა ნ

იმან რო ბრძანა, მერე რააო?
ვალდებული ვარ დავთანხმდე განა?
თუ საჭიროა, მე და რევაზის
შეკავშირება და დამოყვრება,
მეც მყავს ერთი და: განა ელენე
რევაზს საცოლოდ არ ეკადრება?
იმათ საცოლ-ქმროდ დაახლოვებას,
რაღა თქმა უნდა, რომ მეც ვეცდები!
და, თავის დროზე, ჩემ საიდუმლოს
ბატონიშვილსაც გამოვუტყდები!

ქ ა ლ ი

მაშ არ შეირთავ იმ რევაზის დას?

ლ ე ვ ა ნ

რომ მკითხავ, თვითონ ვერა გრძნობ განა?

ქ ა ლ ი

ვიცი!.. ვიცი, რომ არ მომატყუებ,
გინდა გაცრუვდეს ცა და ქვეყანა!
მაგრამ მამა კი ვერ დავაჯერე,
გულგატეხილი სხვას მეუბნება!

ლ ე ვ ა ნ

ნუ გაუგონებ, ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო იმედო, ჩემო ოცნებავ!
მოხუცი ყველა იქვიანია
და არ იჯერებს, რაც მართალია...
მაგრამ ხომ ნახავს?.. ახლა მშვიდობით!
მათ უნდა დავწვდე, არა მცალია! (მიდის)

ქ ა ლ ი

აბა, რას იტყვი, ხომ გაიგონე?
მაგის სიტყვები არც ახლა გჯერა?

გ ე ლ ა

რა ვიცი, შვილო... ველარას ვიტყვი!
შემთხვევა არის და ბედისწერა...

გამოსვლა მერვე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ უ შ ე ბ ი მ ო ვ ლ ე ნ

მ უ შ ე ბ ი

ჰაა... გამარჯობა! რასა იქ, გელა?
არაფერს გვეტყვი დღეს ახალ ამბავს?

გ ე ლ ა

ცოტა რომ ადრე მოსულ-ყავით,
თვითონ ნახავდით კაი სანახავს:
აქ ბრძანდებოდა პატარა-კახი
დარბაისლებით... დიდის ამალით!

მ ო ხ უ ც ი გ ლ ე ხ ი

მართლა? ნეტავ ერთი მენახა
მობრძანებული აქ, ჩემის თვალით!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

მართლა რომ კარგი სანახავიყ!..

მ ე თ ა უ რ ი

რაო? რა ბრძანა? რასა ჰფიქრობენ?

გ ე ლ ა

გაუკრავსთ პირი თავადიშვილებს!..
რაღაცა ამბავს კი აპირობენ...
ამბობენ: „ქმარა, რაც ურჯულოებს
ვემონებოდით ამდენსანსაო!
ახლა კი დროა, რომ მათი სისხლით
წითლად ვღებავდეთ ალაზანსაო!“

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

ეტყობა, ახლა აღარ ხუმრობენ.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი

ემზადებიან!..

მ ე ს ა მ ე გ ლ ე ხ ი

ჩვენ რაღას ეშვრებით?

მ ო ხ უ ც ი გ ლ ე ხ ი

რაღა უნდა ვქნათ? ჩვენც კაცები ვართ
და ქუდი გვხურავს, რათ ჩამოვრჩებით?

მ ე ო თ ხ ე გ ლ ე ხ ი

განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ?

მ ე ს ა მ ე გ ლ ე ხ ი

ან უკან როდის დაგვიხევია?..

მ ე თ ა უ რ ი

მათ ხმალთან ერთად უჭრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხევია.

მ ო ხ უ ც ი

კი, მაგრამ ყველას რომ აღარა გვაქვს
თოფ-იარაღი?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა

რათ გვინდა მეტი?
ჩარეულ ომში რაღა ნაკლეა
შენს ხმალ ხანჯალზე ქვები და კეტი?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

ცული და წალდი ხომ ყველასა გვაქვს?

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი

და ეს კი განა არ გამოდგება?..

(უჩვენებს თოხს)

პირიც კარგი აქვს, ყუაც კარგი აქვს,
გამომდგარია... რათ უნდა ქება?..
ვითომ გიმტყუნოსთ?!. თქვენ არ მომიკვდეთ!
ნუ გეშინიათ, დაატრიალეთ!

გ ე ლ ა

თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
რომ მაგას ამბობთ!.. თქვენ გენაცვალეთ!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

ჩვენი მამები თუკი ომობდენ,
იმათზე ნაკლე ჩვენ რიღათი ვართ?
თუ წინ წამძღოლი ვინმე გვეყოლა,
გულდაგულ მივალთ!.. ყველა მზადა ვართ!

გ ე ლ ა

წინამძღოლს ეძებთ? მე, აქ არა ვარ?..
რათ გავიწყდებათ ნაცადი გელა?

მ ე თ ა უ რ ი

კი, მაგრამ, დღეს რომ ვეღარა ხედავს,
საუბედუროდ მისათვის ბნელა?!

გ ე ლ ა

ეგ არაფერი!.. მართალი არის,
ვეღარას ვხედავ, დამიდგა თვალი,
მაგრამ, სანამდის გვერდში მიდგია
და ხელსაც მკიდებს ეს ჩემი ქალი,
არა მიჭირს რა, ისევ გულადად
მივეგებები ჩვენი ქვეყნის მტერს.
გელას დანახვა ჩვეულებრივად
მათ შეაშინებს და შეუცვლის ფერს.
თქვენ კი მომყევით!.. მაგრამ ჯერ უნდა
ჩვენს მეზობლებსაც შევატყობინოთ
და სავაჟკაცო ჩვენი განზრახვა,
წასაქეზებლად ყველგან მოვფინოთ.
არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრად სდგას, როგორც რომ მუხა:
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმც შეაწუხა...
„მუმლი მუხასა“ მუშურს რომ ვამბობთ,
არ ვმღერთ უაზროდ და უადგილოდ.
არა, იმაში სიბრძნეა ხალხის,
გადმონაცემი საშვილიშვილოდ.

მ უ შ ე ბ ი

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ მაგრე გიჭრის ჭკუა, გონება!
ეგ შენი კარგი სიტყვა-პასუხი,
გულს რომ გვიმთელებს, სულს ეფონება!
წავიდეთ, აბა, რაღას ვგვიანობთ?

მ ე თ ა უ რ ი

მართლა, აწ დროა წავიდეთ ყველა!
ეს გზა სიმღერით გადავიაროთ!
აბა, წაგვიძეხ ისევ შენ, გელა!..

(თოხებს გაიდებენ მხარზე. გელა ქალს მიჰყავს წინ და სიმღერით მიდიან)

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო!
გარს ეხვეოდაო,
ვერას აკლებდაო!
მუმლი წყდებოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
ხე არ ხმებოდაო,
ხედვე რჩებოდაო!
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო!

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

სასახლის წინ

გამოსვლა პირველი

რ ე ვ ა ზ დ ა ს ა ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი

რ ე ვ ა ზ

ჯერ გამობრძანდა მეფე, თუ არა?

კ ა ც ი

იქა ბრძანდება დარბაისლებით,
გივი თან ახლავს და ბაადურიც
ახლა შევიდა.

რ ე ვ ა ზ

ჩვენც ვიასლებით.

კ ა ც ი

ვერა, ბატონო! არ შეიძლება!..
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მიეიღო.

რ ე ვ ა ზ

ბატონიშვილის მოციქული ვარ
და როგორ მიშლი? რას ამბობ, ბრიყვო?!

კ ა ც ი

მაინც ვერ შეხვალთ, ჯერ მოიცადეთ!

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა თ ე დ ო შ ე მ ო ი ჭ რ ე ბ ა

თ ე დ ო

ბატონო! გეძებთ თავქუდმოხდილი...
სასახლეშიაც გახლდით, ვერ გნახეთ!
ლამის გავგიჟდე მე ცოდვის შვილი.

რ ე ვ ა ზ

რა ამბავია?

თ ე დ ო

რაღა რა არის?
ვერა ვარ კარგი მახარობელი!..

რ ე ვ ა ზ

მოკვდა?

თ ე დ ო

ავადაც არა ყოფილა,
იმას წაუწყმდეს შემქმნელ-მშობელი!

რ ე ვ ა ზ

და ეგ არა სჯობს?

თ ე დ ო

ოჰ, როგორ თუ სჯობს?
ამდგარა ჩუმად და გაპარულა!

რ ე ვ ა ზ

სად გაპარულა?

თ ე დ ო

ღმერთმა ნუ იცის...

რ ე ვ ა ზ

მერე მამიდა?..

თ ე დ ო

მოტყუებულა!..
ახლა კი ტირის და თავში იცემს,
მაგრამ ტირილით რაღას გააწყობს?
დილას მდევრები გამოვუყენე...

რ ე ვ ა ზ

ეტყობა კარგად იცნობს ავადმყოფს!
შენ რაღას უცდი! წადი, მონახე!
უმისოდ ნულარ დამენახვები,
თორემ ურმით გდევ!..

თ ე დ ო

წავალ, ბატონო,
თუ ვერ ვიპოვნე, თან გადავყვები!
(მიდის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

რ ე ვ ა ზ, ლ ე ვ ა ნ შ ე მ ო დ ი ს

ლ ე ვ ა ნ

რას შვრები, რევაზ? ბატონიშვილი
მოულოდნელად მიელის პასუხს!

რ ე ვ ა ზ

რომ არ შემიშვეს?!. დარბაისლები
შეუყვანია და გული უწუხს.
შეყრილან ერთად ნათესალები
და მეფე იმათ ეთათბირება!..

ლ ე ვ ა ნ

რა დროს ეგ არის! იმ დალოცვილმა
არ იცის ახლა რა გვეჭირვება?

რ ე ვ ა ზ

კიდეც ეგ არის, რომ კარგად იცის,
გულსაც ეგ უტეხს და ეგ აღონებს;
სიფრთხილე ჰმართებს ამისთანა დროს
და პატარა-კახს რას დაუჯერებს?
მართლაც თათრებთან პირდაპირობა,
უნდა გამოვტყდეთ, საეჭველია!..

ლ ე ვ ა ნ

მე ალისკანტი უფრო მაფიქრებს:
ლეკებთან ბრძოლა უფრო ძნელია!..

რ ე ვ ა ზ

მეც მაგას ვამბობ... ამდენი ჯარი
ერთად ჯერ კახეთს არ მოსდგომია.

ლ ე ვ ა ნ

მეტი რა გზაა? უნდა გავბედოთ!..
ერთი წამალი მხოლოდ ომია!
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით,
მოვიდეს, რაც რომ მოსასვლელია!..
თორემ ამდენი ტანჯვის ატანა
სწორედ სიგლახე-სისულელეა!..

(ცოტა სიჩუმის შემდეგ ხელს დაადებს რევაზსა)

რევაზ! მე ერთი სათხოვარი მაქვს,
ის უნდა გთხოვო და ამისრულე!
თუ გამაწბილო და დაივიწყო,
ღვთის და კაცის წინ იყო მოვალე!

რ ე ვ ა ზ

რა?

ლ ე ვ ა ნ

ალისკანტის ჯინი მიჭირებს,
იმან მომტაცა სწორედ ის ქალი...
და, თუ სანაცვლო არ გადეუხადე,
მე რაღად მინდა თავი ცოცხალი?
დავლურში მინდა გამოვითხოვო,
ან უნდა მოვჰკლა, ან შევაკვდები!
თუ, ვინცობაა, მე დამამარცხოს,
შენ მოერიდე, ნულარ გაჰყვები!

რ ე ვ ა ზ

რას ამბობ, ლევან? შენ ჩემ წინ მოგკლან
და ავიტანო ის მე გულგრილად?

ლ ე ვ ა ნ

სწორედ!.. ორგვარი გაწევს შენ ვალი,
რომ არ აჩქარდე და იყო ფრთხილად:
პირველი ის, რომ თავის გაწირვით
ველარას მარგებ, კარგად იცი, მკვდარს!..
და მეორეც ის, რომ შენ მაგიერ
ვინღა მოუვლის ჩვენ ცხენოსან ჯარს?
ერთსაც ამას გთხოვ. თუ ვინცობაა,
ის ქალი კიდევ სადმე გამოჩნდეს,
შენ უპატრონე, ჩემ მაგიერად,
როგორც ღვიძლი და, გებრალებოდეს!

რ ე ვ ა ზ

ნეტავ რას ამბობ? რა დროს ეგ არის?
ღმერთმა გაშოროს, ძმაო, სიკვდილი!

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და შიკრიკი შემოდის

შიკრიკი

გიცდიან!.. გთხოვენ, მალე მობრძანდეთ!

რევაზ

ვინ გვიცდის?

შიკრიკი

ვინ და, ბატონიშვილი!..
(მიდიან)

სურათი მეორე

დარბაზი

გამოსვლა პირველი

მეფე, დედოფალი, გივი, ბაადურ და სხვანი

ბაადურ

საპყარი მოველ, ვერ გადავუდეგ
ბატონიშვილის მოციქულობას...
და თქვენის რისხვით, ჩემო ხელმწიფევ,
ნუ შეურაცხყოფთ შუამდგომლობას!

მეფე

ჩემო ბაადურ! რა უნდა გითხრა?
მაგის პასუხი ახლა ძნელია!..
სიჩქარით „ჰო“ და „არა“ არ ითქმის,
როდესაც საქმე საეჭველია.
უანგარიშოდ და უფიქრელად
საშიში არის ბედის მინდობა!

ვაი, თუ უფრო გავაზვიადოთ
ახალგაზრდების ჩვენ თავხედობა!

გ ი ვ ი

გვიანღა გახლავსთ ახლა სიფრთხილე!
ამდენ მუქარას და ამდენ სირცხვილს
არ გვირჩევნია, ღმერთი ვახსენოთ
და დავეთანხმოთ დღეს ბატონიშვილს?

მ ე ფ ე

თქვენ, დედოფალო, რაღას გვიბრძანებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გივს ვეთანხმები, რადგან ფრთხილია
და, ძნელ საქმეში წინდახედული,
ყველაზე უფრო გამოცდილია.

მ ე ფ ე

აქამდე სწორედ მაგრე მეგონა,
მაგრამ დღეს ეგეც კი შემცდარია:
ჯერ უმისოდაც წამხდარი საქმე
მაგან სულ უფრო არივ-დარია!
ვერა ხედავდა, რომ ჯერ ირაკლი
ამოდენ ჯარს ვერ მოგვიგერებდა?
რათ არ ურჩია? როგორც მის გამზრდელს.
მაგას ხომ სიტყვას დაუჯერებდა?

გ ი ვ ი

ჩემო ხელმწიფევ, ეგებ ის სჯობდეს,
ბატონიშვილი რასაც აპირებს!

მ ე ფ ე

როგორ თუ სჯობდეს?! შენი პასუხი
ვერ გამიგია, სწორედ მაკვირვებს:
ავად თუ კარგად, დღემდის ვუძლებდით
შინ შემოსეულ მტრების მონებას,
და დღეიდან კი გარისხებულნი

გამოგვაცლიან ყოველ ქონებას.
ვერ გაიგონე, რა შემოთვალეს?..
როგორი სიტყვა და რა მუქარა?
დღეიდან მაგათ დასამშვიდებლად,
ხარკი რომ მივცეთ, ის აღარ კმარა...
უღელზე კიდევ უღელს დაგვადგმენ,
აუტანელი გახდება ტვირთი!..
თუ გავუძალდით, სრულად წაგვლეკავს
მაგათი ღელვა, მაგათი ზვირთი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემო ხელმწიფევ, არც მაგრე ვარგა
გულის გატეხა და შეშინება!

ბ ა ა დ უ რ

ბარემ სულ გავწყდეთ, ის გვირჩევნია!..

გ ი ვ ი

ჩვენ გავცემთ პასუხს, გვიბოძეთ ნება!..
საშვილიშვილოდ რომ ამოვვარდეთ,
აგრე ღმერთს როგორ დავავიწყდებით?
უთქვამთ: „ცდა ბედის მონახევრეა!“
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!

მ ე ფ ე

კერძოდ თუ მკითხავთ, მეც თანახმა ვარ,
როგორც მეფეს კი — არ მაქვს უფლება:
ჩემს ხელში არის მთელი სამეფო, —
ბედის გამოცდა არ შეიძლება!.
როგორ გავწირო მთელი ქვეყანა,
ღმერთთან და კაცთან დავრჩე მოვალე?!
ეს დრო და ჟამი ცვალებადია!..
დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის „ხვალე“.
თუ ყმაწვილობით ბატონიშვილმა
მოულოდნელად ცეცხლში ჩაგვყარა,
რომ გაასწოროს აწ ის შეცდომა,
მოვალე არის ჩვენი ჭაღარა.

 დ ე დ ო ფ ა ლ ი

რას იტყვი, გივო, ხომ გაიგონე
ბატონი მეფის ბრძნული ბრძანება?

გ ი ვ ი

თანახმა არ ვარ, ჩემო ხელმწიფე,
და პასუხს ვკადრებ, თუ მომცა ნება...

მ ე ფ ე

სთქვი და მოვისმენთ!

გ ი ვ ი

გმადლობ, ბატონო!
ღმერთმა გიკურთხოსთ დიდსულოვნება!
ყველა ვხედავდით, რაც ჩვენს ქვეყანას
მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება..
ყოველ სოფელში, ყოველ ციხეში
ჩამჯდარი იყო იმათი ჯარი:
აღარ რჩებოდათ შეუბღალავად
არა სიწმინდე, ხატი და ჯვარი.
სიამტკბილობა და მოთმინება
ჩვენი იმათთან არ გადიოდა,
ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდენ
და ერთგულს ყველას ცრემლი სდიოდა;
ამით უნდოდათ, რომ საქართველო
ზნეობით სრულად დაცემულიყო
და საუკუნოდ, მონების ჯაჭვით,
მომხიბვლელ მტერთან გადაბმულიყო!..
დღეს და ხვალობით ცოტ-ცოტად სენი
გაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში!
რომ ცოტა ხანი კიდევ დასცლოდა,
სიკვდილს უქადდა მას მომავალში.
მაგრამ გამოჩნდა მკურნალად გმირი,
რომ ზნეობითი შეევსო ნაკლი
და უწინამძღვრა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი

(სიტყვას აწყვეტინებს) ეს გმირი იყო
პატარა-კახი! ჩემი ირაკლი?

გ ი ვ ი

დიახ, ირაკლი! ანდამატივით
გარს შემოისხა ყმაწვილკაცობა
და მათ უჩვენა სამაგალითოდ
პირადი ღვაწლი და მამაცობა:
დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებად ჯარი,
ყველა კი მასვე ეთანხმებოდა
და მტერს, თუ სადმე შეიგულებდა,
მოულოდნელად თავს ესხმებოდა.
ციხე-კოშკებში ჩაემწყვდა მტერი,
გარეთ გამოსვლას ვეღარ ჰბედავდა...

მ ე ფ ე (სიტყვას აწყვეტინებს)

ყმაწვილკაცობაც წაქეზებული
მწარე მომავალს ვეღარ ჰხედავდა!
დააგდო მტერმა სიმაგრეები
და აქ მოგვადგა შეერთებულად,
რომ სრულის ძალით, ბარემ ერთთავად,
საშვილიშვილოდ გაგვსრისონ სრულად!

გ ი ვ ი

ეგ მართალია! მაგას ჰფიქრობენ
და ალისკანტიც იმათვე ჰშველის,
მაგრამ არ სძინავს არც პატარა-კახს!..
მომსვლელს, იცოდეს, დამხვედრიც ელის!..

ბ ა ა დ უ რ

ჩემო ხელმწიფევ, იყო დრო, როცა
დიდსულოვნებით მეც მიგდებდით ყურს;
დღეს სნეულ-საპყარს რაღა მეკითხვის?
მაგრამ არ იშლის გული სამსახურს!..
მეც უნდა გკადრით უგნური სიტყვა,
რომ არ ჩავიკლა გულში უთქმელად;

ამ დროში ყველა არ გამოდგება,
რაც სასარგებლო ყოფილა ძველად.
ცვალებადია წუთის სამყარო...
რაც კი არსებობს, ყველა იცვლება!
წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალს,
სხვადასხვა არის მოთხოვნილება.
ჩვენი დროება სულ სხვა დრო იყო,
ახლა კი სულ სხვა დრო და ჟამია!
მადლობა უფალს, ავად თუ კარგად,
ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია!
ეს დრო მივანდოთ ახალთაობას,
იმის რიგია, იმან განაგოს!
წაახდენს რამეს თუ გააკეთებს,
ღვთის და კაცის წინ პასუხიც აგოს...
წინდახედული პატარა-კახი
არას ჩაიდენს სასინანულოს!
არ იკისრებდა პირდაპირობას,
თუ არ ხედავდეს სასურველ ბოლოს.

მ ე ფ ე (დედოფალს)

თქვენ რაღას ბრძანებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

თქვენს დიდ გონებას
რაღას შემატებს სიტყვა და რჩევა,
მაგრამ სიბრძნესაც კი ეჭირვება,
ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა.
თვით მამაჩემი, მეფე ვახტანგი,
ამის მაგალითს გვიჩვენებს ნათლად:
სიმხნით და სიბრძნით თანსწორ განთქმულმა
თავი შესწირა მის სამშობლოს მტლად.
მისი სულისდგმა, მისი გულისთქმა
ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
ყოველი მისი ბიჯის გადადგმა
თვით სიბრძნე იყო, წინდახედული!..
მაგრამ შავ ბედის უკუღმართობა
მას ხელს უშლიდა ყველგან, უეცრად,

და მის ყოველი მეფური ღვაწლი
ბოლოს რჩებოდა მტვრადა და ნაცრად.
და უცხო მხარეს, იმ ნათლით მოსილს,
სიკვდილის წინეთ ეს წარმოეთქვა:
„აქვე დამმარხეთ და საქართველო
გულზე მედება, ვით სამარის ქვა!
ზედ ეწერება: „სადაც ეღარ სჭრის
სიფრთხილე და შორსგამჭვრეტელობა,
იქ სჯობნებია გამბედაობა
და ღვთის ნანდობი საეჭველობა“...
დღეს ამ დღეშია სწორედ სამეფო!..

მ ე ფ ე

თქვენც მაგას ბრძანებთ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დიახ, ბატონო,

მ ე ფ ე

მაშ გაგიწირავს, რალა, ქვეყანა?
მაგრამ მსურს ერთიც რამ მოგაგონო:
ჩვენ ქვეყანასთან ხომ უნდა იქნეს
პატარა-კახიც თან განწირული
და, როგორც დედას ერთი შვილისას,
რას გეუბნება, რას გირჩევს გული?

დ ე დ ო ფ ა ლ ი

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
ქვეყნის სამსხვერპლად გამომიზრდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი!..
და ჩვენც ღმერთს ვთხოვოთ: აუმჯობესოს
მისი ვარსკვლავი და მომავალი...

მ ე ფ ე (დიდის ფიქრის შემდეგ)

მაშ, კარგი! ახლა მეც გეთანხმები!
უკუმიგდია ჩემი სურვილი!..
ნება გაქვს, გივო, ახლავ წახვიდე
და შემომგვარო თავხედი შვილი.

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა პ ა ტ ა რ ა-კ ა ხ ი ა მ ა ლ ი თ

მ ე ფ ე

დარბაისლების მოციქულობამ
და დედაშენის სურვილმა გასჭრა!..
მაგრამ ხომ ჰხედავ, რომ სნეულობამ
ასე უეცრად გულს ისარი მკრა?
არ შემიძლია ჩვეულებრივად
რაზმის დაწყობა... ომში ტრიალი...
და მოახერხებ შენ, რომ იკისრო
წინდახედულად დღეს ჩვენი ვალი?

კ ა ხ ი

ვეცდები თქვენის ხელმძღვანელობით.

მ ე ფ ე

კეთილი! მაგრამ რისი იმედით?
იმათი ჯარი უთვალავია!

კ ა ხ ი

არა გვიჭირს რა, ჩვენც მზადა ვართ ღვთით...
მართალი არის, იმათი ჯარი
ჩვენსაზე ცხადად უფრო ბევრია,
მაგრამ გავუძლებთ მათ ვაჟკაცობას!..
რიცხვით მეტობა არაფერია!..

გ ი ვ ი

იმათზე უფრო მე ალისკანტი
მეჩოთირება და ის მაფიქრებს:

სამი ათასი ლეკით მოსულა
და მისასკელელზე მტერს ზურგს უმაგრებს.

ბ ა ა დ უ რ

დალახვროს ღმერთმა! რა მედროვეა?!
რომ ველარ გაძღა ის ჩვენი სისხლით?!
ნეტავ შემეძლოს, ახლაც დავლურში
რომ გამოვიხმო, თქვენის სიცოცხლით!
ჩემ დროში მაგას ბევრი სხვა სჯობდა,
მაგრამ სუყველას დედა ვუტირე!..

კ ა ხ ი

ნუ გეშინია... იმას ამ დროშიც
გამოუჩნდება მოპირდაპირე!..

მ ე ფ ე

თუში ბევრი გვყავს?!

კ ა ხ ი

სამასი კაცი!

მ ე ფ ე

ფშავ-ხევსურები?

კ ა ხ ი

ცხრაასიოდე!

მ ე ფ ე

სარდლად მიეცი მათ ჭავჭავაძე!..
ლეკებს ეომონ მხოლოდ, იცოდე!

კ ა ხ ი

ჩვენც ეგ დავსკვენით...

მ ე ფ ე

მემარჯვნე სარდლად
ვინა გყავს, შვილო, გამორჩეული?

კახი

ქვაბულიძეა, ლევან...

მეფე

მემარცხნედ?

კახი

მემარცხნედ რევაზ ბებურიშვილი,

მეფე

მიმშველი ჯარის?

კახი

ჯანდიერია!

მეფე

მოწინავესი?

კახი

მე ვარ, ბატონო!

მეფე

შენა ხარ? ეგ კი უხერხულია!
არ შემიძლია, რომ მოგიწონო!
შენ უნდა დარჩე მთავარსარდალთან,
რომ ყოველის მხრით გეჭიროს თვალი!
სარდალს არ ჰფერობს მოწინაობა,
როდესაც სულ სხვა იწოდებს ვალი...

კახი

თქვენი ნებაა!

მეფე

მაშ კარგი, შვილო!
ახლა კი დროა გზა დაგილოცო!..
ეს მინდა, გულზე რომ გადაგკიდო...
ჯერ კი მუხლმოყრით უნდა აკოცო
ამ ძელშეშარიტს და ამ სასწაულს!

ეს იყოს, შვილო, შენი მფარველი!
ახლა კი ადექ, მომიახლოვდი,
გადაგეხვევი, მომხვიე ხელი! (ჰკოცნის)
მშვიდობით, შვილო, მაღალმა ღმერთმა
გიწინამძღვროს და მოგმადლოს ძლევა!
ახლა დედასთან მიდი... იახელ
და გამოსთხოვე ლოცვა-კურთხევა! (ცრემლები ერევა)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს! (ჰკოცნის)
გივო, გაბარებ უკანასკნელად
და ნუ გაუშვებ საომრად მარტოს!

(ეთხოვებიან. ირაკლი გადის ამალით. გივი გაჰყვება. სიჩუმეა, მეფე აღელვებულია და ორივე ხელები გულზე აქვს მიდებული: დედოფალი ცრემლებს იწმენდს. ქალები ჩუმად ქვითინებენ).

ბ ა ა დ უ რ

როგორ ბრძანდები, ჩემო ხელმწიფევ?
გულის ფრიალმა გიკლოთ თუ არა?

მ ე ფ ე

ლამის მამიდნოს, ჩემო ბაადურ!
ახლა კი ცოტა გადამიარა. (სიჩუმე)
(დედოფალს) მტერი მიიღებს პასუხს თუ არა,
უეჭველია, ბრძოლაც ასტყდება
და დედა-წულის აქ დატოვება
საშიში არის... არ ევარგება!..
ჩვენც, დედოფალო, უნდა წავიდეთ,
აქ აღარავის მოგვასვენებენ.
სუყოველიფერ აქაურ ამბავს
იქ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ჩემო ხელმწიფევ, მე სუყოველთვის
ვყოფილვარ თქვენი სურვილის მონა,

მაგრამ დღეს უნდა სიტყვა შეგკადრო
და შემისრულეთ ეს ერთი თხოვნა:
მინდა, რომ შვილის მახლობლად დავრჩე...
ზის მოქმედებას თვალით ვუყურო
და თანდასწრებით, ან მწუხარების,
ან სიხარულის ცრემლები ვღვარო!

ე ლ ე ნ ე

დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გადავწყვიტეთ,
რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლად,
ჩვენის ქმრების და ჩვენის შვილების
სანუგეშოდ და გასამხნევებლად.

ბ ა ა დ უ რ

ბატონო მეფევ! მეც მინდა დავრჩე,
ამათი ხვედრი გავიზიარო;
რომ ფეხალაგობ, შემომსევ მტერზე,
ეს ძველი ხმალი კიდევ ვიხმარო! (სიჩუმეა)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

პასუხს მოველით და რას გვიბრძანებ?

მ ე ფ ე

რაღა უნდა ვთქვა? (აღელვებით) მეც თქვენთანა ვარ!
(დედოფალს) ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი,
ჩემის გვირგვინის გვირგვინო, თამარ!..

(ფარდა დაეშვება)

მოქმედება მეხუთე

სცენა: მაღლობი ადგილი.

გამოსვლა პირველი

მ ე ფ ე, დ ე დ ო ფ ა ლ ი, ბ ა ა დ უ რ, ე ლ ე ნ ე და «მ ა ლ»

მ ე ფ ე (დურბინდით გადაპყურებს)

საკვირველია, ამ სიშორიდან
ისე სჩანს ყველა, თითქოს სარკეში:

ალაზნის პირად დამდგარა ჯარი,
მხოლოდ ლეკები ჩამსხდარან ტყეში.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ომი დაიწყო?

მ ე ფ ე

დიდი ხანია...
შემოკრული ჰყავს მტერი ქართველ ჯარს
და იერიშით პატარა გუნდი
ტყისკენ აწვება ლეკების საფარს...
მაგრამ ეს მცირეც შუა გაიყო!..
ნეტავ რას ნიშნავს, ვერ შემიტყვია?!
თუშის ჯარსა ჰგავს, ჩამოშორდა სხვებს
და მარჯვნით განზე გადაუხვია!

ბ ა ა დ უ რ

ეგ ნოშრევანის ხერხი იქნება:
გამოსძებნიდა სადმე სუსტ მხარეს
და, ორთა შუა თუ მოიმწყვდია,
მტერს დააყენებს სიცხე-სიმწარეს!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ღმერთო, მოგვხედე წყალობის თვალით!

ქ ა ლ ე ბ ი

ნუ მოგვაკლებ დღეს შენს მოწყალებას!

ბ ა ა დ უ რ

ამინ!.. უფალო! გადაგვარჩინე
მათ მწარე უღელს და ამ წვალებას!

მ ე ფ ე

დაიძრა ლეკი... მინდვრად გამოდის...
მიკვირს, საფარში რომ ვეღარ დგება?!

ბ ა ა დ უ რ

არ მოგახსენეთ?! უთუოდ სხვა მხრით

თუში მოექცა და ის აწვება.
გაიქცენ?

მ ე ფ ე

არა, წინ არ უშვებენ,
ყოველი კუთხით შეუკრეს გზები.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ოჰ, ღმერთო, შენს მადლს! ღმერთო, მოგვხედე!

მ ე ფ ე

როგორ მისცვივდენ ფშავ-ხევსურები!

ბ ა ა დ უ რ

ჰიი, თქვენს გამჩენს კი ვენაცვალე
და თქვენს მარჯვენას, თუშ-ფშავ-ხევსურო!

მ ე ფ ე

ლეკის საფრიდან გამოდის ჯარი,
თუში ყოფილა, თუშმაც მოასწრო!
ჰა, ჩაერიენ... გუნდი გუნდს ებრძვის...
გაერთდენ! ომი ხელდახელია!
ორივე მხარე საოცრად იბრძვის,
ჯერ გამარჯვება საეჭველია.
აგერ ვიღაცა ლეკის რაზმიდან
გამოდის... ცხენი გამოახტუნა...

ბ ა ა დ უ რ

დავლურში იწვევს უთუოდ ჩვენსას,
მაგრამ თუ ერთი ბედმა უმტყუნა...

მ ე ფ ე

გაჰყვა ვიღაცა... მაგრამ, ჰო! ჰო! ჰო!
მისვლის უმალვე ძირს ჩამოვარდა.
მეორე გადის... ესეც დამარცხდა!
რა ვქნა? ჩვენებს დღეს რა დაემართა!

ბ ა ა დ უ რ

ვაი თუ თვითონ ალისკანტია?
ბევრს გააფუჭებს შეჩვენებული!..
მოდი და ახლა, ამის გამგონეს,
ნუ მოგიკვდება, ბაადურ, გული!
(თავს იქნევს)

მ ე ფ ე

ორი გავიდა ერთად... პირველმა
მოატრიალა უკანვე ცხენი...
ძირს ჩამოვარდა... მეორემ მოჰკლა!..
ეჰე! ჩვენსასვე ჰკლავს ისევ ჩვენი?

ბ ა ა დ უ რ

მტერი იქნება! ალბათ ვერ ჰხედავთ...

მ ე ფ ე

კიდევ აპირებს ვიღაც გამოსვლას
და არ უშვებენ, გარს ეხვევიან...

ბ ა ა დ უ რ

შეჩვენებულმა ეგეც არ მოჰკლას!

მ ე ფ ე

ვერ შეიკავეს... გამოდის... ღმერთო!
ამას რას ვხედავ?.. ვგონებ, ირაკლი!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ირაკლი?!

მ ე ფ ე

დიახ, ირაკლის მოჰგავს!

ბ ა ა დ უ რ

ღმერთო, შენ მიეც ძლევა და მადლი!

მ ე ფ ე

მოჰკლეს!

 დ ე დ ო ფ ა ლ ი (იკივლებს)

ირაკლი?!

მ ე ფ ე

მოპირდაპირე, —
ნუღარა სწუხარ აწ, დედოფალო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

სჩანს, ბედი ისევ ჩვენსკენ ყოფილა,
დიდება შენდა, ღმერთო-უფალო!..

ბ ა ა დ უ რ (აღტაცებით)

არ გაჰყვებოდა პატარა-კახი,
თუ არ ჰქონოდა გული საგულეს.

მ ე ფ ე

გატყდენ ლეკები! აღარ იბრძვიან...
ახლა კი სწორედ ჩვენებმა სძლიეს!
ლეკებთან ერთად სხვებიც შეჩერდენ,
პირი იბრუნა, გაიქცა მტერი!
ჰა! დაედევნა ცხენოსანთ ჯარი,
რა საოცარი ავარდა მტკერი!..
თვალით აღარა იხედება რა!..
მაგრამ ცხადია, რომ დაგვრჩა ძლევა!..

ქ ა ლ ე ბ ი

წმინდა გიორგი ალავერდისა,
მოგვმადლე შენი ლოცვა-კურთხევა!..

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე და შ ი კ რ ი კ ი შ ე მ ო დ ი ს

შ ი კ რ ი კ ი

ბატონო მეფევ! ნუ მოგიშალოს
ღმერთმა დიდება და გამარჯვება!

დამარცხდა მტერი... გაიქცა კიდეც
და შიშით უკან ვერ იხედება!..
თუ ლეკებს ჯარა, ჩვენ აქამდისაც
დავამარცხებდით ყოველგან თათარს,
მაგრამ ლეკებმა ნამეტანი ჰქნეს:
სამაგალითოდ უმაგრებდნე მხარს!
საოცრად ჰბრძოდენ, სანამ ალისკანტ
არ მოჰკლეს, მათი ბელადი-ლომი;
მაშინ კი სწორედ შეშინდა ლეკი,
ზარი დაეცათ და შეწყდა ომი.

მ ე ფ ე

საპირდაპიროდ რომ გამოვიდა,
ის ალისკანტი ხომ არ ყოფილა?

შ ი კ რ ი კ ი

სწორედ ის გახლდათ, ჩემო ხელმწიფევ,
და ჩვენის მხრითაც ბევრი იმსხვერპლა,
ვინც კი გავიდა, ზედიზედ მოჰკლა!
გაძნელდა მისი პირდაპირობა!..
ბოლოს გავიდა ლევანიც, მაგრამ
აღარ დასცალდა მისი გმირობა:
თან გაჰყვა ლევანს ბებურიშვილი,
რომ გასაჭირში მოხმარებოდა,
მაგრამ, როდესაც ლევან ბელადის
შუა გაპობას ეპირებოდა,
გავარდა თოფი ამ დროს რევაზის
და უცაბედად ლევან დაიჭრა.

ე ლ ე ნ ე

უი! ჩემს თვალებს!

(გულს ეყრება, ქალები მისცვივდებიან).

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მხოლოდ დაჭრილა...

შ ი კ რ ი კ ი

ნუ გეშინიათ, არა უჭირს რა!..
შეშინებულმა ლეკმა რომ ნახა
მოულოდნელად სხვისგან დაჭრილი,
გული მოეცა და იქვე მოკლა
ხმალდახმალ რევაზ ბებურიშვილი...

მ ე ფ ე

მერე გავიდა ბატონიშვილი?..

შ ი კ რ ი კ ი

ბევრი უშალეს, არ დაიშალა...
მასაც მოასწრო წყეულმა თოფი
და მოსულს უმალ გულზე ახალა.

დ ე დ ო ფ ა ლ ი (იკივლებს)

ირაკლი დასჭრეს?..

შ ი კ რ ი კ ი

არა, ბატონო!
მის ძელჭეშმარიტს მოხვდა ის ტყვია,
ხატი გაჭეჭყა და ბატონიშვილს
არც კი უგრძვნია, არ შეუტყვია.
მიაგდო ცხენი ხმალდახმალ მტერზე,
შუა გაჰკვეთა ერთის შემოკვრით
და მაშინ მტერმაც ომი შესწყვიტა
ყოველის კუთხით და ყოველის მხრით.

ბ ა ა დ უ რ

გაიქცენ?

შ ი კ რ ი კ ი

დიახ, და ჩვენი ჯარიც
უკან მოექცა, აღარ ასვენებს.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

გივი სად არის?

შ ი კ რ ი კ ი

ბატონიშვილთან!
ორივე ერთად წინ უძღვის ჩვენებს.

ბამოსვლა მესამე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი შ ე მ ო ი ჭ რ ე ბ ა

მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი

ბატონო მეფეე!

მ ე ფ ე

რა ამბავია?

მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი

ცუდი ამბავი! დამარცხდა ჯარი!..

მ ე ფ ე

კი, მაგრამ ვისი?

მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი

ჩვენი, ბატონო!
გამარჯვებული დარჩა თათარი!

მ ე ფ ე

თათარი?! (1-ლ შიკრიკს) აკი ჩვენ გავიმარჯვეთ?

პ ი რ ვ ე ლ ი შ ი კ რ ი კ ი

მე რომ იქ გახლდით, მტერი გაიქცა!

მ ე ო რ ე შ ი კ რ ი კ ი

გადატრიალდა ხელახლა ბედი
და რისხვით თავზე დაგვატყდა ზეცა;
ალაზნის პირად, ერთ ხეობაში,
მტერი ყოფილა ჩასაფრებული,
ჩვენ არ ვიცოდით... იქ შეგვიტყუეს

და ასტყდა ბრძოლა გამწარებული.
დიდძალი ჯარი ამოგვიწყვიტეს,
გვივ მოგვიკლეს და ჯანდიერი.
ბატონიშვილი დარჩა შუაში
და გაჯრს ეხვევა ურიცხვი მტერი...

მ ე ფ ე

ვაიმე, შვილო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

უი შენს დედას!

ქ ა ლ ე ბ ი

ვაი და უი! ამ დღის მოსწრებას!

ბ ა ა დ უ რ (მსახურებს)

წამიღეთ ჩქარა, იქ მიმიტანეთ,
რომ მივეგებო უბედურებას!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი

მეც წამიყვანეთ! ჩემ ირაკლისთან,
რომ მისი ბედი გავიზიარო!

მ ე ფ ე

მე კი ვილასთვის და რაღათ დავრჩე?
წავალ, რომ მათთან სისხლი დავღვარო!

ე ლ ე ნ ე

ჩვენ რაღას ვუცდით?

ქ ა ლ ე ბ ი

წავიდეთ ყველა
ჩვენ ძმებთან, ქმრებთან და ჩვენ შვილებთან!

ე ლ ე ნ ე

და მათთან ერთად პირნათლად წარედგეთ
შეურცხვენელად იმ ჩვენ ძველებთან!

(ლეჩაქებს მოიხდიან და მიდიან)

იგინივე და პატარა კახი

ყვავილა

ამას რას ვხედავთ?

კახი

გამარჯვებული
თვითონ მოვდივარ მე მახარობლად!
ისე გავწყვიტეთ მთელი ლაშქარი,
რომ აღარ დარჩა არც ერთი მთხრობლად.

დედოფალი

რას ამბობ, შვილო?

კახი

ძლევას გილოცავ!

მეფე

მაშ ეს შიკრიკი?

კახი

მე გაახელით
მაშინ, როდესაც იმედმიხდილი
სიკვდილს ვფიქრობდი ჩემივე ხელით:
მოულოდნელად შემოგვკრა მტერმა,
გზა აღარ გვქონდა ჩვენ წასასვლელი,
ველარ ვითვლიდით მკვდრებს და დაჭრილებს,
ისე აივსო იქ ტყე და ველი!..
მაგრამ მოგვესმა შორით გუგუნი,
ხმა „ჰკა მაგასა“ და ზედ კიჟინა;
მოზღვავდა უცებ სულ გლეხკაცობა,
მტერს მიესია და დაუშინა!
შეიქნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი:
თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი;
ამ უცნაურმა სანახაობამ

მტერს წაუხდინა გული და თვალი:
დაჰყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,
მხოლოდ სიცოცხლეს გვევედრებოდენ
და, გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ,
ალაზანშიაც კი ვარდებოდენ!
გადაწყდა ომი! მტერი მოისრა,
ნუ მოგეშალოსთ შვება და ლხენა!

მ ე ფ ე (აღტაცებით)

აკურთხოს ღმერთმა შენი გმირობა
და სასიკეთოდ გიძღოდეს ზენა! (ეხვევა)

დ ე დ ო ფ ა ლ ი

აქ მოდი, შვილო, ჩამეკარ გულში!
შენ გენაცვალოს ეს ძუძუები!
შენგან გამოხსნილ ჩვენ სამშობლოსთან
მეც ერთად, შვილო, დღეს ვიბადები! (ეხვევა)

ბ ა ა დ უ რ

გვიბოძეთ ხელი, რომ გეამბოროთ
და სიხარულის ცრემლი დავღვაროთ!

კ ა ხ ი

მაგრამ სიხარულს ნაღველიც თან სდევს,
საუბედუროდ და სამწუხაროდ!..
ნათლის გვირგვინიც უფერულია,
თუ გარეშემო აღარ აქვს სხივი!
რაღაა ჩვენი დღეს გამარჯვება,
როცა აღარ გვყავს მოხუცი გივი?
არ დაუგდია მას ბრძოლის ველი,
თუმც სასიკვდილო გულს აჯდა ტყვია;
და გაქცეული რომ ნახა მტერი,
უკანასკნელად გადამეხვია!..
მითხრა: „მშვიდობით, ჩემო გაზრდილო,
გახსოვდეს ღმერთი და საქართველო“.
ეს სთქვა და მეტი აღარ დასცალდა,
წითლად შეღება მან მწვანე მდელო.

მ ე ფ ე

ღმერთმა აცხონოს!..

დ ე დ ო ფ ა ლ ი

აცხონოს ღმერთმა!
ჩვენის ქვეყნისთვის უძგერდა გული.

ბ ა ა დ უ რ

და ღირსეული ღირსად მომკვდარა
სამაგალითო მამულისშვილი!..

კ ა ხ ი

ბედმა ეს ტანჯვა რომ არ მაკმარა?!
გამიორკეცა გულისტკივილი:
ლევანი, ჩემი მარჯვენა ხელი,
მეტად საეჭვოდ არის დაჭრილი!..
ნაბრძანები მაქვს, აქ მოიყვანონ...
რომ მოვუაროთ, ჩვენი ვალია!... (მოჰყავთ)
ა, კიდეც მოჰყავთ! ხომ ცოცხალია?

მ ს ა ხ უ რ ე ბ ი

თქვენს სასახლესთან სული დალია!

ე ლ ე ნ ე

უი, მიშველეთ! (ქალები მისცვივდებიან)

ქ ა ლ ე ბ ი

ससუ! დაგავიწყდა,
სადა ხარ, ქალო? ვის ეკადრება?

კ ა ხ ი

ვაიმე, ძმაო!.. შენი დაკარგვით
გამიორკეცდა დღეს მწუხარება!..

მ ს ა ხ უ რ ე ბ ი

ბატონო, ვიღაც უცხო ყმაწვილი
ვნახეთ დაჭრილი, ტყის პირად ეგდო

და შეგვეხვეწა: „ნუ დამაშორებთ,
ლევანთან ერთად მეც წამიღეთო“.

მ ე ფ ე

ვინ ყმაწვილია?

კ ა ხ ი

ერთი ვიღაცა,
უცხო ჩვენ ჯარში გამოერია:
იმის მშვენიერ, ბავშვურ სახეზე
ჯერ არც ულვაში და არც წვერია;
ლევანს დასდევდა, არ შორდებოდა,
ნაცნობს ვერავის ვერ მივიმგვანეთ!..

მ ე ფ ე

ვინც უნდა იყოს... ჩვენი ყოფილა!..
მიდით და ახლავე შემოიყვანეთ...

გამოსვლა მეხუთე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა შ ე მ ო ა ქ ვ თ დ ა ჭ რ ი ლ ი

დ ა ჭ რ ი ლ ი

სად არის ლევან? აბა, მიჩვენეთ!
ეს არის„ აგერ რომ ასვენია?
რისთვის მიშორებ, შენ გენაცვალე?
რომ მიმატოვე, არა გრცხვენია?!
„ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი“,
ასე არ იყო ჩვენი პირობა?
და შენ კი გინდა სიტყვა გასტეხო?
ამას იფერებს შენი გმირობა?
აჰა, გიბრუნებ შენსვე საწინდარს,

(იხსნის გულს, აიგლეჯს რაღაცას და გულზე ადებს)

თვით ღმერთი „ყო ჩვენი თავმდები!..
შენ კი აქავე მიშორიებდი,
მაგრამ მე იქაც არ მოგშორდები!..
წავიდეთ ერთად... (ჩაეკვრება და კვდება)

მ ს ა ხ უ რ ი

ქალი ყოფილა!

ყ ვ ი ლ ა

ქალი ყოფილა?

მ ე ფ ე

ვინ არის, ნეტავ?

გამოსვლა მეექვსე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ ო ხ უ ც ი შ ე მ ო დ ი ს მ ე დ ი დ უ რ ა დ

მ ო ხ უ ც ი

ვიცი, ვინც არის, ჩემო ხელმწიფევ,
უსინათლო ვარ და მაინც ვხედავ!..
მაგრამ მაგისთვის ჯერ არ მცალია...
ბატონო მეფევ, ძლევამოსილო,
ადიდოს ღმერთმა შენი მეფობა!
და შენც გმირთგმირო, ბატონიშვილო,
ამიერიდან საშვილიშვილოდ
კურთხეულ იყოს შენი სახელი,
რომ შენთან ერთად იდიდებოდეს
შენი მშობელი, შენი გამზრდელი!..
დღემდის ტანჯული ჩვენი ქვეყანა
შენით სულს ითქვამს აწ თავისუფლად,
და შენც, უფალო, ამდენი ტანჯვა
სამარადისოდ იკმარე მსხვერპლად!..
ახლა კი, შვილო, შენთან მოვდივარ!..
აბა, მიჩვენეთ, მივიდე ვნახო,
რომ ხმალაძიანთ უკანასკნელ მსხვერპლს
უკანასკნელად ხელი შევახო. (დაუჩოქებს)
აქა ხარ, შვილო? ეს ვინღა არის?
შენი ლევანიც აქა გყოლია?
მადლობა უფალს, რომ მაგის ჯავრი

სამარეში თან არ ჩაგყოლია!
ერთად წასულხართ... აქ არ გეღირსათ
ბედნიერება, შვება და ლხინი,
მაგრამ იმ სოფელს, სამაგიეროდ,
დაგედგასთ თავზე ნათლის გვირგვინი!

(მოეხვევა. ზარების რეკა. მოისმის)

მ ე ფ ე

ჩუ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი

ნიკოლოზი ალავერდელი
პარაკლისს იხდის, სჩანს, სამადლობელს!...
ჩვენც ღმერთს მადლობით ავუპყრათ ხელი,
რომ თაყვანი ვცეთ მის დიდ განგებას
და მოვიყაროთ მუხლები მის წინ. (იჩოქებს)

მ ე ფ ე

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ
ყოველნი მტერნი იმისნი!“

ყ ვ ე ლ ა

ამინ!

(ისმის რეკა. ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

ეკა ფაჩაველა

გიგლია

I

თ ა ლ ა ლ ი (დედა)

პურა შაჭამე, ნუ სჩქარობ,
შვილო, სილაღეე დედისა,
ჯერ ვეროთ გადაავლიეს,
კიდევ მაასწრობ მთებისა.

გ ი გ ლ ი ა (შვილი)

რას ამბობ, დედავ, ნეტარა,
განა ქორწილში ვარაო?
ხმალი რა იქნა აქითა,
ან ჩემი თოფი ხარაო?
ალარსად სამკლავენი ჩნან,
ალარც ფარი და ჩაჩქანი!..
ვინრა-რა ფიქრობს, გიგლიას
გააღებინოს ალმანი?

დ ე დ ა

შენ არ მაუკვდე დედასა,
შენზედ არ დავჯდე მტირალი,

სხვა მე აქ არვინ მინახავ,
დილას კი იყო მყვირალი.
აბჯარნიც თავისნი ჰქონდენ,
თავის ლურჯაზედ იჯდაო;
ცხენზეით არ ჩამამხდარა,
თამარს შენ ამბავ ჰკითხაო
და დაგიბარა: აჩქარდი,
წამო ახადის გზითაო;
მე სალეკოს ყელს შაუკრავ,
გიგლია — საყორნისასო.
ეს ორი გზა აქვს ლეკებსა...
ჯავრსაც არ შავჭამთ მტრისასო.
თუ ისრე გადაავლევენ
ლეკნი გოდერძათ თინასო,
უთხროდი, თოფი დაჰკროდეს
იმ დაღისტანელს წინასო.

გ ი გ ლ ი ა

მართლა, ი, ქალკუპრ რა იქნა?
იმის ონარი იქნება!

დ ე დ ა

შენს საჩოხეს სძახს, სილაღევ,
და ცხარის ცრემლით იღვრება.

გ ი გ ლ ი ა

წადი, გამიგე, დედაო,
შორი გზა მაქვის სავალი,
მათურის-თავი, ხოშარა, —
მთები მაქვ გადასავალი.
დედა (გადის თამართან)
ქალო, გიგლია კითხულობს
აბჯართ, შენ დაუმალეო?

თ ა მ ა რ ი

მე. ნუ გავუშვებთ გიგლიას,
წუხელ ცუდ სიზმარ ვნახეო.

ემაგას მტერი მოგვიკლავს,
ცა თავზედ დაგვეხურება.

დ ე დ ა

ხირცხვილი არის კაცისად,
ქვეყანა დაემდურება...
ან კი ისითა რა ჰნახე?
შენ ხომ არა ხარ მისანი?

თ ა მ ა რ ი

მე ისი ვნახე, დედაო,
სხივნ გამქრალიყვნენ მზისანი;
დალეწილები ეყარნენ
აბჯარნი ჩემის ძმისანი.
ჩვენ სახ-კარ ჩამოშლილიყო,
იდგა ოხერი, ტიალი,
თავს დაჰბრუნავდენ ყორნები,
ჩხაოდენ, ედგათ გრიალი.
ვტიროდი, „ვაჰმეს“ ვიძახდი,
თმანიც სუ ჩამომდიოდა;
ჩვენის გიგლიას ლურჯაი
ჭალაზე შამოხვიოდა.

დ ე დ ა

რა გაიგება? ჩვენ მაინც
ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა,
მდევრად ათასჯერ ყოფილა,
ჩემო სილაღეე, — იმითა.
კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წელს ერტყას ხმალია;
მაშ რა უნდა ვქნათ, ხომ ჰხედავ,
ფშავლები მტერმა დალია?!
ახადი ლეკებს აუკლავ,
იქით წაუსხამ ტყვეები...
სუ სისხლით გადაუბასრავ
უკვენაფშავის კლდეები.

(თამარი ადგება, გააღებს კიდობანს და ამოიღებს გიგლიას იარაღს. დედა და თამარი გამოვლენ გიგლიასთან, თამარი ტირილით მისცემს გიგლიას ხმალს, თოფს, ფარს, ჩაჩქანს და სხვა საომარ იარაღს; უნდა უთხრას რამე, მაგრამ ვერ ამბობს, გული ყელში ებჯინება. ამ დროს გიგლიასთან აჩქარებით მოვარდება მეზობლის ქალი).

მ ე ზ ო ბ ლ ი ს ქ ა ლ ი (გიგლიას)

შენს თვალთ ენაცვლოს შენი და
შე ფშავის-ხევის იმედო!
წადი, დაღისტნელთ აჩვენე,
როგორს ყმებსა ჰზრდის ჩარგალი,
სვავებს დაუგდე სადილად
იმ ძაღთი ძაღლი სარდალი.
შამასწვრას ლაშარის-ჯვარმა,
მოხვიდე გამარჯვებული,
გეკიდოს მტრისა ხელები,
მხარიღლივ გადაგდებული.
ჰა გიდი, გოდერძათ ქალო,
ლეკთა სატყვეოდ გაჰხეო!
მეშვლად მოგივა გიგლია,
ფშავის არწივი ნახეო.
არწივმა მხარნი დაშალნეს,
დაპრიალებდეს ფრანგული,
მთა-კლდეთაც გააკვირვებენ
მაგის ლეკისად დაკრული!

(მეზობლის ქალი ჩამოართმევს გიგლიას ცხენს და შორს გაჰყვება, გააცილებს. დედა და და გიგლიას უკან მისდევენ. თამარი ტირის, დედა გზას დაულოცავს).

დ ე დ ა

ფშაველთ სალოცავმ შამასწვრას
შენს შინ მშვიდობით მოსვლასა,
ხერხით მაიქე მტერთანა,
ნუ გასწევ ჯიუტობასა.
მშვიდობით! ჯვარი გეწეროს!

II

არაგვის პირ-პირ აჩქამებს
გიგლიას ცხენი ნალებსა;
აქა-იქ ავლებს ლომივით
იმ ცეცხლმოდებულს თვალებსა.
გახდა გიგლია ხომურას,
საწყინარ ეტყვის მხარია;
ცუდს ლიშანს არას დაგიდევს,
ამობუბუნდა ხარია:
„წადი, გენაცვლე, ლურჯაო,
ძალა მაიეც მუხლშია,
ნათელი ჩამააყენე
გაბოროტებულს გულშია.
აგერ ტირიან ტყვეები,
ელიან ჩვენსა მისვლასა,
მალი-მალ გამაჰხედნებენ
ყელსა ახადის მთისასა;
ამბობენ: სუ როგორ გასწყდა
ფშავლებში ქუდოსანიო,
სალეკოდ როგორ გაგეხადეს
ლაშარის-ჯვარის ყმანიო?

III

ახადს ტიროდა თმიანი
თინიბექაის რძალიო:
„ავაჰმე, ჩვენო სახკარო,
ვაჰმე, დამიდგეს თვალიო!
ავაჰმე, ჩვენო ციხეო,
ნაგებო ქვითკირისაო,
ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
გადათელილო მტრისაო!
მამამთილს თოფი დამიკრეს,
დედამთილს ძუძუ მასჭრესო,
თინიბექაანთ ბიჭები

სუ ლუკმა-ლუკმა ასჭრესო“.
მზე გორის პირას გაჰკროდა,
ელამებოდა ჩასვლასა,
გალმა-გამოღმა გრილები
ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა,
უკვენაფშავის ქედები
დაწყობილიყვნენ ჯარადა.
ამ დროს შამოჩნდა ჭალაზედ
გიგლია, მომსხო ტანადა.
ირევა მაღლით და ძირით
მაგრილებელი ნიავი,
მიიბრძვის მხედრის ლურჯაი,
მიიბრძვის, მიაქვ თქრიალი,
სუ თან მიაქვის ფეხითა
ტყე-მთა, ნათოსი ტიალი;
არ აბედენებს კლდე-ვაკეს,
არსად სჭირდება ტრიალი;
ოფლს, დახეთქილსა მკერდზეით,
ქვიშაზედ ჩააქვ ჩხრიალი;
უხდება გაირმებულსა
რახტის, უზანგის ძგრიალი.

IV

ბინდდება. აგერ გრილებიც
ასცდენ მთებს, გაქრენ ცაშია:
გიგლიაც გაჩნდა სოფლის თავს,
გადაემართა მთაშია.
ჭალმა დაიწყო ძახილი,
ი რო ტიროდა კარშია:
„დაო, გეყოფა ტირილი,
პირ დაიბანე, შვენაო,
კმარა ამდენი ცრემლის ღვრა,
კმარა ამდენი წყენაო.
გიგლიამ შამაიარა,
შუქი მისდევდა კვალადა,

ავი შენს დამწყევს მიეცეს,
ეგ მტერს დაჰხვდება ავადა;
ერთს არ გაუშვებს ცოცხალსა
და არ მოკვდება თავადა.
მწედა ჰყავ ლაშარის-ჯვარი
და ეყოლება კვლავადა.
სუ გასწყვეტს ურჯულოებსა,
მათ სისხლს დაჰმართებს ბარადა;
ყინჩად სამ იცის ტრიალი
ომში ჯარად და ტარადა!"

V

მთვარე ამოჩნდა ნალეკი,
მახარობელი ქვეყნისა;
აქა-იქ მოჩანს ნათალი
მწვეტი წვერები მთებისა.
გორ-გორისპირებს მისდევენ
ჯოგი დაღისტნელთ მგლებისა;
ხევებში ჩადგა გრილები,
ისმის ყვირილი წყლებისა.
კლდის თაკზედ დასძინებია
არწივს, მოყვარეს მთისასა;
ბორბალა ყინულიანი
გულისპირს არღვევს ცისასა;
ერთი ბუ გაღმით კითხულობს
ამბავს გამოღმა ძმისასა.
საყორნის ყელში გამოჩნდა
ჯგუფ-ჯგუფად ხალხი რეული,
ყოყმანობს, წინ სვლას ვერ ჰბედავს
ლეკის ბელადი გრძნეული;
წინაით ესმა ქვის ჩხერა,
ნახა წინწელი სრეული,
სთქვა: „წინ ვერ წავალთ, დადეგით,
ყური დაუგდეთ შრიალსა,
ვაჰ, თარეშობას ესეთსა,

ნადავლს და ცდასა ტიალსა!“
ოსმანამ ლაგმის ტარითა
ცხენი დაღრიჯა ყელშია,
ხმალი მიაგდო გვერდზედა,
დამბაჩას სინჯავს წელშია.
გაუოხრდება ყველაი,
სიყვითლემ დაჰკრა ფერშია!
როგორც ცით ელვა მოარდა
მოყმე რამ სვილისფერია,
ხმალს აპრიალებს გორდასა,
მაზედ ნათელი ჰფენია...
ერთი შავარდნებრ დაჰკივლა:
„ახლა კი ჩემი ჯერია!“
შუაზე გასჭრა ცხენ-კაცი,
შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია;
შაიღებება სისხლითა
ოსმანას ყვითელ წვერია.
„აცათ, მაცალეთ, ძაღლებო,
გეყოთ ამდენი თარეში,
დიაც-ყმაწვილის ბოჟირი
არაგვზედ, ფშავლის მხარეში;
ჯერ არ მომკვდარა გიგლია,
კიდევ ჯანი აქვ მკლავებში“.
ასტეხა მტერმა ყვირილი,
დადგა ფარ-ხმალის წკეპანი,
მიგორავს ლეკის თავები,
სისხლს გააქვ დაბლა შხეპანი.
შაჰყარა ერთმანერთზედა
იმ ურჯულოთა ცხედარი;
ველარ მიუვა დედასა
ოსმანა ლაშქრით მკვეხარი.
— „ღმერთო, უშველე!“ — იძახის
ქალი — ტყვე, ცრემლის მჩქეფარი.
„უშველე. — სხვანი ამბობენ, —
მაგ ჩვენს უცნაურს ვაჟასა,
ნუ დაჰღლი, წმინდავ გიორგი,
მაგის კურთხეულ მაჯასა!“

ცხრა მოკლა, ოთხი გაიქცა,
ერთი გადუხტა ეხშია;
წყეულმა ერთ წამს გიგლიას
თოფი დაგვიკრა მკერდშია...
„ვაჰ, დედას თქვენსა!“ — ესა სთქვა
და გადავარდა ხევშია.
ბრძამზე კიდებით მიგორავს,
ხმალი უჭირავ ხელშია.
გადმოხტა გალაღებული
ლეკი ეძახის ძმებსაო:
„მოდით, ნუ სწირავთ ტყვეებსა,
ველარა ჰნახავთ მტერსაო;
თოფი ვკარ, ხევში გავგზავნე,
იქ ჰლოკს კლდეების მტვერსაო!...
ქვითინებს გოდერძათ ქალი,
მთის ბალახს აბერტყს ცრემლსაო;
მოდიან ლეკის შვილები,
ხელს უკიდებენ ხელსაო:
„წამოდი, ქალო,ნუ სტირი,
დაბლა ნუ აწყვეტ თმებსაო;
ფეხშიშველს დაგათელინებთ,
თინავ, თოვლიანს მთებსაო“.
წინ დაიყრიან ტყვეებსა,
ყუითა სცემენ ხმლებსაო.
ტყვენი გიგლიას ჰგლოვობენ,
ტირის გოდურძათ ქალია,
იმის ხმამაღლა ქვითინმა
კლდეც აატირა სალია,
აბიჯებს წარაუგონთა,
მკვდრისაკე რჩება თვალია:
„ვაქკაცო შენი სიკვდილი,
ვაჰმე, რა დიდი ბრალია!
უნდა დაიქცეს სამყარო,
გაწყდეს ცარგვლისა ძალია;
რად არ მე მოვკვდი შენს უწინ?
როგორ გიგონო მკვდარია?!“
ხევის პირზედა, ლოდებზედ

გიგლია კვდება ხარია,
არ უნდა გულხელდაკრეფა,
კლდეს მიუბჯენავ მხარია;
კვდება გულსუწადინოდა,
მტრისა მიჰყვება ჯავრია.
როცა გიგლია კვდებოდა,
მთებ სატირელზედ სხდებოდა;
ერთი ბებერი არწივი
ზეით, ჰიუხში წყრებოდა,
საყორნის თავი მაღალი
ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
მაღლით მომფრენი ვთის წყარო
სიბრალულისგან შრებოდა.
ბეჩავი იმის ლურჯაი
გიგლიას თავით ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი ჰხლებოდა;
სამყარომ შავი ჩაიცვა...
მყვირალი რაღას შვრებოდა?

VI

შორს სამ სალეკოს ყელშია
ცის ტატნად კაცი ჩნდებოდა,
ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ,
ხან დიყიანში ხტებოდა;
გულ უწუხს თხისტყავიანსა,
ერთს ადგილს ვეღარ დგებოდა;
თოფს უცვლის პირისწამალსა,
მტერს მოუსვენრად ელოდა.
ქალის ტირილი შაესმა
მყვირალს, ამტეხი ზარისა,
შემაშფოთები ტყე-ველის,
მაღლა მთის, დაბლა ბარისა,
ქარქაშში აღარ დგებოდა
ბასრი ფრანგული ხარისა.

ღრუბლებში დაქსაქსულია
მკრთალი ნათელი მთვარისა,
გულს ჩაიმჯიღავს მალი-მალ,
მოთქომი სიტყვის მწარისა:
„ეაჰმე, იქნება მოჰკლესო
რჯულძალთა ჩემი ძმობილი,
თავზედ დავიდვა სირცხვილი,
დავრჩე ქვეყნისგან გმობილი,
ის სამარეში ვიგულო,
ვიარებოდე ცოცხალი...
თუ მტრისა ჯავრი შავჭამო,
სიკვდილო, მენაც მომკალი!“

VII

ყორანმა გადმაიარა
ყრანტალით, თავის ღებითა:
„დაილოცენით, ფშავლებო,
თქვენის ფშაურის წესითა.
სანამ თქვენა ხართ ცოცხლები,
ლეში არ დამაკლდებაო;
ბევრს ყმას ამოეწვდი გულ-ღვიძლსა,
ნისკარტი სისხლში წრთებაო.
საყორნის ყელში ცხრას ლეკსა
გიგლიაც თანა ჰყვებაო.
მე უფრო გამიხარდება,
როცა ვაუკაცი კვდებაო.
ღმერთმა მყვირალსაც უშველოს,
ხუთს ლეკს მამიჭრა თავია,
ტყვეებიც ახადს მაუდის,
მაჰყავ გოდერძათ ქალია,
მაგრამა ტირის ბეჩავი,
არ შაჰშრობია თვალია,
იმის ნაცრემლის ნისლებმა
მეც ამირიეს კვალია;
იძახის: „ძმაო გიგლიავ,
შენი სიკვდილი ბრალია!“

VIII

ციდამ ჩამოწვა ღრუბელი,
ჩარგალს დაადგა თავზედა;
ფშავლების ჯარი მომდგარა
გიგლიას სახლის კარზედა;
ფშაველის ლამაზი ქალები
ცრემლსა აფრქვევენ ძალზედა.
დედა გიგლიას დასტირის,
ყორნის გამოხრულს მკლავზედა,
გულის ამოცლაც მოუსწრავ
იმ სატიალოს წამზედა.
გიგლია საკაცეში წევს,
გულს უწყვავ ხმალი, ფარია,
გვერდით უწყვია გიშრისა
ქალთა ნაწნავთა ჯარია[1].
გაისმის აქათ-იქითა:
„ვაჰმე, რა გვეშველებაო,
კარგები იხოცებიან,
ბეჩავი ხელში გვრჩებაო!“

ხალხში ამბობენ, მთაშია
დარბის, დახვივის ცხენიო:
„კაჰმე, სადა მყავ გიგლია,
კარგი პატრონი ჩემიო!“

(1886 წ.)

[1] ფშაველებს ჩვეულებად აქვთ, თავის ნათესავის სიკვდილზედ ქალი თმას მოიჭრიან. ძველად ვაჟკაცის სიკვდილზედ ამ ჩვეულებას მთელი სოფლის ქალები ასრულებდნენ.

გოგოთურ და აფშინა

(ძველი ამბავი)

I

ამბობენ, ბლოელ აფშინა,
მინდრდაურის გვარისა,
სცარცვავს რჯულიან-ურჯულოს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა.
ჭერხო ააავსო უნჯითა,
როგორც სალარო ხანისა.
თანაც იტყვიან: „გოგოთურს
ჯანით ვერ შაედრებაო,
ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
ხე და ქვათ შაეცხებაო“.
მეფესაც უთქვამს: „გოგოთურ
ათასს კაცთანო ვადარე,
ათასგანა მყავს ნაცადი,
ათასგან ომში ვატარე.
გოგოთურს რკინის გული აქვ,
მკლავი ხო გადამეტია,
რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
მტერი ქვიშაზედ მეტია.
ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ,
შეუბრალები, უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
როგორაც სულთამხუთავი...
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი,
ალბათ სწყალობენ ვაეკაცსა
ის ანგელოზნი ზენანი!“

რამდენჯერ სთხოვა ბატონმა
დარჩომა მეფის კარადა,
მაგრამ ვაჟკაცი ეტყოდა:
„მეფევ, ვერ გავძლებ ბარადა.
თუ მთის ნიავი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
აღარც გალება პირისა,
მამეხიბლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა“.
გოგოთურ ამაზედა სწუხს,
ხმა აღარ ისმის ომისა.
მიწურვილია, თავდება
ჟამი ზაფხულის ორისა.
შინაც ხომ უქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხვნელია...
ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა-დ' — ვიქნიოთ ცელია,
ნადავლით, ნაყაჩაღარით
კაცის დარჩომა ძნელია!“
არავის ახსოვს, ფშავშია
ხმამაღლა ასძრახდომოდეს,
განაღამც საცარცვავადა
გზად ვისმე გადასდგომოდეს.
ვეება ჭანდარს აიღებს,
წიწკრად გაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედა,
ირმებსაც დაედევნება
ყოფჩის გადაღმა კვალზედა.
შემოღამდება, შინ მოდის,
ჩამოუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქცევრადა
დიდის ყალიონის წევასა,
ფანდურსაც შააჟღარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა.

ხანდახან დაიბუბუნებს —
ჰერი დაიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაუკაცი —
მიდამო იწყებს ნთქრევასა.

II

ძველადგანვეა ნათქომი,
რო დედაკაცი ყბედია,
მიჰყვება გულის ძრახვასა,
ენებიანობით რეტია,
წაიტყვის უგვანს სიტყვასა
მოუფიქრელი, ცეტია.
ქმრისად სახელის მძებნელი
სხვას არ დაგიდევს არასა:
მტყუანი იყოს მის ქმარი,
თუნდ ხალხს სცარცვიდეს შარასა,
ოღომც იქნევდეს ფრანგულსა,
არ ჰღალატობდეს ხარასა,
ცოლსაც სწყალობდეს, აცმევდეს
წითლის დარაის კაბასა.
ცოლი აუტყდა გოგოთურს:
„რად გინდა დიდი სხეული,
თუკი ზღუბლს არ გასცილდები,
როგორც სახადით სნეული?!
რად გინდა თოფ-იარაღი,
ბასრი ფრანგული, წყეული,
ათასგან სისხლში ნათრევი,
კაცების ჟლეტას ჩვეული?!
აბა, დაჰკვლიე, უტირნავ,
ცრემლი აქვ პირზე მცვრეული!
წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა!
ამბობენ, აფშინაის ცხენს

ტანი სრულ ვერცხლით ეფარა“.
„ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
ჭკვას რად არ ატან სიტყვასა?
საქმე თუ გამოგლეკია,
რატუ არ იტყვი იმასა?
რად მინდა მაშინ სიცოცხლე,
ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?!
შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?..
შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე,
ან არა, — ჰქსოვდე წინდასა...
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!
ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:
„შემოგვესია მტერიო,
ფშავით მოიდუს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ერიო,
წინ გამაუძღვეს გოგოთურ,
ჯერ ანოთ არი ბერიო!“
მითც არ მოჰსვლია ჩემს ხმალსა
სისხლით შეღებვის ჯერიო;
ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვ ხელიო.
უწინ შინ როდის დავმდგარვარ,
როსც დაგვცემია თათარი,
მტერს წინ მე მივგებებივარ,
როგორაც ჯერნებს აფთარი.
ომში რვა ხმალი გავცვითე,
მეცხრე — თეთრტარა ხანჯარი...
თუკი ავსული არა ხარ,
ეგ საყვედური რა არი?!“
„მე იმას ვამბობ, ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები,
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაჭრილ ზურგები?
ლაშქრობით რა მოგიტანავ,
ტანზე წყლულების მეტია?

მარტო სახელი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ჰხვეტია?!“
  დაღონდა მეტად გოგოთურ,
ხმალს მიაწვადა ხელია;
ლაფნის საბმურით შაიბა,
მაგრა შაიკრა წელია;
მარცხნისას ფარი გადიგდო,
მარჯვნით — სიათა ჭრელიო,
უზარმაზარი, ძელსა ჰგავ,
კაცის საზიდად ძნელიო.
დედაკაცს დაათათბირებს:
„უნდა მიმოვვლო ხმელიო,
რასაც შენა მთხოვ, იმისა,
წავალ, ვიქნები მქნელიო“.
  მოყვრებში გამაემართა
ამის დაცინვით მთქმელიო.

III

  გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდენ იანი,
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი;
ბექბუქში თოვლი დამდნარა,
მიწა გამხდარა წვნიანი,
მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
ხარი-ირემი რქიანი.
გალალებულან ფრინველნი,
ისედაც ლაღიზნიანნი;
არაგვიც მოჰქუხს მრისხანედ,
ამ დროს შავფერად მდინარე,
იღვიძებს იფშენტს თვალებსა
მის არემარე მძინარე;
კლდეებიც წყალსა ჰქონავენ,
სრულად დამდნარა მყინვარე...
  კოპალის ქვასთან გამოჩნდა

კაცი მთასავით მძვინვარე,
მაიზლაზნება ზოვივით,
პირქუში, არამცინარე.
ზენაით მეორე მოჩანს,
იმლერის, — მთანი ხვივიან;
მააქევქევებს ლურჯასა,
ნალნი რიყეზე წივიან;
მაეზაყება ცხენზედა
გამარჯვებასა ჩვეული,
უხდება წითელს ჩოხაზე
ფარი და დაშნა რწეული.
  გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჰვარდება ცხენდაცხენ,
უდივრად შაიგინება,
აფშინას ბაწარაულის
შუქი შორს გაიფინება.
„იარალნ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება! —
პირდაპირია აფშინა,
ვაჟკაცს არ უყვარს პარება. —
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეძახიანო!
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა:
„ხმალო, გამიჭერ, ფხიანო!“
  გოგოთურ ფიქრობს: „ვეჩვენო,
აცა, აფშინას საწყლადა;
ვეხვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა?
აქებენ, შამიბრალებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა?“
„რადა, ძმობილო, რად აგრე?
გან დიაცი ვარ ორსული?
დედამ გამზარდა მენაცა,
ნეხვჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარალთ რად მყრი, ძმისაო,

უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღვთისაო?!.
მიწაზე როგორ ვიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისაო?
ჯალაფნი არ მეტყვიანა:
„ჰაი, შე ტყლაპო მტრისაო?!“
სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჭმევ, ძმობასა,
ქუდმოხდილს ქვეყნად ნუ მავლევ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა!
კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?
ოღომც იარაღს ნუ ამყრი,
რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა“.
„ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაიხსენ ხმალია,
სიათაც გადმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა შენს მეტსა
ვერავის დავკარ თვალია.
ჩქარა მაიხვენ აბჯარნი,
არა-დ' — გალოკებ ქვიშათა,
მიგცემ, გათრიონ ყუნჭივით
ტალღთა არაგვის წყლისათა“.
მისცა ხმალი და სიათა,
ფარი, ნაჭრევით ფარული.
ცხენის აღვირსაც უსწორდა
მოყმე, დისწული ყვარული.
აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
იგიც გაფრენას ლამობდა...
გოგოთურს თმენა გაუწყდა,
გამოცხადებით ჯავრობდა;
„მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შაირცხვინია?
დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზედ გინაყო ტვინია!“
გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,

გულში აეძრა ჟინია.
ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან;
გადაფითრებულს აფშინას
სატირლად აღარ სცალიან;
მაგრა შაკონა ბეჩავი,
ისე დააგდო გზაზედა.
ჩაეუბნება ჭკვიანად:
„შენ გაგერშილხარ სხვაზედა.
გინდოდა, გოგოთურსაცა
წამასჯდომიყავ თავზედა?
შენ რო ჭკვიანად მოგექე,
გვედრე, არ შამიბრალია,
ეხლა მე მერტყას წელზედა
შენი ზიკზიკა ხმალია;
ცხენიც მე მყვანდეს, ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია,
ჩაჩქანი, რკინის პერანგი
შენზედ არამი არია“.
„რა ვქნა, — ამოთქვა აფშინამ
წვერმოტეხილის ენითა,
თან დნება ლურჯად, შავადა,
გულში ბოროტის კბენითა, —
რა ვქნა, გავბრიყვდი, ვერ გიცან,
თუმც კი გიცნობდი შორითა;
ბეჩავსა ვისლაც გამსგავსე,
დონდლუდ აგებულს ყორითა.
გაქებდენ, კარგი ჰყოფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიცვერცხლი ვეჭამოთ, გოგოთურ,
ჩემნ იარაღნიც მამცენა!
მრცხვენიან, ამას რო ვამბობ...
მიიმე და მომეც აბჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩევნავ,
რო გულში დამცე ხანჯარი“.
„კი ყოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯრისა,

სხვის წელზედ სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა?!
კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია.
— ეხლა—ღა მოხვედ ჭკაზედა,
ეხლა მაიეც გონია?
ხომ იცი, საქართველოა
ყველა კუთხიდან მტრიანი,
მგზავრს მიშვებ უიარაღოს,
კაცი არა ხარ ღვთიანი?
რას დასწრწი, რას დაეთრევი,
შე უნამუსოვ, ფაფხურა,
ვით წისქვილებში მსუნაგი
ქურდი ქოფაკი, შავყურა?
გშიოდა, რატუ არ მითხარ,
გაჭმევდი, გაგაძღებდია...
იარაღს როგორა მყრიდი,
ღმერთი არ არის შენშია?!
თუ არა, რაად გინდარის
ვერცხლი, ნადები ქვევრშია?
თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
ქროლვა, ქორებულ ტევება
მე სამ გამამყევ, გაჩვენო
მტერი საჟლეტად ვეება:
დაგეცეს მარტოს ათასი,
გცემდენ, მოგიგდონ შუაში,
მაჯა დნებოდეს შრომითა,
ხმალი ტყდებოდეს ყუაში,
გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
მტერი დააფრთხე თხებურა,
მარტომ მისდიე მრავალსა
პიროფლიანმა მგლებურა.
მაშინის ვიტყვი, ღირსი ხარ
წელზე ხმლის, თავზე — ქუდისა;
არა-დ' გეხუროს ჩიქილა
თავზე დიაცის ცუდისა!
შენ გიცარცვია, ვინაცა

საბრალო არი, ბეჩავი,
თვის დღეში ომუნახველი,
დიაცთ ნალახის მხვეტავი;
არ შაგხვედრია შავფერა,
მკლავმსხვილი, რკინის მკვნეტავი.
მე შენ იარაღნ რად მინდან,
სიმრუდის გზაზე ნავალი?
შინაცა აქვის გოგოთურს
ფარი და ხმალი მრავალი.
აჰა, აბჯარნი, ცხენიცა,
წადი, მშვიდობით ვლიდია,
საცა შენი სთქვა ბიჭობა,
იქავე ჩემიც სთქვიდია.
გარისხებ ხახმატის-ჯვრითა,
აი, კოპალაც ეს არი,
რო ყველა სიმართლითა სთქვა,
რაც რო დაგედვა ბეგარი...“
თანაც გაუხსნა ხელები,
წამააყენა მხედარი.
ადგა ბეჩავი აფშინა
თვალმოცრემლილი, ლურჯია:
„მეგონა თავი, — ამბობდა, —
გაუტეხელი ბურჯია;
ეხლა სჯობს სახჩი ვიმალო,
თავზე დავირტყა გურჩია.
მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია“.
ხელი მაჰხვიეს ერთმანერთს
გულახდით, არა ძალადა;
აფშინას ხურჯინშიითა
ტიკჭორა მააქვ ჩქარადა.
მიიპატიჟა გოგოთურ,
დასხდენ ვაჟკაცნი ხის ძირა;
აფშინამ ყანწი აავსო
და ილოცება წინ-წინა:
„სანამ იცოცხლე გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამია.

სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დილა-საღამოს ჟამია,
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანილსა,
სანამ ჯინჭველა ქალაქით
ზურგით მაიტანს მარილსა;
მოგწიოს ლაშარ[illegible]-ჯვარმა
მუდამაც გულის [illegible]ადილსა!"
ახლა გოგოთურმ დალოცა:
„გწყალობდეს, ძმისავ, ხატია!
შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
როგორც წელანის გცადია.
ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
ავ საქმე, ავი წადილი...
ნუ მოგვიშალოს უფალმა
ძმობა და ერთად ხადილი!"
აფშინამ ხანჯრის ბუნისა
ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა,
ორივემ ყანწი დაცალა.
იფიცნეს. ეხლა ძმანია,
ვით ერთის დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა
ერთურთს სამღერი ტკბილები,
მემრე წავიდნენ ცალ-ცალკე
თავ-თავის გზაზე გმირები.

IV

უკუნეთია. არ ისმის
კრინტი არსითგან არრისა.
სუდარჩაცმულნი მთანი დგან,
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სუ მუდამ ყინულიანნი,
არროს მნახველნი მწვანისა;
ცხადად ერჩევა საჯიხვე,

ქმნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი მოდის მწყრომარე
იმ ხევსურეთის წყალისა
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ხმაც გაისმა მწყრომარე
გადმონადენის ჯავრისა:
„გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
მადლი ხახმატის-ჯვარისა!
რა დროს ძილია, ბედმწარევ,
შე უდავლათოს გვარისა?!
აფშინას ვერ შაეწონვი,
როგორც მზეს შუქი მთვარისა.
  აჰა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენს ნუ დაუყრი თივასა!
ვინც ხვალ პირველად მოიდეს,
ყველა ეს მიეც იმასა!
ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
ფასს არ ვთხოვ, არცა ქირასა.
ხო გესმის, რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძირასა?!
მე კარჩი ვეღარ გამუალ,
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა;
ჭირი შამყრია უწამლო,
კაცს, ხევსურთ ბადალს წინასა“.
  აგერ სამი თვე სრულდება,
არა სცილდება ბინასა,
ლოგინად ჩავარდნილია,
უნდება კვნესას, გმინვასა.
მალა და ვეღარ დამალა
აფშინამ წყლული გულისა,
არ ეთქვა, აღარ შაეძლო
ვაუკაცს მობრუნვა სულისა,
ცხენი, აბჯარნი სხვას მისცნა,
გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიყვნენ ხახმატსა
ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი,
სალუდის კარზედ მოჩანან
მინდი, მამუკა მტრიანნი;
ხირჩლაიც მოდგა ხატის კარს,
ვაჟკაცი სახელიანი.
განს, მოშორებით დამდგარან
დიაცნი მანდილიანნი.
ლუდის სმა არი, ღრეობა,
ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა, —
ხევისბრის დიდება ისმის,
აფშინა არი სწორედა!
ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
იწვევს მფარველად ქვეყნისა:
„მწყალობელ იყოს გიორგი,
ხალხო, ოჯახის თქვენისა!
მტერზედამც გაგემარჯვებათ,
სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,
გამარჯვებითამც გივლიათ
ყოვლგნივ ხმელეთის მხარესა!“

ამბობენ, ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს-თავით კაცისა;
„ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!“

(1887 წ.)

ალუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდამ)

I

მაცნე მოიდა შატილსა:
— ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!
ქისტებს წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიც ფთიანი.
გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა, ცვრიანი.
ეს რო ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;
აისხა იარაღები,
გააფხავიდის ხმალიო;
გაუშინჯიდის ვადანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.
ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.

გათენებისას ჭიუხში
შურთხმა დარეკა ზარიო,
ძაღლებს კი სძინავ თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.
მალე შააგდო ალუდამ
ქისტების ნავალს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოფმა გაიღო ჩქამიო:
ერთს ქურდ-კანტალას ღილღველსა
ცუდი დაუდგა წამიო;
გადავარდება ცხენზეით,
ყელ-თავქვე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
ამხანიგ-მოკლულ ღილღველი
ჩახმახსა ეზიდებისა.
  გამასტყვრა მუცალის თოფი,
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნაძოძი ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.
— არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! —
მუცალი ეუბნებოდა.
— ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა`
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.
— არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? —
ისევ ეძახის იმასა.
— მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო,
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...
— ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
— მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას არა სჭირს ძვლისასა.
  გამოსტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მქისესა,
გაუტეხს ქეთელაურსა

საპირის-წამლეს რქისასა.
— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო? —
ზედაც დაჰვედრებს იმასა.
— არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.
გულს არ ჰხვდა, ნუ გეგონები!,
ამტვრევდა წამლის ქისასა.
რაკი სრევაზე მიდგება,
ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა.
შატილიონის ნასროლი
ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.
— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! —
შამაუჭყივლებს ქისტასა.
— გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო,
ვაჰ, ცდასა მუცალისასა!
ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა?
  მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია
მწვანეს ბალახსა მთისასა.
ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა!
— ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა.
  ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,

გულზედ ძეგლიგი[1] დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: „ცოდვა არიო:
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედავ გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“
სიგძივ გაჰხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო.

II

მზემ აიწია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები;
მისჯარებიან ცის კიდეს
კავკასიონის დევები.
აშლილან სანადიროდა
ქორებ, ფრინველთა მლევლები;
სოვნი არწივებს მასდევენ,
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.
ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,
მადლი რქათ ადგა ღვთისაო.
ხევი-ხევ შამოყრანტალებს
ყორანი ავის ხმისაო:
„მამკვდარა ქისტი მუცალი,
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
კალთა დავხურო მხრისაო“.
შატილს ჯერ არ ჩასწდომია
შუქი შუადღის მზისაო,

[1] თოფია.

არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო.
    ყმა მოიდოდა გორი-გორ,
არ ეწონება თავია;
პირს დასწოლია ნისლები,
გულით ნადენი, შავია
ტახტაზე დაუკიდებავ
მუცალის ძმისა მკლავია,
ვერცხლით მორთული ბაზალა[1],
ეგ ხოროსნული ხმალია.
მეება ჭიუხიანსა,
სადაც იმედას ქავია,
ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,
ზამთარ ჩამუდის ზვავია.
ბევრჯელ მაასწრო დელგმამა,
ჰყეფდა ყორანი შავია.
დაჰფამფალებდა თავზედა
გაუმაძღარი სვავია,
ვერვინ მაჰრივა იღბალი,
ვერავინ უყვა ავია.
ურჯულოს ხელებსავ ადნობს
ზედ მზის სხივები მწვავია.
გველმა ვერ გაჭრა ლიბოი,
დღესაც ცოცხალივ არია.
ზოგჯერ ავდარი დადგება,
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშ-აშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საჭალოდ
დახოცილთ სისხლის ღვარია;
შაუღებია წითლადა
ავი არდოტის წყალია.
ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.

---

1 თოფია.

ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია.
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია.
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.
  შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია,
გამეეგებნენ ალუდას
ძმა-ძმისწულები სამნია.
ბევრს უნდა ამბის გაგება,
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
მიულოციან ალუდას:
— სახელიანიმც ხარია!
  ბებერი ჰკითხავს უშიშა
ალუდას ამბავს ცდისასა.
უამბობს ქეთელაური
ამბავს ღილღველის მგლისასა:
„აქით წასულმა, უშიშავ,
კვალი შავაჭერ მთისასა,
მოკლედავ გადავეწივე,
ნავალ დავატყვე ქვიშასა.
ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,
წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.
იმ ცხონებულსა მუცალსა
რკინა სდებიყო გულადა!
— რას ამბობ? ქისტის ცხონება

არ დაწერილა რჯულადა
— მით ვაქებ ვაჟკაცობასა,
არ იყიდება ფულადა.
სამ მე ვესროლე. სამ — იმან,
მესამით დავასრულია.
მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნაძოძა გულია,
ნატყვიარს ბრძამით იფეევდა,
ისრე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯულია.
ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით. ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ლთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!
ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“.
ხევსურთა ახალ-უხლები
გადაიქციან ტყემლადა,
ავად შაჰხედნეს ალუდას,
შაუძრახნიან ხმელადა:
„მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
აიხსენ გველის-პირული,
დიაცთ გადუგდე ცხემლადა;
ფარი — ქსლის ჩასაბეჭდავად,
ხირიმ — გაუდვან გარადა;
დამბაჩა გამაადგებისთ
საბრუნლად, თითისტარადა!

გამუქცევიხარ ქისტიშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?!“
ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჯავრიანითა;
თავ-თავის სახლებს მიჰმართეს
ჭერხოთით კარიანითა.
გაწირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა,
სახელსა ალუდაისას
იძახდენ ბრალიანითა.
შატილს მინდიაც მოიდა
ზერდაგით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგული...
მკლავითა ფარიანითა,
თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
ირემს ჰგავ მინდის წითლაი[1]
შუბლითა მთვარიანითა.
ალუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა.
— ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა.
ადვილად მტერი მოგიკვდესთ,
ადვილ გავიგო მართალი,
ბევრ დაღონება არ გვინდა,
ერთი დღის მეყოს საგძალი,
გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველ მხრივ ვიცი სავალი.
დღესავ მოგივათ მინდია,
მანამ დაბძანდეს მრავალი.
ქუსლი ჰკრა. წითლა გამალდა,
ნიავქარივით მავალი.

[1] ცხენი.

III

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,
მცვრევა ბალახზედ ნამისა,
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარისა.
დევნი გამოვლენ კლდიდამა,
ხევ-ხუვში ეხეტებიან.
ყველამ ივახშმა და ახლა
საძილედ ემზადებიან.
— პურ მიირთვიო, — ალუდას
და-დედან ეხვეწებიან.
— მე პურ არ მინდა, დედაო,
გული შამეკრა რადამე,
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამე.
წინ გვედვა მიცვალებული,
ხევსურნ შაწყენით ისხდენა.
სალაშქროდ დამზადებულნი,
ზოგნი კარებზე: იდგენა.
მენაც იქ ვიყავ, ვსტიროდი,
როგორც წესია კაცისა.
გუმანი მქონდა სალაშქროდ,
ხანიც მოვიდა წასვლისა.
ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზედ ამჩნივა ნიშანი
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
ეფინა ნატყვიარშია
ლეგა საფევი ბრძამისა.
კლდედ იდგა, გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,
დაძელით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.
დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ესჭამდი, მზარავდა თუმცაღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო — რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული“.
მიმატეს კაცის ულვაშით
წვენ-ხორცი შანელებული...
სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
გუნება-აღელვებული.

IV

თენდება, მთის წვერნ დაწითდენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, იღვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
სოვნი სამგზავროს წავიდენ,
მთა-ბარს მაავლეს თვალია;
რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან,
ცას ვერ გაავლეს კვალია!
ვინ მოდის წითლის ცხენითა,
გამაიარა წყალია?
— მოხველ მშვიდობით! — მინდიას
ხევსურთა შეუძრახნიან.
— რა მაიტანე ამბავი? —
შორითვე დაუძახიან.

— ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
გულს ათრევინებთ გონებას,
თავს აჭრეინებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ.
გული-დ გონება ძმანია.
მართალი არი ალუდა,
თავს არ დამექცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილი მკლავია.
ენა ქარქაშში გეჭიროსთ,
ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
არა ვარგაო, იმასა!
ხელი ალუდას მიართვის:
— წაიღ, მიაკარ ქავადა!
— თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
განვერ მოვსჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა:
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა.
წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

V

ეამი მოვიდა საუფლო.
ხალხი ხატობას დიოდა:
უნდა აცნობონ ბატონსა,
ვისაც კი რამა სტკიოდა.
მოქუჩდა ქალი და კაცი
სახვეწრით ცხვრით და ხარითა;
მიართმევდიან ბატონსა
სახვეწარს ბეღლის კარითა.
ეს ვინღა მოდგა, ნისლივით,
თითბრით ნაზიკის ხმალითა?
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.
— ვის ამწყალობნებ, ალუდავ,
ამა კურატით შავითა? —
ჰკითხავს ალუდას ხუცესი
გადაწეულის მკლავითა. —
დიდია ჩვენი ბატონი,
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა და ღვთისა ძალითა.
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა;
ვაქკაცნი იმედიანნი
ჩვენს ბატონს ებედებისა.
მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შაეწირება. —
ხანჯარს აიძრობს, დიდების
სათქმელად დაეღირება.
— ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლულის

თავის ლამაზის ძმისთვინა.
— გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპითა-დ პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?!
რამდენ სხვა მაჰკალ,შენს ქავზე
ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია,
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
მარჯვენეების ხიდია;
ციკანიც არვის დაუკალ,
განღამც კურატი დიდია.
როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა,
მანამ სჯობს ცანი დამეცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
სადილი ესჭამო ქვიშისა!
ფერი ედება ბერდიას,
ფერი სხვა-რიგის შიშისა.
— ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.
— ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.
  გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.

უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.
ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.
— გაგონილაა, — იძახდა, —
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი — დიდნი, მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირეენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, —
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს — შინშნი და ქალები;
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.
ამის გამგონე მინდიას
მაუწყლიანდეს თვალები,
ვეღარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადიწყვის მკლავები,
შასმულებმ ხევსურთ შვილებმა

მაიმარჯვიან ფარები,
უნდა სცან ქეთელაურსა,
კაპასად ჟღერენ რვალები.
ჯარად დამსხდართა ხევსურთა
თავზედ წაადგა ბალღები,
ერთს ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები.
— ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა
წყალობას ბატონისასა,
საკარგყმო დამალეინეთ,
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,
ყურეს უმარჯვდა კლდისასა.
იმ დროსა ვსტყორცნე ისარი
ლაღად მიმავალს ცისასა;
მართალ გამოდგა ნასრევი,
ყორანს უვლიდა ფრთისასა;
კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გადმეესრია მიწასა.
— მუცალის მარჯვენა არი
მიზეზი ხევსურთ რჩევისა, —
წყრომით იტყოდა მინდია, —
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მივუტანე ალუდას,
ფერი დავადევ წყენისა;
რო არ მიიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.
— წაიღეთ, — ამბობს ბერდია, —
ტოტი ურჯულო ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა.
ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.
ხევისბერ იტყვის ბერდია:
— ხევსურნო, ნახეთ თვალითა:

ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავ თავითა.
ქისტის მარჯვენას ბალღები
დაბლა ათრევენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,
ხუთიც უკვენა ჰყვებისა.
სიმშილით შაწუხებული
მთას ღმუის ჯოგი მგლებისა.
„კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო“,
ერთი დიაცი სწყრებისა.
„ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო“.
დედა ეტყოდა ალუდას:
— შვილო, იარე ნელაო,
შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,
ვერც შენი ცოლი ლელაო,
ბალღები აგვიბოჟირდა,
ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე, როგორა ბნელაო!
ნეტავ არ დასჭირდებაა

ხევსურთა შენი შველაო?!
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
სად რა-რა დავილევითა?
უბინო, უსახ-კარონი
სხვაკანაც დავიწყევითა.
ვეღარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს,
გაღმა შატილის ხევითა,
თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;
მამაკვდავს დავფერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ შემდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!
ჯავრობით ეტყვის ალუდა:
— დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყევით, ვიდინოთ.
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყრნოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა!
ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

(1888 წ.)

ბასტრიკონი

I

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუქეს თვალები.
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი.
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ,
ღალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,

რომ იმათ დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით!

II

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად,
მუხა-იფნებით ფარული.
იქ ჰყრია დიდი ლოდები
შავფერი, ციხის-კარული,
ლიბო-დათხრილი კოშკები,
უმზეოდ ჩამოგვალული.
ბერი ტიროდა დიაცი,
ისმის ქვითინი ქალური.
რამდენი სიპები აწყვავ!
მოსჩანს აკლდამის პირები.
გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევლად დავეღირები.
ეს ფშაველთ სალოცავია,
დღეს დღეობაა ამისა.
არ ვიცი, თვალი მატყუებს, —
მიშლის წყვდიადი ღამისა!
ხალხს ნუთუ დაჰვიწყებია
წმინდა გიორგი თავისა?!
ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
მომასწავებელს ავისა.
საჯარეს დიაცს რა უნდა?
არ თუ ეშინის დავისა?
მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თითონვე უტყავებია;
მარტოდ-მარტოკას დიაცსა

ხატ-ღმერთი უხსენებია!
აქ არც ხევისბრის ხმა ისმის,
არსად ფშაური ღრეობა.
ვინ გიჟი იტყვის იმასა,
რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
ბრალადა ბჟუტავს სანთელი,
ცრემლი წინ უდგა გუბედა.
მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
და ჩაუძვრება უბედა, —
გმირთა აღმზრდელთა ძუძუებს
გაიხდის თავის ბუდედა!

III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ.
სანთლისა შუქზე წამოდგა
დატანჯულისა ფერითა,
მხარზე თოფ-გადაგდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა.
ადვილად საცნობი იყო
კაცი ფშაურის ერითა.
დადგა, დაეყრდნო თოფის ტუჩს,
ცრემლებს იწმენდდა ხელითა,
იზიარებდა ბებრის დარდს
სახის შაჰმუხვნით ხმელითა.
თავისს დარდებში გართული
დიაცი მიჰხვდა ვერასა,
ტიროდა, ემდურებოდა
ხოშარელთ ბედისწერასა.
გულს იმჯიღავდა, ჰკითხავდა
ნანგრევებს ცრემლის დენითა:

„სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კვნესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
მიწა ვასველოთ ცრემლითა?
ან მიწა რად არა ძღება
დამდნარის გულის წვენითა?!
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგივრად დედებსა
ძუძუს გვიწოვდეს გველები?!
როდემდის უნდა ფეხითა
ვლახოთ ჩვენივე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი,
გულის, გონების მწველები?!
ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
ამ ფშავის ხევის მცველები!“
დიდხანს უცქირა უცნობმა
მოხუცის მოთქმას მწარესა;
მიჰხვდა, რომ უბედურება
სწვევია ფშავის არესა.
ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
უცნობი უცნობს დიაცსა:
— ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?
ვისას რას მოსთქვამ ზიანსა? —
ვერ გაიგონა ნათქვამი,
ისევ ზარს ამბობს სმიანსა...
— შენ გეკითხები, დედაო,
რად ჰსვამ ბალღამით ფიალსა?

მ გ ზ ა ვ რ ი

ს ა ნ ა თ ა (ბებერი)

მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
კაცი ვიხილე თვალითა. —
ადგა და ჯოხზე დაეყრდნო
ხანხალით, ძალის-ძალითა.
— მოხვედი, შვილო, მშვიდობით.

შვილო, წყალობა ხატისა!
აღარ მეგონა, თუ მამრი
კიდევ მიწაზე დადისა...

მ გ ზ ა ვ რ ი

შენიმცა მწყალობელია,
შენთა შვილთა და ქმარისა.
ერთს გკითხავ, დედი-შვილობას,
მითხარ პასუხი ამისა:
დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
საქმე აკეთო მამრისა?
ვფიქრობ, დროება დამდგარა
იმ მეორ-მოსვლის წამისა.
ხომ არ აყრილან ფშაველნი,
ჩქამ[1] რო არ ისმის ხალხისა?
როგორც მინახავ, არ არის
ლხინი კაცის და ქალისა.
შენობა მინდა გავიგო,
ვარ თქვენი მიწა-წყალისა.

ს ა ნ ა თ ა

ჩემ რა იკითხვის, დედილას,
უკლოსი, ბედით შავისა,
დავკარგე ყველა თვის-ტომი,
ვინაც-კი მყვანდა თავისა...
წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
წყეულის თათრის ჯარისა.
მამრთა შააკლეს მტერს თავი,
ხსენება გასწყდა კაცისა.
გასუქდა ხოშარის გორი
სამარეებით ხშირითა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
დახოცილებსა ვსტირითა.
ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
ბალღებიც ატირდებიან;
გლოვის მიზეზსა გვკითხავენ,

[1] ხმაურობა.

დედებს რომ გვაკვირდებიან;
არ მიიღებენ პასუხსა,
უფრორე აყვირდებიან;
ძუძუთ ვათირებთ[1] ბალღებსა,
რძისთვის რო აბირდებიან![2]
რად გვინდა დედებს შვილები?
რაზედ ვსწვალდებით ნეტავი?
გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი,
ლამაზი, გორის მდრეკავი.
გალაღებს, მაგრამ ტყუილად:
დღეს მთელი, ხვალე მკვდარია;
მოვა, წაიღებს უეცრად
სისხლისა ნიავ-ღვარია!
პირსისხლიანის მსინჯველი
შვილის, დუშმანიმც არია!
სანათაი ვარ მე, შვილო,
აფხუშოური ქალია.
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია.
ხოშარის გორზედ დაეშარხენ,
თავზე დასტირის ქარია.
ორს კვირას საფლავებ ვსთხარე,
იმათ თავშესაფარია. —
რა ეს ვთქვა, ამოქვითინდა,
ღვარა ცრემლები მწარია. —
ჩემს ქმარ-შვილებთან ბევრ სხვასა
გამოეჯარა კარია.
ვინ ემსახუროს, მაშ, ხატსა?
მაშ ვინ აუნთოს სანთელი?
მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?
ვინ მოაკმიოს საკმელი?!

---

[1] ვასუსუებთ, ვაჩუმებთ, ვაშოშმინებთ.
[2] მოუნდებათ, სურვილი აღეძვრისთ.

უკაცურთ კაცობა გვმართებს,
მანამ სული გვჩრავ პირშია.
ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
რო გვნახავს გასაჭირშია.
ეხლა ის მითხარ, დედილას,
სადიური ხარ, ვისია?
იქნება ჩვენობა გეთქმის,
იქნება იყო სხვისია?

მ გ ზ ა ვ რ ი

დედაო, დედა-შვილობამ,
მეც ბევრი ვნახე ჭირია.
ოცს წელს სრულ სხვიშვილადა ვარ,
სამშობლო გამიწირია,
მათურელი[1] ვარ ძირადა,
სახელად მქვიან კვირია,
ჩემფერა უკეთურები
ყუნჭებიც ბევრი ჰხირია.
ფშავს უბინადროდ რჩენილი,
წაველ საძებრად ბედისა, —
ვაჰ, მოგონება ჩემის დღის
დამსხმელი არის რეტისა!
მზიდველი არის ეს ქედი
ტანჯვისა მეტის-მეტისა.
ჩემი ამბავი შორს წავა,
მოკლედ რო მოვსჭრა, სჯობია:
ვინ არ გეტყოდა ჩემს ამბავს,
ვინაც-კი ჩემი მცნობია;
ობლობის, ბეჩაობისა
დღესაც ზედ მაძე ობია.
სად სიცივეში ვგდებულვარ.
ორ-კვირაობით მშიერი,
არც ისე დროულიცა ვარ,
უცხოს ვგონივარ ხნიერი...
ოცი წელია მწყემსად ვარ
თუშეთს, უცხოსა მხარესა,

[1] თემია.

და ფშავის ხევის სტუმარსა
მარტო ვხედავდი მთვარესა.
საბაროდ გადმამავალთა
ამბავს ვკითხავდი წეროთა, —
რა წერილობას გაგვიწევს, —
თოვლზე ამბავი ვწეროთა?
ოცს წელს მიწა მაქვ ლოგინად,
ცა მახურია საბნადა;
ავდარში შავი ნისლები
ტანზე მეხვევა ნაბდადა.

სანათა

მიკვირს, ან ეხლა რო მოხვალ,
ოც წელს ნამყოფი სხვაგანა?

მგზავრი

საქმე გაჭირდა, დედილო,
ურჯულო თათრებისგანა:
დათარეშობენ... კახეთი
მისცეს ქარსა და ნიავსა;
საცა ჰსურთ, ყურძენსა სჭამენ,
საცა — ჭანჭურს და ქლიავსა.
აწიოკებენ ქალ-რძალსა,
ნამუსსა ჰხდიან ძალადა.
ჰკრეფავენ ურჯულოები
სილამაზესა ღალადა.
არა ჰზოგავენ, დედილამ,
ვინც კი მოუათ თვალადა.
მთელი კახეთი ქცეულა
ჩიქილა-მოხდილ ქალადა.
არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძღოლი ჯარისა.
იქ, ჩვენთანამდიც მოდიან,
ცხვარსა ფარობით გვტაცებენ.
არვინ გადურჩათ რჯულ-ძაღთა,

ყველას ბეგარას ადებენ.
ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირებზე,
თავებს მარგილზე აგებენ.
შადიან სხვისა სახლშია,
კარს უკრძალავად აღებენ.
დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.
სუყველამ ტანზე აისხა
აბჯარი საომარია.
მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა
და დამაბარეს ხვეწნითა
სიტყვა, სათქმელი პირადა:
„ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
სისხლით, ხორცით და რჯულითა.
ძტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
კაუტეხელნო გულითა.
უბაროდ, განა არ იცით,
ქთანიც რო ვერა გვარობენ.
გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ბარზე თათრები ხარობენ.
ჩვენის საყდრების ტრაპეზთან
ეხლა მოლები გალობენ.
ბევრია დაღონებული,
უთხარო: ბევრნი წვალობენ!“
მახსონდა, ამ დღეს ხოშარელთ
აქ გექნებოდათ ხატობა;
ვიცოდი, ეწყინებოდათ
კახეთის რბევის შატყობა.
ღმერთმა აცხონოს ისინი,
ჩვენც იმათ მივდევთ კვალზედა.
იქნება ამ ორს კვირაზე
შავხვდე შავეთის კარზედა.
მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.

როცა დრო მოვა... დე, გაქრეს
ბედის ვარსკვლავი ცაზედა!
ცოცხალს კი უნდა ეხუროს
ვაჟკაცსა ქუდი თავზედა.
სიცოცხლეს აუგიანსა
სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
ჩემი ცოლი და შვილები, —
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
მე თვითონ გავიგმირები.
დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
ღმერთმან აცხონოს გმირები,
რომ არ წაიღეს საფლავში
ლაფით მოსვრილი პირები.

ს ა ნ ა თ ა

ეგებ ინებოს ბატონმა,
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯულურას და საბასა;
ჩემს წარბ-დაღურბლვილს ივანეს,
კარგა ხმარობდა დანასა;
ვენაცვლე იმის გულ-მკერდსა,
შაიხდომლებენ შანასა;
ჩემს ტანა-დაბალს ხუმარას
ბატარას, შუბიანასა.
ვაჟკაცის წესი სცოდნიყო,
არა ჰგავ ჯუბიანასა;
მეხად დაეცა მტრის ჯარსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა.
ეცადა, მაგრამ ვინ დაჰლევს
რიყეზე ქვებს და ლოდებსა!
ვინ დაჰლევს თათრის ლაშქარსა,

უთვალავს, გასაოცებსა?!
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
გაქცეტას გავიგონებდი.
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინის მოვიფონებდი.
შვილო, დედილამ, მე თვითონ
წავალ, შავტირებ ფშაველთა;
ყველას შავტირებ ჩემს დარდსა,
ვისაც შავხვდები გზა-ველთა.
მე თუ რვა სული შავსწირე,
თითოს ვერ გაიმეტებენ?
ფშაველნი აიშლებიან,
თუ მტერს სამ დაიმედებენ...
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო!
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო.
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!
გვაკმარე, ღმერთო, ზარალი,
გვეყო, რაც სისხლი გვიღვრია,
გვეყო, რაც მტერთან ბრძოლაში
ძვალები გადაგვიყრია,
გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
დაუშრომელი ვაება;
არ თუ ვებრალვით საყმონი,
რო აღარ გვწყალობს ღვთაება?!
გვიშველე. ლაშარის ჯვარო,
დაგვჭირდა შენი თავია;
შენის ფრანგულით აკურთხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;
ნუმც დაეღუპვისთ, შენს მადლსა.
ზღვაში შასული ნავია.
ჩაუძველ, ლაშარელაო,
ტანზე შაიბი ხმალია,

გვიჭირს და გამოგვაყენე
შეუმუსრავი ძალია.
ასე მოსთქვამდა დიაცი
თავ-დაკიდებით მდგომარე;
გვიშველე, — სულ ბოლოსა სთქვა:
შენა ხარ ჩვენი მომხმარე!

მ გ ზ ა ვ რ ი

ამინ! გიშველოს უფალმა,
ღმერთმა გიცხონოს შვილები;
გაცხონოს, ჩემო დედაო,
ღვთისგანმც ნუ გაიწირები!
დიდხანს საუბარს ვაგძელებ,
სვლას-კი არ ვფიქრობ, რადამე...

ს ა ნ ა თ ა

ძნელადა ბნელა, დედილამ,
ვეღარსად წახვალ ამ ღამე.

მ გ ზ ა ვ რ ი

ხევსურეთს მინდა გადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო,
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო!..
უნდა ჩავუდგე სოფლებსა,
ვიარო კარი-კარაო.

ს ა ნ ა თ ა

ღვთით ხელიმც მოგემართება!
წადი, იარე ჩქარაო.
მეც სულელი ვარ, ბებერი,
წასვლას რო გირჩევ ხვალაო.
პური-ოთ გშიან, დამწვარო,
ნამგზავრ-ნატანჯი ხარაო...
აიღო ქადა-პურები,
მთლიანად ჩააბარაო.
— ნეტავ მაჩვენა კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო!

მგზავრმა ჩაიდვა საგძალი,
პირ-თავქვე ჩაეფარაო.
ქვეით გაისმა ლოდებზე
მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარაო.

IV

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი, თავ-ჩაჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა.
ცა თვალს უცემდა სატრფოსა,
გრიალი მოდის შორითა;
მოდის ხმა ურიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა,
თან გამოისმა ზარის ხმა
ლაშარის ჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა...
თითქოს გასწყდენო, ფშაველთა
იტყოდენ აღარ ყოლითა!..
არა, ყოფილან კიდევა,
გადარჩომიან რბევასა,
თათრების უბრალებლობას,
იმათ ხმალ-ხანჯრის ქნევასა.
ფიქრობენ ხოშარელების
სისხლის თათრებზე ზღვევასა.
ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ჟღერით, აწვდილის ტარითა:
როშკით მოიდენ ხევსურნი,
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამღითა — ბათაკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია,

გუდანელთ ჩამასძღოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შააზრიალა მთანია;
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია.
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.
ფშავლის შვილებიც მოვიდენ,
სულთქმა თან მოჰყვა ჩქარია.
რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!
მოვიდენ აფხუშელები,
მცოდნენი თათრის ზნისაო;
წინადაც უცდავ თათრები,
როს დრო ყოფილა ცდისაო.
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო თქერანი,
პატრონის გულის მცოდნეა
თვალმოელვარე ჯერანი.
წითელს ფარს აჯიელავებს
მახინცაური ვერანი.
ძმობამ, რო კარგი ჰყოლია,
არც იმას ჰმტყუვნობს მერანი!..
კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა
მათურელთ გულის ძგერანი...
ცაბაურ-გაბიდოურთა
ცხენთაც მაიღეს ტყერანი.
მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
ვაჟები ლომის ფერანი.
დიაცთ-ღა დაჰრჩათ მარტოთა
მატყლის სართავად კერანი.

V

მთაზე დაენთო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა;
თავმოხდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონის კარზედა.
ბრუყვინავენ ალმასივითა
დროშები ცეცხლის ალზედა.
ცივი უბერავს ნიავი,
ლაშქარს ნამს აყრის თავზედა.
მდუმარედ სდგანან, პირქუშად,
სულთქმაც კი გაიგონება,
მხედართა გულის პასუხი
ერთს ფიქრად შაიკონება:
ხატი რას ურჩევს ლაშქარსა,
რა გამოუვა ბრძანება?
ქადაგი ხატს. ეკითხება,
ჩურჩული მოდის საჯარეს.
მხედართ, საუბრის გამგონეთ,
მუზარადები დახარეს.
მუხლმოდრეკილნი ჩამოსხდენ,
პირს ჯვარი დაისახიან,
ციურის კრძალვა-შიშითა
პირები შაიჩმახიან.
აგერ ქადაგიც გამოჩნდა
განაცრებულის სახითა;
შემკრთალი იყო ისიცა
ხატის პირისპირ ნახვითა.
შემოუძახა ლაშქარსა
ხმით მედიდურით, მკვახითა:
„უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რო შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევ რო ავიყარენით.
წინ მომეგება სიცილით,
ბეღლის კარს მოდგა მზებურა,
ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,

თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას სწვდება მთებურა;
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეეწურა.
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა.
ჰნახავთ,—ნუ გაგიკვირდებათ,
სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა.
გაიგებთ იმის წაძღოლას,
მიჰხვდებით კილა-კავადა.
რო ჰნახოთ, ქება უთხროდით,
სალმით იყვნოდეთ, საღადა.
ლურჯს ცხენზე მჯდომი იქნება,
წინ მოარული ლაღადა."
— ვენაცვლეთ მაგის დაელათსა!
ღირსნიც არა ვართ ნახვისა!
რად კადრობს ადგილით დაძვრას,
საყმო რად ვყევართ თავისა? —
ამოსთქვა სულთქმით ლაშქარმა,
ცეცხლ-დანთებულმა პირზედა.
— უყვარან ფშაველ-ხევსურნი,
დამდგარნი ერთსა პირზედა, —
უთხრა პასუხად ქადაგმა,
მდგომმა საჯარის თხრილზედა.
ლომი საომრად მზადდება.
კბილს ააჩქამებს კბილზედა!

VI

საღმთო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია.
ჩამოსხდენ, ბეღელს საჯარეს
გარს შემოერტყა ჯარია.
ყველას თან უდგა საგზაო,
საჩქაროდ ნადუღარია.

ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია;
ადიდეს დიდი თამარი, —
ის ღმერთთან წილნაყარია, —
თავის ოფლით და ამაგით
ხმელეთი დაუფარია.
მოიხსენიეს მხედარნი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია.
არსადა მათთვის სამარე
და მიწა ზედ საფარია.
ყორნებს რო უთხრავ თვალები,
სვავთ მხრებით დაუფარია,
მაგრამ იმათი სახელი
დროთ-სვლას ვერ მოუპარია!
ხევისბრობს ბერი ლუხუმი,
ნმა-ტკბილად, მოუბარია.
გმირთა ქებით და დიდებით
გული ვერ მოუფხანია.

VII

ყველა პურსა სჭამს, საუბრობს
ავსა თუ კარგსა მქუხარედ.
მარტო კვირია არა სჭამს,
სდგას ჯოხ-დაყრდნობით, მდუმარედ.
ჩასჩერებოდა მიწასა
ყელ-გადაგდებით, მჭმუნვარედ.
რას ფიქრობს ობოლ კვირია,
ამის გამგები ვინ არი?
არა მეღავნდება გულიდამ
ფიქრები ამამდინარი.
— ობოლ კვირიავ, ძმობილო,
პურა შაჭამე ბატარა,
იქნებ შაგცივდა, ობოლო,
არაყათ შაჰსომ რად არა?
ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,

აჰა, დაიჭი მათარა.
დღეს თუ რას შავსჭამთ, თორო ხვალ,
ვისღა სცალიან საჭმელად,
ერთურთის საპატიჟოდა,
ტკბილის სიტყვების სათქმელად?
ამას ეტყოდენ მხედარნი
კვირიას მუდარებითა.
ახლა კვირიამ მიუგო
ოხვრით და მწუხარებითა:
— არა, კვირია გენაცვლოსთ,
სასმელს არ დავეკარები.
საჭმელსა, თუკი მშიოდეს,
აროდეს დავეზარები.
წეღანის ხალი[1] შავსჭამე,
გუდაშიც მიძე მრავალი.
თუ ვის გინდარისთ, მიირთვით,
თუ ვის გაკლიათ საგძალი.
— იქნება ცუდ სიზმარ ჰნახე,
გულზე დაგაწვა ისაო? —
შაჰკითხა ბერმა ლუხუმმა,
ვადა უტაცა ხმლისაო.
— რა ჰნახე, ჩემო კვირიავ,
აგრემც მიტირებ ბერასა,
გვითხარ და ნუ დაგვიმალავ,
ლუხუმი მოგხდის წერასა.

კ ვ ი რ ი ა

რა გაიგება სიზმრისა, —
მე მაინც გეტყვით ვერასა.

ლ უ ხ უ მ ი

თუ არ გვიამბობ, კვირიავ,
ჩამოგყრით დროშის ჭერასა,
სიზმრის დამალვა გირჩევნავ
ამდენის ხალხის წყენასა?!

[1] ქუმელი.

სთქვი წუხანდელი ხიზმარი,
მითომ კი ჰხმარობ ენასა,
საპოხი უნდა, ობოლო,
მხედართა გულის კბენასა.

კვირია

გიამბობთ, თუ გიამებათ,
მე რაცა ვნახე, ეს არი:
დღე იყო მეტად მრისხანე,
ცა მოღრუბლვილი, მჭეხარი...
მივდივარ ტრიალს მინდორზე
თავ-მომწონარი მხედარი.
შავს ცხენზე ვიჯე, მიჰქროდა,
მეგონა, ვზივარ ქარზედა.
სამი დაენთო სანთელი
ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა
გამომეხახა ფარზედა.
მინდორი იყო ტრიალი,
არა რაი ჩნდა მაზედა,
ყოილი, ხშირი ყოილი
დაფენილიყო გზაზედა...
გავხედე, მინდვრად მოცურავს
შავი ვეშაპი შქენითა,
ყოილთან მიწას მაჰლოკდა
ცეცხლის მსროლელის ენითა.
პირითაც ცეცხლი სდიოდა,
საზარელ იყო მეტადა.
მნახა, გულზვავად მომმართა,
ეუნდოდი დასაკვნეტადა.
პირი დააღო ვეება,
ჩასაყლაპავად მიტია,
მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე
თავი, როგორაც ფიტია.
მოკლულმა შემომანთხია
ბოროტი სისხლი პირზედა.
ცხენი წამექცა, თვითონაც

მიწას დავეცი ძირზედა.
გონი წამსვლიყო... გონთ მოეედ,
მეოცა სახილებელი:
ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,
ტკბილადა საძინებელი,
გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,
ცრემლითა სატირებელი;
თავს მედგა დიდი ჭანდარი,
სიცხეში საჩრდილებელი;
ზედ იჯდა ბერი ქედანი,
დამღუღუნებდა თავზედა.
მზეც ამობრწყინდა... მეჩვენა,
მნახა, გაბრუნდა წამზედა,
წითლად გაწირა ხოლოდა
ობოლი სხივი მთაზედა.
გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა
და მიმეძინა მკლავზედა.
  რა დაასრულა კვირიამ,
ჩაიკასკასა ტკბილადა.
ეწყინა ლუხუმს სიზმარი,
ცრემლები მოსდის წყვილადა:
— კეთილად ახდეს! — მაინც სთქვა
გულ-აყუჩებით, რბილადა.

VIII

  სიზმრის თქმით ყველა ჩაფიქრდა,
დაბლა ჩაჰკიდა თავია...
გამოერკვივნენ მალედვე,
გაჩნდა სხვა სანახავია:
ქვიშის ჩხრიალი მოისმა,
თან ფეხის ჩქამი ცხენისა...
ეს ვინ-ღა მოდის, ნეტარა,
ჩუმად უძრავად ენისა?
დადუმდნენ, ზოგნი წამოდგნენ,
იქით მიაპყრეს თვალია...

თამამად, ვაქკაცურადა
თავს წამოადგათ ქალია.
ცხენს იჯდა მამაცურადა,
წელთ თუმც არ ერტყა ხმალია;
ხელთ ეპყრა შუბი წვერ-მახეი,
მამისთვის მონაპარია.

უ ც ხ ო ქ ა ლ ი

ხელ მოგიმართოსთ, მხედარნო!
მადლი ხატ-ღმერთის თქვენზედა!
გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი
გასულებს ბრძოლის ველზედა! —
ღიმილითა სთქვა ლელამა,
შუქი გამოჰხდა პირისა. —
საამურია საცქერად
ვარდზე ცვარები დილისა! —
ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს,
ნარწყავსა უკვდავებითა;
ხორცშესხმულს სიყვარულსა ჰგავს,
აუწყველს უწყავებითა.

ლ უ ხ უ მ ი (ლელას)

ვისი ხარ, შვილო, რას დახვალ?
მტრობა გგულავდეს იქნება?!..

ლ ე ლ ა

სამოყვროდ მოველ, მამილამ,
თუკი უფალმაც ინება..
შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა,
მენაც თქვენს კვალზე დამდგარი;
ავად თუ კარგად, ღმერთმ იცის,
დედათ ჯარზეით ამდგარი.

ხ ო შ ა რ ე ულ ი

ეს სწორედ მოჩვენებაა,
ეშმაკეული ხმა არი!..
ახლა რო ასდეგ, დიაცო,
ადგომის მიზეზ რა არი?

ლ ე ლ ა

სხვა არა მინდა, გენაცვლეთ,
თქვენს მტერს გულსა ჰხვდეს ლახვარი
და ჩაეყაროს უსურმაგს
ბოროტს თვალებში ნაცარი!
(ლაშქარში ჩოჩქოლი ისმის:
„ეს სადიური, რა არი?!“)
ვერ მიჰხვდით? პირდაპირ გეტყვით:
თათრებთან ომი მწადიან,
მინდა, რო ჯავრი ვიყარო,
ბევრს რამ აეს საქმეს სჩადიან:
იკლებენ საქართველოსა,
ბუმბარეზობით დადიან,
რად გიკვირსთ, ფშაველ-ხევსურნო,
იქნებ მიწუნებთ ქალობით?
ჩემთ ძმათ ცხონებამ, გარგებდით,
ჩვენთა სალოცავთ წყალობით!
ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ,
ფარ-შუბის დაგელებითა,
მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
ვეცდები გამგელებითა.
ნუ გავიწყდებათ, ბახტრიონს
ციხე სამ უდგათ მაგარი,
შიგითაც მოწყობილი აქვთ
სანგალ-საყუჩებ-საფარი;
კარებსა, მაგრა დაკეტილს,
ათას მხრივ უდგა ჩაფარი.
ნეტავ იქ დედასთან მომკლა,
თათრებისაა საპყარი!
მაგ ძაღთ ძმათ სისხლიც მიმართებს,
უნდა ვიძიო იგია.
სისხლის აღება, ხომ იცით,
მუდამ წესი და რიგია.
ან უნდა თათრის ხმლით მოვკვდე,
მე თავი გადამიდვია.

ლ უ ხ უ მ ი (ლელას)

მამა სადა გყავ, სულ-კრული?
ქალს რადა გგზავნის ომშია?
რაკი არ გვიჭირს მხედარი
ამ სულის მხუთავ დროშია!

ხ ო შ ა რ ე უ ლ ი (თავისთვინ)

დიაცს უყურეთ, სულელსა,
უნდა გაგვრეკოს ფონშია...
კაცჩი დედაკაცს რა უნდა?
რად არა ფიქრობს გონშია?

ლ უ ხ უ მ ი (ლელას)

მაშ, არა თქვაა შანშემა,
ჩამეეშველოს ლაშქარსა?
მაშ, არ თუ ჰკაზმავს ლურჯასა,
ტანთ არ ისხამსა აბჯარსა?

ლ ე ლ ა

რაკი არ უნდა ბეჩავსა,
რაკი არ ერჯის გულია!
ლოგინშია წევს... საბრალოს
მრავალივა სჭირს წყლულია,
თქვენი პირის-ქნა გაიგო,
ცა გაუწითლდა სნეულსა,
მაგრამ რას იზამს, რო სული
ვეღარ ერევა სხეულსა.
აბჯარნი მიმატანინა,
შემაკმაზვინა ცხენია;
ზედ შეჯდა, მაგრამ დასუსტდა,
დაბლავე გადმეერია.
თქვენს მტერს, რომ იმის ყოფნაა,
მე ვშველ, გვერდს უქცევ ხელითა:
მკლავშიაც ხომ სჭირს ნაჭრევი,
ვეღარ მუშაობს წელითა.
რა ეს თქვა, ლელას ცრემლები
წამოუვიდა ხშირადა:

„ვინ იცის, იქნებ მამიკვდეს,
გამიხდეს დასატირადა!“

ს უ მ ე ლ ჯ ი (ლელას)

შენ, ჩემო დაო, გირჩევნავ,
მამასვე ჰყვანდე გვერდითა:
ან წყალს მიაწვდი, ან წყლულებს
შაუხვევ ნაკუწებითა.
ჩვენაც ვეყოფით თათრებსა,
ჯავრს არ შეგაქმევთ მტრისასა;
უერთოდ აღარ დავლახავთ
ბილიკებს ჩვენი მთისასა;
ჩვენ ვიძევთ სისხლსა, ნუ სწუხარ,
შენი დედის და ძმისასა.

ლ ა შ ქ ა რ ი

სუმელჯიმ კარგი გირჩია,
წასვლა გირჩევნავ, ქალაო,
შენის ყოლით და არყოლით
არ გვიბედენებს ძალაო.
ჩვენაც ვგვიანობთ, გზა გველის,
ეს საუბარიც კმარაო,
ზოგი ხო დღეს ვიუბენით,
ზოგიც ვიუბნოთ ხვალაო.

ლ უ ხ უ მ ი (ლელას)

ჩემს ძმას უთხროდი, შანშესა,
ყოჩაღად იყოს, ფხიანად,
ყველაად ვკმარვართ მტრისადა
სადავლოდა და ზიანად.
ლუხუმმა დამაბარაო,
კარგა უამბე, ჭკვიანად.

ლ ე ლ ა

როგორ წავიდე? ვერ წავალ;
სიზმრებსა ვსინჯავ ავებსა...
კაცი რამ მოდის კუპრივით,
დაათრევს კაცის თავებსა;

მოდის, წინ მიწყობს ღრეჭითა.
ჩემთ ძმათ სისხლიანს მკლავებსა.
ის რო წავა და სხვა მოვა
დიაცი მზისა ფერია;
მეტყვის: უთხარ რამ, ლელაო,
ეგ არის თქვენი მტერია!
ამ ტანჯვაში ვარ სულ მუდამ,
ძილი არაა ჩემთვინა... —
ესა სთქვა განაცრებულმა,
ცრემლებიც ჩამეედინა.
ცხენი მოღრიჯა, გასწია,
ქვითინი გაჰყვა კვალადა;
წავიდა გულ-ჩათუთქვილი,
მივალის ძალი-ძალადა.
ქალის ქვითინსა მდუღარეს
მთანი იწერენ მკერდზედა;
ცრემლით ატირდენ წყარონი,
ჩამომდინარნი გვერდზედა;
დაბერებულა პირიმზე,
კუზი ეტყობა წელზედა...
ოცნება ტანჯულის ქვეყნის
ქვითინებს მთისა წვერზედა.

IX

ღელეს ჩავიდა მწუხარე
ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი;
უძრავი ჰხურავ თავზედა
ყვავილიანი საბანი.
მოულოდნელი ხმა ესმის,
კაცის კივილი შორითა,
ჩამორბის, ჩამოუძრახნებს
კაცი ახადის გორითა:
— მოიცა, ქალო, და-ძმობას,
ცოტას იარე წყნარადა.
რა გაქვითინებს, ბეჩავო,
იყავი უწყინარადა!

ლელა ჩამოხდა ცხენიდამ,
ცხენი მიაბა ხეზედა,
ჩამოჯდა დაღონებული,
შუბი დაიდვა გვერდზედა.
აგერ გამოჩნდა ისიცა,
ვისიც ესმოდა ძახილი.
ქალთან პირდაპირ მივიდა,
ვით ამოწვდილი მახვილი.

კვირია

შენ და და მე ძმა, ლელაო!..
თუნდა მიმიღე მამადა.
ჩემს ესე დატევებასა
ნუ ჩამამართმევ ავადა.
მე კვირია ვარ, მიტირე,
თუშეთით მოსულ მზირია,
თუმცა კი თქვენის წყლისა ვარ,
ფშაური მიდგა ძირია,
გოგოლაურთა დისწული,
მათურელ გივის შვილია...
შენი პასუხი მესმოდა,
იქვე ლაშქარში ვერიე,
უფროსთა საუბარშია
მე ვეღარ ჩამოვერიე.
თუმც კი დამიჯდა ჭკვაშია
შენი გაყოლა თანაო...
აჩქამდნენ, იუკადრისეს
დიაცის წამოყვანაო.
რომ ხერხი ღონეს სჯობია,
ლაშქარი ფიქრობს განაო?
საცა ჰოს უნდა ამბობდენ,
იქ იძახიან: არაო!
როდი ფიქრობენ, — ბახტრიონს
ბევრი თათარი სტანაო:
ჯერ შასვლა არი საჭირო,
რო კაცმ იხმაროს დანაო.

საქმე ციხეა, უფრო კი
მაგარი ციხის კარები,
რომ ლაშქარს ჰქონდეს მტრისაკე
გზა, ლაღად გასატარები.
მე და შენ, დაო ესრე ვქნათ,
მეც თავს არ ვზოგავ, იცოდე:
ჩვენ ჯარზე უწინ წავიდეთ,
შენაც ჩემთანა ხვიდოდე.
ჩვენ ორნი წავალთ ერთადა, —
მივმართოთ თათრის ბინასა;
მივესალმები ყარაულს,
სხვებზე თავს მდგომს და წინასა.
თან ვეტყვი: ყეინს მოვართვი
ფეშქაშად ტურფა ქალიო;
გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა,
კაცი ვარ შესაწყალიო.
კარს გაგვიღებენ ციხისას,
მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.
შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,
ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა.
ჯარი ხვალამდე არ მოვა,
ჩვენ სრულ წინდაწინ ვიაროთ;
მზას ვიყენეთ, ციხის კარითა
საქმე წაღმ დავატრიალოთ,
ცისკრის ხანს მოვა ლაშქარი,
ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა;
ვეცდები კარი გავუღო,
თუნდ დამკლან ციხის კარზედა.
შენ რაღას იტყვი ამაზე,
ვამბობ თუ არა ჭკვაზედა?

ლ ე ლ ა

მზადა ვარ, შენი ჭირიმე,
როგორც სჯობ, იცი უკედა;
მე კი გონება არ მიჭრის,
გამხდარს დარდ-ბოლმის ბუდედა.
მტრის ჯავრი გულში მიდგია

შავს ალაზანის გუბედა.
ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,
უარს არ ვიტყვი მაგაზე,
ოღომც დააბას ჩვენმ ჯარმა
თათრები ვირის ბაგაზე.
იმოდენს როგორ არ შავძლებ,
რო დამკლან დედის კალთაზე...
ამ პირობაზე დამდგარნი,
ორნი გორი-გორ ჩადიან:
ოღომც ეშველოს ჩვენს ჯარსა, —
ორსვე სიკვდილი სწადიან.

X

ცამ გადიბანა პირიდამ
შური, ნაცხები ღრუბლისა,
გადაეფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა.
შუქი დაეცა ლაშქარსა
მთების ბრწყინვალის შუბლისა,
ლაშარის გორზე წავიდა
ლაშქარი დროშის ელერითა.
„შადეგით“, ჰყვირის ლუხუმი
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰნახეთა, ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა?!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ხ ე დ ა რ ი

ვნახე, ცის ტატნად დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა;
გარს ევლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძაფადა.

მ ე ო რ ე მ ხ ე დ ა რ ი

ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური;

რო ვნახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური.

მესამე მხედარი

მე ტრედის-ფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური;
შორს გაანათა ელვასებრ
ასი ბარული დღიური.

მეოთხე მხედარი

ჯერაცა ვხედავ, მივალის
ტურფა, სიტურფით ქსოილი;
ისრ ჰშვენის ცხენზე, ვით ველზე
გაზაფხულისა ყოილი.

ლაშქარი (ერთხმად)

იდიდოს შენი სახელი,
ჩვენო ბატონო, ძლიერო!
ჩაგვიძველ, მოგდევთ ჩვენაცა,
საყმოს საშველად მშიერო!
ადიდე ლაშარის ჯვარი,
ცისა და ქვეყნის იერო!
ნეტავ, რა მტერი იქნება, —
ეხლა გაგვიძლოს, ბიჭებო,
ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა.
ლურჯაის დანაბიჯებო!
ლაშარის ჯვარის ცხენისა
ნატერფალია ელვარე;
აღტაცებულსა ლაშქარსა
გული გაჰხდია მღელვარე.

XI

იეიერიბანდა, ცისკარი
სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა, —
ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰხვდებოდა!

დღეს მკვდარი, ხვალე დილითა
ცოცხალი წამოდგებოდა;
სრულის ჯანით და იერით
თვალებს წინ დამიდგებოდა.
ნეტავი ცეცხლი ციური,
ვისაც კი გულში ჰნთებია,
ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,
ისივაც ამოჰგზნებია!
მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,
მით რომე სიცოცხლე უდგას
სალის ყინულის ტახტზედა.
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რო აცვან ჯვარზედა.
ისე მოკვდება, ვერ შედგეს,
ერთს წამს ტრფობისა მთაზედა.
შორს არის, მეტად შორს არის
დაშორებული მაზედა.
ჭაობში არის ჩაფლული,
ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა.
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა!

XII

გადვიდენ ალაზნის თავსა,
მთების წვერები ჩნდებოდენ.
საცა გაჰხედავ, ყოველგან
გასაშტერონი დგებოდენ:
ზოგნი ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან,
ზოგნი უკანა რჩებოდენ;
იმათ ჩაუთქამ ქვეყანა,
ბუნების სისხლით ძღებოდენ;
ნამძინარევი დევები
ისევ ბურანში არიან,
ერთს ადგილს დგომით ტანჯულნი

შეჭირვებულან ძალიან.
მზე რომ მოვალის, მაშინის
შავს ნისლებს გადაიყრიან,
თუნდ მთლად ქვეყანა დაეცესთ,
აბჯართ არ ჩამაიყრიან.
გულ-მკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
წარბ-შეუხრელად მდგარნია,
წვანან ხმა-ამოუღებლად,
როგორც საფლავში მკვდარნია.
ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შაედარება,
მალ-მალე შავი ჯანღები
თავზე რომ დაეფარება?
ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი.
მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზე
ხშირის ბალახის ბიბინი,
ტიალის ობლის ნიავის
გულის მგმირავი სისინი.
არწივნი დაფარფაშობენ,
უფსკრულს ავლებენ თვალებსა,
მაღლიდამ ჩამოჰხარიან
თავისგან დახრულს ძვალებსა;
ლაღი შვილები მთებისა
ერთმანეთს ეძრახებიან;
ამ დროს ომში მყოფს გმირებსა
ტიალნი ემსგავსებიან.
უყვარსთ, რო ჰხედვენ ერთურთსა,
იმიტომ ეხასებიან!
ლაშქრისა გულიც აივსო
სიამოვნებით სრულითა,
ყველა დაჰხედავს კახეთსა
ათრთოლებულის გულითა.

XIII

ლაშქარი შედგა ცოტა ხანს,
ხმა გამოისმა კითხვისა:
„კაცნო, კვირია რა გვექნა?“
ყველა ამასა სჩივისა.
ენთება ხოშარეული,
როგორაც ბურდო თივისა.

ხ ო შ ა რ ე უ ლ ი

იფიქრეთ, ფშაველ-ხევსურნო,
ეგრე არ გარგებთ ტარება,
მზირმა მზირობა არ გვიყოს,
თავს არ მოგვხვიოს წვალება.
ვინ იცის, ნათრევ კაცია,
არ იყოს ღალატიანი,
დუშმანი არ გაგვიფრთხილოს,
საქმე ქნას ნახლართიანი.

ლ ა შ ქ ა რ ი

რა გაიგება, იქნება
ბრიყვმა გაგვყიდოს ფულზედა.
ფიცი გატეხოს უსირცხვოდ,
ხელი აიღოს რჯულზედა,
ცოცხლად დაგვმარხოს, თვითონვე
მიწა გვაყაროს გულზედა.

ლ უ ხ უ მ ი

კაცნო, რას ამბობთ ნეტარა?
რად ჰგრეხთ დიაცებრ ჭორებსა?
ფარ-ხმალით მოკაზმულები
აჰკიდებიხართ ჯორებსა!
რად არ გაჰხედნებთ, ბრიყვებო,
ჩვენის სამშობლოს გორებსა?
ვის გაუგონავ, სად თქმულა
ამბავი, ძველად თხრობილი,
მითხარით, ნუ დამიმალავთ,

ვინც კი კაცი ხართ ცნობილი,
ეგრე მუხთალად ღალატი,
ეგრე უღმერთოდ ტყუება,
მტრისა სალხენად ძმებისა
შინაით გამოტყუება?!
სრულ სიცრუეა, ნუ იტყვით,
თქვენ გენაცვლებათ ლუხუმი.
არ რადმე მეჭაშნიკება
სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.
კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ,
მაგის მეტ არ გაქვთ შნოება?
თავის ფიქრიდგან შემკრთალთა
ეხლაე მოგკიდათ ცხროება.
ღალატს რა უნდა ჩვენშია,
როგორი გვადგა დროება?!

სუმელჯი

ფიქრმა თვითონ სთქვა, რაცა ვსთქვით,
ეს ნურვის გაუკვირდება;
ყველაც კი იტყვის ამასა,
ვინც საქმეს დაუკვირდება.
არც კაი ბოლო იმათ აქვ,
ვინც ერთურთს აუხირდება.

ლაშქარი (ერთხმად)

არა, ტყუილად ნუ ვიტყვით,
ცოდვას ნუ ვიდებთ კისრადა,
მშვილდზე ნუ ვაგებთ კვირიას,
ნუ ვათამაშებთ ისრადა.
კვირიას ღალატ არ უნდა,
სხვა რამ ფიქრი აქვ წყეულსა,
თვალ-ცრემლიანსა, ობოლსა,
გულზე ეკლებით ხეულსა,
ეგრე ქურდულად გაპარულს,
ერთბაშად გადათხეულსა,
ვის ეწადება ღალატი
სწორჩიით გამორჩეულსა?!

ლ უ ხ უ მ ი

ეგრე თქვით, მაგას მოგელით,
სიტყვას წყნარსა და რჩეულსა.
ლუხუმიც მალე შეატყობს
ცრუვს, ღალატობას ჩვეულსა...
თანდათან ცნობას მოვიდა
გული-გონება ლაშქრისა.
სპეროზიაის კლდიდამა
ციცი ნიავი მაჰქრისა.
მიდიან ფეხ-შეუშლელად,
კალთა ჩაკეცეს მთებისა,
რაკი დაუშლის მგზავრობას
მოსახვევები გზებისა.
გალმა-გამოღმა მწყრომარე
ხვივილი მოდის წყლებისა
და ალაზანიც, ბარს დინჯი,
მთაში მეტადა სწყრებისა;
ძირს უთხრის სალსა კლდეებსა,
თავზე ჩაჩქანი ჰხდებისა!..

XIV

ნაქერალაში დამდგარან
თუშები თექიანები;
გულ-შაუდრეკნი ომშია,
ლაშქრობას ბედიანები.
გარს სანგლად შემოუვლიათ
ხევები ბექიანები.
ელიან ფშაველ-ხევსურთა,
თვალი იმათკე სჭერიათ;
წინ მიეგებენ ლხენითა,
დროშები დაუჭერიათ.
ლუხუმმა ცხენი გაქუსლა,
წავიდა თამაშობითა;
შამაუძახა თუშებსა
შუბლ-შეკვრით, კამათობითა:

ლ უ ხ უ მ ი

სადა გყავთ, თუშნო, ზეზვაი,
რად არ მაჩვენებთ თვალითა?
მე დ'იმან უნდა ვიომოთ,
ნაქებ რო არი მკლავითა. —
აღარა ხუმრობს ლუხუმი,
მკერდ-შეღობილი ფარითა. —
მე ჯერ თათრებთან რა მინდა,
მაგისი სისხლი მწყურია,
დუღს და გადმოდუღს გულიდამ
მაგის მტრობა და შურია.
შეჩერდა თუშის ლაშქარი,
გულზე წაესო მურია:
ფიქრობენ: რამ გააგიჟა,
ლეკიაა, თუ ურია?
შველის მაგივრად, თავხედსა
ჩვენივე სისხლი სწყურია!
ზეზვამ მყის იცნო ძმობილი,
ვეფხვი ხმალ-და-ხმალ წავიდა,
გაეკინკლავენ ერთმანეთს
ხძალ-შუბებით და ფარითა;
მემრე აკოცეს მხურვალედ,
ამბავსა ჰკითხვენ ძმურადა.
ერთმანეთისა სურვილი
ორსვე ჰქონიყო წყლულადა.

ლ უ ხ უ მ ი

გენაცვლე, ძმაო ზეზვაო,
რო თვალით გნახე კიდევა.
მიყვარს, ძმობამა, ხმალ-და-ხმალ
შენი მტრისაკე მიწევა.
კაცო, შენც დაბერებულხარ,
გაგხშირებია ჭაღარი;
ცხენი სადა გყავ, მიტირე,
ი შენი ცხენი—საღარი?

ზ ე ზ ვ ა

ლაშქრობამ ჩამამაბერა,
ძაღლ-უმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუძუს მამსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმო,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?..
წელში ორჯელ თუ დაემბის
ჩემი საფერხე გომშია.
საღარი მაგათ მამიკლეს,
ვისაც დღეს უნდა უტიოთ,
მაგ ძაღთი ერთი ცოცხალიც
გარეთ არ გამოუტიოთ.

ლ უ ხ უ მ ი

სრულ მაგონდება, ძმობამა.
საცა რა გადაგვხედია;
უნდა გადაგვხდეს კიდევაც...
ეს არის ჩვენი ბედია.

ზ ე ზ ვ ა

მეც მაგონდება ბევრი რამ
ერთი კი უფრო ცხადადა:
ერთხელის, საბუის ბოლოს,
ლეკებ რო ვაცხვეთ ქადადა.
თუ გახსონს, ერთს ლეკს ხმლითა ვეც
ჭიმად მოვწყვიტე თავია!

ლ უ ხ უ მ ი

შენის ფრანგულის ნაჭრევი
ისევ ისეთი მწვავია?

ზ ე ზ ვ ა

თავი გაგორდა მიწაზე,
ტუჩებმ დაუწყო კაპუნი,
იტყოდი, სარეკელასა
წისქვილზე გააქვ რაკუნი.

შენ შაგებრალა ურჯულო,
მოგიწყლიანდა თვალები;
უთუოდ, საით ენახვე,
მოგაფურთხებდენ ქალები.
მე არ მებრალვის, ლუხუმო,
მოუნათლავი აროდის,
მაგათ სიწუნტის ნაღველი
ყელში დუღილით ამოდის.
ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,
ჩვენ ‘ძავიბრალოთ რისადა?
სიკვდილი თვითონ უფალსა
გაუჩენია მტრისადა!
ერთურთს სალამი მიართვეს,
ფიცით შაიკრა ჯარია.
მაღლიდამ მაკურთხებელი
თავზე დაადგათ ჯვარია.
შაიღებება სისხლითა
ქართველთა მთა და ბარია.
დილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია.

XV

ხუთშაბათ დილა გათენდა,
სისხლისა ნიავ-ღვარია,
ბახტრიონს თათრის შვილებსა
დღე გაუთენდათ მწარია.
გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეა.
ალაზნისაკე წავიდა
ურჯულოს სისხლის ღვარია.
ნალესის ფრანგულებისა
ცასა სწვდებოდა ალია.
სრულ სისხლით დანაბეჭდია
მეომართ დანაკვალია.
კარავ-საჩეხი მტრებისა

მინგრეულ-დანაგალია.
 გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა
მტერი, უღმერთოდ დალია.
მიჰკივის თათრებს ზეზვაი,
შეუპოვარი, მალია;
გულ-რკინას ხოშარეულსა
შუა გადუტყდა ხმალია!
ცრემლი ერევა თვალებზე,
სწუხს ამისაგან, მწყრალია.
ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,
არ აუფეთქდა ფალია;
დროშას მიუძღვის ლომივით,
ამაიწვადა ხმალია.
შამაუძახა ლაშქარსა,
გულდინჯმა, ომში ცხარია:
„მამყევით, ვისც ქუდი გხურავთ,
ვინაც არა ხართ ქალია!“
 აივსო თათრის ძვლებითა
იმ ბახტრიონის არეა.
ციხე-გალავნად ეგება,
ისე გამრავლდა მკვდარია.
ეს ის დრო იყო, როდესაც
მთასა ჰლოცავდა ბარია,
როს სალოცავად მიაჩნდათ
მთიელის ხალხის გვარია.

XVI

— საით მოსდიხართ, ფშაველებო,
ცხენ-ხეთქით, რიალითაო?
ღრეობით, მხიარულადა,
ჩაჩქნების კრიალითაო?
ლაშარის ჯვარის დროშისა
საამო წკრიალითაო?!
— საით და, კახეთს ვიყვენით,
ბახტრიონს ჩავიყარენით;

ჩვენა, თუშნი და ხევსურნი
პანკისში შავიყარენით.
ვაცადეთ ჩვენი საცდელი,
ეხლა კი გავიყარენით.
— რა გქონდათ, კაცნო, საცდელი,
რა გქონდათ საომარია?
— არ თუ გაგიგავ, კახეთი
თათრების ნაოხარია?
თათრები ვხოცეთ, მოგვიდის
ცხენები ნაოფლარია;
გავწირეთ გულსისხლიანი
ყეინი ნათოფარია:
სალაშარიჯვროდ მოგვაქვის
ზინათი ნაშოვარია
და გადმოვლახეთ საფშაოდ
ტბათანა ნათოვარია:
სავსეა თათრების ძვლითა
ფშავლების ნაომარია.
მეფემ გვიბოძა საჩუქრად
სახნავი დ' საძოვარია.
სახელს უმატეთ სახელი —
ძვირფასი საპოვარია.
— საკაცით ვინღა მოგაქვისთ,
ნაბდებში შახვეულები?
— კვირიაი და ლელაი,
ჩვენთვის სისხლ-დანთხეულები.
ღმერთმა აცხონოს ესენი!
ამათ გაგვიღეს კარები!
რო შავიჭრენით შიგითა,
ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.
მოგვაქვს, დავმარხოთ იქავე,
სად მამა-პაპა ჰმარხია,
სადაც აბარავ მიწასა
იმათ გული და სახია.
მძიმეა თავის ქვეყანა,
თავის წყალ-ჭალა ძლიერა!
მიწაც ტკბილია მშობლური,

გულს რომ ეყრება ფხვიერა.
— ვის მოგილოცოთ სახელი,
ვინა ხართ სახელიანი?
— პირველ — ობოლი კვირია,
სახე აქვ ნათელიანი;
მეორე—ლელა ბაჩლელი,
ქალი ხელ-ფარტენიანი;
მესამე — ბერი ლუხუმი,
კურთხეულ გამდელიანი;
მეოთხე —ხოშარეული,
არწივი მხარ-კვერიანი;
მეხუთე, გივი სუმელჯი,
მოგვყავის ნაჭრევიანი.
— თუშჩი ვინ ვარგდა, მითხარით,
კაცად ვინ უფრო არია?
— ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი
მთელის თუშების დარია.
არა ყოფილა გაზდილი,
მომცრო სდგომიყო ტანია.
ისა ყოფილა ვაჟკაცი,
ღირსი წელთ ერტყას ხმალია.
ლომია, უფალსა ეფიცავთ,
სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
ლაზარნიშული ფარია.
მაგრამ დაგვიჭრეს რჯულ-ძალთა,
ეაწირეს ცოცხალ-მკვდარია.
თუ გაჰზდის,— ფურმა გაზარდოს
აი, მისთანა ხარია!
ვერ ვნახეთ, რო დაეკვნესოს,
ან შეცვლილიყოს სახითა.
თუშთ შაიჭირვეს ძალიან,
ცრემლით ატირდენ ცხარითა.
თავით დაურჭვეს დროშაი
მისივე შუბის ტარითა.
— ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
ვინ დარჩა სირცხვილიანი?

— წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგვექცა სირბილიანი!
ნეტარ სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი?
ფშავში როგორღა მოალის
დიაცი ჩიქილიანი?
არ ვარგა მაგათი გვარი,
უჯიშო, სიცილიანი!
ხალხში როგორღა გამოვა?
ხატში როგორღა მოდგება?
უკლოს, უკეთურს, ბეჩავსა
სად დაეკარგა გონება?!
რად არ ირჩივა სიკვდილი
და თათრებისა მონება?
ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი.
მიწამ შაჭამოს ცოცხალი
ე მაგისთანა მხედარი!
ომშიით გამოქცეულსა
მეხი დაეცეს, მედგარი!
არ ვარგა, იმიტომ თქმულა,
კაცი, ქალებში მკვეხარი.
— ბერი სადღაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?
— ეხლა გაგიტყდეთ ჩვენაცა,
აუგი გითხრათ თავისა:
იჩისა ვერა გავიგეთ,
გულში ესა გვაქვს ჯავრადა.
მტერი რო მთა-ტყეს მოეცა,
ჩვენ თან მივსდევდით ჯარადა
მისი ვეღარა გავიგეთ,
იქნებ თუშთ გაჰყვა წვეულად;
ზეზვაის დაჭრა ეწყინა,
ძმობილს თან ჰყავდეს ძმეულად,
ვერა ვიცით რა, ესა გვწყინს,
გვრცხვენიან, ჭირად გვქცევია;
დაკარგვა ჩვენის პატრონის
საგონად გარდაგვქცევია.

XVII

ღამესა სძინავს მთა-ბარზე,
ბუნება დასვენებულა,
მანათობელი ქვეყნისა
მთვარეც ხომ ჩასვენებულა.
მოისმის ივრის ჩხრიალი,
სიზმარს უამბობს ჭალასა,
ერთად ჰკეცს საუბარშია
ცისა და ქვეყნის ძალასა.
ცა თავისათვის მყუდროდ სდგას,
მკერდ-სუფთა, ვარსკვლავიანი.
მუხაზე ჩამოკიდული
კაცი სჩანს სამკლავიანი.
თავი დაურჩვავ მხედარსა,
თუ იყო გულჯავრიანი?
იორი ყურსაც არ უგდებს,
ნელად აქანებს ტალღებსა,
არ ედარდება, დაობლდნენ,
მაგრამ აღარ ჰყავ ბალღებსა.
თემისგან უარყოფილსა
ბადაუგდებეხ ძაღლებსა.

XVIII

სხლოვანს ატირდა ბებერი,
მოსთქვამს ზარს ზარიანადა:
„ნეტავი თავზე დამეცეს
მთა-ღელე ბარიანადა!
ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
არც გავჩენიყავ დედასა,
თუ ამას შავესწრებოდი,
ამდენ სირცხვილის კრეფასა!
შვილო, სირცხვილი მაჭმიე,
ძუძუ დასწყევლე დედისა!
თვითონ შენა ხარ მწამლავი

თავის უბედო ბედისა.
რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო
რად ხარ ყელ-საბელიანი?!
რად არ მამიხვედ, წიწოლავ,
პირნათლი, სახელიანი?!
გასწირე თავის ხსენება,
საწყევარ-სარბევიანი!"
— მარტოდ რად სტირის დიაცი,
გვერდით არა ჰყავ სოფელი?
არ ისმის მოზარეთ ზარი,
გულს ლახვარ-დამასობელი?
— თასი დაღვარეს ხატშია:
ახლოს მიუდგეს არვინა,
წიწოლას დანაშაული
აწეულია ცამდინა,
დაამცრო ჩვენი სახელი,
მთელს ლაშქარს გული ატკინა.
არც ვინ სამარეს გაუთხრის,
არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
მარტომ იტიროს დედამა,
ცრემლი წინ დაიგუბოსა!

XIX

იტყვიან: მაღლის მთის ძირსა,
უღრანს, უდაბურს ტყეშია,
ლუხუმი იწვა დაჭრილი.
ნატყვიარი სჭირს მკერდშია.
იქვე მაღალი კლდე იყო,
გამოქვაბული შავადა,
ხავსით მორთული, პირქუში,
მრისხანე სანახავადა.
იქა ბუდობდა ვეება
გველი, მორთული ჯაგრითა,
ბევრისა ცოდვის მოქმედი,
პირზე დორბლების დაყრითა.

ბევრი ჩაენთქა ტიალსა
მონადირე და მხეცები,
იწვა, უცდიდა დავლასა
თვალებით დანაცეცები.
გადამთხვალიყვნენ იქიდამ
ნადირნი გულის თრთოლითა.
ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგს,
ისე ეშინისთ შორითა.
ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
გაწოლილიყო ხეზედა,
წიოდა გულჯავრიანი,
თანაც თბებოდა მზეზედა.
ამ დროს შაესმა კვნესის ხმა
ჯაგარ-აშლილსა გვერდზედა.
გაჰხედა, ნახა, — კაცი წევს,
სულის მაბრძოლი, ეული,
გასცქერის ცისა სივრცესა
სასომიხდილი, სნეული;
მკერდზე ატყვია მიმხმარი
სისხლი წყლად ამორწყეული.
გველს შაებრალა ლუხუმი,
მისკე წავიდა ზლაზვნითა,
მიაშრიალებს ხმელს ფოთოლს
დიდრონის ტანის გლარზვნითა.
ზედ დააშტერდა სნეულსა
თვისის გველურის სახითა,
დასცქერის სულის მაბრძოლსა
გულის მზარავის თვალითა.
დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!
ზედ გადააწვა, მკერდზედა
წყლულსა ულოკდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა

ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!
მთელს ერთს თვეს ასე უელიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვავ,
კეთილი დაუჭერია!
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლაღის მთისასა;
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.
ამბობენ: შააძლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა;
ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!

(1892 წ.)

სტუმარ-მასპინძელი

I

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე,
გულამღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა.
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა:
ძმის მკვლელის სისხლი სწყურია.
კაცი რომ მოდის გზაზედა.
გზას ვამბობ, თორემ რა გზაა.
ვიწრო ბილიკი კლდეზედა?
სავალად მეტად ძნელია,
ფეხს ძლივ აცილებს ფეხზედა.
გალმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა, —
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა.
სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა
დაფიქრებულის სახითა.
ყორს უგდებს არე-მარესა,
გულ-ლაღობს სანახავითა.
სტუმარ- ცოტა ხანისა,
ხვალ სხვაგან წავა აქითა.
წავა, გადივლის გორებსა,

ქედებსა ყინულიანსა;
აბნელებს, უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა.
თუ მონადირეს ატირებს,
გზა-დაკარგულსა კლდეშია,
ალაღებს მგელსა და ქურდსა,
მოარულთ სიბნელეშია.

II

ზევიდამ ვინღაც უცნობმა
კლდის ლოდი გადმოაგორა,
მგზავრმა შეჰხედა პირ-აღმე,
წინ უდგას მაღალი გორა.
ყურს უგდებს... ცოტა ხანს შემდეგ
მოესმა ქვიშის ჩხრიალი.
მგზავრი სიათას იმარჯვებს:
მტერი არ იყოს ტიალი.
შესაცქერის გაფაციცებით
ფეხზე შემდგარის თოფითა,
ჰხედავს, რომ მოალაჯუნებს
კაცი ორ-კაპის ჯოხითა.
შავი რამ მოსთრავს პირ-თავქვე,
ქვიშა ქანავდა იმითა.
არას ამბობდა უცნობი,
სიტყვა არ მოსდის პირითა.
უპრუყვინავს სალტა თოფისა,
ვით წვიმის ცვარი დილითა.
— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?
— ვინ გინდა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა.
— რაობით სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
ვითომ, რომ დავხეტიალობ
შენებრ ამ კლდიანს მხარესა?

მეც მონადირე გახლავარ,
დღეს კი ვეხეტე უბრალოდ.
— წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ?
— ესეც ვალია, ძმობილო,
ძლივსღა დავათრევ ფეხებსა,
სულ დავიარე ჭიუხი,
არა ვსტოვებდი ხევებსა.
ზედ შავი ნისლი ჩამოწვა,
ნიავი მოსცა ძლიერი,
ხევებით შემომღმუოდა,
როგორაც მგელი მშიერი.
თვალწინ გზას ვეღარ ვირჩევდი,
კლდეზე გადვარდნას ვლამობდი,
ხამად ვარ, გეზი არ ვიცი,
ამით ძლიერა ვწვალობდი.
ბევრგან დავაფრთხე ნადირი,
ცხადად ფეხის ხმა მესმოდა,
ახ როცა გადაფრენილის
ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა,
ის იყო გულის საკლავი,
თვალით ვერაფერს ვხედავდი,
სროლას ან მოკვლას ვინ იტყვის,
წინ სვლას ვეღარა ვბედავდი.
უცნობი ახლოს მივიდა,
შორი-ახლოსა მდგომარე,
„გამარჯვებაო“ მისძახა,
„ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე“.
— შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
ჰხოცო ნადირი მხტომარე.
— აი ნადირი, რას სჩივი? —
უჩვენა ჯიხვი რქიანი,
მკვდარი, რქებ-გადაგდებული,
დადუმებული, ჭკვიანი. —
თუ გინდა, ეხლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,

გავინაწილოთ სწორადა.
ამაღამ ჩემთან წამოდი,
სახლი არ მიდგა შორადა.
სადაური ხარ, ძმობილო?
სახელიც მითხარ შენია.
ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაც
დღეს უფალს გაუჩენია.
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულს ჯიხვშია.
რად გიკვირს, არ გეხუმრები,
არც გეფერები პირშია.
მაშ, თუ ეს ასე არ არის,
რად შამეფეთე ამ დროსა?!
შაჰრცხვეს, ჩემ თავად, ვინც შენა
ნაწილი დაგიკარგოსა.
რა გქვიან? სახელი მითხარ,
ხევსური სჩანხარ იერით.
— ნუნუა მქვიან, ძმისაო,
გადმოხვეწილი ჭიელით, —
იცრუა ზვიადაურმა,
თვისი სახელი დამალა.
რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;
ბევრს ქისტს მოაკრა მარჯვენა,
უდროდ საფლავში ჩალალა.
— შენი სახელიც მასწავლე,
ჩემი ხომ გითხარ მართლადა.
— ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
ალხასტაისძე გვარადა;
არ მოგვიხდება, ერთურთში
სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა.
სახლი აქ ჯარეგას მიდგა,
ქაეი და ციხე კარადა.
ამაღამ ჩემთან წამოდი,
მე გაგიძღვები თავადა.
თუ კარგად არ დაგიხვდები,
არც დაგიხვდები ავადა.

ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
საითაც გინდა, იარე.
ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდსა,
ზოგიც შენ გამიზიარე.
— საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ვმკო—ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია.
გესტუმრო, უარს არ გეტყვი,
გიშველი ჯიხვის ზიდვასა,
წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,
თავს არა ვკადრებ იმასა.
შამოატყავეს ნადირი,
წავიდნეს ჯარეგაშია,
ბევრი იუბნეს ამბავი,
ერთურთს გაეცნენ გზაშია.

III

მივიდნენ, კოშკები დაჩნდა,
აქა-იქ ჰყეფენ ძაღლები;
კარებში იცქირებიან
ცნობისმოყვარე ბალღები.
დაეტყო ცხადად კლდის მსგავსად
სიპით ნაგები სახლები.
— აი, ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და სახლია;
მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
ნათლიმამასთან — ნათლია.
ცოლს დაუძახა ჯოყოლამ:
— გამოიხედე კარშია! —
ეტყობა თავმოწონება
მასპინძელს საუბარშია.
სდგანან დერეფანს, უცდიან...
ცეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა,
ჩონგურს უკრავდა, დროული

კაცი რამ უჯდა გვერდზედა.
დაჰმღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა;
ყველგან მადლობას სწირავენ
მარჯვენას კაის ყმისასა.
    გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.
    — აი, სტუმარი მოგგვარე, —
ღვთის წყალობაა ჩვენ ხედა, —
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა.
    ქალმა სალამი მიართო:
— სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!
— შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს
თავის ქმრითა და წილობით!
    სტუმარს აბჯარი წაუღო,
მიიპატიჟეს შინაო;
ქალი მისდევდა უკანა,
ჯოყოლა მიდის წინაო;
თან მისდევს ზვიადაური,
ძმობილი გაიჩინაო.

IV

    კაცი რომ სჩანდა სახლშია,
ჭაღარ-შერთული, ხნიერი,
წამოდგა ისიც ფეხზედა,
როგორც კლდის ვეფხვი, ძლიერი.
სტუმრად მოსული უცნობი,
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა.

მაგრამ როს ნახა უცნობი,
ფერი დაედო მგლისაო;
ადვილად აიცნობოდა,
რასაც ჰფიქრობდა ისაო.
არ ეშაშნიკა დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო,
გული სცემს ბრაზმორეული.
სახეც არ ჰმალავს ამასა,
ხანჯრისკე ხელი მიუდის,
ჩუმად სინჯავდა დანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაშლის ხათაბალასა.
ადგა და ჩუმად გავიდა,
თითზე იკბინა მწარედა,
სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი,
როცა გავიდა გარედა.
წავიდა, კარი-კარ დადის,
ენასა ჰლესავს შხამითა:
„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე
შემოგვეპარა ღამითა.
სჩანს, რო ჯოყოლა ვერ იცნობს,
არ უნახია თვალითა
ეგ ჩვენი ამომგდებელი,
ჩვენი მრბეველი ძალითა;
გაუმაძღარი მუდამ ჟამს
ჩვენის სისხლით და ძვალითა
დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,
ვაგემოთ გემო მწარია,
მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
გვყავს უპატრონო მკვდარია.
სთქვით, თუ არ ვამბობ სიმართლეს,
თუ ჩემი სიტყვა მცდარია?!
გაიგოს ჩვენმა დუშმანმაც,
არ გვაქვს უჯიშო გვარია.
მიკვირს ჯოყოლას ჭკვისაგან,
მტერს რად გაუღო კარია,
ვისა ჰმასპინძლობს ჭკვათხელი,

ცნობაზე რად არ არია?!
ცხვირიდამ უნდა ვადინოთ
ზვიადაურსა ძმარია,
თუ არა, დიაცთ დაუთმოთ
ჩვენი ხმალი და ფარია“.
    აღელვდენ ქისტის შვილები,
ყველამ შაიბა ხმალია,
აღელვდა მთელი სოფელი:
ბალღი, კაცი და ქალია.
უნდა შასწირონ თავის მკვდარს
ზვიადაურის თავია;
უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
როგორაც წესი არია.
    გაგზავნეს ერთი მზვერავი,
თან აბარებენ ჩუმადა,
მივიდეს ჯოყოლასთანა
მეზობლურადა, ძმურადა;
სოფლის განზრახვა არა გზით
მას არ ჩაუგდოს ყურადა,
ივახშმოს, იმუსაიფოს,
გაიგოს სტუმრის ლოგინი;
ღამე დაესხნენ, შაკონონ,
არ უნდესთ ბევრი ლოდინი.
    მივიდა მოყურიადე
ლაქარდიანის ენითა,
სახელს ულოცავს ჯოყოლას,
ლაღობს, არ არის წყენითა.
ხალბათობს, ამბობს ამბებსა,
ენას აკვესებს კვესითა.
ვინ იცის, გული სავსე აქვს
გველის შხამით და გესლითა.
    ივახშმეს. თვისი სტუმარი
მასპინძელს მოსწონს გულითა.
„კარგი ვაჟკაცი ეტყობა“, —
ფიცულობს თავის რჯულითა:
„ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
ერთად შევთვისდეთ სულითა“...

მიიპატიჟა საძილედ,
დაუთმო თვისი ლაჭანი.
— არაო, — სტუმარი ეტყვის, —
არ მინდა ლეიბ-საბანი.
მე დერეფანში დავსწვები,
შინ ძილს არც კი ვარ ჩვეული...
ასრულდა მისი წადილი,
გულიდამ ამოწეული,
მოყურიადეს ეს უნდა,
ამად არს აქ მოწვეული.
წავიდა გახარებული,
შეატყობინა ყველასა,
შამლის საჯდომი თუ იცის,
მეტი რა უნდა მელასა?!

V

— რა ამბავია, დიაცო?
ხმალი მინდა და ხანჯარი!
სახუმრო საქმე არაა,
თავზე დაგვესხა მტრის ჯარი!
ნამდვილ აკლებას გვიპირობს,
გვღალატობს ჩვენი სტუმარი;
ძმობით და მეგობრობითა
შემოგვაპარა ლაშქარი!
სუ, დაიცადე!.. მოვსტყუვდი...
ჩვენი ქისტები არიან.
რისთვის მოვიდნენ ამ დროსა,
რას ბჭობენ, ვის რა სწადიან?!
ყური დაუგდე კარგადა,
კაცისა მესმის ხრიალი.
რა მქისე ხმაურობაა,
რა საზარელი გრიალი!
ჩემს სტუმარსა ჰკვლენ, სწორედა,
უდგასთ ხანჯრების პრიალი.
უყურე უნამუსოთა,

ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ!
ჩაიგდეს ჩემი კაცობა,
ფეხს ქვეშ ტყლაპივით სთელავენ,
გავიგო, აბა წავიდე,
რაზე რისთვისა ჰლელავენ?!.
ეს სთქვა ჯოყოლამ, წამოდგა,
ხელ-ხანჯრიანი წავიდა.
გააღო სახლის კარები,
შეუპოვარად გავიდა.
— რას სჩადით? — შემოუძახა: —
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,
განანებთ ბრიყულს ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქელვასა!..
— რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?
რად არ მოდიხარ ცნებასა?
მოსისხლე სტუმრის გულისთვის
ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?! —
შემოუძახეს ქისტებმა
ერთხმად, ძლიერად, ჰექითა: —
შენ და შენს სტუმარს, ორივეს
ერთად გადგისვრით ბექითა.
თემს რაც სწადიან, მას იზამს
თავის თემობის წესითა.
მთელის ქისტეთის ამომგდე
სტუმრად რადა გყავ სახლშია?
ზვიადაურის სახელი
ბავშმაც კი იცის მთაშია.
ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო.
ჩვენის გაჟლეტის ცდაშია,
მგლურად რო გვეტეეებოდა.
რო გვიჯდებოდა გზაშია.
ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
პირს სინანული წაესო,

თითქოს ნატყორცი ისარი
ზედ გულის კოვზზე დაესო.
— თვით ამან მოკლა შენი ძმა
არყიანებში თოფითა.
ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
გადალესულსა ცოფითა.
„გახლავართ ზვიადაური!“ —
ჩამოგვკიოდა გორითა;
სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
თვალს ვადევნებდით შორითა.
ააავსო ფშავ-ხევსურეთი
აქით წასხმულის ძროხითა.
უკან გაუდგა ლაშქარსა
ფეხმარდი, ლეგის ჩოხითა.
თავს რად იმურტლავ, ბეჩავო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გერევა
შაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!
— ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მაგითა,
მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქი ტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვალს რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?

სახლში ხართ, განა შარადა!
ვაი თქვენ, ქისტის შვილებო,
მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?

მ უ ს ა (ჯოყოლას)

შენაც ამასთან შაგკონავთ,
თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!
ჩვეხის ნარჩევის დარღვევა
შენ როგორ უნდა გაპბედო?
აჰყეფდი ქოფაკივითა,
აბდა-უბდაობ შტერადა;
ამ გიაურის გულისთვის
ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
არ იცი, რომ შენი საქმეც
დღეიდან წავა ცერადა?!

ჯ ო ყ ო ლ ა (მუსას)

რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ?
ახლა ძაღლადაც გამხადე?! —
იძრო ხანჯარი, მუსასა
გულში უმარჯვა ვადამდე.
— უყურე თვით ძაღლს, უყურე,
გამითამამდა სადამდე!
ჩემის კაცობის დამქცევნო,
ლანძღვასაც მემართლებითა?
ალლაჰსა ვფიცავ, გაგმუსრავთ,
მანამ ამკაფავთ ხმლებითა,
გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი,
უსამართლობას ჰშვრებითა!
— რა ქმნა უღმერთომ, რა ქმნაო,
გაგიჟდა, ჭკვაზე მცდარია... —
ჯოყოლას თავზე დაეცა
მთელი ქისტების ჯარია,
ხელი შეუკრეს... არ მისცეს
ნება, ეხმარა ხმალია...

ხელ-ფეხშეკრული დერეფანს
დააგდეს, როგორც მკვდარია,
წყეველა ხალხისა ჰექაა,
ნაფურთხი — წვიმის ცვარია.
წამოიყვანეს დაჭრილი,
ზვიადაურიც სტანია.
რას ამბობს ზვიადაური?
სახე რადა აქვს მტკნარია?
ბოღმა მიტომ ჰკლავს ვაჟკაცსა,
რომ ხელთ არა აქვს ხმალია:
„ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო,
კარგი დაგიდგათ დარია“.
ამას ამბობდა დინჯადა,
სხვად არას მოუბარია.
მიჰყავდათ სასაფლაოზე,
სადაც ქისტების მკვდარია,
უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად,
და გაუბანდოს ჯღანია...

VI

Სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
გულ-ლომი, ჯიშიანია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთი
არა სძგერს გული მაგარი;
იმათ სჭამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი...
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯღალით

ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..
    მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ჭალაზე შამოეფინა.
მოჰყავდა ზვიადაური
ხელშეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა?!
სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშაუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!.

VII

    აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
„ნუ იტანჯები, დარლაო,
ნუ შეიწუხებ თავსაო,
მოვსდეგით შენნი მოძმენი
შენის სამარის კარსაო,

მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჭმეეთ მტრისა ჯავრსაო“.
— ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! —
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი — თმასაო
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულის-თქმასაო.
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბილსა,
ქედ-ჩაჟანგებულს მთასაო!
აქცევენ ზვიადაურსა,
ყელში აბჯენენ ხმალსაო:
„დარლასამც შაეწირები“,
ყველა დასძახის მასაო.
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“...
უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეისრიდა წარბსაო.
გაოცდენ ქისტის შვილები,
ხალხი დგებოდა ყალყსაო.
„ლამის რომ არ შაეწიროს,
ერთი უყურეთ ძაღლსაო!“[1]
ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძაღლ იყოს“, ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
„უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო!“
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის. —
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.

---

[1] სისხლის აღება, მკელელობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებსა აქვს წესად, მაგრამ სასაფლაოზე და ამგვარად „შეწირვა“ მაჰმადიან მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ, ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ, არ შედრკა, მკვდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება.

და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,
ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა.
მიშველებასა ჰლაშობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო.
ფიქრობდა ბრაზმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო.
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხობინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, აწ კრულა.
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა,
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!
ქისტები გაწყრენ, იტაცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:
„ცოდვაა!“ — ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,

ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურეოთ დანაო.
    წავიდნენ. ზვიადაური
ზეზე გაწირეს ტიალად.
თუნდა ძაღლებმა ათრიონ,
ფრინველთა ჯიჯგნონ ზიარად;
არ შაეწირა, ეგდოსო,
ეგეც ეყოფა ზიანად.
ამას იძახდენ ქისტები
თავმოწონებით, ხმიანად.
ამ ხმასვე იმეორებდენ
ბნელი ხევები მთიანად.
ჩამოდგა საღამოს ჟამი,
მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
აღარ ელავდა ქვეშაო:
აღარსადა სჩანს, გამქრალა
თეთრი თმა შავის მთისაო;
ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო.
რო მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.
სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმუილი მგლისაო,
ვაეკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.

ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვნა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო.
და წყაროს პირზე დიაცი, —
ტურფა ლამაზი, — ქისტისა,
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
დრო და დრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა;
ზვიადაურის სიკვდილი
თვალებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თეძისა,
მეორით — ღმერთი აშინებს;
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდან არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა,
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრადა.
სიბნელეს უცდის, მივიდეს,
ღამით იტიროს მკვდარიო;
იმას აღარა ჰფიქრობდა,
ჯოყოლა როგორ არიო.
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?
რას სჩადის ჭკვაზე მცდარიო?!
იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
სახლსაც შაუხსნეს კარიო!
წამოდგა, იხედებოდა

როგორც დამფრთხალი ნადირი,
ხედნებ-ხედნებით ამოვლო
ხევის კლდიანი ნაპირი;
წყვდიადში საზარლად ისმის
წყალთ ანაძრახი საყვირი.
ამოვლო კრძალვით საფლავთან,
მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,
ქვითინებს გულამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.
აიხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალახი პირითა,
ჩიქილის ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...
ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?
ყურებს გაუდის ჟივილი...
საფლავებიდამ მოესმის
მკვდრების წყრომა და ჩივილი!
თითქოს ბალღებიც ატირდენ,
გაუდისთ მწარედ წივილი!
საერთო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულის ტკივილი:
„რას შვრება უნამუსოვო“,
გამწარებულნი ჩიოდენ, —
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“
სამარით შემოჰკიოდენ.
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოდიოდენ.
გაიქცა, მირბის, იხედავს, —
მკვდარნი მისდევენ, სწორია
„შინით სად გაგვესვეწები,
აქით თუ გაგვეშორია?!“
ხმა ისმის დანადევნები,
მასვე იძახის გორია,
გარშემო დაყუდებული
განა ერთი და ორია.

„უნამუსოვო“! მისძახდენ
ტან დაწკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,
თავის ტოლებში უსწორო.
ქისტეთს განთქმული მხედარი.
თან მიჰკიოდა თავის და-
სიტყვა პირს მოსდის მჭეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
რისხვა რად ღამეც მედგარი?
მეორეს საფლავში ჩამდევ,
ერთს სამარეში მდებარი!
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არი?!“
ბილიკზე მოსუნსულებდა
სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

— სად მიხვალ, სადა, წყეულო,
საითკე მიეჩქარები?!
ვინ გაუმეევს კაის ყმის ლეშსა?
ძაღლო, დაგიდგა თვალები!
შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები?! —
სთქვა ეს აღაზამ და ქვებსა
ესროდა ხშირა-ხშირადა.
მირბის და მისდევს შმაგადა
კლდიანის ხევის პირადა.
ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
მას ბანს აძლევენ მთანიცა,
სამდურავს ეუბნებიან
აღაზას გიშრის თმანიცა.
მოუახლოვდა თავის სახლს,

სინათლე მოსჩანს იქითა;
უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
ხმა მიაწვდინოს შიგითა.
მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა.
მიეიდა სულშეხუთული
და გადაიქცა ზღუბლზედა.
კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
მუხლი გადეგდო მუხლზედა.
„ვაჰმეო“ — ეს კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე.
ქმარმა მოჰხვია ცოლს ხელი
და მიითრია კერაზე.
— რა დაგემართა, დიაცო? —
ჩაეკითხება მშფოთარე, —
სხვა სადარდელი მაკლია,
ახლა შენ მექმნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბაგეო!
ხომ არვინ მოიწადინა
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაჭმევ იმის ჯავრს,
ვანანებ ემავ წამზეო.
ჩემის სამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა სხვისა კარზეო. —
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო,
და თახაც ხანჯარს ჰბღუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.
თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია.
შუალაშის დროს აღაზამ
თან-თან მოიცა გონია.

უთხრა ჯოყოლას — „რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?
რად მოიკონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია?
სულ ტყუილია... კაცისა
არსად მინახავს ჭაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!
სასაფლაოდამ დაებრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხეებში,
ცხენის მაგივრად ბედკრული
შიგ გეფერიე დეკებში.
დამიხვდა შავ-ნაბდიანი,
უზარმაზარის ტანისა:
ჯერაც თვალებში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა;
დიდ-ყურა, კბილებ-ღაჯუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა;
ხელები გამომიწვადა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა.
თან მითხრა: ჩემთან წამოდი,
ჩემთან იცხოვრე ქალაო,
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიმალაო.
მე გამოვიქეცი, შევშინდი,
დევიც მომდევდა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა
იმის ფეხებქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წალმა-უკუღმა ტრიალით,
ძლივს მოვაღწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით“.
ჯოყოლა ეტყვის: — დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,

ჩემი ფიქრები ირევა.
ნამტირალევი რადა ხარ?
ღაწვებზე ცრემლი გდენია;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია.
ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!..
— რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა?—
ეტყოდა ცოლი და ნაზი
თრთოლა მიეცა ხმისადა: —
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრალებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..
— მაგისთვის როგორ შეგრისხავ?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მადლი გიქნია.
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

IX

მეორეს დილას აღაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე,

ჩამოდიოდენ ფრინვლები,
იზიდებოდენ მკვდრისაკე;
აღაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკე,
იქიდამ აფრთხობს ყორნებსა.
სვავთა მხარ-მოფარფაშეთა.
ორბებსა გაუმაძღრებსა.
მკვდრის ლეშზე მოყაშყაშეთა:
ხელს ამუშავებს და ჰმალავს
თვალებს, მზებრ მოკაშკაშეთა.
კლდიდამ გადისვრის კენჭებსა
და თან წინდას ქსოვს ვითომა,
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხდომა.

X

ბისოს მოვიდა ამბავი,
ვით ნაქუხარი მეხადა:
„მოუკლავთ ზვიადაური,
ცით ჩამოსული სვეტადა,
ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი,
გამოსადეგი მეტადა!“
შავის ამბისა გამგონეთ
ზარი გამართეს დედათა.
ბისოს ტიროდა ბებერი,
მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:
„ბედკრული რად ვარ ცოცხალი?
მეც მიწას მიმაბარეთა;
მკლავნი მაჩვენეთ შვილისა,
მოიტათ, ჩამაბარეთა!
ჩემის შვილისა მარჯვენით
გულს მიწა მომაყარეთა;
ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?
რისთვის-ღა ვსთელავ არეთა?!
მკვდარნო, რად არ მეც ადრევე

თქვენთან არ დამიბარეთა?
როგორ ვიგონო თავის ძე
ურჯულოს არე-მარეთა?!“
ვაქკაცთ გაიგეს ამბავი,
გასაგონარი ჭირითა,
ერთმანეთს გადაეძრახნენ
ბოღმით შემკულის პირითა:
„რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს
ცხარის ცრემლითა ვსტირითა?!“
გამოიტანეს შუბები
დუმით ნაპოხის ცხვირითა,
ფარ-ხმალით მოკაზმულები
ჯარს ამზადებენ დილითა.
ეს ხომ ახალი არ არის,
სისხლმა იდინოს მილითა.
იძახის აპარეკაი:
„საგძალი გიხდათ კვირისა!“
„ქუდზე კაც უნდა წავიდეს!“ —
ბაბურაული ჰყვირისა.
აღელვებულთა ბორგვნაა,
ხმა არ გეგონოსთ სტვირისა!

XI

— კარში გამოდი, ჯოყოლავ,
წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
რამდენი ხალხი მოერტყა
იმ ჩვენის მთების წვერასა!
ჩვენთან მოდიან სტუმრადა,
ჩვენ გვიპირობენ წვევასა.
შეგვანანებენ დედათა
შვილთა აკვნების რწევასა.
საქონელს ერეკებიან,
რეულობაა როგორი?!
ააესო ჯარმა, შეეხედე,
ჯარეგის თავი, სამ-გორი,

დამთხვალთა მენახირეთა
კლდეები მოსდევს ნაგორი.
წადი, უშველე თავისებს,
მტრის დასახვედრად მირბიან,
შენც ისე წადი, ჯოყოლავ,
როგორაც სხვანი მიდიან.
— გავყვე?! რას ამბობ, ჭკვა-თხელო?
არ გამივლეევენ ახლოსა!
მარტოკამ უნდა ვიომო,
მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
ვინ ერთგულია, ვინ არა,
ქვეყანამ დაინახოსა.
ქისტებს ორგული ვგონივარ,
გამდგარი თავის რჯულზედა,
ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
თავი გაჰყიდა ფულზედა,
ქისტეთის მოღალატე ვარ,
ხელაღებული სულზედა;
მოაქვთ და ცოცხალს მადებენ
საფლავის ქვასა გულზედა.
ამას ამბობდა ჯოყოლა,
თან აბჯარს ისხამს ტანზედა:
წელზე შაიბა ფრანგული,
თოფი გადიგდო მხარზედა,
ქისტს არ მაუდის ჯიშადა
მუზარადის დგმა თავზედა.
მარტოკა მიდის ცალს მხარეს,
თავდადებული ცდაზედა,
მტრის დასახვედრად სხვანია
შამოეფინნენ მთაზედა.

XII

ჩამოდის ხევსურთა ჯარი
დროშა მოჰქონდა წინასა;
მიჰმართეს სასაფლაოსა,
მდუმარეს ქისტთა ბინასა:

მოძებნონ თავისი მკვდარი,
მოკრიბონ გმირის ძვალები,
ზვიადაურის მტანჯველთა
ძირში მოსთხარონ თვალები.
დაუხვდათ ქისტის ჯარიცა,
ხევ-ხევის პირას მალული;
შამოესროლეს თოფები,
მაჟრები შემოსალტული;
გზას არ უთმობენ ხევსურთა
ბიჭები ამოსხარტული.
ორივე მხრიდამ თოფებსა
ზედ დაკიჟინით ისვრიან,
ორსავე საქმე აწუხებს,
ორნივე მედგრად იბრძვიან.
ბლომად დალია ტყვიამა
სისხლი, — მოძოვა ქუჩია,
მაინც არ გატყდენ ქისტები,
სდგანან ვით ციხე-ბურჯია.
ბაბურაულმა ხევსურთა
ხმალ-და-ხმალ ჩასვლა ურჩია.
მივიდა საქმე ხმალზედა,
ფარმა გზა მისცა საკაფი,
საძევარი აქვთ ხევსურთა
ძვირი განძი და ალაფი.
ფარო, ნუ ჰმტყუვნობ გორდასა,
შენა ხარ მაგის ჯალაფი;
თავქვე მორბინალთ ხევსურთა
წინ კლდე დაუხვდათ წარაფი.
კლდიდამ გადუხტა უეცრად
ქისტი ხმალ-მოღერებითა,
აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
მტრის ჯარის მოგერებითა.
ზოგს მოტყუებია ეგონა,
ამბობდენ მოჩვენებითა:
— ეგ ვინ უხვდება ხევსურთა?
ჩვენი მხარეა, ვინ არი?
— ეგ უნდა ჯოყოლა იყოს,

სწორედ, ნამდვილად ის არი! —
სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდენ,
გაოცებულნი უცქერენ.
როგორ არ უფთხის გროვასა,
თუმცა ხმალ-ხანჯრებს ულერენ.
მოჰკლეს კიდეცა, იქცევა,
მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ.
ქისტთ გაუხარდათ დიაღაც, —
„მოჰკლან, თუ მოჰკლეს — ახია!
ეხლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა ინდომა,
ჩვენ კი ტალახში გაგვრია.
მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
სწორედ დავლათით დაგვრია“.
ხევსურთ ჯოყოლა გასწირეს
მკვდარი, კლდის თავსა, კეტამზე.
თითონ დაესხნენ ქისტებსა,
ჩამოეფინნენ ფერდაზე.
გახდა ხმალ-ხანჯრის ტრიალი,
დაკრული მიდის მკერდამდე;
ფარ-ხმალის ჩხერა, წკრიალი
ცას ადიოდა ღმერთამდე.
გაიქცა ქისტის ლაშქარი,
კოშკებს მიჰმართა გრიალით,
უკან მისდევენ ხევსურნი,
თაეზე ჩაჩქნების პრიალით;
მოკრიბეს სასაფლაოზე
ზვიადას ძვლები ტრიალით;
ზოგი სად ეგდო, ზოგი სად,
ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით.
მოკრიბეს ძვლები ხურჯინში
და გამობრუნდნენ შინათვე,
ასრულეს გულის წადილი,
დანაპირები წინათვე.
გამოირეკეს ცხვარ-ძროხა,
გადმოავლიეს მთანია;

ამოიყარეს მტრის ჯავრი,
სადარდო რაღა არია?!
უცხოეთს მაინც არ დაჰრჩათ,
შინ მოაქვთ თავის მკვდარია,
ფშავ-ხევსურეთის იმედი,
ქავ-ციხე, რკინის კარია.
მოძმენი დაიტირებენ
თავის მკვდარს თავის წესზედა,
მიაბარებეხ სამარეს
მამა-პაპათა გვერდზედა:
ძვირად ღირს დანადინარი
თავისის ცრემლი მკერდზედა!

XIII

— უცხოს კაცისა მოზარევ,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
წადი, იტირე, აღაზავ,
სამარეს მიაბარია.
თავს დაჰყრანტალებს ყორანი,
წვერ-ულვაშს უცრის ქარია.
— შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
რო ჩემი ყოფნა მწარია!
აღარვინ მივლის ახლოსა,
არვინ მიჭირა მხარია.
იქვე დავმარხე კლდის თავზე,
საფლავიც გავუთხარია;
სუყველამ ზურგი მაქცია,
ყველაყა განზე მდგარია.
სასაფლაოც კი შემიკრეს,
რო დამემარხა ცხედარი:
ჯოყოლამ გვიღალატაო,
მაგრს ადგილი ეგ არი,
საცა მარტოკა ომობდა,
ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,
თემის პირისა გამტეხი,

ორგული, დაუდეგარი.
ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს
უალო, მოუდებარი;
გულს მიკლავს, გონებას მირევს
ფიქრები გაუგებარი!
ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირადა,
არჩვი ყელ-გადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა.

XIV

ღამეა ბნელი, დელგმაა,
დგანდგარებს არე-მარეო.
ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,
უშველე, შაიწყალეო!
კარგი კარგია მაინცა, —
ბეჩავი შაიყვარეო!
ტანჯულთა ლოცვა-მუდარა
გულს ვარდად დაიყარეო!
თუ არ უშველი, საწყლების
სულები მიიბარეო!..
გეყო მაგდენი მუქარა,
ღრუბელო, გადიყარეო!
მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს,
ზედ ასქდებოდა ლოდებსა,
დღესაც ისევე ბოროტობს,
არ იცის, რისთვის ჰგოდებსა.
არ ეშინიან ტანჯვისა,
იმან არ იცის სიკვდილი.
ერთი რამ იცის მხოლოდა:
ცრემლის ღვრა, მაღლა ყვირილი,
მუდამ ჟამს უცინარობა,
მარტო ტირილი, ტირილი...

ქარი სცემს, დაბლა ხევებით
ჩამოკიჟინებს მთებითა;
ქალი სდგას, მდინარეს დასცქერს,
კლდეზე, გაშლილის თმებითა;
სხივმიხდილს ვარსკვლავს მაგონებს
მკრთალად მთრთოლარის ყბებითა.
არ ილებს ხმასა... შემკრთალი
ჰკრთის, რომ დასცქერის მდინარეს;
რა საზარლადა ხმაურობს,
როგორ საზარლად მდინარებს!
ლაშ-დაღრენილი, სასტიკი
შავი ხეობა მძვინვარებს,
„თავს ნუ იკლავო!“ — აბა, თუ
ერთმა ურჩიოს მაინცა.
დახუჭა ქალმა თვალები,
მსწრაფლად მორევში ჩაიქცა.
— რაღად ვიცოცხლო, რიღასთვის?—
ამას ჰფიქრობდა ქალია. —
ქისტეთში ჩემი ერთგული
კენჭიც კი არსად არია.
ორთავ შევცოდეთ ქისტებსა,
მათ შამიჩვენეს ქმარია...
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია...“
    წაიღო წყალმა აღაზა,
ლამსა და ქვიშას შაჰრია.

XV

    იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
მოჰკლეს ხევსურთა ბრძოლაში,
ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა
ზეავისგახ ნაგალს გორაში:
კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკე იძახებს:
„ზეიადაურო, ძმობილო,

რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!"
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარ-ხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ,
იქვე აღაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ.
ენთება ცეცხლი მათ გვერდით,
მკრთალადა ბეუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
ეჟეკაცობისას ამბობენ,
ერთ-ურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.
როცა მათ ჰხედავს ერთადა
კაცი, ვერ ძღება ცქერითა;
მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერელის წერითა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

[1893 წ.]

სისხლის ძიება

(ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან)

I

ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი,
მზის სხივებს ჰსვამენ დილითა.
მთებს აუხსნიათ პირბადე
შვილებით, შვილი-შვილითა;
გულგრილად იცქირებიან
გაუმაძღარნი ძილითა;
ქათიბს უღეჭავს ნიავი
ბროლ-მიხანქარის კბილითა.
ერთმანერთს გადაჰხვევიან
შალშავ, იონჯა წბილითა.
უკვდავებასა სთესავენ
ირგვლივ ყვავილნი პირითა.
მიყრილ-მოყრილან კლდეები
პირქუშნი, სახე მწირითა,
არც დადნენ, არც დაიშალნენ
დაუდუღარნი კირითა,
არც ყურს გვიგდებენ თავხედნი,
თუმც იმათ ქებას ვყვირითა,
თქვენ რომ გიცქერით, მთა-ქედნო,
გული რბის ელეთ-მელეთა,
გიამბეთ ჩვენი სიგლახე,
თქვენ კი არ დაიჯერეთა!
სიმტკიცე ცოტა ჩვენთვისაც
რატომ არ მოიწველეთა?!
ნაჟურნო სალის კლდისანო,
უფსკრულში ჩაახველეთა!

ძუძუს რომ მოსწოვთ უსირცხოდ,
მაშინ მიურბით დედასა,
წახვალთ და ველარცა ჰნახავთ,
ეგ არი ერთხლის მეტადა.
დაეკიდებით მინდვრებსა
ცით ჩამოშვებულ სვეტადა.
ახარებთ ქალსა და კაცსა
საამოდ, შესახვრეპადა.
ჩამოუმწყაზრავთ თვალ-პირსა,
დაგეცემიან კრებადა...
თან მოაქვთ თიხის კოკები
კლდის ცრემლის ასაკრებადა.
თქვენ რომ იცინით ბარადა,
მთაში გიტირისთ დედები.
გეძებენ თავის შვილებსა
მკერდ-უდრეკელი ქედები.
ამაოდ ჰრჩებათ გულისთქმა,
უქმადა ცრემლის დენანი.
თავს დაჰღუღუნებსთ ნიავი,
ვით ბებერ მუხას ქედანი.

II

მთის ბილიკს მოსდევს მხედარი
აღვირ-ჩაყრილის ცხენითა,
აღვიძებს ბალახს მთისასა,
ხამუშ-ხამუშის სტვენითა,
ძლიერ დაჰღლია საფერხე
მთა-ღელეებზე რბენითა.
ცხენს დეზს გაუქნევს, დინჯადა,
გაუტყლაშუნებს მათრახსა;
შემოდგა მთისა ყელზედა,
მადლობას სწირავს ალლახსა.
გასაგრილებლად შუბლისა
უკან გადიწევს ფაფახსა.

მიდამოს თვალი გადავლო,
ნახა თავისი სოფელი,
ლხენით აევსო სულ-გული,
იქ ელამაზა ყოველი.
განა მარტოკა კაცთ გვიყვარს
თავისი მიწა მშობელი?!
არც მოდის უსახელოდა
სისხლის დავლაზე მშრომელი,
სისხლიანი აქვს ხმლის ვადა,
ეგრეე ხანჯრისა ტარიცა,
უქმად არ უტარებია
ჭრელად ნაქარგი ფარიცა.
შეუსრულებავ პირნათლად
მას დანაპირი ვალიცა:
დაუკიდნია ტახტაზე
წუხელ ნაშოვნი ხელია,
ჯერ მას თავისი ბიჭობა
არვისთვის გაუმხელია.
უნდა საჩუქრად მიიღოს
ხმალი, ფული და ცხენია.
რაცა ჰქმნა—სასახელოა,
ოდნავაც არა რცხვენია.

III

აგერ სასახლე და ციხე
დიდის ჩერქეზთა მთავრისა:
იტყვიან ასლან-ბეგადა,
მოქმედად ბევრის ავისა.
ყველაზე მტრულად მერჩოლი,
არვისთან მქონი ზავისა.
გულამღვრეული მუდამ-ჟამ,
სახითა ფერად შავისა.
იტყვიან, ვითომ ასლანმა
გასცა სამშობლო თავისა.
ბევრის ცხვარ-ძროხის პატრონი,

უმეტეს ცხენის ჯოგისა,
მარჯვედ ფარ-ხმალის მომხმარე,
მარჯვედ მგდებელი თოკისა.
უკვდავებაღა აკლია,
იმას მივწვდებით როდისა?!
რად არი გაუმაძღარი
ნეტავ ბუნება ზოგისა?!
    განაგებს ჩერქეზთ სამთავროს,
ყველა ძრწის იმის შიშითა,
ბევრი აიკლო სახლ-კარით,
ბევრი ატირა ვიშითა.
ერთი ქიჩირბე არ ჰმონებს,
გათქმული ვეფხვის ჯიშითა.
მისი ბოღმა ჰკლავს ასლანსა,
ჯავრი იყაროს ვისითა?!
ბევრჯელ ეცადა შაეპყრო,
სდია მრავალის ბიჭითა.
არ იქნა, ხელად ვერ იგდო,
გაუსხლტა ერთის ბიჯითა.
მრავალს ავალებს მის მოკვლას,
ქრთამი აღუთქვა ფიცითა;
თავის მკვლელებს ჰხოცს ქიჩირბე,
გაურბის ლურჯის კვიცითა.
დადის და ყველას არიგებს
სიტყვით ძმურით და მტკიცითა:
„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
უღელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგება ვის რადა?!
უბატონობა რით არ სჯობს,
ნეტავ, ბატონის ყოლასა?
რით არ სჯობია რაინდი
ღამის სალაღობ ცოლასა?
ომში მოკლული ვაჟკაცი —
მეჩეთში მყვირალს მოლასა?“
    წელან რომ ვნახეთ მხედარი,
ეგ არი მისი მკვლელია,

უნდა მიართვას ასლანსა
ვითომ ქიჩირის ხელია.
უნაგრის ტახტას ეკიდა
გმირის მარჯვენა ცხელია.
ის როდი იცის, მთა-ველი
ამაოდ დაუთელია.
დემურს ის მკედარი ჰგონია,
ქიჩირი ისევ მთელია.
რკინა არ კვდება მოწამლვით,
კბილს რად ღალავს გველია?!

IV

დღე ილულავდა თვალებსა,
ცივმა დაჰბერა ნიავმა.
სამგლოვიარო ჩაიცვა
მთამ ბრწყინვალემა, მზიანმა,
ვერც დააბერა, ვერც მოჰკლა
დიდმა დარდმა და ზიანმა,
აკურთხა უკვდავებითა
განგების ძალმა ჭკვიანმა.
ქორ-შევარდენთა ბუდემა,
ჩერქეზთ ქვეყანამ მთიანმა
ბევრი გაზარდა ვაჟკაცი
თავის წყლულების საპოხლად,
თავისა სადიდებელად,
მტრისა გულ-მკერდის საპობლად.
ნეტავ ვინ დასძრავს ბაგესა
არწივთა ბუდის საგმობლად?!
სახლში მივიდა მხედარი,
ცხენ-და-ცხენ მიდგა კარზედა.
არც პირი დაუბანია,
არც ულოცნია წყალზედა.
დაღრიჯა ცხენი სადავით,
უხმობს შინ მყოფებს გარეთა:
„გამოჩნდი, ვინ ხარ სახლშია,

ცხენ-კაცი ჩაიბარეთა!“
მხედარი თავმოწონებულს
ჰგავს მთას შემომხდარს მთვარესა,
უნდა აცნობოს ქვეყანას,
სად იყო, რომელ მხარესა, —
რომ მოაქვს ქიჩირის ხელი,
დაფასებული ძვირადა.
ამიერიდან მის საქმე
ექნებათ გასაკვირადა
ჩერქეზეთს დიდთ და მცირეთა, —
პატივისცემის გვირგვინი
ედგმის მის სახლის დირეთა.
ქალი გამოდგა ქოხიდან,
შუქი გამოჰყვა პირითა.
ქალი ეამსგავსე ამ დროსა
ნამს, ვარდზე მბრწყინავს დილიდა
თუ შურთხი არი ლამაზი,
მსტვინავი მაღალ მთაზედა?
ან თუ შავარდნის წიწილა,
მწოლარე დედის ფრთაზედა?
ან თუ ეარსკვლავთა კრებული
ულვ-სხივიანი ცაზედა?
ან თუ ალმასი ფრანგული,
დაღირებული მკლავზედა?
ან თუ ზღვა არი მშფოთარე.
აყვირებული ზღვაზედა?!
იქნება სამოთხე იყოს,
ქვეყნად მოსული ციდანა?
— ვაჟკაცის გულის ჭირია,
გადამგდებელი ჭკვიდანა.
ცხენს ჩამოართმევს, ვერ ჰბედავს
ჯერ ამოღებას ხმისასა,
მოკრძალებით დგას ყვავილი,
ხათრს ინახავდა ქმრისასა.
ცხენი რა ნახა ნაოფლი
და დატანჯული მეტადა,
აძრახდა ნაწყენის ხმითა

ცით ჩამოსული სვეტადა:
„ან ცხენს რადა ჰკლავ, ან თავსა
რად იარები უკლოდა?
შენი რა ჰმართებს ქიჩირს...
რად ეკიდები ულვთოდა?
შენს მეტმა არავინ სდია,
ფიქრი დაურჩათ უგზოდა:
ქიჩირის ხელის მოტანა
შენს მეტს არავის უნდოდა?!"
— დიაცთ ჭკვა ენაზე გაკრავთ,
ფიქრი თმებშია წასული. —
ამ დროს მოვიდა მეზობლის
ბიჭი პირ-გადამახული.
— რა ჰქენო? — ჰკითხა—მოხვედი
ნასახელარის თავითა?
— რა ვქენ და მოვკალ,—როგორა?
ხელში ჩაიგდე საითა?
— იქით, რომ სახლში ჩავუხტი
ღამით მძინარას ბანითა.
გამიგო, მაგრამ დავასწარ,
ყელი გამოვჭერ დანითა.
შევღებე მის სახლის კერა
მისავე სისხლის ღვარითა.
აჩხავლდა სახლში ბებერი,
მე კი გადმოვხტი კარითა;
ცხენს დავაფრინდი, წამოვედ,
ვცემე მათრახის ტარითა.
მოჰქროდა ჩემი მიმინო,
ფეხებს იბანდა ქარითა.
იქნება ტერელოელნი
უკან მომდევდენ ჯარითა.
რას გაიგებდენ ბეჩავნი,
საით მოვქროდი ღამითა?
მოვჭერ მარჯვენა, თან მომაქვს,
ნათქვამს ვამოწმებ ამითა, —
და სისხლიანი მარჯვენა
უჩვენა სახე-მცინარმა.

ქალი უკუდგა, შეაკრთო
სისხლმა, მარჯვენას მჩინარმა,
ხელებს იფარებს თვალებზე,
არ ნახოს ნათელ-მფინარმა.
— ჰა, ყოჩაღ! — ბიჭი იძახის,
თან ხელსა ჰსინჯავს თვალითა, —
დავლა გიშოვნავ ძვირფასი,
ნასახელარო გვარითა.
— ახ, კაცნო,—ქალი:—რანი ხართ,
როგორის გულის მქონენი?
სულ სისხლის, სულ ვაჟკაცობის,
სულ სხვის დამცრობის მდომელნი.
თქვენ ჰსინჯავთ, გული მილბება,
თვალთ ელევიან ღონენი.
— მაშ არ მიქნია კარგადა?
აბა, უყურე სულელსა:
ქიჩირს კი ცოტა მოუკლავ,
ცოტასა სჭრიდა ხელებსა?
რამდენს შენფერას ადენდა
თვალთაგან ცხარე ცრემლებსა?
ახლა თითონაც იგემოს
გემო ნალესის ხმალისა:
თუ სხვაზე ძალა კარგია,
ჰა, ესეც სიტკბო ძალისა.
მის სახლიდანაც შაესმას
უფალს ტირილი ქალისა.
დე, იხსენიონ წყევლითა
ღონე დემურის მკლავისა.
ვისც ავი დაუთესია,
მომკალი არი ავისა.
სწორს სხვის საწყაოს ირიდებს,
ყალბი კი მოსწონ თავისა.
მიწუნებ ქიჩირის მოკვლას,
შე უდავლათოს გვარისა?!
— რისათვის მომეწონება
უგვანი ქცევა კაცისა?
აქამდის ყველა აქებდით,

ყველას აგყავდათ ცამდისა:
„ლაშქარს ქიჩირი ერთია
და ჩვენ ათასნი სწორადა,
ქიჩირის ხმლითა ნაცემი
გაიკვეთება ორადა.
რაზეც ქიჩირი გაივლის,
მტრის თავებია გორადა,
სხვა არვინა ჰყავ ჩერქეზეთს
ქიჩირთან ასაწონადა“.
ახლა ყველანი აუტყდით
ასლანის ჩაგონებითა,
გადაიმტერეთ ძალადა. —
სთქვა ქალმა დაღონებითა.
— შენ არა იცი, უჭკო ხარ,
არც ცისა, არცა ქვეყნისა.
— არ მინდა, თვალებს მიშინებს,
ნახვა ქიჩირის ხელისა.
ვაჟკაცსვე ჰშვენის ეჭიროს
ხელი მოკლულის მტერისა.
— ეგ კარგი. ასლანსაც ჰკითხე,
მარჯვენას როგორ ელისა!
    დემურს შინ მიაქვ მარჯვენა,
ჰკიდებს აბჯართან ერთადა,
სადაც ფარ-ხმალი, დამბაჩა
ეკიდნენ გვერდის-გვერდადა.

V

    ბნელმა დაჰფარა ქვეყანა,
დრომ მოატანა ძილისა.
ვინ იცის, ტკბილად ვის სძინავ,
ვინ იცის, ვინა ტირისა?
ვის ლოყა ვის ლოყას ეკვრის,
ვის სუნთქვა უყვარს პირისა?
მშვიდობა სუფევს სოფლადა,
მამალიც არსად ჰყივისა.

დემურსაც სძინავ, ცოლს არა,
მის გული რასღაც ჩიეისა.
ქმარს გამოუძვრა ნაბდიდან,
რაა წადილი იმისა?
ჭრაქი აანთო, ჰსურს ნახოს
მოჭრილი ხელი გმირისა.
მიდის ცახცახით, უცქერის:
ყურებში ხმა რამ უწივის,
თითქოს ხმა ესმის ნაცნობი,
სამარით ვინმე უკივის.
გული ჰბგერს გაჩქარებითა,
ვითომც კვერს სცემდენ გრდემლზედა.
ყურს უგდებს გულის ჩქროლასა,
თან იხედება გვერდზედა!
დემურსა სძინავ ტკბილადა
ნაბად-წარხურვილს მკერდზედა!
ქალი უცქერის და ჰკრთება,
სხივი ეკარგვის ყბებისა:
„ვაჰმე, რას ჰხედავთ, თვალებო,
ბეჭედი დედი-ჩემისა!
მისი სახელიც სრულადა,
ხიშანიც ოქრომჭედლისა!
ესეც აბედით დამწვარი,
ჩვენ რომ სიყრმის დროს ვცელქობდით,
ვინ უფრო გავძლებთ სიმწვავეს,
მამაცობაზე ვდგებოდით.
გრძელ და დიდს სთვლისა ღამესა
ცეცხლა-პირასა ვსხდებოდით.
ვაჰმე შენ, ძმაო ალხასტავ?!
ცამც დამქცევია თავზედა“.
ერთი ხელითა ხელს იპყრობს,
მეორეს ივლებს თმაზედა.
„დღე გაგიმწარდეს, დემურო,
ძმა მომიკალი რაზედა?!
შავად მენახოს, ქმარაო,
შენი ვარსკვლავი ცაზედა,
შენი უმსგავსი მარჯვენა

მტერსამც მიეკრას ქავზედა!“
ტკბილადა სძინავ დემურსა,
არ იძვრის ქალის ხმაზედა.
გულზე მიიკრა ძმის ხელი
და გამოვარდა კარზედა.
    მირბის შმაგივით სოფელში
და მიქვითინებს მწარედა.
მირბის, იქ მირბის, ტერელოს,
ძმა უნდა ნახოს მკვდარია.
ქიჩირის სახლში იკითხოს,
იქ უნდა მოხდეს ზარია.
მკვდარ ძმას დის ცრემლი უხდება,
ბანს მოსცემს მთა და ბარია...
ცოლის ქვითინი არა მწამს:—
უბრალო ნიავ-ღვარია;
მალედვე გამოიდარებს,
რაკი დაჰბერავს ქარია.
დემური ცოლსა კითხულობს,
დიაცი არ!ად არია.
აღარსად მარჯვენა მოჩანს
იმისი ნადავლარია.

VI

    ორშაბათ დილა გათენდა
თავის რჯულით და წესითა.
იცინის მთა-ბარს ბუნება,
ღამის ნატანჯი კვნესითა.
მთაზე შაჯარდა ნისლები
გზა-გზა ცრემლების თესვითა.
ვინ ბრუნავს ქიჩირის სახლ წინ
პირ-ნაღველ-გადალესითა:
„ეს ვინ დამასხა თავს ლაფი?“ —
არწივი ამბობს ყეფითა. —
„ვინ შემარცხვინა თავხედმა
სირცხვილით მეტის-მეტითა?

სახლში მომიკლეს სტუმარი,
როგორღა ავდგე მკვდრეთითა?
ჩემს გონებულა სხვა მოჰკლეს,
ვიცი, ეს ვისიც ბრალია.
თუ ვერ ვიყარო მტრის ჯავრი,
წელზე რად მარტყავ ხმალია?!"
    დილას თარეშით მოსული
ცხენზედვე ჯდება კვალადა,
შვილს ორი ბურკვა ხალისა
დედამ უსაგძლა ძალადა.
თვალებს აელვებს ქიჩირი,
წარბნი ჰქცევიან კვამლადა.
ფეხს უცემს ლურჯი მერანი,
ესწრაფვის გასამალადა,
წავიდა. მჭრელი ფრანგული
უბრჭყვინავს ბუნით ვადამდე...
ხმალს სცემს, ნაქები ბაზალა
მიჩნეული აქვს ხატამდე.
მიხამ სტუმრის მკვლელს არ მოჰკლავს,
უნდა იაროს სანამდე.
კითხულობს, იძევს საქმესა,
უნდა შეიტყოს ამბავი.
არვინ უჩნდება, გულს უკლავს,
იმის შემრცხვენის მნახავი.
მაინც წიხ მოდის დიკლოსკე,
გულში იმედის კრთომითა.
გული ელევა მხედარსა
მტერთან შეყრისა ნდომითა.
შეუდგა მთასა ტყიანსა,
მიჰყვება ბილიკს ვიწროსა,
არ დაჰსწშენდია გუნება,
ჰგავდა დაჭრილს ვეფხვს იმ დროსა.
ხანდახან გაიხმაურის,
ცხენს შეუჯავრდის მკვახედა,
თითქოს ჰსურს ჯავრი გულისა
ამოიყაროს მაზედა,
ნახა, რომ ვინმე დიაცი

ქვითინით მოდის გზაზედა.
წინ შეეხეჩა და ჰკითხა:
— ქალო, ცრემლსა ჰღვრი რაზედა?—
შუა იჭრება ქიჩირი
იმის თვალების ფხაზედა.
— აქ შენ რას დახვალ, რას ეძებ?
რა დაგიკარგავ მთაზედა?
— ჯავრი მაწუხებს ვაჟკაცის, —
თქვა ქალმა მოთქმის ხმაზედა. —
ხომ იცი, უდარდელადა
ცრემლი არ დაიდინების,
ვით კაცი უმიზეზოდა
სხვისგან არ შაიგინების.
— რა დარდი? ვინ ხარ, სად მიხვალ?
მითხარ, ღვთის მადლსა, სწორია.
— ტერელოსაკე, მხედარო,
მანძილი კიდევ შორია?
სადაური ხარ? ნუ მიწყენ,
რომ სიტყვა გაგისწორია.
— ტერელოელი დარლა ვარ,
თუ სადმე გაგიგონია.
— კარგი მაშ, იქ კაცი მოჰკლეს,
მართალია თუ ჭორია?
— ალხასტა? მართალი არი,
ის ქიჩირბეის ძმობილი,
კარგი სამტროდ და საძმოდა,
არსად სიცუდით ცნობილი. —
ქალმა კვლავ იწყო გოდება,
რა მოისმინა თხრობილი.
— ქიჩირის ნაცვლად მოუკლავ
ვისმე გონება-მჩატესა.
კაცი ვით ჰკლავდეს, მოსაკლავს
არ უხედავდეს სახესა?
ვაჰ, რო ქიჩირმა არ იცის,
ავს დაუგებდა მახესა.
თავის ნამუსის შემბღალავს,
თავის ოჯახის შემრცხვნელსა!

— მაშ ქიჩირბეი სადღაა,
არვის ამბობენ მნახველსა?
— ის ოსმალეთში გაიქცა,
ასლანის შეშინებული.
მოსძულდა იმასაც თავი
ყველასგან შეგინებული.
შენ ალხასტასი რაღა ხარ? —
ჰკითხავს კვლავ დაფიქრებული.
— მე? და ვარ უკვლო, უბედო,
შავ-ბნელს დღეს დაბადებული.
— დემურის ცოლი ჰყოფილხარ,
ჩემთანა ფიც-ვერცხლ ნაჭამი.
— ძმობა, ყოფნა და სიცოცხლე
იმაზემც არი არამი!
იმან არ მოჰკლა ჩემი ძმა,
განა ეკუთვნის სალამი?!
— იმანა? რა ვქნათ, შემცდარა,
მოტყუებულა ბნელობით,
თორემ სხვად არა ეძრახვის,
ვაჟკაცი არი ხელობით.
    გულში სინათლე ჩაუდგა
ქიჩირს ამ ამბის ცნობითა.
რაკი მტრად ის დაიგულა,
თითონ გააძღებს მტრობითა.
ქალთან კი ამ დროს იმანა
სიტყვა არ დაძრა გმობითა.
    — მოტყუებულა? შეეამოს
თითონ ის ტყვიამ მწარემა,
ჩააცვას წყევის სუდარა
მთელმა ჩერქეზთა მხარემა.
ცოლის ძმის მოკვლის ნაცვლადა
თავი მოეკლა ბარემა?
ქიჩირის ხელის მაგივრად
მოაქვს ცოლი-ძმის მარჯვენა,
ვითომ მე ვიყავ ასლანი,
მომიტანა და მაჩვენა.
შენი ღვთის მადლსა, ის მინდა,

გზა მიმასწავლო წესზედა.
— ძალიან კარგი, წამომყე,
შევდგეთ იქ მაღალ სერზედა,
გასწავლი ქიჩირის სახლსა,
მას კოშკი უდგა გვერდზედა. —
ქალიც დასთანხმდა, მისდევდა,
ფეხს იბიჯებდა ფეხზედა.
— აგერ, გაჰხედე პირდაპირ,
ძირს რო ჩამოსდგამს გორია,
თეთრად რო მოჩანს — ქიჩირის
ციხე-ვალავნის ყორია.
მდინარე ტერელოსია
გაწოლით, როგორც მორია.
ამ გზას ჩაჰყვები, ძირს ჩახვალ,
მერე სულ ვაკე, სწორია.
ღმერთმა ძმის სული გიცხონოს,
ცრემლებიც წაიხოცია.
მეც მეჩქარება, მშვიდობით!
შენთვის გზა დამილოცია. —
თქვა რა ეს, აჩქარებითა
მხედარმა გზა-გზა გასწია,
თითზე იკბინა მწარედა,
ფაფუხს წარბებზე დასწია.
მიდის ტყე-ტყე და მიუბნობს:
— წადი. კაცს ენდე სოფლადა,
შენს მოსაკლავად ის მოდის,
ვინც გიცნობს კარგის მყოფლადა.
ვაი შენ, ფიცის გამტეხო!
შენებრ არ მოვალ ფარულად,
მელა არა ვარ, არც ტურა,
ქათმებს ვეპარო მალულად.
ძლიერა წყრება ქიჩირი,
დემურის სისხლი სწყურია.
თავის წამწყმედის წაწყმედა
მისი ნესი და რჯულია.
ფიქრს დაეწმინდა თვალები,
წელან ბუნდი და რთულია,

ვინაც მტერს მტრულად არ დაჰხვდეს,
მისი სახელი კრულია.
    მიდის, გადავლო ხევები,
სერები ტევრიანები.
ნამზვლევიანი ღელენი
თითქოა ქვევრიანები,
დიაღაც, მხოლოდ სისხლითა
სავსენი, ბევრიანები.
მთით ჩახდა, მინდორს მოება
ბალახიანსა, მწვანესა.
აქ, ამ ადგილას ჩერქეზნი
არც როს არ სთესენ ყანებსა.
ყვავილნი მუროიანით
ნაზად აბზენენ თვალებსა.
გაუსუქებავ მინდორი
ჩერქეზთ და რუსთა ძვალებსა.
ყინყვლა დაიწყეს ღრუბელთა,
ბალახს დაუწყეს ღვიძება,
მცენარეთ თავი აიღეს,
უფალს შესწირეს დიდება.
თუ არა ნამი ციური,
არ გაელვიძათ იქნება?!
    აქ, ამ ადგილას, იტყვიან
ამბავს, საკვირველს რამესა:
ვითომ აქ სისხლის ზღვა მდგარა,
ის შაესუსტოს მთვარესა.
ზღვა დაეყენა ბრძოლასა
ჩერქეზთ რუსებთან მწარესა.
მას აქეთ მუდამ ყვავილნი
ამკობენ ამა მხარესა.
ყვავილნი სანთლად ნათობენ,
გმირთ სულებს გაახარებსა,
მოხუცნი მოწიწებითა
დასთვლიან გმირთა გვარებსა,
ყრმანი უსმენენ გულს ყრყოლით,
თან ჰბღუჯვენ ხანჯრის ტარებსა.

VII

დაბინდდა. კაცი კაცისგან
ძლივს იცნობოდა მაშინა,
ჰხედავს, რო ცხენმა შამბიდან
ყურები გამოაჩინა.
მაზე მორთული მხედარი
ქიჩირს წაუდგა თვალ-წინა.
„გამარჯვებაო“, უცხომა
შემოუძახა ამასა.
გულს ნესტრად მოჰხვდა ესე ხმა
ქიჩირსა იმავ წამასა,
წინ მიეგება უცნობსა,
როგორაც შვილი მამასა.
— კი გაგიმარჯოს, მაგრამა
ამას ვისას სთელ ყანასა?
ვინ ხარ? სახელი რა გქვიან,
რად სჩადი მაგისთანასა?
— მე დემური ვარ.—და გული
ამის მთქმელს ასმევს შხამასა,
რაღაც ნაცნობი ხმა ესმის,
ჰგრძნობს ცუდსა მოსაზმანავსა.
— შენი სახელიც მითხარი,
ბიჭო, ამაყად მყვირალო!
— მე მკვდარი მქვიან, ძმობილო,
ჩემის მარჯვენის მზირალო!
დიაღაც მკვდარი, მაგრამა
ხმალს კი ვიხმარებ კიდევა;
ეცადე თავის დაცვასა,
შენი დღეები ილევა. —
და ხმალმა ქიჩირისამა
დემურის თავზე იელვა.
თავი გაგორდა მიწაზე
ზანტად ტუჩების ღებითა,
ხმალსა ტანიც კი ჩაეჭრა
დაღერებულსა კეფითა;
სისხლი ჩამოსდის დემურსა

ტანზე ჭიაფრად, ჩქეფითა,
ბალახს ჰღებს ცოლის მძებნელი
გულზე ხელების კრეფითა.
ცხენი კი გაფთხა, გაიქცა
პატრონის წყლულის მნახავი,
გულის ვაების და დარდის
ჭიხვინით გამომსახავი,
უცნობს ენაზე მოთქვამი,
ქიჩირის ხმლისა მძრახავი.
ქიჩირმა თავი აიღო, —
ხელი არ უნდა მტრისაო.
პირდაპირ დიკლოს გასწია,
კარგი მცოდნეა გზისაო,
გამოათავა მინდორი,
დიკლოს მოვიდა ღამითა.
ბირბის ასლანის ეზოში
ხელში დემურის თავითა.
ასლანის კარების წინა
თავს არჭობს ხისა ტარითა.
დაბრუნდა ტერელოსაკე
აბსრულებელი ვალისა,
თავსა ჰგრძნობს ბედნიერადა,
აღარ მდომელი ავისა.
არავის შიში არა აქვს,
მინამ ლურჯაი ჰყავისა...

VIII

იმ ღამეს დარბაზს ასლანი
სამავნეოსვე ჰფიქრობდა,
დემურის მოუსვლელობას,
ცოტა არ იყოს, ჰკვირობდა.
ბოლოს მოიხმო მსახური,
ჰკითხა სადარდო გულისა,
ჰკითხა ამბავი წარბ-შეკვრით
კაცისა დაკარგულისა.

— ამბავი სწორედ შევიტყე,
სხვა მოწამენიც არიან:
კვირას მოსულა დემური,
გაუმარჯვნია ძალიან.
მაგრამ ვერ გნახა, ბატონო,
რადგან ჯერ არა სცალიან.
— გაუმარჯვნია? ქიჩირბე
მართლა მოუკლავს დემურსა?
— სწორეა, რჯულს გეფიცებით,
თქვენგან ნუ მნახვენ გვემულსა.
— თუ მართალს ამბობ, ამ საათს
თავს ჰნახავ პატივცემულსა.
ასლანი მუჭით ოქროსა
ჯიბიდან აძლევს მონასა.
— რაღა სჯობს, ჩქარა მოვიდეს,
ვირცხლის და ოქროს შოვნასა!
რაც მას აღვუთქვი, სულ მივცემ,
არ ვუღალატებ ხსოვნასა.
— საქმე სხვაფრივა, ბატონო,
მიბრძანებთ? გეტყვით წმინდადა.
დემურის ცოლსა მის მოკვლა
გულს შესწდომია ფინთადა, —
ქიჩირბეს ხელი წაუღავ
და გაპარულა ბნელაში,
დემური დილას წავიდა,
ხანს ჰლევს ცოლისა ძევაში,
დიაცის ფიქრი წყეულ არს,
ვინ შევა იმის კვლევაში!
— ეგ სხვა საქმეა, მაგრამა
ვიჭვობ, თუ შესძლო საცადი.
ძნელია, ბრიყვო, მის მოკვლა!
ერავალ ჭირს არი ნახადი.

IX

თქვენს მტერსა ისეთი დილა,
მაშინ გათენდა ჭირისა.
ზოგი ჩუმადა ვიშ-ვიშებს,
ზოგიც ხმამაღლა ტირისა.
„ვინაა დემურის მკვლელი?“
ნათესავთ გული ჰყვირისა;
სანჯრეპსა ჰკბენენ, მრისხანედ
ცეცხლს აკვესებენ პირისა.
არავინ არი გამრკვევი
ამ საქმის გასაკვირისა.
ასლანსაც გარისხებულსა
ლანა არ უხსნის კრიჭასა.
იცოდა, სრულად ვერ ენდო
მ..ტომ წუხანდელს ბიჭასა.
..ინას ქიჩირბე იხამდა,
ცოდვას ნუ იტყვით სხვისასა!“
სახლის მოაჯირს წამდგარი
ხალხს გადმოსძახებს იმასა.
დემურის თავი შეჰხვიეს
ყერეზთა ტილოს ქისასა.
ტახის საძებრად წავიდნენ,
კვალსაც იძებენ მტრისასა.
რას იპოვნიან მშრალაზე
ნავალს ნაგეშის მგლისასა?!

X

ფავიდა ცოტა რამ ხანი
და გამოირკვა ყოველი,
წინა-დღეს გაჯავრებული
ალარა ჰბორგავს სოფელი.
ადვილად აუგს არ ამბობს
კაცი ქიჩირის მგმობელი.
„მოსისხლის სისხლი აუღავ“,

ყველა ამისი მთხრობელი.
„ძალიან კარგად უქნია,
ღედა უცხოხეთ მშობელი!“
მტყუვნის და მართლის სამზღვრისა
საქმეა გამომცნობელი!

XI

თავის წესს არ ჰშლის ბუნება,
ღამე დღეს, დღე სცვლის ღამეთა,
მუხლმოკეცილნი სხდებიან
შავი ნისლები მთა-ველთა;
მრავალთა წყალთა იდინეს,
ჩამოუარეს ვაკეთა;
მრავალმა გამოთხოვების
აკოცა ლამაზს ბაგეთა.
ზოგი გაჩნდა და სხვა მოკვდა,
საფლავს მწოლარე ვნახეთა.
მტრობა, ტრფობა და სიძულე
ერთურთს უგმობენ სახეთა.
ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას,
რაც რომ ჩვენგანმა აკეთა.
ბევრჯელ გაიშრო მთამ ქედი,
ბევრჯელ მოირთო თოვლითა,
ბევრჯელაც ვნახე ცვრიანი,
ვით შუბლს მუშაკი ოფლითა.
წყალი არ მოჰშლის წყლობასა,
რაც უნდა პევრი ჰნაყოთა!..
ასლანის გული სავსეა
ისევ ქიჩირის ჯავრითა.
ვერცა რას ფარ-ხმალით გაჰდა,
ველარც რას თავის მსჯავრითა.
ბოლოს სიფლიდეს მიჰმართა,
ესღა იხმარა ლონედა.
გაფხავებული მახვილი
მოსაქნევია დონედა.

ენაზე მჭრელი არა არს,
ძველებსაც უთქვამთ სწორედა.
ვაჰ, კაცნო, ბევრჯელ ბრმანი ხართ,
ხშირად ულირსთა ჰმონებთა!
ხშირად ქვას უენ-პიროსა
ქვეყნის შემქნელად ჰგონებთა!

XII

კაცი მივიდა ქიჩირთან
ერთხელ მაცდურად მცინარი,
თაფლი და შაქარი არი
მის პირით ამომდინარი.
ჭალარ-შერთული მაჰმადა
გათქმული არი გონებით.
არც უსახელოდ შთენილა
ცხვრითა, ძროხით და ქონებით.
აქებს, ადიდებს ქიჩირსა
ხატებთან შენაწონებით,
ჰპოხს გულ-ჩათხრობილ რაინდსა
გულუხვად სალბო ქონებით.
მიჰმართა მის გულ-გონებას
სხვადასხვა რიგის ფონებით.
სულ ბოლოს იგი უამბობს
ჭკვიანად, გონებ-გონებით:
— მართალი არი, ქიჩირო,
ვერვინ გაშინებს ძალითა,
ვერვინ დაგიძრა წამწამი
შემოქნეულის ხმალითა.
მაგრამ არც კაი დღეში ხარ
მუდამ საფრთხეში ყოფნითა.
მუდამ ხმალ-ამოღებული,
ფეხზე შემდგარის თოფითა.
თავის შინ ქურდულად დახვალ,
ქურდულად პურის მჭამელი.
საცა გაივლი, მტრებითა

სავსე გგონია მთა-ველი.
მშვიდობის მიწა არა გაქვს
ცოცხალ კაცს ორი მტკაველი.
— სხვისა მონებას, მაჰმადო,
ეგრე მირჩევნის ტარება.
როდი მაშინებს სიცოცხლის
სიკვდილად გადაცვალება.
ერთი დღე ყველას მოგველის,
დღე იყოს, მზეცა ბრწყინავდეს,
ჩვენ არაფერი გვესმოდეს,
ციე სამარეში გვყინავდეს.
ნეტავი იმას, ვინაცა
მკვდარი გასწირავს სახელსა.
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს, როგორც სანთელსა.
ცოცხალი ცოცხალსა ვგვანდე
თავის გუნების პატრონად.
მოვკვდები, ერთი დღე მმართებს,
მიწა მექნება ბატონად.
— ვინა თქვა მონად იქნები? —
გაჰხდები პირველ კაცადა.
რაც რომ ასლანი ფიცულობს,
ღმერთი აქცია ხატადა.
ორს ვაესვე ხელი დაადვა:
„ღმერთს შევავედრებ ამათა,
თუ მე რამ ვავნო ქიჩირსა,
ოღონდ მოვიდეს ზავითა.
თუ კიდეც არ დავსაჩუქრო
საჩუქრით მრავალ-გვარითა“.
მერე ამ დროსა: ხმა დადის,
რომ გაგვამტვეროს, აგვიკლოს,
მოზღვავებულა ურიცხვი,
გამოჩენილა ხვარიგლოს.
ჩერქეზეთს ახლა სჭირია
ვისაც გული აქვს გმირული,
თავზედა ქუდი ჰხურია,
წელზე ჰრტყავ ხმალი მისრული, —

გასწიროს მკერდსისხლიანი
მტერი კარებზე მისული.
რად ულირს, იცი, ასლანსა.
რომ მიუხვიდე ზავითა; —
ჩერქეზთ ლაშქარში ერიო
თავის ხმლითა და ფარითა.
— რაც უნდა ის ქმნას, მე მოვალ,
ქმნას თავის გულის ნებისა,
არც ვისგან საჩუქარს ველი,
არც მდომელი ვარ შვებისა.
დაძრახვით ნურვინ დამძრახავს,
სმენაც არ მიყვარს ქებისა.
დიაღ, წამოვალ, თუნდა თქვან:
ქიჩირი რასა შვრებისა?!
მე კი ჩვენს ჩერქეზთ რჯულზედა
სახლში მიუვალ ძმურადა!
თუ არ დაირცხვნის თითონა,
დაე, მომექცეს მტრულადა.
არც ეს მექნება სანაღვლოდ,
არც თავი დაკარგულადა.
საღმრთო წესს როგორ დაარღვევს,
ისეც გაფუჭდა სრულადა?!
— სულ ტყუილია, ღალატსა
ტყუილად ჰფიქრობ, ძმობამა,
რა სიხარული აჩვენა
აქამდის შენმა მტრობამა?
ემ ჩემს ჭაღარას დაენდე,
შენმა და ჩემმა ცნობამა! —
არ შეუცვალა მთქმელს ფერი
ტყუილის გამოცხობამა...
— კარგია, კარგი, მოხუცო,
სიტყვას რად ჰხარჯავ მრავალსა?
თავადაც კარგად გავიგებ
თავის თავგადასავალსა.
ხვალ ღამ, ან ხვალ-ზევით დილით
შინ ვეახლები მთავარსა.
ბევრს რად ჰფიცულობ, მის ნახვა

განა ეგრეცა მზარავსა?..
— როს დაგინახავს თვის კარზე,
გაუხარდება, იცოდე.
მოვაო, ვეტყვი... მშვიდობით!
დროა, რომ გზაზე ვიდოდე.
— მშვიდობით, წადი!.. კარგს ამბობ,
ცოტას რომ არა ჰფლიდობდე. —
რა გაისტუმრა მაჰმადა,
თქვა ეს ქიჩირმა ჩუმადა,
რაც ლომის ღმინი იქნება,
იღიმებოდა უმადა.
გულს დაეკითხა ათასჯერ,
ფიქრსა ჰშლიდა და აგებდა.
ბოლოს იფიქრა — წავიდეს,
თუ კი ქვეყანას არგებდა.
თვალთ წინ დაუდგნენ მოძმენი,
ომი ფიცხელი მტერთანა,
აოხრებული ქვეყანა,
გასწორებული მტვერთანა.

XIII

— რისათვის იყო სულელი,
რაზე საუბრით გირთავდა? —
მაჰმადას წასვლის შემდგომ..
დედა ქიჩირსა ჰკითხავდა.
— ასლანი ზავსა თხოულობს,
უნდა ვეწვიო, დედილო.
— რას ამბობ? როგორ ენდობი,
გონება-გამოშრეტილო!
ბალღი ხარ, ახლაც მოსტყუვდე,
რომ მგელს ეძლევი პირშია.
ვინ მისცემს, სად გაგონილა,
ბიჭო, ბედაურს ვირშია?!
ზავისა იმან რა იცის,
გველ-ბაყაყების ბუდემა,

ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა
და ჯოჯოხეთის ზღუდემა?
რაკი წახვალ და არ იშლი,
რჩევას არ მისმენ მითაცა,
მაგ სიბრიყვესთან ბარემა
მოდი და ჰქმენი ისაცა,
ჯერ კი მე მომკალ და მერე
იარე, როგორც გენებოს.
უშენოდ შენსა მშობელსა
ცოცხალს ნუმც ჰნახვენ ტერელოს.
— რაც ციხე აქამდის ვაგე,
ახლა დავშალო, კარგია?
სხვას ყველას ვპოებთ, სახელს ვერ,
თუ ერთხელ დაგვიკარგია.
დიამც სიცოცხლე დავკარგო,
ის ჩემთვის მეტი ბარგია.
არამი არი ჩემზედა,
მაინც არაში მარგია.
მტერი რო მოდის, მაშ რა ვქნა,
შინ დავიმალო, კარგია?
რას ეგვახება ქიჩირი,
რომ არ ერიოს ჯარშია?
სხვა რაც უნდა თქვი, მაგრამა
ეს რომ არ მოდის ჭკვაშია?!
სიკვდილი ბევრად სჯობია
ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.
რა სიცოცხლეა, რომა თქვან
ჩემი ლაჩრობა მთაშია!
დიაცებრ მანდილიანი,
დედავ, გიხდივარ რაშია?

XIV

ის იყო, ასლანის ეზოს
დილის მზის სხივი ჰფენოდა,
ცხენზე მჯდომარე ვაჟკაცი
ეზოში ვინმე ჰშვენოდა.

დამშვიდებულის სახითა,
თითქოს არც როს რამ სწყენოდა,
უხმობდა მეგობრულის ხმით,
ასლანის გასვლას ელოდა.
ორი მსახური სტუმარსა
გამოეგება ხმიანად.
ცხენს ართმენ, მიესალამენ
ორივე თავაზიანად.
შინისკენ მიიპატიჟეს
აუჩქარებლად, ჭკვიანად.
იმათში არაფერს ჰხედავს
ქიჩირი დამაზიანად.
    მაგრამ იქით და აქედან
გადმოხტეხ აბჯრიანები;
ზოგნი თოფ-შემოყენებით,
სხვანი ხელ-ხანჯრიანები.
ხმა როდი გასცა ქიჩირმა,
სდუმს ვით ქვა, ვითა ლოდია.
არც წყევლა უთქვამს, არც ლოცვა,
მან არ ატეხა შფოთია;
თუმც მკერდში გული უქანავს
ბოღმა-ნასვამი, ლოთია.
    სტაცეს ხელი და შებოჭეს,
ქიჩირი ქვასებრ მდუმარებს:
ხელსაც არა სძრავს სამტროდა,
არც ილხენს, არცა მწუხარებს.
უყურებს, ღობეს იქითა
ქალი ვინმე ჰღვრის მდუღარეს.
ბოლოს გამოჩნდა ასლანიც,
შავს ღრუბელსა ჰგავ მქუხარეს:
— მგელო! გაგაბი ხაფანგში,
არ დაასვენებ კბილებსა?
რომ ჰკვეხდი, — ასლანისასა
სულ გავწყვეტ შვილი-შვილებსა, —
ჩემს ჯილაგს ემუქრებოდი
ამოფხვრას ფესვიანადა.
ვერ ამოგფხვერი?! იგემე,

მიცანი წესიანადა!
სხვა ყველა დავ-მორჩილე:
მაღლა ცა მეხიანადა.
შენ არ მიხრიდი მხოლოდ ქედს,
მოგექე ხერხიანადა?!
აგანთებ, აგაპრიალებ
ცამდე თავ-ფეხიანადა!
    მხოლოდ ეს უთხრა ქიჩირმა:
— ერთს გეხვეწები დიდადა, —
ნუ გააგონებ ქვეყანას,
თავს ნუ აჩვენებ ფლიდადა.
ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
რომ მომატყუე ზავითა,
ნუ წაჰრყვნი მოძმეთ ბუნებას
შხამ-საწამლავით ავითა.
ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:
წმინდად შენახვა კერისა,
პირობის დაურღვეველობა,
ძმად შინ შენახვა მტერისა.
— ეგ რომ წესად გვაქვს, ისაღა
სისხლით დაბანა სისხლისა;
მტრობისთვის მტრობა უზომო
წესია ჩვენის მიწისა.
რა ცოდვა არი, რა მადლი,
ასლანმა უკეთ იცისა!

XV

    ყველამ გაიგო სოფელში
შეპყრობა ქიჩირბეისა!
კაცთა, ქალთა და ყმაწვილთა
მოდენის იქმნა დღე ისა.
მოქუჩდა ხალხი, მოგროვდა
ეზოში ყოველ მხრიდანა,
მხოლოდ სვავები ზარობენ,
არ მოგელავენ მთიდანა.

ყველას ის უნდა, იხილოს
თავზარ-დამცემი მტერისა.
გმირების მოყვარულია
თვალი და გული ერისა.
გალაღებული ასლანი
გულში ტკბილადა მღერისა!
მან ბრძანა, როცა იხილა
ბრბო, ერთმანეთზე მდგომელი:
„თქვენ, კაცნო, ყველასაგანა
თითო კონა ფიჩხს მოველი.
მოზიდეთ ბევრისგან ბევრი,
გავწურთნო ესე ცხოველი,
მარტო ღვთის ბატონად მცნობი,
სხვა ყველას წინა მდგომელი!“
მოზიდეს შეშა უზომო,
ცეცხლიც დაანთეს დიადი;
შიგ უნდა ჩაწვან ქიჩირი,
როგორც კვერი და ხმიადი.
ქიჩირმაც იგრძნო კარგადა
თვის სატანჯველი ფრიადი.
მაგრამ ის წარბსაც არა ჰხრის,
სდგას ვით სალი კლდე ზვიადი.
მიუდგა ქიჩირს ასლანი
ახლოს თავ-მოწონებული:
— მოგწონს, ქიჩირო, სასჯელი
ეს ჩემგან მოგონებული?—
ახლა ძლივს სუნთქავს ნებითა
გულზე დარდ-მოფონებული.
— მომწონს და არც შემაშინებს
ათასჯერ მეტიც იყოსა.
თუ გავტყდე, ღმერთი მრისხავდეს,
წყალმა და ღვარმა მრიყოსა.
— არ გეშინიან? სწორედ თქვი,
მხოლოდ დაგიხსნის მუდარა.
— ძაღლებს არას სთხოვს ქიჩირი,
მოკვდეს, მით არა უნდა-რა.
— მაშ თუ არ გზარავს სიკვდილი,

კიდეც იმღერებ, არაო?
— ძალიან კარგად, — ქიჩირი
ვითომ თავის შინ მჯდარაო.
მონებს უბრძანე, ჩონგური
რო მომიტანონ ჩქარაო.
    მალე ჩონგურიც მოართვეს,
ჩამოჯდა, მოიხარაო!
თოკით შეკრული მკლავები
სახმარად მოიგვარაო.
ჯერ გადაჰხედა გროვასა
ცეცხლის მფრქვეველის თვალებით.
ცეცხლი ცეცხლს დასწვავს, რა უშავს,
გარს შემორტყმული ალებით.
თვით იტანჯება, რომ იწვის,
სხვას კი გაათბობს წვალებით.
    გაჩაღდა ცეცხლი და ბოლი
შეიკრა როგორც ბარდია,
ცას შავ ღრუბელად გადეკრა,
თითქოს ტირილი სწადია.
ხალხში ხმას არავინ იღებს,
ქიჩირს შესცქერენ მტერადა.
ქიჩირმა ლარებს ჩამოჰკრა
და გაიხედა ცერადა.
იქ ნახა ქალი ლამაზი
რომ იღვრებოდა ცრემლადა,
იგივე, ვინაც წეღანა
მის შეპყრობის დროს ტიროდა.
ქალის ტირილსა ქიჩირი,
ცოტა არ იყოს ჰკვირობდა,
იცნო და პირმა შესცინა,
დატყვევებულს ვეფხვს იამა.
გამოაფხიზლა ყველანი
ჩონგურის სიმთა წკრიალმა.
აჰკრა ხელი და ჩამოჰკრა,
თან ზედ დამღერა ხელადა.
დღესაც ამ ლექსების ცოდნა
ყველა ყრმას ადევს ბეგრადა.

1

ფლიდია ესე სოფელი,
ფლიდთა საყრელი ხელისა;
კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი
კალთას აფარებს, ჰშველისა;
მართალი წუთისოფელში
შვებას ამაოდ ელისა!

2

სამშობლოსათვის მამაცი
არის მადლი და დიდება.
მალე დაჰღუპავს ქვეყანას
ლაჩართა გადაკიდება.
ვინ იყო ქვეყნის ორგული,
ვინ ჰშველდა გიაურებსა,
გააწყვეტინა ჩერქეზნი,
აჭმევდა მგლებს და ტურებსა,
დააჭრა საკუთარის ხმლით
ცურები ჩერქეზთ ფურებსა.
იმის ძმებს მტერი ჰმუსრავდა,
თვით ჯიბეს იყრის ფულებსა.
მიკვირს, რომ ასეთ უმსგავსთა
ქვეყანა რადა ჰყურებსა?!

3

სულდგმული დღესაც ვსულდგმულებ
მამა-პაპათა რჯულითა.
ნაგრძნობი ჩემის გულისა
არ მიწონია ფულითა.
მიყვარს ჩერქეზთა ქვეყანა
წმინდა ჩერქეზის გულითა,
მიყვარს მთები და ველები
გულ-მკერდით დაქარგულითა;
ვინ იცის, ვინა ვცხონდებით
და ვინ წავწყმდებით სულითა!

4

ბიჭობა ათასნაირი,
ათასის სახის მქონეა.
ვისაც სიკვდილი აშინებს,
ის ბიჭად არა მგონია.
თავის გაწირვა ადვილად
ვაჟკაცთა სულის ღონეა.
ვაჟკაცთ დაიცვეს ქვეყანა,
გამრავლდეს იმათ ჯიშია;
ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს, ისა სჯობია.
გველის წიწილა გველია,
ხოლო ვირისა — ვირია.
კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ,
არცა-რა გასაკვირია.
უმსგავსთა, ფლიდთა მომსპობად
გახმეს ფოჩი და ძირია.

XVI

ბალღები შემოჰხვევიან,
შესჩერებიან ქიჩირსა.
ასლანის ორი ვაჟიცა
გვერდითა დგანან მის პირსა.
ცეცხლი კი უფრო გაჩაღდა,
ალი ალსა სცემს, ტრიალებს.
საზარი სანახავია, —
სიკვდილის ბჯღალი ტრიალებს,
„აი, ბიჭობაც ეს არი!“—
კვლავ დაიძახა მხედარმა,
იღლიას სათითაოდა
ბალღები იკრა მჭეხარმა,
არა ამაოდ მომთქომმა,
არ უსაფუძვლოდ მკვეხარმა.

„აი, ბიჭობა, ნახეო!“
და დაიღუპა ცეცხლშია
სამის სულდგმულის სახეო.
ამითი როდი გათავდა
ამ ცეცხლის ზღვასთან ომია.
ქალი გამოხტა გროვიდან,
ციდან მოსული მგონია,
ისიც თან მიჰყვა ქიჩირსა,
თქვეს: „ეგ დემურის ცოლია!“
ცოცხალ-მკვდრად დარჩა ასლანი,
გაშტერებულა დუნია;
სულს ჰხუთავს, ბუნებას ჰშხამავს
ცეცხლში დამწვართა სუნია.

XVII

მეორე დილას იპოვნეს
იქვე სხეული ბებრისა;
საკრეფად წამოსულიყო
ქიჩირის ძვალთა მტვერისა.
ეკრიბა კაბის კალთაში
თუ რამ ცეცხლს ფერფლი რჩენოდა:
ეძებდა შვილის ნიშანსა,
ეგებ რამ გამოსჩენოდა.
რომ ვერაფერი ეპოვა,
მასაც სიცოცხლე სცხვენოდა.
დანა დაეცა გულშია
და სისხლი გადმოსდენოდა.

XVIII

ასლანზე რაღას იტყვიან,
სადაა? როგორ რჩებაო?
— ძალიან ამბავს ამბობენ:
უნამუსოდა კვდებაო.

ჭ-რი რამ შეჰხვდა უწამლო,
მთაზე თოვლივით დნებაო.
ლოგინად ჩავარდნილია,
ფეხზე ვეღარა დგებაო.
დამბლად დაეცა, ჭკვით შესცდა,
შუა მოხრილა გრკალადა.
არც რჩება, აღარცა კვდება,
ცოცხალი არი ძალადა.
პურზე, საჭმელზე იძახის,
როცა მიართმენ, ასეა:
„წაიღეთ, შორს გამაცალეთ,
გველ-ბაყაყებით სავსეა!“
ვინც სალმით მივა იმასთან,
ჩერქეზთ მთავარი იგია,
ბოდიშის ნაცვლად მიუგებს:
„მე როდი გამიყიდია!“

ათასჯერა წვიმს, სეტყვაა,
მთებზე ნისლები ჰკიდია,
ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
შიგ ცოდვა-ბრალი დიდია;
ბუნება წარბსაც არ იხრის,
მაინც მშვიდი და მშვიდია.

[1897 წ.]

ბველის მჯამელი

(ძველი ამბავი)

I

სასტუმროს იყვნენ ხევსურნი,
ლუდი ედუღა წიქასა,
ისხდენ ბანზედ და ღრეობდენ,
თასებით ჰსვამდენ იმასა;
ზოგნი უკრავდენ ფანდურსა,
ზედ დაჰმღეროდენ დიდადა,
მსმენელთა გრძნობას უდებდენ
საგმირო ამბებს ხიდადა;
აღგზნებით გმირთა სახელებს
ლექსებში თვლიდენ წმიდადა;
მოხუცნი ჩიბუხებს სწევდენ,
ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს,
შანდობა თქვიან გმირთადა.
ახლების საწურთნელადა
იხსენებდიან ქებითა:
„თქვენ იცით, ამას იქითა
კაცად ვინც გამასდგებითა!“
კრებაში ერთი ვინმე სჩანს
სახემკრთალი და მშვიდია,
როგორც თაფლს მწერი, ეხვევა
იმას მცირე და დიდია.
დაღვრემილს—წელზე ხმალი ჰრტყავ,
მხარიღლივ ფარი ჰკიდია.
მუხლებს წინ თავშიშველანი

ორნი უსხედან ჩოქითა,
თასებს აწვდიან, იღებენ
შავს ლუდსა დიდის გობითა.
„შასვი, მინდიავ,—ეტყვიან, —
კაი ლუდია, სვიანი.
გვითხარი რამე, ღვთის მადლსა,
ერთი ქართული გზიანი“.
„მთვრალმა რა გითხრათ, კაცებო,
ჭკუა სასმელმა დაძალა,
სათქმელი მემრისთვის დარჩეს,
თუკი სიკვდილმა მაცალა“.
ასწია კარახანასა,
გადიწურა და დაცალა.
ტყვეობით დაბრუნებული
ძმებში ყოფნითა სტკბებოდა,
როგორაც სხვანი მრავალნი,
ისიც ლუდითა თვრებოდა.
ამ მინდიაზე ამბობდენ
დაუჯერებელს ამბებსა:
მინდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტ წელს თურმე ქაჯებსა.
ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა;
მიდის დრო, განვლო მრავალმა
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუდნო მონებამ,
ამოსვლას ლამობს სულია.
აგონდებოდა თავისი
ჩამოთოვლილი მთებია,
ჩაბნელებული ხევები,
უსწორმასწორო გზებია,
მის ბედის მგლოვიარენი
დედა, მამა და ძმებია,
თავისი ჭერხო მწირული,
სამოთხედ მისაღებია;

ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ღმერთსა
ხხურვალედ შაჰვედრებია.
ბოლოს სთქვა: „თავსა მოვიკლავ,
ასეთს სიცოცხლეს სჯობია!“
ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი
სადილად ნახა ქობია,
იცოდა, გველსა ჰხარშავდენ,
ირასა სჭამდენ ხშირადა;
ქაჯნი ქაჯობით იტანდენ
გველის მიღებას პირადა
და თავის თავზე იფიქრა,
რომ ექცეოდა ჭირადა.
აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით, ქურდულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალეს თვალით
ტყვეს გადმოჰხედა ზეცამა:
ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა,
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
რ ოდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
ღ ფალს სულიერ-უსულო, —
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“,
არა ზარობდენ სათქმელად.

შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო.
მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია.
მას აღარაფრის ეშინის,
თუნდ თავს დაატყდეს მეხია.
ქაჯნი ბრაზობენ, რა ჰხედვენ —
გამეცნიერდა გლეხია.
აღარ აშინებს ტყვეობა,
აღარც ხრიკები ქაჯური,
დღეს თუ ხვალ, იმედიანობს,
ქაჯებს უჭიროს პანჩური.
მალია ტყვიასავითა,
გრძნეული, როგორც გველია,
ელმერთებს, ნუგეშად ჰსახავს
ფშავ-ხევსურეთი მთელია,
გვირგვინოსანი თამარი
სულ მუდამ ამის მთქმელია:
„ოღოხდ მინდია თან მყვანდეს,
მასთან მთიელი ერია,
რაც უნდ ძალიან ეცადოს,
ვერას დამაკლებს მტერია“.
იცის მტრის დასამარცხები
და შემმუსვრელი ფანდია;
თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო,
ნუ აქვს სიკვდილის დარდია, —
შუაზე გაჭრილს გაჰკურნავს
მის უებარი წამალი.
მით არ მცირდება ომებში,
მუდამ ჯარი ჰყავ მრავალი;
შორს არის ამბად წასული
მისი თავგადასავალი.

II

როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა,
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა.
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი
ეკონებიან მწვახესა, —
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მღილსა
ის ეგებება სალმითა,
ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა,
ყვავილნი ყელგადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“, —
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბალახი იწყებს ბიბინსა
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ა მ ი ს წამალი“,
სხვა გაიძახის — „ი მ ი ს ა“;
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა,
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა;
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს
თურმე მოუვათ ტირილი;
მარტოკა მინდიას ესმის
მათი კვნესა და ჩივილი.
ამისგან მისი ცხოვრება

ძალიან დაცარულია:
მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვსჭრა ესაო!“
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შამოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“ —
დაუდუნდება მკლავები,
შტერად შაჰხედნებს ზეცასა.
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა;
და რომ ღველფზედა არ გაქრეს
ცეცხლი, აანთებს თივასა
ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,
თან მიაშველებს წივასა;
თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა.
მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა,
საღამოსა და დილასა.
სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო,
მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;
ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ
ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“.
არავინ უსმენს, არქმევენ
ამგვარს მის რჩევას ბოდვასა:
„ღმერთს ჩვენთვის გაუჩენაო
სარგოდა, მოსახმარადა!“ —
და დღესაც არავინ ჰზოგავს
ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა.

III

როცა ყანის მკას დაიწყებს,
გიჟია, გადარეული:
ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს—იქა,
საგულეჩამოხეული;
სულ გადასთელავს ყანასა,
გაჰბურდღნის, გაატიალებს,
მინამ ღონე აქვ მკლავშია,
ციბრუტივითა ტრიალებს;
და, როცა დაიქანცება,
გაიშხლართება მიწაზე, —
რო ჰკითხოთ, ასე რად სჩადის,
ის გიპასუხებთ იმაზე:
„რას ამბობთ, კაცნო, არ გესმით,
მიტომ მიწუნებთ ქცევასა.
ის როდი იცით, თავთავნი
როგორ მიწყებენ ხვეწნასა;
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუხებს ერთადა, —
ხელნამგლიანი როცა ვარ,
მსახავენ თავის ღმერთადა:
«არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესამე!»
«არა, მე — სხვა გაიძახის, —
უფრო მაშინებს ზეცა მე.
ჰატარა ნისლიც რომ ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა:
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა».
სხვა უფროც ჰყვირის: « ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!»
გამაგიჟებენ ბოჟირით,
გადავირევი ბრალითა:
ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები
ორის ხელით და თვალითა

და ამ დროს თავადაც ვხდები
მოსაბრუნები წყალითა.
ყანასა სეტყვა აშინებს, —
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შაუძლიან წახდენა?!.
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავხი ოქროსფერანი,
არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
ბიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ჟივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,
რომ მითი გაძღნენ მშიერნი, —
მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,
ძალნი ვახსენოთ ციერნი".

IV

ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,
ლუდის სმა არი, ღრეობა.
დიდს მლოცავს მოიპატიჟებს
გუდანის-ჯვარის დღეობა.
ხალხია დაჯარებული,
ბჭობენ უფროსნი მრავალსა:
ზოგნი ამბობენ სხვის ამბავს,
სხვანი—თავგადასავალსა;
ამბობენ ვაჟკაცობისას,
თოფისასა და ხმლისასა,
ჯაჭვის მჭრელს წელზე ვინ ირტყამს,
ყველა აქებდა იმასა;
უსმენენ მოწიწებითა,
თუ ვინ რას იტყვის ცდისასა.
თანაც გაბეს მსჯელობა
გველისმჭამელის ცოდნაზე,
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,
მათ ჩანადინარს ცოდვაზე.

ჩალხია ეტყვის კრებასა:
„მიკვირს ეგ თქვენი ფიქრია,
წინავაც ბევრჯელ გითხარით,
ეხლაც იმასვე ვიტყვია:
ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია?!
მე სამალავად არ ვამბობ.
თითონაც მისდის ყურშია;
თუ ამას მართალს არ ვამბობ,
იფიქროს თავის გულშია.
ვსთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი...
კაცის კვლა ყველასა სჯარბობს,
თუნდ მტერი იყოს ყოველთი.
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ,
გეტყვით, მისმინეთ, მე რასა:
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ,
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც
კლვისას არ გვაძლევს ნებასა,
მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.
მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს
მტრისად შაქცევას ხელისას,
ეგრევე, ოღომც ვიცხოვროთ,
მოჭრას წიფლის და თელისას“.
„არ სტყუის, არა, ჩალხია,
მინდია ცრუობს სწორედა,
ათასნაირი ტყუილი
თვალწინ აგვიგო ყორედა“
ამბობდენ ხალხში ზოგები

გაუბედავად, დონედა.
„მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,
როგორღა გვეცხოვრებისა?!.
ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდვებისა?!
თემთ რო გვარიგებს მაგაზე,
ძალიან ცუდად შვრებისა.
კარგთაგან იმედი გვაქვის
მუდამ შველის და რგებისა
და არა ჩვენის დაღუპვის.
ჩვენის ცხოვრების ვნებისა!..“ —
ეს იყო გამონასკული
აზრი ხევსურთა კრებისა...
მინდია იქავე იჯდა,
თვალთაგან ცრემლი სდიოდა.
არვინ იცოდა, თუ იმას
გული რისაგან სტკიოდა.
თვალნი მიეპყრნო ერთს მხარეს,
ხალხისა არა ესმოდა;
გამოერკვია ფიქრიდან,
როცა ბერდია ეტყოდა:
„რად არ ყურს გვიგდებ, მინდიავ,
ნეტავ რისათვის სტირია?
ეს არც კი მიკვირს შენგანა,
არც სხვისგან გასაკვირია —
ერთს წამში ცხრაჯერ შესცვალო
გლოვა-ტირილზე ლხინია“. —
და მთელმა ხევსურთა გუნდმა
მინდიასკე ქნა პირია...
„ჰო და სთქვი, — კვლავ სთხოვს ბერდია, —
გულზე რა ჭირი გჭირია?“
„აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ, —
თითით უჩვენა ჩიტებზე,
(ორნი ფრთებჩამოშვებულნი
იფნის ქვეშ ისხდენ სიპებზე), —
ერთი მეორეს უამბობს
სიკვდილის ამბავს შვილებზე;

მარცხნით მჯდომარე დედაა,
მარჯვნისკე—ამბის მთხრობელი.
თქვენს მტერს, რომ გულმოკლულადა
შვილებსა ტირის მშობელი!“..
ჩიტებს ეხლაღა შესცქერის
ხევსურთა კრება სრულია.
ჩიტთაგან ერთი იმ დროსა,
თითქო მოჰსვლოდეს რულია,
სიპიდან დაბლა დაეცა
და განუტევა სულია.
რომელი მოკვდა ორთაგან,
ამის გაგება — რჯულია!
ხევსურთ შაჰხედეს ერთმახეთს
გაოცებულის თვალითა.
„ნუთუ ასეთი ცოდნაო
იქნება კაცის ძალითა?“ —
დარწმუნდენ იმის ცოდნაში,
საქმე წინ ედვა ყველასა,
მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა.
ქათმის ხორცს რა შეაძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?!
ვინ ჩამოჯდება ღველფზედა,
თუ ზედ არ ჰხედავს ძელასა?!.

V

ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა
ლეკ-სპარსებ-ქისტებ-თურქთანა,
გამარჯვებულნი მოდიან
ხევსურეთს ვაჟნი მუდამა;
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,
მტერს შაუკერეს სუდარა.
ერი თუ მტრის მძლეველია,

მის მეტი არა უნდა რა.
მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ რა, —
ვეღარვინ ჰბედავს რჩოლასა,
მყუდროობაა ყველგანა...
ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

VI

ფრიალო კლდის თავს სახლი დგა,
ცას ებჯინება ბანითა,
ირგვლივ მთებია დიდრონი,
აყრილნი სრულის ტანითა,
გადალესილნი თოვლითა.
მოუღალავნი ჯანითა.
ერთხელ თუ ჰნახე ამგვარად,
სულ გინდა ჰსინჯო თვალითა.
იმაზე ლამაზებია.
როცა ჰღელავენ მწვანითა.
თუნდ მზე დაადგესთ გულმკერდზე,
ზვავი სდიოდესთ ჭექითა.
ახველდებიან ხევები,
ვით ავადმყოფნი ჭლექითა:
მაინც სიტურფე იმათი
ნაკურთხი არის ზეცითა.
ბევრჯელ დაჰბრუნავს თავზედა
გრილი ნიავი კვნესითა.
ზაფხულში შავი ღრუბლები
სანთლებს უნთებენ კვესითა.
იქ ხომ ხვნით არავინა ჰხნავს,
არც ვინ რას სთესავს თესითა,
მარტო ჯიხვები დადიან
კლდეებზე რქების ლესითა.
და სალნი კლდენი, პირქუშნი,
უფსკრულს ჩასულნი ფესვითა,

არც რო სულზედა ფიქრობენ,
არც სუქდებიან ლეშითა,
უსალმო-უალერსონი,
გამომზირალნი ბრეშითა.
სახლზე კოშკია მიდგმული,
შემურვილია ბოლითა,
დღემუდამ შაძრწუნებული
ჯაზეირების სროლითა.
რა დაასვენებს საბრალოს,
მინამდე ირგვლივ მტრებია,
მინამდე შურისძიება
კაცის ტომს გულში სდებია,
ნასროლი ტყვია მტრისაგან
მკერდზე მრავალი სცხებია!
სახლიდან ისმის ჯავრობა,
ხმა კამათობის, წყრომისა;
ბევრნიც არავინ არიან, —
საუბრის კილო ორისა.
ღველფზედა ცეცხლი ანთია,
გაჩაღებული შეშითა,
იქით მხარეზე დიაცი
მოჩანს ბალღების გვერდითა,
აქეთ მარტოკა ხევსური
ბევრს რასმე მოსთქვამს ხვნეშითა.

ქ მ ა რ ი

„ის დღე გაშავდეს, რა დღესაც,
შენ მე დაგისვი ცოლადა!
მინამდე კაცი არ მიჩნდა
მიწაზე თავის ტოლადა;
სრულ შენგან გავხდი, წყეულო,
უგერგილოდ და ყროლადა.
რა ვარ? განაღა კაცი ვარ,
ღირსი, ცის ქვეშე ვიდოდე?!
იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,
ნეტავ წამალი ვიცოდე!..
ფუჭია ჩემი სიცოცხლე,

დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შვილებიც ჭირად გამიხდა,
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღედაღამ ვტირია".

ცოლი

„მე რად მაბრალებ თავის ბრალს,
შინ როს მოგივედ ძალითა?
გზად არ მიტევდი მიმავალს,
მავსებდი ცოდვა-ბრალითა:
«მზიავ, ძალიან მიყვარხარ»,
ცრემლებს აბნევდი თვალითა
და ჩემს ძმათ ჩემის გულისად
შინ უხდებოდი ხმალითა.
წინაზე ტკბილი შაქარი
ეხლა გემწარა რისადა?
ან შვილთა ყოლას რად ჰგლოვობ,
მდურვას რად იტყვი ღვთისადა?!
თავისი ცოლი და შვილი
ვის გადაუგდავ სხვისადა?
ჩვენ რადა გვსახავ მიზეზად
შენის გუნების ცვლისადა?"

ქმარი

„იმიტომ, უჭკო დიაცო,
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი:
«სიცივე ბალღებს მილევსო», —
შვილმამკვდარივით ჰკიოდი.
«ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორს ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი»,
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.
გულზე მოსაყვანს ქართულსა
ჩემს გასაგონად ამბობდი,

გეწადა კაი ცხოვრება,
მოწამლულს ქადას აცხობდი.
    და მეც დღესხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა:
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
«რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!»
ხვალ ორი მოვჭერ და ასე
გული ჩავიდევ ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.
    შენ ჯიხვის ხორცსა ჭნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია,
რამდენჯერ ჩემი გულმკერდი
ამ ჩიტილს გაუსენია:
«ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი
რა ვაჟკაცობას იზამენ?
არსად არ გამიგონია
ასრე გაზდილი სხვისა მენ».
ახ, რატომ ამის თქმამდინა
არ დაგეყარა მიწა შენ!..
მეც მივყევ, ვხოცე ნადირი,
გასუქ-გალაღეთ ლეშითა,
თავის ბალღებით ჭხარობდი,
მე დავრჩი თავისტეხითა.
სჯობდა კი ასე გახდომას
გავთაულიყავ მეხითა;
დაკარგულს ვეღარ მოვხელავ
ვერა რომელის ხერხითა“.

ცოლი

„ან შენ რა გიჭირს ისეთი,
თავს რად იტკივებ ძალადა;
შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა
სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?“

ქ მ ა რ ი

„არ იცი, არა, ჭკვათხელო,
ყბედო, ზეზერე მგრძნობარეე,
თავისა სასიამოვნოდ
წუთისოფლისა მცნობარეე!
არა ღირს იმად, ვიგლოვო
თვისი ცოდნა და ძალია,
რომ ჩემთან ერთიც მათგანი,
ბრიყვო, აღარსად არია?!
არ ულირს, მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი — მკვდარია,
იგლოვოს თავისი თავი,
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,
მიპოვნე შესადარია!
ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა,—
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.
რითიღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა;
ყვავილნი არას მეტყვიან,
აღარც ცნობა მაქვს იმათი;
განა მეტიღა იქნება
კაცმა თავს უგდოს ხიფათი?
აღარა მესმის ფრინველთი,
აღარა მესმის ყანისა,
აღარ მსმენია მას შემდეგ
ტკბილი სალამი მწვანისა.
ეს არაფერი, სხვაფრივაც
აღარ ვვარგივარ არადა,
გინდა აქ ვეგდო მთაშია,
გინდა ჩავიდე ბარადა,
ჩემფერას უკეთურებსა
არვინ იყიდის ჩალადა.
ვეღარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მამგერებელს ჯარშია,

მიტომ, რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია.
რატომ მალედვე არ გაქრა
ჩემი ვარსკვლავი ცაშია!
    დღესნამდე მტრები შინაით
ვერა ძვრებოდენ კარშია
შიშით და, ეს რომ გაიგონ,
მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ,
ჩვენ სახლებს, ციხე-კოშკებსა
ნაოხრად გადააქცევენ.
ცოცხალი ამას ვერ ვნახავ,
თქვენი დღეც გათაულია,
თქვენგან დავკარგე გონება,
წმინდა გავყიდე რჯულია...
ახლა ქვეყანაც დავღუპო,
თქვენ პირში გედგასთ სულია...
ან მე რად მინდა სიცოცხლე,
ან თქვენ გაცოცხლოთ რაღადა,
თუ მთელი ჩემი არსება
აღარ იქნება საღადა?!
ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ —
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.
რისთვისღა მინდა აბჯარი,
რისათვის მინდა ხმალია,
თუ კი ჩემს მტრისად დაკრულსა
აღარ ექნება ძალია?!
ამ მიწის ამონაცენი
ჩემი სესხი და ვალია,
როგორღა ან პური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია?!“.
    ადგა და გულხელდაკრეფით
გამოეფარა გარეთა,
მთათ რომ შაჰხედა მაღალთა,
დაიქვითინა მწარედა.

VII

მთანი ჩამოშრენ, პირთაქვე
ქოთით მოდიან ღვარები,
ხევებში ზვავი შათხელდა
ვეშაპის მინაგვარები.
აჩქამდა ბუერაზედა
ანკარა წვიმის ცვარები,
ველებზე ბზინვენ ყვავილნი —
თამარ დედოფლის თვალები.
კლდის პირზე მოსულს პირიმზეს
გულმკერდში ვენაცვალები!..
მთაზე უვნებლად გადმოხდენ
პირიქითული მგზავრები.
მთის კალთებს ჰშვენის ცხვარ-ძროხა,
როგორც ლამაზ ქალს ხალები;
გაცოცხლებულა მთა-ბარი
ზამთრისგან დანაწვალები.
ჭეეყნად ბევრია ბეჩავი,
ბევრია შესაწყალები,
ერთი რო ვნახოთ, სხვას ბევრსა
ვერ ჰხედვენ ჩვენი თვალები!
სოფლებში ხმაურობაა,
ძახილძახილი დიდია:
„გააგებინეთ, სად არი
გველის მჭამელი მინდია,
ქისტების მოდის ლაშქარი,
არღუნს ჩატეხეს ხიდია,
დახვედრა მტრისა, ვაჟებო,
ეხლა ჩვენზედა ჰკიდია!“
დიდი მზადება შაექნათ,
ხალხი ზღვასავით ღელავდა,
საით მხარესაც გაჰხედავ,
თოფი და ხმალი ელავდა.
კარგა ხანია ხევსურნი
მტრის რაზმებს აღარ სცელავდენ,
მათ აოხრებულს ბანაკსა

უწყალოდ აღარ სთელავდენ.
ომისკე დამშეულები
ძლივს მოელიან დილასა,
ყველას ისა აქვს გულშია—
ბელადს ვინ მოჰკლავს წინასა.
თავსა და მარჯვენას მასჭრიან,
შინ მოვა სახელიანი,
საკარგყმოდ თასი მიერთმის
ხატობას სანთლებიანი.
გვარიც დარჩება იმისი
სამუდმოდ საქებიანი.
ციხე-კოშკებში შადიან
დიაცნი ბალღებიანი;
მზად შაუნახეს ქმარ-შვილთა
გუდები საგძლებიანი.

VIII

ბინდდება. ბნელი ხევები
იმურებიან შავადა,
თვალს ისე ეჩვენებიან,
თითქო გამხდარან ავადა.
მთები მაღლები, კლდეები,
ლაღი არაგვი თავადა —
მოწყენილია სუყველა,
ეხედავ, ჩუმადა ტირიან.
მხოლოდ თამამად შიკრიკნი
სოფლითი-სოფლად ყვირიან:
„ვინაც ხვალ ლაშქარს დააკლდეს,
ამოვარდებამც ძირიან!“
გარეთ აღარსად ცეცხლი ჩანს,
არ ისმის სტვენა წყემსისა,
კარში აღარა დასტოვეს
დანაფასები ნემსისა.
სოფლად მილაგდენ ყველანი,
კოშკ-ციხეები ჰფარავენ,

ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა
ფარულს ალაგას ჰმალავენ.
ცოტა რამ მკრთალი ნათელი
ხახმატს ხატშია ჩნდებოდა,
სანთლები ენთო ყორეზე,
ალი იფნებსა ჰხვდებოდა.
ხან ცისკრად გამოაშუქის,
ხან კი მინელდის, ჰქრებოდა,
სულმაბრძოლ სნეულსა ჰგავდა,
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.
სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს,
ორნი ჰყუდიან ველზედა,
ერთს სისხლიანი ხანჯარი
უპყრავ, სისხლი აქვს ხელზედა;
მათ წინ დაკლული კურატი
წამოწოლილა გვერდზედა.

ბ ე რ დ ი ა (ხევისბერი)

„წყალობა მოგცეს, მინდიავ,
იმ გულზედა და წესზედა,
რა ფიქრითაცა სწირავდე,
იმედოვნებდე ღმერთზედა;
ნუმც მოგეშლება სახელი,
შინამ ხმალი გრტყავ წელზედა!
იმედო ხევსურეთისავ,
მწყალობელიმც გყავ ჯვარია!
მუდამამც გამარჯვებული
შიგყავ და მოგყავ ჯარია!
მგონია, მეათე დაჰკალ
წელსა, გასწყვიტე ძროხები,
რას ეხვეწები მაგდენსა,
რა გაქვის შანაცოდები?
ერთი წესია, ორიცა,
შენ ხვეწნა მეტისმეტია.
ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს,
რაც ეხლა დავიყბედია!“

მ ი ნ დ ი ა

„ყევარი ხარი კიდევ მყავ,
სამი თუ ოთხი ფურები,
იმათაც აუსახელებ,
ოღომც მამირჩეს წყლულები“.

ბ ე რ დ ი ა

„რა წყლული, კაცო, შენ წყლული
ჩვენ არვის გაგვიგონია,
შენ წყლულიანებს სხვებს არჩენ
ათასობითა, მგონია“.

მ ი ნ დ ი ა

„სხვა რამ საქმეა, ბერდიავ,
ადვილ ვერ ვიტყვი იმასა;
თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.
ფულის პატრონნი, თუ იცი,
ყველგან გაჰხსნიან ქისასა?
ხვალ, ხვალე-ზეგავ გაიგებთ,
მაცნე რო მოვა მთისასა“.

ბ ე რ დ ი ა

„შენა ხარ ჩვენი იმედი,
ხევსურთ დავლათიც შენთან-ა.
ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,
რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა!
ხატიც გამმარჯვედ დაგყვების,
კარგად იციან ყველგანა.
ნუმც მოგეშლება დავლათი
წმინდის გიორგის ძალითა,
ნუმც გაგვიმეტებს უფალი,
არ გიმფარველოს კალთითა“.
აიღო თასი ხელშია
და კვლავ დაიწყებს ბერდია:
„სადიდებულო გიორგის

და სამწყალობლო შენია!..
შენ მეშველიმც-ა, რაც უფალს
ხატები გაუჩენია,
შენი მერჩოლი, ცოცხალი
ერთიც ნუ დაურჩენია!
ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ
ომი გვექნება მტერთანა,
მანამ ცოცხალი გვყევიხარ,
რას გახდებიან ჩვენთანა?!"
ეს რომ სთქვა, მლოცავს თვალები
აევსო ცხელის ცრემლითა,
„არ შამნიშნოსო", მობრუნდა
და მოიწმინდა ხელითა.
დაემხო საჯარის წინა,
როგორც მოჭრილი ცელითა
ჯოყარი რამა, თუ ფიჩხი,
შასაკონავი წნელითა.
ლოცულობს თვალცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.
ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, — ეს უკვირს:
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიდრე გულდაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს, დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ელევა.
„უსმინე, ხახმატის ჯვარო! —
თვითაც უმატებს იგია —
ნუ გაუქარწყლებ ვედრებას,
კეთილზე დაარიგია".

IX

შუაღამისას დაიწყო
დელგმა, მოჰხეთქა ღვარები,
გატეხეს, თუ სად ლოდების
ხევებში იყო კარები
და სწორედ არ მიუტანეს
ბარს მთისა დანაბარები.
ხშირად დაედვა ბალახთა
ღრუბელთა ცრემლის ცვარები,
გაჰქრა და აღარცა ბეუტავს
ხახმატს ლოდებზე სანთლები.
აღარსად ხევისბერი სჩანს,
აღარც მლოცავი მტირალი,
მარჯო საჯარის ყორეა
მრისხანედ გამომზირალი
და კლდეებს არღვევს არაგვი
გაბეზრებული, მყვირალი.

X

დილაზე ფრთადაკეცილთა,
ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინა ნისლებსა
მიტკლით შაკრულის თავითა,
ზოგჯერ რო გაგვახარებენ
მაცოცხლებელის ცვარითა,
სხვა დროს ბედს გვაწყევინებენ
ჩანადინარის ავითა.
დაბლა ჭალა და ხევები,
გუშინ სავსენი ზვავითა,
დღეს სიცოცხლითა ხარობენ,
გაბადრულნია მწვანითა,
და კოშკი დაფიქრებული
ხეობას დაჰმზერს მაღლითა.
კოშკში მოსჩანან ქალები,

როგორც ყვავილნი მთისანი;
სძლევენ მტერს, თუ ვერ, ხევსურნი,—
მათ სასაუბრო ის არი.
სათოფურებით ჩაჰმზერენ
მოუსვენარად ჭალასა
და ახვეწებენ თავის ჯარს
ღვთისა და ხატის ძალასა.
აქით კარგად სჩანს მიდამო:
მთა-მთისყელები ყოველი,
ვერ დაემალვის კაცის თვალს
მწერი, ვერც ერთი ცხოველი.
ზოგები სხედან ფიცარზე,
ჰბჭობენ, თან ჰქსოვენ წინდასა,
ისინიც სამშობლოსადა
ლოცვას ამბობენ წმინდასა.

ს ა ნ დ უ ა (დედაკაცი)

„მზიავ, გულშამოყრითა ხარ
შენ უფრო სხვებზე მეტადა;
ქმარას თუ ჰნანობ, თვალშურთხო,
ვერ ჰქშერობ მოსაკვლელადა,
არა გცოდნია, რო ომსა
ის ჰსახავს თავის ბედადა
და მინდიაის მამკლავი
ჯერ არ გაუზდავ დედასა!
მაშ მე რაღა ვქნა? ჩემები
ბევრნი წავიდენ ლაშქარსა:
ჩემ კაცი, ძმანი სამნივე
არ მაჰკლებიან ამქარსა.
შენს ქმარს ხომ ვერვინ აჯობნებს,
ძველებურს იზამს ნაქნარსა,
როგორაც ბევრჯელ უწინა,
ეხლაც მტერს მისცემს ზიანსა:
ვისაც მაუკლავს, ის მაჰკლავს
ხარსა-ირემსა რქიანსა!“

მ ზ ი ა

„ვაჰმე, რო ვეღარ იბიჭოს! —
ისეთს სიზმრებსა ჰხედავდა:
მთელს ერთს წელს სნეულსა ჰგვანდა,
თავის ხორცთ კბილით ჰკენტავდა.
«ცოლ-შვილთ გაგჟლეტთო», — იძახდის
თუმც რადღაც არა ჰბედავდა.
ხატ-ღმერთს მიეყრდნო, შასწირა,
თუ სად რა გვყვანდა საქონი,
მოვიდის, პურიც არ ჭამის,
ვაპატიჟოდი რამდონი.
მარტოკაც ბევრჯელა ვნახე,
ჩუმად, ბალღივით ტიროდის:
«დავკარგე ძვირი საუნჯე»,—
თავისთვის ამას იტყოდის.
სულ ბანზე იჯდის ღამითა,
აშტერდებოდა ცასაო,
მოსულს და წასულს, არავის
აღარა სცემდა ხმასაო;
აღარც სტუმარი უნდოდის,
ჩვენ ხომ არა და აღარა,
ამ ცოტა ხანში თმა-წვერი
დარდმა თუ გაუჭაღარა?!
ბევრჯელ ქურდულად ბნელაში
დაუყუროდი ჩუმადა,
შაგრამ მის მარტოდ ყოფნასა
მე ვერ შაუვედ გულადა.
რომ თავს და ხალხსა ტიროდის,
ის კი შავიგენ სრულადა:
«ვეღარას ვარგებ ქვეყანას»,—
ტიროდა დაფარულადა.
ცოლ-შვილთ კი, უფრო ბოლო დროს,
გვეკიდებოდა მტრულადა“.

ს ა ნ დ უ ა

„ჩვენ ეგ არ გაგვიგონია,
პირველად მესმის შენგანა:

მე ისევ მინდია მგონავ,
შასადარები მზესთანა.
მაგას, ათასი იუბნო,
არ დაგიჯერებს ქვეყანა.
მიკვირს, ეგ შენთან ნათქვამი
რად არ იუბნა სხვებთანა?
ვითომ რას ცოდნას გლოვობდა,
რომელს ცოდნაზე ჩიოდა?
ან თქვენ—რის დამნაშავეთგან
გული იმრიგად სტკიოდა,
რო ცოლ-შვილთ დასალევადა
ხმლისკე ხელ მიუდიოდა?!"

მ ზ ი ა

«ისიო» იმას ამბობდა,
ემათ მზემ, არ ვსთქვა მრუდია,—
(ხელი დაადო შვილებსა,
ორივ მის გვერდზე ჰყუდია),
«რომ თქვენგან ცოდვაში შაველ,
არსაქნელი ვქენ საქმეო:
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,
როგორც უბრალო რამეო;
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,
აღარც ვარსკვლავნი ღამეო.
უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დავკარგე შენის აყოლით,
წელზე რადღა მრტყავ ხმალია?»—
და სხვა ამგვარი ათასი
შამიგმის პირზე ცოფითა
და ორჯელ-სამჯერ გადურჩი,
კინაღართ მამკლა თოფითა.
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა,
ხატებს ეხვეწა, იშრომა...
თან ჩვენაც ვებრალებოდით
და არ დაგვხოცა მიტომა.

ს ა ნ დ უ ა

„თუ მართალია, რაცა სთქვი,
შენგან ცოდვაში შავიდა,
უნდა მოგეჭრას ეგ ენა,
მაღლა დაგკიდონ კავითა,
ძირს ცეცხლი შემოგიკეთონ,
დაიწვა იმის ალითა:
ქვეყნის ცოდვაში ჩამდგარხარ, —
ჩვენ ხო ვართ იმის ძალითა!“

მ ზ ი ა

„ჰო, თუ ბრალი მაქვ რაიმე,
ღირსიც ვიქნები დასჯისა;
ის ცოდვა რად უნდა იყოს,
ფიქრი რო მივეც გარჯისა?
ცოლ-შვილნ თუ უნდან ვაჟკაცსა,
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.
ჩვენ საქმე ვიცით, დიაცთა
რა გაგვეგება აბჯრისა...
ეს თითონ უნდა ეფიქრა,
კაცი იმისთვინ კაცია:
ერთს თუ სხვისათვის არ უვნავ
და არა გაუტაცია,
ბრალი რად უნდა დაედვას
ალალს, არმქნელსა ცოდვისა?
ცოდვა ერთისა სხვამა ზღოს,
მადლად სად თქმულა, როდისა?
რაღაც ცუდს გრძნობდა მაინცა,
იმითა სწუხდა ბეჩავი,
ჩვენზედ იყრიდა ბოლოს ჯავრს,
საქმის წინადვე მხედავი.
წუხელაც ცუდ სიზმარ ვნახე,
რა-რა იქნების, ნეტავი?!“

ს ა ნ დ უ ა

„რა ჰნახე, მზიავ, მიამბე,
იქნება ახდეს კარგადა
და არ გაგვხადოს უფალმა
დასალევ-დასაკარგადა!“

მ ზ ი ა

„ცუდი რამ ვნახე, სანდუავ,
საზარო, გულის მგმირავი,
სულ-ხორცის ამაშფოთები,
გონების ამაზრზინავი:
მოვარდნილიყო ღვარები,
როგორც დევები მქშინავი,
თან მაარღვევდენ მთა-ბარსა,
იდგა დგანდგარი, ღრიალი,
ცა-ხმელთა დაქცევას ჰგვანდა,
ისეთი ისმის გრიალი.
მთებსა სტყდებოდა წვერები,
დაბლა ხევებში წვებოდენ;
მთებთან ერთადა კლდეებიც
თოფებივითა ტყვრებოდენ.
ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,
შავად ჰღელავდა, შხიოდა,
კუპრს აწვიმებდა მიწასა,
ცხელი წვეთები სცვიოდა,
ღვარები ისევ საზარლად,
შეუპოვარად დიოდა,
«გვიშველეთ, ვიღუპებითო», —
ათასგნით ხალხი ჰკიოდა.
მართლაც, ვუყურებ, რო მოაქვს
წყალს ხალხი, ფარი, ხმალია,
ათასგან ციხე ირღვევა,
ქავ-ციხეებთან სახლია;
ამოდენს საბრალოობას
მარტო მოზარე აკლია.
ჩვენ ვითომ არა გვიჭირდა,
ვითომ უვნებლად ვიყვენით,

ჩოლოსა ვნახე, სახლ-კარით
რომ ჩვენაც გავირიყენით.
მოასქდა ღვარი ზენაით,
ლიბო მაჰგლიჯა ციხესა
და შეურია ისიცა
დაბლა არაგვის რიყესა.
სახლიც წაიღო ჭერხოთურ,
გაგვიყოლია ჩვენაცა,
მინდა ვიძახო — «მიშველეთ»,
ველარ ვაგებდი ენასა.
ბალღებს კი გულში ვიკრავდი,
ხატ-ღმერთსა ვსთხოვდი შველასა.
თან გამოსვლასა ვცდილობდი,
ვეგანებოდი კიდესა;
ბალღებს ვაფარებ პირებზე
შავის მანდილის რიდესა.
და რამდენჯერაც მივჯარდი
ნაპირს, იმდენჯერ მქისია,
კაცების სახე წინ დამხვდა
შავები, როგორც ფისია.
ხელი მკრეს, წყალშივ ჩამაგდეს,
თან გადმომძახეს ისია:
«სად მოხვალ? წადი, წყალს გაჰყევ,
ბძანება არის ღვთისია!»
    და ამ დროს ვნახე, ჩვენს წინა
წყალს მიაქვს ჩვენი კაცია,
შამომიბრუნდა და მითხრა
(ტკბილი ხმა ჰქონდა, ნაზია):
«გთხოვ მაპატიო, მზიაო,
რაც გლანძღე, გაგაბრაზია;
რასაცა ჰხედავ ჩემს თავზე,
ღირსი ვარ, სწორედ ახია,
ბალღები არ დამიჩაგრო,
გთხოვ, კარგად შამინახია!»
მტერს, რომ მე წუხელ ვიტანჯე,
მე რო სიზმარი ვნახია!..“

ს ა ნ დ უ ა

„მაშ ვერ გამოხვედ, წაგიღოთ?“

მ ზ ი ა

„ვერა... წაგვიღო, სანდუაე,
დედა-შვილები ყველანი“...

ს ა ნ დ უ ა

„ავი ნურაიმც მოგივათ,
ღმერთმა გამყოფნესთ მთელანი!“

ს ა ე რ თ ო ხ მ ა ქ ა ლ ე ბ ი ს

„მოდიან, მოდის ლაშქარი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!..
მზიავ, წამოდეგ გაჰხედე,
აგერა შენი ქმარია,
დროშიონთ მასდევს მხარდამხარ
ამომავალი მთვარია“.

ე რ თ ი დ ე დ ა კ ა ც ი

„აგერა ჩვენი ვაჟები,
დედა ენაცვლოსთ მხრებშია...
ვაჰმე, რა ლამაზებია,
ვინ ჰნახავს იმათ მკვდრებშია!..
ღმერთიმც ნუ მახილებინებს
მაგ ამბავს თავის დღეშია!“

მ ე ო რ ე დ ე დ ა კ ა ც ი

„გაჰხედე, ჩემ უნცრუაი
იმეებს მისდევს გვერდშია.
რა მშვენიერები მიდიან,
დედა ენაცვლოსთ მკერდშია!..“

გ ა ს ა თ ხ ო ვ ა რ ი ქ ა ლ ი

„დამც ენაცვლება თოთიას,
ვერ-როგორ ვარჩევ ხალხშია.
ვნახე... ძლივ სადამ ვიცანი
მიხვრა-მოხვრაზედ, ტანშია.

ლაგმის პირს უჭამს ულაყი,
დაძაგრულია მკლავშია“.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

„ჩვენ უშიშაიც მარჯვეს ჰყავ,
როგორ აგელებს ლურჯასა!..
საქმე რო ხმალზე მიდგება,
არც ეგ დაიწყებს კუნჭვასა.
მაშინამც მაყურებინა,
ფარს რო დაუწყებს ბღუჯვასა!“

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

„მე ვერ ვნახავდი ჩემს ძმასა,
გამიძნელებდა სუნთქვასა:
პირს სხვაკნისაკე ვიზამდი,
თვალთ დავუწყებდი ხუჭვასა“.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

„მე არა! ძმისა სიკეთე,
კარგი ყოფნა და სახელი
ისრე კი მინდა, ზექუავ,
როგორც ბნელაში სანთელი,
დამაშვრალს, მომშიებულსა
მოსვენება და საჭმელი.
კარგია, ძმისა სიკეთე
რო არს ყველაის სათქმელი“.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

„ეგ ვის არ უნდა, შვენაო,
ვინ არი ისე ჭკვათხელი?
მაგრამ და თვალდამწვარია
ძმის გასაჭირში მნახველი“.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

„უმისოდ სახელს ვინ მისცემს,
თუ კი არა ქნა საქნელი?!“

ს ა ე რ თ ო ხ მ ა

„ღმერთო, უშველე! ხატებო,
თქვენ უწინამძღვრეთ მხედართა,
ეგრევ უვნებლად გვაჩვენენ,
როგორაც ეხლა ვხედავთა“.
ბევრისა გული ღელავდა
ათასნაირის შიშითა...
ნურც ვის კი გაუკვირდება,
კაცთ ეს მოგვიდის ჯიშითა,
საშიშ დროს საყვარელს საგანს
რო ვიგონებდეთ შიშითა!..

XI

შამწკრივდა მთაზე ლაშქარი,
დიდს ვაკეზედა გროვდება.
თოფ-იარაღის ბუყრიალი
მზის სინათლესთან სწორდება.
ცხენთ ტერფით ჩამონაგლეჯი
თავქვე ლოდები გორდება.
აქვე შაექნათ თათბირი
მტრის დასახვედრელს წესზედა:
ვაკეს ადგილზე ჩავიდენ,
თუ მიეგებნენ სერზედა.
ყველანი ფეხზედა დგანან,
ხელები უდევთ ხმლებზედა.
თვალები ყველამ მინდიას
მიაპყრო, პასუხს ელოდდენ,
ის რომ არაფერს ეტყოდა,
ხევსურნი ერთხმად ეტყოდენ:

ლ ა შ ქ ა რ ი

„მუდამ შენს რჩევას ვრჩეობდით,
არც რამ ზარალი მოგვსვლია;
როგორ მოვიქცეთ, გვირჩიე,
შენი პასუხი მოკლია?!“.

მ ი ნ დ ი ა

„მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო,
აღარ ვვარგივარ მრჩეველადა;
ის სხვა დრო იყო, სხვა ჭკუა,
ეხლა კი ჩემი ნარჩევი
გამოგადგებათ ძნელადა.
აწონ-დაწონეთ, ჯარი ხართ,
ფიქრი შეკარით მთელადა!
მე მარტო უნდა ვიომო,
მიტომ გამოვედ ველადა;
ან როდის საუკუნოდა
მე ხალხმა გამაბელადა?!"

ლ ა შ ქ ა რ ი

„ღმერთი გაუწყრესთ და ხატი,
ვინც რომ შენს რჩევას იქითა
ფეხი გადადგას საომრად,
თუნდ თავში სცემონ მჯილითა,
მოკვდეს და პირი აევსოს
ცივის სამარის თიხითა!"

მ ი ნ დ ი ა

„კარგია... რა ვქნა, არ მწადდა
გავრეულიყავ რჩევაში.
გეტყვით, რადგანაც ჩამქსოვეთ
ამდენს ფიცში და წყევაში.
სხვას ვერას გირჩევთ: დავუხვდეთ
ქისტებს მოწამლულს ხევაში".
უსიამოვნო ჩურჩული
მორთეს ერთურთში მხედრებმა;
დარდი დაჰბადა ადგილმა
ქისტების დასახვედრელმა.
მაინც რას იზმენ?.. ვერაფერს,
რაკი სთქვეს, დაიფიცესა.
უარს ვერ იტყვის ლაშქარი,
უნდა იქითკე ვლიდესა,
საცა მინდიამ უჩვენა

ადგილი საომარია,
თუნდ ერთმაც ალარ იცოცხლოს,
ყველაც იქ დარჩეს მკვდარია.
ალარა ეთქმისთ, წავიდნენ,
დროშა ამართეს წინათა,
მსუბუქად მიაბიჯებენ,
შავარდნებს ჰგვანან მფრინავთა,
თან გადიყოლეს მზის სხივი
შუბისა წვერთა მბრეყვინავთა.

XII

ორი დღე არის მთას იქით
ომია, დიდი ვაება:
მეტად სასტიკი ბრძოლაა,
ეეფხვები ლომებს შაება
და სისხლის თოკი მთიდამა
დაბლა ჭალამდე გაება.
ორსვე ერთგვარად არ ჰნახავს,
ერთს გაუმარჯვებს ღვთაება.
ხუთსა თუ ექვსსა ხევსურსა,
შამურვილებსა სახითა,
კაცი მოჰქონდათ ხელდახელ
შაკრული კაბალახითა.
პირაქათ გადმოიყვანეს,
დაბლა დააგდეს ეაკეზე
და სამდურავით მიჰმართეს
ჯაერმოსულებმა ბაგეზე.

ხ ე ვ ს უ რ ნ ი ე რ თ ა დ

„კაცო, რად იკლავ ძალად თავს,
ძალად სიკვდილი გწადიან?
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში,
ხომ ხედავ, რასაც სჩადიან?!.
დღემდე ჩვენ ვთელეთ ეგენი,

ახლა ეგენი დადიან
ჩვენზე, და იქნებ, მინდიავ,
ჩვენც მოვაგვაროთ სხვა რამე,
ვეცდებით, ბინდმაც ხო გვისწრო,
რო გავისარჯნეთ ამღამე“.
ეს სთქვეს და იმწამს გაბრუნდენ,
გაიქცნენ, როგორც ქურდები,
ამოღებული ხმლები აქვთ,
ხელში უპყრიათ შუბები.
ძნელია, თუკი ვიფიქრებთ,
სიკვდილ-სიცოცხლის წუთები,
რა ქნან? რო შარცხვენ, ძნელია,
ტანზე ჩაეცმისთ ჯუბები.
თავს დაეხურვისთ მანდილი
და მოეხდებათ ქუდები,
თუკი არ გაირჯებიან,
როგორც ლაჩრები, ცუდები.
ტყვე კბილებს აღრჭენს და ცდილობს,
უნდა გაიხსნას ხელები,
დიდხანსა წვალობს, გორაობს,
ვარმისგან განაცხელები.
ძმებთან სწადიან სიკვდილი,
აღარ რჩებიან მთელები,
უჭირსთ და აღარსადა ჰყავ
ლაშქარი მისაშველები.
ღამეც გახშირდა კარგადა,
ტყვემ აისრულა წადილი,—
ორივე ხელი გაიხსნა,
ფეხზე წამოდგა დაღლილი
და ამ დროს ნახა სოფლებში
ცეცხლები, — ცუდი ნიშანი;
გაიგო, რაც მომხდარიყო,
აღარ უნდოდა მისანი.
გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი
არ მოსდგომოდა თვალებში,
სულ გულში ჩაგუბებულა
და გაბნეულა მკლავებში...

ქუდს იხდის... სიტყვა ვეღარ სთქვა,
ხმლის ტარს შაეხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა.
მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დააშტერდა თავისმკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებილს ჰიაფერადა
კაცის გულმკერდის წვენითა
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვენითა.

[1901 წ.]

კაღლიკა სიმიკაური

(ვუძღვნი ილია ჭავჭავაძეს)

I

ხიმიკაურის ჭერხოსა
ცეცხლი ედება ჯავრისა:
ნეტავი არ გააგონა
აბჯრის ჟღრიალი ჯარისა,
ხმა მოტანილი ლაშქრობის
გადამავალის ქარისა.
ლაჭანს წევს ვინმე ხევსური
ხიმიკაურის გვარისა.
წინ უდგა ტაბლა ხონჩითა
პიტალო ნაღველ-ძმარისა.
არ უნდა ნახოს მზის სხივი,
აღარც სინათლე მთვარისა.
ჩამოიყარნენ ღრუბელნი,
მიწას დაეცნენ შავადა,
სნეულებს ჰგვანან ისინიც,
თითქოს დახდილან ავადა.
ოხვრენ და შფოთვენ გულშია
უჩუმრად, თავისთავადა.
ჯავრი შიგით-ა, გარეთ კი
არ დაჩენილა მწვავადა.
აღარც ნამი სდით, არც ჭექა,
აღარსად ელვა იმათი,
რამ დაადუმათ, არ ვიცი,
რამ გაუტეხათ ყისმათი?!

II

ხევსურთ ვაჟები აჩქროლდენ,
დგას ლიქოკს ძახილ-ძუხილი.
რა ამბავია, ნეტარა,
რაზე შაექნათ წუხილი?!
რა ხმამ ასტეხა, ნეტავი,
ასეთი ჭეხა-ქუხილი?!
გულში აქვს ყველას ჩამდგარი
სალუდე ქვაბის დუღილი.
— ბარით მოსვლიათ ბარათი,
ერეკლეს მონაწერია:
„ჩამოდით, ხევსურთ ვაჟებო,
ხმლის ქნევა თქვენი ჯერია.
ქალაქის მიდამოები
ურჯულოს დაუპერია“.
ეს იყო მარტო მიზეზი,
ამ სიტყვის მოსვლით ღელავდენ.
ზოგნი ჰლესავდენ ფრანგულებს,
სხვანი შუბებსა სწვერავდენ.
მხცოვანნი ხავსიანები
ჯაჭვის პერანგებს ჰკერავდენ,
თან კაზმულს ვეფხვის ულვაშით
ნაკეპნს ლოყებსა ჰბერავდენ.
დიაცთ წინ ედგათ ტაგნები,
ბაკებში ფურებს სწველავდენ...

III

განა სულ მუდამ თოვლია,
პირმოღუშული ზამთარი?—
თქვენც გენახვებათ ბუნება
ყოოდეს მკვდრეთით ამდგარი,
ისევა ჰფქვავდეს წისქვილი
წყალს მოკლებული, დამდგარი,
გათქვირებული ტაიჭი, —

ერთს დროს ძვალ-ტყავად გამხდარი
და კაცი, დაბლა მცოცველი,
გუშინ გერგეტზე შამდგარი
და ბევრჯელ კაი სიზმარი —
მეტად უმსგავსოდ ამხდარი,
თვალები თეთრის ქალისა
სანთლად კაცთ გულში ჩამდგარი,—
უსხივო-უსინათლონი,
როგორიც ცვილი დამდნარი
და ვეფხვი შეუპოვარი —
თავის მძლავრ ტოტზე მამკვდარი.
    მოჰშორდა ჯანღი ქვეყანას,
მზის სხივს მიერგო ნავარდი,
რა აეხადა გულიდან
ზედ დახურვილი ნაბადი.
მთას ჰბოჭავს მაგრა ბჯღალითა
ბარით ნასროლი ქამანდი.
ვერცხლის სალტებით მორთული
ხირიმ-მაჟრები ელავდა,
ერთურთს ხმალ-ხანჯრებს უსინჯვენ,
მხედართა გული ღელავდა.
მოგროვილიყო ლაშქარი,
ლიქოკის ჭალას სთელავდა.
ულაყებს თავი აეღოთ,
ირგვლივ ავლებდენ თვალებსა;
აწუხებსთ, ველარ ითმენენ
მუხლში მოგროვილს ძალებსა,
ჩაჰზომვენ მკვიდრის ტოტებით
კლდიანს არაგვის ჭალებსა,
დახარჯვა თავის ძალ-ღონის
იმათაც გაახარებსა.
ცხენიც მოიკლებს, მხედარი
რა მანძილს გაატარებსა.
წესია: გამოჰფხიზლდებათ
მეორეს დილას მთვრალებსა.
უყურეთ მანდილაკეცილთ
ბანებზე ხევსურთ ქალებსა:

ჩამოსცქერიან ლაშქარსა,
რო მიწას ციდან ვარსკვლავნი.
ჩამოდის ისრის წვიმადა
სხივნი, თვალთ გამონაგზავნი,
ხევსურთა ლაშქრის თავზედა,
ლოცვა-ყურთხევად მისადა.
„ღმერთო, შენ გაუმარჯვეო!“
ხმა საზარალო მტრისადა.
„მომგვარე ნასახელარი!“
ვინა ლოცულობს ვისადა?!

IV

„სადა ხარ, სადა, ძაღლიკავ?
გამოიხედე გარეთა!
ხალხმა დილასავ-დილიან
თავ ერთად მოვიყარეთა.
ქუდზედა კაცი მივდივართ,
შინ რასა ჰგმინავ მწარედა?“ —
უძახდა ხალხი ძაღლიკას,
მიმდგარი ჭერხოს კარზედა.
„მე ვერ წამოვალ, — ხმა ესმისთ, —
ასე უთხარით ბატონსა,
ძაღლიკას გული მკვდარია,
ჩავარდნილია საგონსა;
ჯანითაც დაუძლურდაო,
ვერა სცილდება საწოლსა.
სხვას ვის რას არგებს, თავისას
ვეღარ ჰპატრონობს სადგომსა“.
„აქ არ გაგწირავთ, ძმობამა
ტყუილად ჰხმარობ ხრიკებსა.
შენ რო შენთვის ჰბჭობ, ზოგიცა
ჰკითხე ამ ხევსურთ ბიჭებსა,
ათასნი სხვანი დასთელვენ
აქ ჩვენსა დანაბიჯებსა.
ტყუილად ხანს გვალეინებ,

შენც ტყუილადა სცდებია.
განა არ ვიცით, რაცა გწყინს,
რადაც უკანა სდგებია?
რა შენი საკადრისია,
რო ბალღურადა სწყრებია?!“
„რას ასტეხილხართ, კაცებო,
აღარ მწადიან ომია,
რაც უნდ ჯარიმა წამართვათ,
არა ვარ წინამდგომია.
ქალის მახდილი დამხურეთ,
თუნდა ჩამაგდეთ წყალშია,
აღარ მწადიან, გაიგეთ,
აღარ, გარევა ჯარშია.
მე ხომ ხმალს ვეღარ მოვიქნევ, —
ქარად მადგება მკლავშია“.
„რას სჩმახავ?—უთხრეს ხევსურთა:—
შენ უნდა გვედგე თავშია.
უშენოდ მისვლა ბატონთან
რას ეგვანება ანკია?“
თავს იქნევს მაინც ძაღლიკა,
უარს აცხადებს მტკიცედა,
არ ესმის თხოვნა ხევსურთი,
სდგას მოუდრეკელ ციხედა.
წავიდენ შეურაცხყოფით,
მწყრალად შესჩივლეს ლაშქარსა:
„ვერ შევასმინეთ ვერაი,
განზე გაუდგა ამქარსა.
ვიცით, რაადაც უარობს, —
ძაღლიკა გლოვობს აბჯარსა“.
მეორე წყება წამოვა,
წინ გამოუძღვათ ბერდია.
გამოვლეს ლიქოკის წყალი,
ამოვლეს ცოტა ფერდია.
უმშვენებს წელსა დაშნაი,
ფარს დაუფარავ გვერდია,
თვალს გტაცებს ყაწიმებისა
სიტურფე მეტისმეტია,

დახავსულ-დაჟანგებული
იმის მორგვივით ქედია,
სხვებს რაკი აკლდა შვენება! —
წელანაც დავიყბედია.
„არას ჰგავ, ბიბოს სულის მზემ,
შენი უარზე დადგომა,
ერთის ხმალაის გულისად
ჩვენი და ქვეყნის წახდომა.
აჰა, ჩემ ხმალი შაიბი,
შენის ფრანგულის ჯიშისა.
ამისას რითა სჯობია
ფხა და სიმკვიდრე იმისა.
ნუ მოგვტეხ მხარსა, თუ კი გწამ
მადლი დღევანდელ დილისა“. —
ეს იყო ბერდიას თხოვნა,
ბაბურაულის შვილისა. —
„მითამ სრულ არა გქონია,
ან გაგტეხია ომშია.
თავისივ ფიქრი იწამლე,
კაცო, ჩავარდი გონშია“.
„დიდი ხანია ძაღლიკას
გონი აქვ სრული, საღია:
რო არ მეწყინოს საწყენი,
ხომ არ გგონივართ ბალღია?
თუკი ლაშქარში ვუნდოდი.
რად გამამართვა ხმალია?!
გულს რად მიფუჭებს, ისეთი
ან რა დაადგა ძალია?
როგორ იკადრა, ანკია,
გლეხის ნარტყამი მახვილი?
უმისოდ მისაშველებლად
სწადიან ჩვენი ძახილი.
უიარაღო რას ვარგებ,
ამას რად არა ფიქრობდა?
ჩემთვის წელზეით ხმლის შახსნას
მეფე როგორა კადრობდა?
განა არ იცი? — მე ხმალი

სახ-კარს და ცოლ-შვილს მერჩივნა,
იცი კარგადა, ბერდიავ,
გული როგორაც მეტკივნა“.
„იმისი სამაგიერო
ვითომ სხვა მოგცა კარგია?
ერეკლე წელზე შაიბამს
ხმალსა, თუ არა ვარგია?!
ეგ შენი ფიქრი და წყრომა
ტყუილუბრალო ბარგია!“..
უარი უთხრა მაინცა
გაჯავრებულმა მხედარმა...
გაწყრომა საიქიოდამ
როგორ დაუგმოს დედამა?!
ამ ბერდიაის თხოვნასა
ჩამოეშველნენ დედანი.
ერთი მათგანი სხვებს სჭარბობს,
ღუღუნებს როგორც ქედანი:
„დიაც ხო არ ხარ, ძაღლიკავ,
რამდენსა გთხოვენ მხედარნი.
ქუდი რად გხურავ თავზედა,
წელზე რადა გრტყავ ხმალია.
თუკი საბუჩეს იჯდები,
ვით მწერელჩვილი ქალია?!
ღ ადედლებული მამალი
საელდო სანახავია!“
ცოლმაც შაუგმო, კმარამა,
ქმარს სიტყვა უთხრა ავია:
„რად გინდა ხმალი, ხმარების
თუკი არა გაქვ თავია?
სიკეთე ხმლისა რას გიშველს,
თუ გულ არ გიძე მწვავია?
რაღას აუბნებ ქვეყანას,
სრულ ბიჭობაზე სჩხავია?!“
აღელვდა ძაღლიკას გული,
გამოუცხადა ზავია.
ცხენსა ჰკითხულობს თავისას...
მოჰგვარეს ნიავ-ქარია...

თავს დაიხურა ჩაჩქანი,
ტანთ რა ჩაიცვა რვალია.
ჩამოიკიდა წელზედა
რალაც ნადურდნი ხმალია,
სპილოსტრიანი ხანჯარი.
ასპინძას ნაშოვარია.
თან უთხრა ხევსურთ: „ხევსურნო,
საცა თქვენ, მეც იქ მკვდარია!“

V

ადიდებულა არაგვი,
ადიდებულა მტკვარია.
მთაში ნაწვიმი რას იზამს?
თავქვე წამოვა ღვარია...
სასიამოვნო ამინდი,
სასიამოვნო დარია.
ღამდგარა დიდუბეშია
ფშაველ-ხევსურის ჯარია.
შეატყობინეს ბატონსა
ამბავი გასახარია.
არ გავლო ხანმა, იღება
დიდის სასახლის კარია.
გამოჩნდა ლომი ქართლისა,
მზე-მთვარის მინაგვარია.
ჯარმა სალამი მიართვა,
მჭეხრად ჰყვირიან ამასა:
„ჩვენს ბატონს გაუმარჯოსო,
მთისა და ბარის მამასა!“
ჯარსა, შეფრფინვით შემცქერალს,
პასუხი ესმის ლომისა:
„თქვენც გაგიმარჯოსთ, ხალისი
ნუმც დაგელევათ ომისა!
ია გამიმარჯვებს, თუ თქვენი
არ შემწევს ძალი, მკლავია?
გწადიანთ — გამემარჯვება,

გინდათ — შემხვდება ავია.
იქვენ გაგიმარჯოსთ; ჯერ თქვენა,
ის გამარჯვება ჩემია...
გ�ში მსხდომთ ბედი მწარეა,
თუ არა ვარგობს გემია!"
„ვეცდებით, არ გავალაღოთ
ჩვენს თავზე ჩვენი მტერია!" —
გულმტკიცედ ამბობს ლაშქარი,
მთიდან მოსული ერია.
წინ დგას ხევსური ბერდია,
ხელთ დროშა დაუჭერია.

VI

ჩვეულებად აქვს ერეკლეს
გასინჯვა მხედართ ხმლებისა.
მცნობია იარაღისა,
სიტყვა მეტია ქებისა,
მჭრელსა და ფხაშეუშლელსა,
გამმრავლებელსა მკვდრებისა...
ხიმიკაური თავსა ჰხრის,
ხალხზე უკანა დგებისა.
მოვიდა ჯერი... ერეკლეს
პირზე მზე ეფინებისა.
„აბა, ძაღლიკავ, შენ ხმალიც
ვნახო, როგორა ჰყურობო.
იქნება ჟანგს შეაჭამე,
დღესაც ისევა სწუნობო.
თუ ესეც ისე იხმარე,
როგორც წინანდელს ჰხმარობდი,
ასპინძას, როგორც მე გნახე,
თათრის თავებზე ჰხარობდი.
ვფიქრობ, რო შაგიყვარდება,
გაგიბრწყინდება სახეო.
რად მაგრე დაჰღონებულხარ,
პირი რად დაიჩმახეო?!" —

თითონ უტაცა ხმლის ვადა,
ამოსაღებად მოსწია
ქარქაშიდანა... უყურებს —
ძრს ხმალი რკინა როდია! —
ხის ხმალი წამოუღია,.
ერთი უყურეთ მხედარსა!
ვადა ხმლის, პირი ხისა აქვს
და იმით ომსა ჰბედავსა!
ძაღლიკა თავის სარგოსა
ძალიან შორსა ჰხედავსა...
ერეკლემ შუბლი შაიკრა,
სიტყვაც არ უთხრა ერთია...
ბოლოს კი ღიმილი მოსდის...
ხიმიკაურის ბედია!
მაშინვე მხლებლებს უბრძანა,
არ დაახანა ხანია:
„წადით, აქ ჩამოიტანეთ
ხიმიკაურის ხმალია“. —
ბეელს ლაშქარს მეფეზე ჰრჩება
და ბრიყვს ხევსურზე თვალია.
მალე მოართვეს და ისიც
ძაღლიკას აძლევს ხელშია:
ძაღლიკავ, მაინც იძაღლე,
წაიღე, გერტყას... შენია.
ეინაც წელზეით შემოგხსნას,
ის ღმერთს ნუმც დაურჩენია!“
ჰკოცნის ხევსური ერეკლეს
ხელზე, მუხლებზე ეხვევა,
არ იცის, სიხარულისგან
რა ჩოქს და სალამს ეწევა.
ბოლოს თვის ხმალსაც აკოცა,
როგორაც შვილმა დედასა,
მერე მიიკრა გულზედა,
ეალერსება მეტადა...
ერთი უბრალო ხის ხმალი
გამოდგა იმის ბედადა!
აღარ ეყოფა ძაღლიკას
მტრის ჯარი შესახვრეპადა.

VII

მთას იქით გადის თოფები,
კვამლი ედება მიწასა.
აწითებს სისხლი ნადენი
დაბლა ხეობის ქვიშასა.
ცალმხრივ ქართველნი იბრძვიან,
მეორეს მხარეს — თათრები.
აღარა ჰზოგვენ ერთმანეთს,
ან რა აქვთ დასახათრები!
მივიდა ჯარი ერთურთში.
ელავს, წკრიალებს აბჯრები,
ადის და დადის ორგნითვე
სისხლში ნაღები ხანჯრები.
აქებენ ვისმე მეომარს,
იმის ხმალსა და გარჯასა.
მეტისმეტს შეუპოვრობას
და მოუღალავს მაჯასა:
როგორც ანწლღოლოიანსა,
თათრის ჯარს ისე ჰკაფავსა.
ჰხედავს ბატონი მტერზედა
იმის ტევებას ვეფხურსა.
კიდევაც დაასაჩუქრებს
ყმას თავდადებულს, ერთგულსა.
თან ამბობს: „მართლაც ცოდვაა
შეუნდობელი, დიდია,
მაგისთვის ხმლის ჩამორთმევა,
რომელიც წელზე ჰკიდია“.
ამბობენ: თოფიც აჩუქა,
დაოქროილი წვერამდე.
სხვადასხვა საჩუქრებითა
იგი აავსო ყელამდე.
„ვინ იყო? სადაურია,
რომელი მიწა-წყალისა?“
„ძაღლიკა იყო, ძაღლიკა,
ხიმიკაურის გვარისა“.

1902 წ.

ჯაჩანა

თაღლაურა

I

ის იყო მთვარე ჰქრებოდა,
გორის პირს ეფარებოდა;
ჯარად გაშლილი სხივები
ქალის თმათ ეფერებოდა;
ალმაცრად გამოსხლეტილი
მთის წვერებს ეფინებოდა,
თითქოს მისხლეტას ვერ ჰთმობსო,
აკვდებოდ-ეკონებოდა.
აგერა მთვარეც ჩავიდა,
ცა ჰდიდობს ვარსკვლავიანი;
სადმე დაბურულ ადგილსა
ბუვი გაჰკივის ხმიანი.
ისაც დაჩუმდა... მიწყნარდა
მთის ყურე ნადირ, მგლიანი;
ნაზ გაზაფხულის მაშვენნი
ბუჩქში მიყუჩდენ იანი;
თითქოს იორიც შეჩერდა,
უმისოდ ისე ხმიანი.
მიწყნარდა კოშკიც მაღალი,
გორ რო ჩამოჰდგამს ტყიანი.

II

კოშკს იჯდა ქალი მწყაზარი,
როგორც ცისკარი დილისა;
თავს ივარცხნიდა ლამაზი,
თუმცა დრო იყო ძილისა.
გრძელნი თმანი ბროლის ყელსა
დაჰხვეოდენ ნისლებურა;
მელნის ტბანი უნათებდენ,
პირი უშუქს მთვარებურა.
ქალმა თავი დაივარცხნა,
ჩამოიშაპნა თმანია;
მიუჯდა ისაც კერასა,
მიიხვნა ფარტენანია.
უთსრა: „ჩემო დედამთილო,
არ ვიცი რაა ესაო;
გული რაღაცას მიქადის
დილით აქამდე დღესაო“.
— შენ დამასწარ, თორემ ადრ,.
მეც უნდ მეთქო ქალილამა;[1]
რაც თაღლაურა წავიდა,
სულ ცუდად ვარ დედილამა.[2]
გულმა სულ ცეცხლში ჩამაგდო,
სულ რასღაც მეუბნებაო;
მეორ-მესამე დღე მიდის,
სიზმრები მეჩვენებაო;
ვაჰმე! თუ შენ რამე გევნოს
მინდორთ გაზრდილო, ველთაო.[3]
ღმერთო! მშვიდობით მომგვარე
ის ჩემი დედისერთაო.
რა ძნელი რაიმა ვნახე,
ღმერთო, დამწერე ჯვარია.
არ დამსვა ცალიერაი,

---

[1] „ქალილამ“ — შენს ქალობას ვფიცავო.
[2] „დედილამა“ — შენს დედაშვილობას ვფიცავო.
[3] „მინდორთ გაზრდილო, ველთაო“ — მინდორში და ველზე გაზრდილოო.

არ მომიჯარო კარია:
მითომ სამ წვიმა მოვიდა,
დაიწყო დიდი ავდარი,
ცას ცეცხლი ეკიდებოდ›,
მიწას გაჰქონდა ზანზარი.
თან სეტყვა წამოუშინა,
გარეგვნა მთა და ბარია,
ჩრდილებში დასკდა ზვავები,
ჩვენს კოშკს მოადგა ღვარია.
მე, შენ და თაღლაურაი
სანამ მოჰგლეჯდა ლიბოსა,
ჩავსხედით კიდობანშია,
გვერდიც ჩამოსკდა ციხესა!
ღვარმა წაგვიხვნა სამნივა,
იქით და აქეთ ვიდოდით,
„გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე“,
გამომეღეიძა, ვტიროდი.

III

ლაჟვარდი ციაგს მიბნელდა,
შორს ისმის ივრის შხივილი,
რძალ-დედაჰთილის ტარებსა
კოშკში გაუდის წივილი.
მრავალან გადაიხარენ,
ირმის ნაფრენნი[1] დაჰჩნდენა,
შვიდნი სულთუხის ტარანი
ივრის ხეობას გახდენა.
ათასნი გუნდნი ვარსკვლავნი
ცრემლად სტირიან ცაზედა,
გაუშვად მაღლა სასხდომი,
ჩამოშვებულან წყალზედა;
თაღლაურაის ციხესა
ჭირი ადგება კარზედა.

[1] „ირმის ნაფრენნი“ — თვალუჩინარი ვარსკვლავთ წყება, რომელიც ნათლის ზოლად მიეტყობა ცაზე.

IV

ნუ ჰდიდობ, თალლაურაო,
ვაჟო, ნუ მოგწონს თავია,
ჰჯობია, თარეშს დაეხსნა,
ლეკთ დაანებო თავია.
ფშავში გაქებენ ქალები,
ვაჟკაცსა, ედემს გაზრდილსა,
მარტო ცხვარ-ძროხას სად დაჰტევ
ლეკეთით გადმორეკილსა?
ნუ გინდა იმათ ტყვეები,
დედათ ნუ ამგლოვიარებ,
თოფი ლეკებმაც იციან,
საპირისწამლე რქისაო;
გადმოსვლა ჭიუხებშია,
ხმარება ხანჯრებისაო.

V

„თალლაურაი ცხვარშია“,
უთქვამისთ დალისტანშია,
ცოლ-დედან დაუწირიან
ღმრთის ანაბარას სახლშია.
შეყრილან ლეკის შვილები,
გადმოუვლიათ მთანია,
სულ არჩეულნი ვაჟკაცნი,
სულ არჩეულნი ვაჟნია!

პირველი მგზავრი

ნელა იარეთ, ნუ ჰჩქარობთ,
ერთ-ურთს აყოლეთ ფეხები,
თორემ სოფელი გაიგებს,
აყეფდებიან ძაღლები..
წყნარ-წყნარა... ნუ გეჩქარიანთ,
თქვენ ჩემი გაიგონეთო,
ციხეს და იმის საღებსა,
ამ წამში ჩაგაბარებთო.

მ ე ო რ ე მ გ ზ ა ვ რ ი

მივჯარდით... სისხლი ადუღდა,
სმა მესმის ძახილისაო,
ყურში ჩამძახის ძმა მკედარი:
„სისხლი აიღე ძმისაო“.
მეც ვიცი ჯავრის ამოყრა,
სამშობლოს დამღონებელო,
არა გიშავს რა, მანდ იყავ,
ბევრაის მომნელებელო!
თუ შენ არა ხარ, ვისაცა
მურთუზის გაძევს ვალია,
ეს ხომ აქა გყავს სახლშია,
ეთერის მსგავსი ქალია.
კოშკს შემოგინგრევ ლიბოსა,
მგლებმა იღმუვლონ მტვერზედა,
მანდ ყორანს გამოგიგზავნი,
ამბავს მოგიტანს წამზედა:
„ფშავშიით გამაერჩივე,
ცეცხლზე გისხამენ წყალსაო,
სახლ-კარს გიბუგვენ, ცოლს გართმენ,
იმას ახდევენ ვალსაო“.
ვერვინ მოჭამა სოფელი,
ფართო და მრავალგვარია,
ჰხამდა, რომ ძმობა ჰყვაოდეს,
ლალატი რადღა არია?
მთებ სატირელზე ჩამოსხდნენ,
გამოიგლოვეს ჟამია,
დათხოვდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაჰყარა ნამია;
თაღლაურაის ციხესა
კარზედ მიადგა ჯარია.

პ ი რ ვ ე ლ ი მ გ ზ ა ვ რ ი

კარი გამიღე, მამიდავ,
მოგივეედ გულის სტუმარი...

დ ე დ ა მ თ ი ლ ი (რძალს)

კარგა ხანია გავლილი,
მითომ დაწოლის დრო არი?

რ ძ ა ლ ი — ყ ა მ ა რ ი

მითომ მინდოდა, თამარო,
ეს ტარი კიდევ ჩამერთო,
ნეტავი რასმე მეტყოდი,
ეგებ როგორმე გავერთო.
გულს ჯავრი, ნისლი გონებას,
თავზედ გენია დამენთო,
ფიქრის მორევში ჩავვარდი,
ეს არის ღონე წამერთო.

დ ე დ ა მ თ ი ლ ი

კაცმა დრო უნდა იცოდეს
წოლა-ჯდომისა, ძილისა,
სულთუხის ტარან გადვიდეს...
აგერ, მამალიც ჰყივისა!

ყ ა მ ა რ ი

დაე იყივლოს, იყივლოს,
წესი ასრულდეს ღამისი,
ეგები გადაიყაროს
ჩემიც სიბნელე ყამისი.
ცისკარო, ამოანათე,
უკუნი გამითენია...
მე კი შამომწვდა რაღაცა...
შენ კი ვერ გაიგონია?
ხომ არ მოვიდნენ თულები,
ნეტა რამ იშირდგნიალა?
ყრუვად შემომწვდა ძახილი...
კარებიც შეაჟრიალა...

ხ მ ა გ ა რ ე თ გ ა ნ

კარი გამიღე, მამიდავ,
მოგიველ გულის სტუმარი,

იქნება ვეღარ გიცვნია
მძლეავრად მოსული ხუმარი?

დ ე დ ა მ თ ი ლ ი

რძალო, არ მოიტყუილე.
იძახის... ყური დაუგდე,
არავინ შემოგვივარდეს,
კარს ხომ ურდული წაუგდე?
ვაჰმე, როგორ შამაძრწუნა
დიდმა შიშიანობამ!
თუნდ არ იყოს, მელანდება,
შენმა ბედიანობამ.
აბა, რა დასაჯეროა?
ამ დროს ხუმარა კი არა...
ან ჩვენი ტყვედ წასხმა უნდათ...
ან ქაჯმა ჩამოგვიარა.
რაკი მზე ჩაეფარება,
რაკი შამოჰკრავს ბინდ-ბანდი,
შინ ჰზის, თუ გარეთ დავალის,
კაცს სრულ თან დაჰდევს ხიფათი.
შენ თულებს ამბობ... არ იცი
რომე ესეთას ღამ-ღუმთა,
სხვადაც სიფრთხილე უნდარის,
კაცსა ამფერა ხევ-ხუვთა...
განა ტყუილად ამბობენ,
განა უბრალო ჭორია?
ხომ გაგიგონავ მაინცა,
ემან, რომ დიდი გორია.
ძირტკბილა, ბრაწ-ბალახითა,
შართული კლდე რო არია.
მანდ თურმე მოჯალაფეთი,
ადრითვე საბუდარია.
ღამე გამოვლენ გარეთა,
კლდის პირს ცეცხლს დააჭეხებენ...
არ გაუშვებენ გამვლელსა,
უთუოდ აიზრახებენ.
ან წყალს მიჰცემენ მდინარსა,

ქვიშაში დაალეკებენ,
ან საყვავ-ყორნედ გაჰხდიან,
კლდეზე სადმ გადააგდებენ.
დევებიც აიშლებიან,
მზე რაკი დაბრძანდებაო,
გზა-გზის პირთ ეხეტებიან,
სანამ არ გათენდებაო.
შენ გაგონილი გექნება,
პირქუშსა, დაღონებულსა,[1]
დევი რომ აჰდევნებიყო,
ცხვარშიით მონავლებულსა.
ჯერ დაეძახნა სახელი...
იმას ეფიქრნა: „ვინ არი?"
სუყველამ იცის პირქუში
როგორი ვაჟკაცი არი.
ამ დროს ასეთას ადგილსა,
კარგი რა უნდა ჰცოდნიყო?
შავნაბდიანის სახითა
კაცი რამ დაჰდევნებიყო!
მოჰგონებოდა მაშინვე
და შიშის ელდა სცემოდა,
ფიცხავ მიეცა სადავე...
საფერხეც კარგი ჰყოლოდა!
ხე-ქვათაც ენა აიდგეს,
დევს ხმას აძლევდნენ მთანია,
მოჰძახდა: „შენი შვილი ვარ,
ნუ მწირავ, წამიყვანია".
თვითონ კი გამოეხვეწა,
იმ დღეს შინ მოსვლით იამა,
ღეროს რა კარგი მოუვა,
ფესვი შეჭამოს ჭიამა?!
შენსა მტერსა და მოავეს,
რაც იმასა ჰხვდა წილადა:

---

[1] „დაღონებულსა" — ამ სიტყვას დიაცები მთაში „ბეჩავის" სინონიმად ჰხმარობენ.

კუტი, დიდ კბილა, ყურდიდი
წყლის თავზედ ეშვა შვილადა!

ხმა გარედამ

ამას მესაძედ ვიძახი,
რა დაგემართა, რა არი?
თუ შენ დაჰმძულდი, უთხარი,
კარებს გააღებს ყამარი.

თამარი

— დაგმათრახოს და დაგწყევლოს
ცხრამ წმინდამ გიორგიმაო! —
ცეცხლი მინელდა. ფურცელი
დააჭკნო იის ძირმაო.
ვეღარა ჰთქვა-რა, გაჩუმდა
ბებერი, მრავალწლიანი,
ახალს ცვილივით გაყვითლდა
ქალი, პირსინათლიანი.
ღრუბლები ამობოქირდა,
შავად მოიქცა სამყარო,
მოხუცმა წაიდუდუნა:
„გვიშველე, ლაშარის ჯვარო!
ეშმაკიაა თუ კაცი,
ვინც არის ჩვენი მზვერველი,
შენის სახელის ჭირიმე,
შენ იყავ ჩვენი მფარველი“.
(ხმამაღლა) ვიხა ხარ? რას დაეთრევი
ასეთს შავ შუაღამეთა?
თუ ქრისტიანი სული ხარ,
რას დაჰყიალებ გარეთა!

ხმა გარეთგან

სტუმარი, მასპინძელობა
ძველის-ძველიდან იციან.
მერე ხუმარას, მგონია,
შენთვის ძმისწულად იტყვიან.

თამარი

ჰჯობავ ლიშანი მიძახო,
დაეხსნა ლაპარაკებსა,

გავიგო მართლა, ვინა ხარ,
მოვალ, გაგიღებ კარებსა.

ხმა გარეთგან

ხმალი მაქვს დაზარნიშული,
თაღლაურაისეული,
ემანდ, კერის პირს რო მომცა
პირბასრი ლეკისეული.

თამარი

— კინაღართ ჩემი სულ-ხორცი
დამბადებელმა წაჰწყმიდა!
რაც მოხუცებაში შედის,
გისულელდება მამიდა.
ჩქარა შამოდი, რო გნახო,
დავჰტკბე შეხისა ცქერითა. —
ღელეს[1] ატირდა თამარი...
შორს, შორს იორი ჰმღერიდა...
მოდის და მოდის ღრუბელი,
იწვის ფშავლების სახლები.
შუქს ჰკარგვენ... იხოშებიან
ციური ჭია-ცეცხლები.
ცამ პირი მოიმარაგა,
პირ-თავქვე მხრები დაჰხარა,
ცვრად დაიბერტყა ღრუბელი...
ღვარმა ხევ-ხუვი დაჰღარა
ნადირნი იჩქმალებიან,
ჯიხვი კლდეს შაეფარება,
ისეთი უკუნეთია,
თვალი არ გაიჩხვერება.
დრო და დრო ისმის რახ-რახი,
დარბის, იცინის მაცილი.
მგზავრს გზას გაურკვევს სადამე
ქალის ეთერის სიცილი.[2]

---

[1] „ღელე" — ადგილი არაგვის მარცხენა მხარეზედ, სადაც ფშაველები თამარ დედოფალს ჰლოცულობენ.

[2] „ქალის ეთერის სიცილი" — დაელვება.

წვიმა, ელვა და ქუხილი..
ყურსა ჰკრის მავნე ჩქამია...
ვაჰმე, რა ცუდი დრო არის,
ვაჰმე, რა ძნელი ჟამია!

VI

მინდერით დაიძრა ფრინველი,
არწიეი, მთების შვილია,
საფშაოდ გამოემართა,
თაღაის ნიავ-წვრილია.[1]
ეეღარ გაიძლო, სურვილმა
გამოიტაცა მთისამა,
ჩქარ-ჩქარა ნახვის წყურვილმა
იმ თავის მიწა-წყლისამა
აღმოსავლეთით მავალმა
დასავლეთისკე დაჰმართა,
ილტოურაიც[2] შორს დარჩა,
იორზე შამოემართა.
ჭალაზედ დაქსასულიყო,
მდინარეს მოჰმატებოდა,
მოჰქონდა ქვა და ნათოსი,
ქოთობდა, იდორბლებოდა.
არ ალოდინა, დეზი ჰკრა,
სადაც ჰხვდა, გამოაცურა,
შამოავლივნა ჭალანი...
შინისკე გამოაშურა.
ჯერ კი არ ამოსულიყო
მზე გორის იქით ჰცხრებოდა,
ბარად ჩაყრილი ღრუბელი
მთას წასვლად აიყრებოდა.
დაეყვ-მოეყვათ თავები,
მთა-გორებს მოელაშქარა,

---

[1] „ნიავ-წვრილი" — თაღლაურას ცხენი.
[2] „ილტოურა" — მდინარე კახეთში, ახმეტის ახლო ალაზანს ერთვის.

პირდაბანილთა ცა-მყართა
თმებ უკან გადაეყარა.[1]
წვიმას, ბუნების სახსარსა,
ყველა გაეხარებინა:
ჩირთი, ყვავილი, ბალახი,
სასწვრით შაესწორებინა.
მაჟალო, პანტა, ტყემალი,
დაბლა ებურა ჭალასა,
მაღლა ემოსათ ყვავილი,
მიწას აბერტყდნენ ღალასა
ღმერთმანი, სადმე ჰნახაღლით
ლერწამსა, მინდვრის ჩალასა!
გორ-გური, მათში ხევ-ხუვი,
ხშირი ტყით შაპყრობილიყო,
ქუჩი ბექს, ია ხევხუვსა,
ჩირთი მთას მიწურვილიყო!
გუგულის კაბა ჰყვავოდა,
დილა გონს ჩავარდნილიყო,
საჩრდილო წამში ჰცურავდა,
პირმზითი შებერტყილიყო.
გაცრეცილს სილამაზესა
ჰშვენოდა სიხარულია!
საცოლე მთაში მიჰყვანდა,
ბუნებას, — გაზაფხულია.
მთა-ბარს სულ გადაჰწვდომიყო
დედუფლის კაბა-საცვალი,
ფერადი დიბა, ატლასი,
ია, ენძელა მრავალი!
ფურისულასა ჰშვენოდენ
საცმელნი დარაისანი,
გაზაფხულს გამოჰყოლოდენ
მაყრები ზღვის პირისანი!
ბევრი დაუწვავ ამათში
სიყვარულს დედუფლისასა,
მიჰყავსთ და ვეღარა ჰნახვენ,

---

[1] „თმებ უკან გადაეყარა" — გაედარა, ნისლი და ღრუბელი მოეშორა.

ვაი გულს ერთგულისასა!
პირში ვერ ეუბნებიან
თავის გულისა ვარამსა,
ლექსებში ჰკაფიაობენ
დარდსა, გულისა მპარავსა.
„წვიმავ, დაჰწვიმე, დაჰწვიმე“,
წიპრია არის ლხინშია:
„მოდი, რომ გნახო თვალითა, —
არ მოვკვდე მოლოდინშია“.
ხევი აევსო ათასსა
უცნაურს ჩიტის ენასა:
გალობას, მღერას, ჭიკჭიკსა
ლაღს და მწუხარე სტვენასა.
შაშვი თავისთვის დამჯდარა,
ტკბილს საგალობელს ჰგალობდა,
მოესხა შავი ნაბადი,
კოჭებს კი არ უფარობდა.
გალობით ასწავალამა
ღმერთი ადიდა წინ-წინა,
ითმინა თაღლაურამა,
მერე კი დაიღიღინა:

1

„თოვლი დაუდნავ სიცხესა,
გული დარდს შეუჯერებავ,
მართლა გხედავთა, თუ არა,
მთებო, ვერ დამიჯერებავ.
შორსა ვარ, გული აქ არის,
მივნატრი თქვენსა მნახველსა,
თუ დაგინახეთ თვალითა,
დიდება უფლის სახელსა.
რო დაგინახავთ, ვაჟკაცსა
ბალღურად გამიხარდება,
სიცივე იყოს, დამცხება,
ალმართი — გამივაკდება“.

2

„რასა ჰგავს ადამიანი
სიცოცხლის ფერობაშია?
ვერ ძღება წუთისოფელი,
ვაჟკაცის მტერობაშია.
ბევრიც ვაჟობდეს, ჰლაღობდეს,
დიდხანს არ უნდა ლოდინი,
დღეს არის გორის მდრეკელი,
ხვალ უგავ მიწის ლოგინი.
მიწაა ჩვენი ერთგული
და ჩვენი დიდი მტერიცა,
იმასვე ესაყვარლება
პატარუნელა მწერიცა“.

3

„შენაც მიყვარხარ, იორო,
შენ ვერ-რა შეგედარება,
ჰმდინარებ... იდენ მუდამა...
რა ცხენი დაგეღალება?!
ხმლით ვერას გამოგრჩებიან,
ტყვია არ მოგეკარება.
აჰდიდდე, შენი ღრიალი
დევთა ხმას შაედარება!
შენი დაკვლევა მაშინა
როსტომსაც შაეზარება,
ახრჩობდე—მაინც კარგი ხარ,
მადლი არ დაგეცარება.
დაჰწმდები—ისევ მადლი ხარ...
სულიერთ გაეხარება!
დამსუდროს შენმა დგრიალმა
და კალთამც დამეფარება,
ჩემი სიკვდილის შემდეგა,
ლეშიმც შენ მოგებარება“.

4

„არ მინდა ჩემი უსულო
გვამი მიწაში ლპებოდეს,

სისხლ-ხორცი, თმა-წვერ-ულვაში,
ერთურთში აირეოდეს.
მოვიდეს წითელი გველი,[1]
ჩემს გულში ებუდებოდეს,
ჩემი მოსისხლე დუშმანი
ჩემის სისხლ-ხორცით ჰძღებოდეს!
რა გაძღეს, თავი აიღოს,
ხმამაღლა გაიცინოსა,
გადახტ-გადმოხტეს, დამკვლიოს,
ჩემს გულზედ დაიძინოსა.
მე მინდა გადავყვებოდე
ჩქერთა მდინართა წყალთასა,
წამიღონ, ეთელებოდენ,
ძ^ართა მთათა და ბართასა.
სანამ ვარ, ვიარებოდე,
ვაწყდე გვერდთ ჯებირ-ქვათასა,
ჩამოვიშალო, ჩამოვწყდე,
გავხდე საჭმელად თევზთასა".

5

„ნეტავი, ნატრა-ცხადა მქნა,
სურვილო, აჰცხადდებოდი,
მუდამც ვაჟკაცად მამყოფა,
ნეტამც არ დავბერდებოდი.
მანამ ვარ, ასე მამყოფა,
ამავ ჯანზედ და გულზედა,
და თუნდა უადრეც მოვკვდე,
ღმრთისაგან განგებულზედა,
მიყვარს ვაჟკაცის სიკვდილი,
ჯერ რომ არ იყო დროული,
სუყველას დაენანება
უდროოდ გამორჩეული.
მთელი ქვეყანა იგლოვებს,
მტრებიც კი შაიბრალებენ,

[1] „წითელი გველი" — მიცვალებულებს ხალხის ფიქრით წითელი გველი ჰკამს. იგივეა „მეკაცური", ანუ შხამიანი. არ ვიცი, ეს „ვასილისკო" ხომ არ უნდა იყოს.

მაგრამ ბერ-კაცის სიკვდილზედ
მრავალსაც გაიცინებენ.
რატომ არ უნდა მიყვარდეს,
როცა ვაჟკაცი კვდებაო?
დიდხანს ნამალი ცრემლები
იმ წამში გამოჰჩნდებაო“.

6

„ანუ აიქამც მოვკვდები,
სადაც მინდა და მწადიან,
სანგრად რომ ჰყრია ხეები,
მთები ზეცისკე ადიან.
სადაც გამზარდა დედამა
და ძუძუ უწოვებია.
სადაც ცხერის ფარა მყოლია,
ჯოგები მიძოვებია“.

7

„ნეტავი ცოტახანს მომკლა,
დღე შემიცვალა ღამედა,
ვნახო, რას იზამ მაშინა,
შენს პირზე შემომახედა.
ჩვენს ან გაცნობას რა ერქვა,
ან სიყვარული რა იყო?
მე ჩემთვის დავრჩი, შენ შენთვის,
პეპელა ქარმა წაიღო![1]
მართალი უთქვამთ ჭკვიანთა,
ფიცხლავ ენაზედ მობივა:
„ჭრელსა ნუ ჩაჰდევ პეპელას, —
გაგიფრინდება, წაგივა,
არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი ფასად გაგივა“.

---

[1] აქ თადლაურა წაწალს ჰგულისხმობს, რომელიც უწინ ჰყვარებია.

VII

ნამი ჰწვიმს, ღვრები ჰყვირიან,
მდინარე აბეზარობდა,
გალმა, წყლის პირის ნაშეზედ
წანწყარა ჩაგოგმანობდა.
გუგული „გუგუს“ გაჰძახდა,
გალობა არ უგვარობდა,
წინ ედვა ვაკე-ხეობა,
ამწვანებული, სწორია,
შორს სადმე, ერთი ბეწოდა
ჰჩანდა არტნისა გორია.
უთხრა, რომ ჩქარა, ლურჯაო,
არხალს ხარ, განა არტანსა,
რა ფეხებს მიალაწუნებ,
როგორც ბებერი არგანსა!
ვერა ჰხედავა, ოხერო,
ცეცხლი ედება სახლ-კარსა?
უცქერდა: იმის სოფელში
სახლებს სულ ბოლო ჰდიოდა,
ყმაწვილი ქალი და ვაჟი
იქ აღარავინ ჰდიოდა.
ბერხუნდი კაც-დედაკაცი
ეყარა იქ და ჰჩიოდა,
პატარა ბავშვი დედასა
ეძახდა, ძუძუ ჰშიოდა.
ყველა ხელგამომავალი,
დიდოებს თან წაეყვანათ,
მოხუცებულს და ჩვილებზედ
ჯავრი არ ამოეყარათ;
იმისი სახლი და კარი
ყვავ-ყორნებს ჩამოეშალა;
თვითონ კი გაქცეულიყვნენ,
მუქარა შამოეთვალათ.
არ ვიცი, რა რა იფიქრა,
მწარედ კი გაიღიმაო,
შორითვე ეცნო დედასა,

ჩამოეგება წინაო.
მხურვალედ გადაეხვია,
ჰკოცნის ხაქოლა პირითა,
ეტყვის: ბევრჯოლამც მომიხვალ
შვილო, მშვიდობით იქითა...
შენმა საგონმა დამღივა
და შენზედ ფიქრობამაო,
შენმა მშვიდობით მოსვლამა,
შენმა დაბერებამაო.
ძილი არ მაქვს ძილის ფერი,
მოსვენება ლოგინშია,
თვალები ჩამოვაწყალე
შარად შენს მოლოდინშია.
ვეღარა ჰთქვა რა, გაჩუმდა.
მოუმატა ტირილსაო,
ჰკლავდა ცალკე საგონები,
რძლისა, შერე შვილისაო;
მერე ოხერ-ტიალადა
რჩომა თავის თავისაო.

თ ა ღ ლ ა უ რ ა

რად მიბარებდი, მოდიო,
აბა რისათვის გინდოდი?
თუ იტირებდი, მცოდნიყო,
მე აქ არ წამოვიდოდი.
დედავ, რაზედ დამაღონებ,
ცრემლს რაზედ ჰღვრი მდუღარესა,
მე რაც უნდა მომივიდეს,
შენ ნუ გნახავ მტირალესა.

დ ე დ ა

ძმისწული რომ მოუკვდეს
მამიდასა...

თ ა ღ ლ ა უ რ ა

მომხდარს რა მალვა-ღა უნდა,
კარგად ვიცი და ვიცოდი,

მე იმავ წუთში გავიგე,
სანამ შენ რასმე იტყოდი.
ხუმარას უღალატნია,
ლეკები მოუყვანია,
იმათ დაუწვავ სახლკარი,
ყამარი წაუყვანია!
მტერი რო მომკლავს, წესია,
ჯავრს ჯავრი ებედებაო,
ნეტავი ის კი ნუ მომკლავს,
ვისგანც არ მომგონდებაო.
ის ლეკთა მიმდეგი არის,
იმათ ქალს აეკიდაო,
დაჰკარგა თავის სამშობლო,
მათ სჯულზე გადავიდაო.
შუბლზე ჯავრისა შვილებმა,
ნისლებმა გადაუარეს,
თამარიც ვეღარას ამბობს,
„სკაპ-სკუპით“ ჩამოიარეს.
ბევრი ჭირის გადამყრელი,
გული აღარ ეგულება,
სამი ოთხს ცეცხლში ჩავარდა,
ენა არ ემორჩილება.
ბეღურა „ჭივ-ჭავს“ იძახდა,
მერცხალი — „ბებერ-ცხონდისა“,
ბოდახეველი ქალთამზე,
ჭირის საწყენად მოდისა.

თ ა ღ ლ ა უ რ ა

დედილას, ქალთამზიაო,
შვილით გაიხარებია,
დედა-ჩემი, სანამ მოვალ,
შენთვის ჩამიბარებია.
მაგათას წადი, გენაცვლე,
იქ მელოდე, მშვენიერო,
შენ კიდევ ზომე მთა-კუდნი,
ლურჯავ, გზების მეცნიერო.

VIII

გული ჰღელავდა, ჰძგერავდა...
ჩუმად ქვეყანა ბრუნავდა,
მნათობი სხივსა ჰსწურავდა,
გორის პირს ამოჰცურავდა,
აპრილი მხიარულობდა,
კაი ამინდი დარობდა,
კვალზე მიჰდევდა ჭაბუკი,
მონადირეთა ჰგვარობდა.
დაიქცა ირმისა ჯოგი,
ვეფხვი გაუდგა კვალზედა,
იარეს ფეხ-აკრეფითა,
ჩაცვივდეხ ივრის წყალზედა.
კვალი არც გამოღმა დარჩა,
აღარც წყლის გაღმა გავიდა,
იმან მაშინვე შეიტყო,
აღმე, წყალ-და-წყალ წავიდა.
დიდხახს არ დაუგვიანდა,
მალე გაიღნო გზანია,
ტურფად ჰყვაოდენ გზის პირნი,
მწვანე ჰცემოდა თვალია.
მზე მთებზე შამომჯდარიყო
ამოეშალნეს მხარნია;
თხილის ძირებში მოსულა
სვინტრი და სასუტელაო,
ზარმაცად თვალათ აბჟუტებს,
ლაშქარა კაბაჭრელაო;
ჰჭყივის და ტყის წვერთ ეელება.
ნიბლია კარგუნსელაო.
პატარა, ნაზი ფოთლები
ბუდიდამ გამომძვრალანა,
მხედარს ეხუშმაშებიან,
ტოტებზე ჩამომსხდარანა.
დღე ღამედ ეჩვენებოდა
და დედის ნაცვლად ბუნება,
საგონი აუბოჟირდა,

გადაერია ბუნება!
ჰთქვა: „ნუ მაშინებ, სიკვდილო,
შორით ნუ მიჩენ ბჯღალებსა,
ვინ შემინახავს დედასა,
ვინ დაუხუჭავს თვალებსა;
ან მტრებთან როგორ ვიგონებ
ყამარის უბე-კავებსა?
არ ვიცი, ღმერთმა დაჰწყევლოს,
რისგან ვარ მონავსულია,
მიპარვით დახოცვის ნებას,
არ მომცემს ჩემი გულია,
მოვკვდები, მიწა ვერ შემჭამს,
აგერ ყორნები მზასარის.
ძნელი ეს არის: ოხერი
კვდომა როდის და სად არის;
ეჰ, რაც იქნება, იქნება,
ლურჯავ, შეჰბიჯე გზებია,
სწორებში გამორჩევასა
ისევ სიკვდილი ჰჯობია.
დავრჩები—კარგი იქნება,
მოვკვდე—რა დიდი საქმია?
ამ ბაითალმანს მიწასა
ცოტანი დაუჭამია?
გაღმაით იამ უძახა:
„მხედარო, გვალე, გვალეო!
ტყვეები გელოდებიან,
წადი, უშველე მალეო!“

IX

ივრისავ სიახლოვესა
ვაკეს, ჯავლევის მთასაო,
ძველ მოამბენი იტყვიან
თაღლაურაის ცდასაო.
იქ ვეღარ ჰდიან ბალახნი,
ვერც ქუჩნი იზმენ ზრდასაო,
იქ ნათარეშალ ლეკებსა,

ცხენ-ხეთქით გადაჰწევიყო,
იმის უეცრად მისვლითა,
ლეკებს თავსზარი ჰცემიყო.
გაუარ, გამოუარა,
დაურბინ, მოურბინაო,
ხმლები არ ახმარებინა.
თოფები დაუგრილაო.
ხუმარას მოჰჭრა კისერი,
მურთუზსაც მიუწედინაო,
ჯაბანმა გულხადარამა,
გაქცევას მოუხშირაო.
ზოგი კლდეს ეფარებოდა,
ზოგი მთასა და გორასა;
სხვა უგზო-უკვლოდ დამფრთხალა,
მიურბის ვეფხვის რჩოლასა;
ერთაი კარგი ჰჯობია,
ათის ცუდისა ყოლასა.
ვინც არ დაექცა, დახოცა,
ჯავრი არ შეანარჩუნა,
ყამარიც გულში ჩაიკრა,
ტყვეებიც გამოაბრუნა.
უთხრა: „ჩვენ ნელ-ნელა ვივლით,
თქვენ დაიქცენით წინაო.
შეატყობინეთ, რომ ყველა
მშვიდობით მოვდით შინაო“.

X

თაღლაურა და ყამარი
ჩაბრძანებასა მზისასა.
ჭალაზედ ჩამოდიოდენ
საარტნოდ ივრის გზისასა.
წინ ლეკი შემოეყარა.
ხანში შესული ბებერი.

თ ა ღ ლ ა უ რ ა

შენაც იქ იყავ, რჯულ-ძაღლო,
რომ მოგაშორო კისერი?!.

ლეკი

თუ კი შამკადრებ მოხუცსა,
რა ძლიერ გაგიჭირდება?
გამიშვა, — ბევრი შეგაქებს,
სახელი დაგიღირდება.
წავალ და ყველგან ვიუბნებ,
თუნდა არ მოვხვდეთ გზობასა,
მე ბევრჯელ შეევთხოვ უფალსა
შენთვის მშვიდობით ყოფნასა.

თაღლაურა

ᲚᲐᲜᲐᲛ არ მოგკლავ, ნუ მოჰკვდე,
მოხუცებული დროული,
დღეითგე პირობა მომე,
არ იყო ფშავის წვეული.
ეხლა შენც მშვიდობით წადი
და მენაც გამარჯვებითა.—
თვითონ პირთავქვე დაბრუხდა,
გამოისტუმრა შვებითა!
გველმა მოწამლა რაინდი:
შხამი მიჰყიდა ვერცხლადა,
ლეკმა გასწივა თავშალმე,
კელობით ხურა-ხურადა.
ცხრა-ათჯერ გადააბიჯა,
თავბრუხვით იპარებოდა,
რომ ნახა თაღლაურაი,
უკან არ იხედებოდა.
თოფის კვესს ხელი გადმოჰკრა,
უნახა პირის წამალი.
ზურგსა ჰკრა, გულში გაჰვარდა,
მუხლი მოეჭრა მავალი.
გაშრა და დაღონდ-მოღონდა,
ჯერ გამოქცევას ჰლამობდა,
რომ ჰნახა მძიმედ დაჭრილი,
ჩამოვარდნილი წვალობდა.
იწევდა, ვერა ჰდგებოდა,
თუმცა ძალიან ჰცდილობდა,—

მაშინ კი გული მოეცა,
მარჯვენაც უნდა ციცასა;
გამოქცეული მიჰვარდა...
ქალი ქვას დაჰწვდა კლდისასა,
თავში ჰკრა, დაბლა დაამხო,
ტვინი ურივა მიწასა.
მემრე დაჭრილთან მიჰვარდა
წიოკით, თმების წეწვითა,
ნატყვიარს ხელს აფარებდა,
სახეს ულბობდა ცრემლითა...
ჰტიროდა გამწარებული...
მის ცრემლი იორს ეწყვოდა;
ჩიქილით ხვევა დაუწყო,
გულამოსკვნილი ეტყოდა:
„შაგიხვევ, ეგებ არ მოგკლა.
მოგივლის შენი ყამარი“.

თ ა ღ ლ ა უ რ ა

ეჰ, დედაკაცო!.. საწყალო!..
სული წავიდა მთავარი.
წადი, დამეხსენ, ნუ ჰტირი,
მე კარგად დამეძინება,
ჩქარა დედა-ჩემს მიუდი,
კიოთ ძიგველოდინება.
ვწუხვარ, რომ დღეის შემდეგ
თვალით ვეღარა გნახაო,
აბა, შენ იცი, დედასა
როგორაც შემინახაო.
თორემ რა ვუთხრა მერცხალთა?
დრო-ჟამნი დაჰდგებიანო,
რაც უნდა ბევრი ვაბრუნო,
მაინც გაჰფრინდებიანო!
გაჰფრინდე, წადი, დაგლოცავ,
ღმერთმა გაგაბედნიეროს,
უფრო კარგი ყოფნა მოგცას,
უფრო გაგამშვენიეროს.
ტირილით ვეღარას მარგებ,

საბრალოს მიწის ტყვესაო,
მომიგონოდი ოღომცა,
შენსა და ჩემსა მზესაო.
რაც უნდა ბევრი ვიუბნო,
მე მაიხც უბედური ვარ,
ისევ და ისევ შენს გამო,
სიკვდილის უნებური ვარ.
შენთან მეწადა სიცოცხლე,
შენთავე მსურდა სიკვდილი...

ყ ა მ ა რ ი

„ღმერთმა ნუ მიჰცას შენს ცოლსა
სხვასთან გვირგვინის წადილი,
როგორც აქ, ისე ცაშია,
ერთადა გვქონდეს ადგილი“.
უთხრა და თაღლაურასა
მისწვდა, ასწვადა ხანჯარი,
გულში დაიცა, დააკვდა,
როგორც ლითონი შემდნარი.
ლურჯო ფოლადის ხანჯარო,
ცივი ხარ ყინულივითა!..
მკვდართ მზეთაც გადაირბინეს
მთის წვერნი ღიმილივითა.

XI

ტყვეებმა სიხარულითა
ერთ-ურთი ფეხით წაიღეს,
და დილას მგლოვიარეთა,
ეხლა სიმღერა დაიწყეს.
თაღლაურაის საქებად,
ლექსი გამოჰთქვეს გზაშია,
და ისევ დღისით, სიმღერით,
არტანს მივიდენ სახლშია.
ჯერ თამარს გამოეცხადნენ,
სევდები გაუნიავეს,

ეს მზეც ჩავიდა. დაღამდა,
მაგრამ რად დაიგვიანეს?
დედა ელოდა, ვახშობას
ძილისა პირიც ჰყვებოდა,
მოუთმენლობა დაეტყო
თამარს, არვინა ჰჩნდებოდა.
რათა ხანია ჩავიდა
ვარსკვლავი შუაღამისი,
იჯდა და ცხარედ ჰტიროდა
თამარი შესაბრალისი.
დედა ვერ დააშოშმანა
დობილის სუსუობამა,
სულ შეშლილსავით გახადა
შიშმა და ლოდინობამა.
ხან მოეჩქროვის ფეხის ხმა,
ხან და ხან ძახილსავითა,
აბასტად გარეთ გავარდის,
მუხლ-მარჯვე ყმაწვილსავითა.
დაავლ-მოავლის თვალები,
ფეხის ხმას დაიყურებდა.
ერთი თუ ჭოტი იძახდის,
ან ბუვი დაიკივლებდა,
ან დაჰბერნებდა ნიავი,
ოდოდა აზრახდებოდა
და მოდარებულს ცაზედა
ვარსკვლავი გათხოვდებოდა.
ზედ კიდევ ძაღლები აჰტყდენ,
გააბეს მაღლა ყუვილი,
ამას კი ვეღარ გაუძლო,
თამარმ გაჰტეხა დუმილი:
„როგორ სხვა რიგად ჰყუვიან,
ყური დაუგდე მყეფრებსა,
აქისას ჩამოავლივეს,
ვინღაც მიჰყავის მგებრებსა.
ძაღლი ხომ ფიცხლავ გაიგებს,
წყალნიც რომ იმღერიანო,
როცა ჩვენ ვტირ-ო ბეჩავნი,

მაგათ კი უხარიანო?!
ვის-რა არა ჰყავს მომგონე,
არ უხსენებენ სახელსა,
ვაჰმე! ვინ რა-რა მოჰშალეს
მზესა და წუთი სოფელსა!"
თავი იტირე, თამარო,
და თაღლაურა შენია,
იქნება ისაც მიჰყვანდეს
და იმის მომალხენია,
იჯექ და მოელოდინე,
მითომ ხატში გითევნია,
იმედის გადაწყვეტასა
მოლოდინივ გირჩევნია.

1884 წ.

სპერანსი

I

დილაა შემოდგომისა,
ნისლი ჰწევს ალაზანზედა...
მთების წვერებზე—ღრუბლები,
ისე თუ მაღლა ცაზედა.
ჩუმად ჰწვიმს, ნისლი ჰბოჟირობს,
მიეთ-მოეთობს წამზედა.
ვაკეა. მასზედ ულრანი
ხშირი ტყე ღიჭ-ბარდიანი,
კრიკინა, უსურვაზითა
გამბული, ბურვილიანი;
ქარი მიმუვლის, ეხვევა,
ატირებს სურვილიანი.
მიდის და არა ჰთავდება
ჭალა თვალ-გადუწვდენელი.
ხშირი ტყე, ბალახ-კაჭახის
გულუხვად აღმომცენელი;
მიყვარს შვენება იმისი,
სიამის გამომცემელი.
მარტუას, გულით ვნებულსა,
რა მმართებს ქალაქებისა?
მალ-მალე მომაგონდება
სახე იმ ალაგებისა,
სადაც ჰდის ჯოგი ირმისა,
და ბოლიქები შვლებისა,
სადაც მრავალი ჭანდარი
შემკული ლამაზობითა,

წელთ მატიანეს მიამბობს,
გრძელ-გრძელსა ათასობითა.
ძირს ჰხტება, ჰჭყივის ხოხობი,
მიმოჰქრის თამაშობითა!
მეთქმევა: „ასე ვეება
ჭალა ვინ გააშენაო?
ან გულის სატყვევნელადა
ასე რამ დააშვენაო?
ნეტამც დაღალულ-ტანჯული
მუდამ იქ დამასვენაო!“

II

ამ ტყეს ბილიკი მიაჩნავს,
უვევს ველსა და ახოსა;
მთელს ჭალას ისე გაივლის,
პირზედ არ აიხადოსა,
რომ თვალი არვინ შეასწროს,
არავინ დაინახოსა!
ისევა ჰყინჟლავს, ნამებსა
დაშლა, წკაპ-წკუპი გაუდის,
ეს გზა სამგზავრო არაა,
შარა სხვა მხარეს ჩაუდის.
ამაზედ უფრო წყემსებსა
ცხვარი და ძროხა დაუდის,
ეხლა კი კვალი არ აჩნავს
ამაზედ მოარულისა,
ლაფი და ჭყაპი დიდია,
არ არის სიარულისა.
უეცრად ჩქამი გაისმა
ჩიტების ჟრიამულისა.
ოღონდაც კაცი გამოჰჩნდა,
მასთან სხვა ცხენიანაცა,
სმა-ჭკვასა ჰკრეფენ ორნივე
ვაჟიც და კაბიანაცა,
დგომა-სვენებით მოდიან,
მოსაუბრობენ თანაცა.

დ ა რ ო (ცოლი)

რა ცუდი დილა გათენდა,
რა ფინთი იქმნა მწყვდეული,
თითქოს წვიმა და ავდარი
ჩვენთვია შემოწყეული,
ამ მგზავრობის დროს ოხერი
ისე გვყავს გამოსეული.
გუშინ რა კარგი დღე იყო,
კაშკაშა სამოთხებურა,
მთელი კახეთი ცხადად ჰჩნდა,
იქიდან გამოხედულა.
ვინ იფიქრებდა სადღეოდ,
რომ ახლა ასე ეგულა?
წვიმასაც არა უშავდა,
ჯანღი რომ არ ეხვიოსა,
ადვილი არის, ამ დროსა
რომ გეზიც აგვერიოსა
და კაცი მოულოდნელად
ხიფათში გაეხვიოსა.
კაცმას რა იცის, სად საფრთხე,
სად აუდგება ხიფათი?
მერე ეს ჭალა ლეკებსა
აქვსთ, როგორც თავის ზინათი,
იქნება ზედაც წაეადგეთ,
რა გაიგება იმათი?

ი ლ ა ლ ო (ქმარი)

რამდენიც უნდა იწვიმოს,
ღრუბლებმაც იბოქიროსა,
თუნდ ყოველ ქვა-ხის ადგილი
სულ მტერმა დაიჭიროსა,
მაინც მშვიდობით გაგიყვან
საჩვენოს სანაპიროსა.
ნუ გეშინიან, გენაცვა,
არა იქნება უღვრთოდა,

წამოსვლა, ჩემო სიცოცხლევ,
ეხლავ გვერჩიენა უთვოდა;
სულ ხომ იქ არ ვისხდებოდით?
მისვლას წამოსვლაც უნდოდა.

დ ა რ ო

წამოსელაც, წამოსვლას ჰქვიან,
აჰხირდი მეტის-მეტადა;
მამამ რამდენი გეხვეწნა,
რა იყო გასამეტადა,
ერთი დღე მისთვის, ან ჩვენთვის
სიცოცხლის შესახვრეპადა?
განა სულ ჰწვიმდა, რა ვიცი,
ერთხელ ხომ გადაიყრიდა
და მაშინ...

ი ლ ა ლ ო

...იცი, ნემს-კავი
ხომ არვინ ჩამოგიკიდა,
თორემ ეგ ბაგე უერთოდ
მაგას არ წამოისვრიდა!

დ ა რ ო

თუნდც მაგრეც იყოს, არ ჰტყუვი,
ვთქვათ, აღარც ეჭვი ჰქირია,
ახლა ის მითხარ, რას იზამ,
რომ დაგვხვდეს ლეკის მზირია?

ი ლ ა ლ ო

რასა? და — შეხს თავს ვაჩუქებ,
მე ჩემთვის წავალ გმირია
ემანდ, რომ ჩარგვალებულხარ,
თმები რომ გაგიშლიაო,
შენის გულისთვის მოვკვდები
მაშ, თუ არ დაგიშლიაო?
წავალ და ჩავეკონები,
სხვაც ბევრი ჰყვავის იაო.

დ ა რ ო

ილო, რა ტკბილადა ჰჩქამობს
კილო მაგ შენის ხმისია!
მე შენთვის მოვკვდე, ისა სჯობს,
არ იყოს შენის თქმისია,
განა თუ მქვიან სიცოცხლე,
და ცოლი კარგის ქმრისია?
ძნელია, ღამე ტყეშია
რა გზა არ გაიგებოდეს.
რა ყინვა-ზრობით ცივზედა
მთაზედ არ გაიძლებოდეს...
და დიდს, უძირო ზღვაზედა
ხიდი არ გაიდებოდეს.
ძნელია, განთიადზედა
ცა წშინდა ცვარსა ჰცრიდესა
და მგლოვიარე ყვავილ ›
ნამი ვეღარა ჰზრდიდესა,
ვარამი გულ-ღვიძლს უწეწდეს,
დარდი თვალებსა ჰთხრიდესა;
მზემ გადმოჰხედოს... და სევდის
მას ცრემლი გადმოჰცვივდესა!

ი ლ ა ლ ო

ეჰ, დედაკაცო, ნუ მოჰყე...
რა დროს ეგენი არია?

დ ა რ ო

მაშ, რომ ლეკები დაგიხვდენ,
აჰტეხონ სისხლის ღვარია,
ვერაფელს გაჰხდე, დაჰმარცხდე...
ის როგორი-ღა არია?
თუ დედა აღარ გაჯავრებს,
იმას დაადგეს ნათელი,
მამას ხომ ერთი შენ ჰყევხარ
მარტო თვალების ამხელი;
შენითაც ბნელაში დარჩეს,
ხელში გაუქრეს სანთელი?!

თუ იმას ამბობ, რომ ჩემთვიც
იტყვიან იმისობასა;
აბა, ამაზედ რა ითქმის
ეხლა შენს გამარჯვებასა,
მოდი, გაჰწირე ცოცხალი
ვინმე მკვდრის იმედობასა. —
არა ჰხუმრობდა, და როცა
ქალი ამეებს ჰგოდებდა, —
ვაქკაცი წელში ახრილი,
დინჯ-დინჯად მიაბოტებდა;
ჰსხამდა და ხამუშ-ხამუშად
ქარი ტყეს მოაქოთებდა.

დ ა რ ო

სადარო პირი არ უჩანს,
განა ვერ ჰხედავ, ჭკვიანო?
ამისთანაში მგზავრობას
განა მგზავრობა ჰქვიანო?
დაბრუნდი, მერე წავიდეთ,
ნუ მიხვალ, ადამიანო!

ი ლ ა ლ ო

ქალო, რას ჩამომჭიკჭიკებ,
რას ფიქრებს წაუღიხარო!
გადუტყორცნიხარ შორს სადმე,
შავს ზღვაში ჩაუგდიხარო.
ამოდი, შენი ჭირიმე,
დაღონებული ნუ ხარო.
დღეა, აქ ღამეს რა უნდა?
ან ლანდს სვავ-ყორნებიახსა?
ან ტყეს გაუვალს, უღრანსა,
ან მთას თოვლ-ყინულიანსა,
და იქ დარჩომილს ჩემს ტურფას
წალკოტს ვარდ ბულბულიანსა?
სანამდე მყევხარ, სულ დღე მაქვს,
ასი მზე მიდგა ცაშია,
ორი იმდენი დობილი,

მთვარე მინათებს გზაშია,
მისხავ და მისხავ ვარსკვლავი
ხშირი ცის კამარაშია.
ღმერთი მაღლაა, დიაცო,
დაბლა—მთანი და გორანი;
აღვიმსთო მისდა—ძირს დარჩეს
ჰნახო სვავი და ყორანი.
ზღვაზედ საკალად გემი მაქვს
და მდინარეზედ—ბორანი.
მომყე, გენაცვა, აქა-იქ,
ნუ ჰწოწიალებ ფიქრითა,
ნუ მარაგდება თვალები
შენი ლანდების გიშრითა.
თავი დავღუპო, ან შენა —
წამოგიყვანე იმითა?
ბაღი მაქვს იგეთ-აგეთი,
გარს ზღუდე—ხუროს ნაგები,
ქვა-ქვიშად—თვალ-მარგალიტი,
აქვს ლალ-ბივრიტის თაღები;
უჩემოდ ვერვის მიართვეს
იმის ბჟის კარის საღები.

III

ცოტა ხანს აყრა დაიწყო,
იტყოდი, „გაიდარებსა“.
ჯანღი დაჰწყდა და ფარებად
ჭალაზედ ყოველ მხარესა,
აჰყვა და მაღლა მოექცა,
ცასა და მთების თავებსა.
მოჰსქდა და ისევ დაუშვა.
ცა კი გმინავდა, ჰმუქრობდა,
ჩამოშხუოდა ღვარები,
რა რომელს გამოუსწრობდა
ჭალაზედ ნისლის ხროები,
ერთი სხვას შემოუძღოდა;

თეთრ ბუწუწივით ირთხმოდა,
ძვრებოდა, მაღლა ჰხრჩოლავდა,
ტყე საუბრობდა ტურფადა,
თავით ძირამდე თრთოლავდა;
მანანას ხშირად იბერტყდა,
როდესაც შემოჰქროლავდა;
ჭალა თან-და-თან გახშირდა,
ბარდები ბარდებზედაო.
ხე ჯაგთან გვლარძნილიზედა,
კორუმი კორუმზედაო,
ისეა გადახვლანჯული
გამბული ერთ-ურთზედაო,
რომ ადლზე ვერ-რას გაარჩევ,
გზიდამ რომ გაიხედაო.
ილალოს გულში თავისა
და ღმრთის იმედი დიდია.
ქალიც გულზეა მოსული
კაი ქმრის გადამკიდია;
ის არის ამის სიცოცხლის
სიმაგრე, გზა და ხიდია.
მიდის ვაჟი და მიჰყვება
ქალი, სამოთხის ყვავილი,
ისე, როგორაც გაზაფხულს
ფოთოლჩირთი და მწვანვილი.
ილა ბევრს ჰფიქრობს და ცოტას
იტყვის, არ უყვარს ჩხავილი.
უვარაუდოდ არც ეხლა
დაჰრჩა, რაც გამოდგებოდა,
ამ მგზავრობიდამ, მის ფიქრით,
საფრთხე არ წარმოჰდგებოდა;
განგება-შემთხვევითა თუ
რამე არ ამოჰტყვრებოდა.
მიზეზად ესენი ითქვას,
თუ ხსნა დავუწყოთ იმითა,
რომ შარას მარტო მთხოვარა
დაჰყვება ფხროკი გუდითა,
და არა მელა დღისითა,

თავის ფამფალა კუდითა, —
ილალო მაინც ჩაეფლო
თავის სჯა-ვარაუდითა.
როგორც ნაპირას დამფრთხალი
კალმახი მოჰხვდეს ტუმბოსა,
იქ ორაგული დაუხვდეს,
ეცეს და გადაყლურწოსა, —
სწორედ იმგვარად მოუხვდა
მაშინ ჩვენს ბეჩავს ილოსა.
ამ გეზზედ ექვსიოდ ლეკი
ერთ ხის ქვეშ მიხნუშტულადა,
ჰსხდენ ისე ნაბად-მოსხმულნი,
თავისთვის მეცხვარულადა,
თითქო გამვლელის ვისიმე
ეშვიც არ ჰქონდათ სრულადა.
ჩვენი ილალო ფხიზლადა
იყო ხომ თავის გულადა,
მაგრამ ვერც იმან ჰნახნა... და
წაადგა ბერყაბულადა!
თვალში ჩუჩუნი დაიწყეს,
უცქერს, თუ ვინებიაო,
სწრაფად ადგენ და მოდიან...
იცნო, რაც კაცებიაო.
შეჰდგა, აქ უფრო ვიწროა,
ირგვლივ სულ ბარდებიაო.
ქალს ელდა ეცა, მაშინვე
გაფითრდა, დარჩა შტერადა,
მერე ცხენიდამ გადმოხტა,
ნაბადიც გაჰკრა ხელადა.
აენთო, როგორც არწივი
საკბილოს შესაჭმელადა,
თავის განწირვა ტურფაა,
ძნელია დასაწერადა.
ცხენი მიაბა, ქმრის გვერდით
დადგომას დააპირებდა,
ილალომ თოფი გადაჰცა,
ერთ ადგილს დაადგინებდა;
დასამშვიდებელს ეტყოდა,

იმედით დაათირებდა.
თვითონ წინ გადაეყუდა,
დაჰდგა კრინტ-გაუღებელი,
ჯერ ბელადია და მერე
ყველა იმისი მხლებელი,
რაცა ჰწადიანთ, ცხადია,
არ არის გაუგებელი.
მაშინ სუყველა ისინი
იყვენ ასეთი აზრითა:
„ფეხებში ჩაგვივარდება,
სანამდე რასმე ვეტყვითა“.
მაგრამ, რომ არავინ მიდის
მათთან ჩოქით და რიდითა,
ეწყინათ, „თავსზარი დავცეთ“,
ჰთქვეს, „ტყუილად-ღა ვიცდითა,
შემოუჭყივლეს ხმა-მაღლა,
მოჰყვენ რაღაცა ლუღლუღსა!
ილალომ ჰკითხა: „რად ჰყვირით,
ან რატომ იდენთ ალმურსა?“
ინახჭებიან ლეკები,
ვერა ჰხვდებიან ქართულსა.
„რა გნებავთ?“ გაუმეორა
ილომ თათრულის ენითა;
უპასუხებენ, „ძმობილო,
დავშვერით ფუჭად დენითა,
უნდა ბატკნები წაგვესხა
გურჯისტანს გადმოფრენითა.
დღესნამდე ვერ-ვინ ვიშოვნეთ,
ეხლა შენ შემოგვეყარე,
მოულოდნელად მოგვიხვეღ
კინაღამ გამოგვეპარე.
ნუღარ გვაყოვნებ, საჩქაროდ
აბჯარი გადმოგვიყარე,
შუა ჩაგვიდეგ, წავიდეთ,
ქალიც თან წამოიყვანე“.

ი ლ ა ლ ო

მარტო ეგ... გარდა მაგისა?
სხვა კი აღარ-რა გნებავსთა?

ბ ე ლ ა დ ი

ვიცით, კარგი ხარ, მაგრამ ჩვენ
ტრაბახს არ დაგიხედავთა,
ჯერ ტკბილად გირჩევთ და მერე
ძალასაც გაგიბედავთა;
ჰნახავ, ურჩობა, თუ მაშინ
არ დაგრჩეს სანანურადა.

ი ლ ა ლ ო

ეგრე ტრაბახს და მუქრობას,
ლეკებო, გიუმაჟურადა
არა ჰჯობია, დაიწყოთ
და მოჰრჩეთ ვაჟკაცურადა?
სიცოცხლე ღმრთის მოცემული
და ცოლი მშობლის მიერა,
იმიტომ მახლავნ, რომ ვინაც
ძაღლი შემხვდება მშიერა,
ერთიც მას მივცე და სხვასაც
ის ექრმოს ჩემმაგიერა?
აბა დაიწყეთ და ვნახოთ
ვინ გახვალთ შუღლის ბოლოსა.

ბ ე ლ ა დ ი

ჩქარა დაგვნებდი, თორემა
აგკუწავთ, როგორც ღოლოსა! —
უჭყივლა ლეკმა ხმლის მოწვდით,
და სხვებმაც დაჰცეს კიჟინა,
მაგრამ ქართველის ფრანგულმაც
მაშინვე ამოისტვინა!
ასე ჰდგან ტოკვით შებმის წინ,
როგორც ვეფხვები ბწკალზედა,
სხვები კი სეირს უცდიან,
ჩუმად ჰყუდიან განზედა.

ბელადმა კიდევ დაჰყიელა,
კიდევ დაჰთხოვა მუქარა,
მაგრამ არც დათმობა არის,
არც ზენარობა, მუდარა,
სირცხვილ-ნამუსზედ ჰწადიან
ვაჟკაცს ჩაიცვას სუდარა.
უკან მიჰდგა და წარმოჰთქვა
ლეკმა, „შეჰხედეთ ძაღლსაო,
რაზედა ჰკარგავს სიცოცხლეს,
რაზედა ჰღუპავს თავსაო?!"

ი ლ ა ლ ო

ძაღლი მე კი არ, თქვენა ხართ,
რომ ტყვილად მტაცებთ გზასაო,
თორემ მე ჩემთვის მივდივარ,
არავის ვერჩი სხვასაო.
რა არის გასაკვირველი
მე ვიდგე ვაჟობაზედა? —
კაცი მოკვდება ცოლზედა,
მამულზედ საკუთარზედა,
მაგრამ რომ ვინმე თქვენგანი
მოჰკვდეს ამ ხელობაზედა,
მაშინ რა ითქმის იმისა
სულსა და კაცობაზედა!
თქვენ იმედი გაქვსთ სიმრავლის,
არ ეშვობთ ჯობნებაზედა,
მაგრამ ეგ ღმერთზედ ჰკიდია
და იმის განგებაზედა.
თქვენ ხომ ჰყოფილხართ ვაჟები,
მაგრამ არც მე ვარ ბეჩავი,
თუ თქვენ ხმლები გაქვსთ და გიჭრისთ,
არც მე მბავს გაულესავი,
თუ თოფებს იტყვით, არც მე მაქვს,
გაურთავ-გაუხედავი.
თქვენ თავის რჯულზე ჰლოცულობთ,
მე კიდევ ჩვენებურადა;
ვინ იცის ბედი რომლისა

იყვირებს ხარებულადა?
ან ვისი შავებს ჩაიცვამს,
იტირებს ქალებურადა?
ვთქვათ: ვერ მოვშველდით მე და თქვენ,
გაგვიხდა საჩხუბარადა,
მე დავრჩი, ჩემთან თქვენც ვინმე
ყვავ-ყორანთ საწიწკნელადა,
სხვები წახვედით, არა ვჰთქვათ
„რა მიგაქესთ სასახელოდა?“
მკვდრისათვის მკვდარი... და მერე
რა გრჩებათ გასამრჯელოდა?
არ ჰჯობს დავშორდეთ ერთ-ურთსა
უბოროტ-შეუმთხვევლოდა?
თორემ, ხომ ჰხედავთ, თქვენთან მეც
ხმალი მაქვს ამოღებული,
ეს იმას ამბობს, რომ როცა
მტერი მყავს თავ-დაცემული, —
მაშინ მეც სასიკვდილოდა
თავი მაქვს გადადებული“.
თვალსა და ყურსა ურჯულო
ყველა მას შეაჩერებდა,
ისეთის რიხით ამბობდა,
თვალით ცეცხლს გააკვესებდა,
რომ თავზედ შეუზავთავად
არავის შეახედებდა.
მიჰხვდენ, რომ კარგი არ იყო
იმასთან გამოხუმრება,
მაგრამ არც ისე მშვიდობით
ჰწადდათ მათ გამოსტუმრება,
და ერთხელ კიდევ ბელადი
სიტყვაში შაეჯიბრება:
„აცა, ძმობილო, უბნობა
გავუშვათ ტკბილის სიტყვითა,
მართლმორწმუნეებს არ ჰნათვლვენ
საქრისტიანო წირვითა,
და არც მგელს ჰკვებვენ, როგორც ცხენს
ნამ-უცემელა თივითა,

მგლის ფასი ქურქზედ და ვაჭრის
იმის ლარზედა ჰწერია;
ვერ მოპრიგდებით, თუ ზოგში
შენაც არ დაუჯერია.
თვალი მგელს ცხვარზედ, და ვაჭარს
ფულებზედ დაუჭერია.
საგანგებო პირს ოსტატი
ხანჯრისას აწრთობს ქონშია,
და თეთრიც მიეც მენავეს,
თუ ვერ გახვიდე ფონშია".

ი ლ ა ლ ო

რა ცხენიც გნებავსთ, ნუ მკითხავთ,
თქვენ აარჩიეთ ჯოგშია.

ბ ე ლ ა დ ი

ორივეს ქება არ უნდა,
არც ერთს არ დავიწუნებთა;
ოღომც ნაბიჯით იარონ,
განა კი გავაჭენებთა?
შინამდე, თორემ მერე კი
დიდხანს არ გავაჩერებთა,
გავართომთ ხელს და თუ ამით
შრომის ფასს დავაყენებთა,
მაშინ იმ მოვაჭრესაც დიდს
მადლობას მოვახსენებთა.
ამ სიშორიდამ რომ არვინ
გაჰსარჯო სიარულითა,
ეხლავ გირჩევნავ დაჰბრუნდე
გულითა მხიარულითა.
ვიცი, რომ სავსეები გაქვს
ქილა-ქოთნები ფულითა;
ის სამოთხესაც კარს უღებს,
იქ კი ტყუილად ობდება,
რად გინდა? მოუხმარებელს
ეშმაკი დაჰპატრონდება;
გაჰხსენ და გადმოგვითვალე,

გული ნუ დაგიღონდება.
ორივეს სახსრად ჩვენ ორმოცს
თუმანსაც შეგჯერდებითა,
თუ ყაბული გაქვს, გაგიშვებთ
და წადი გამარჯვებითა;
წასვლით კი მარტო შენ წახვალ,
ქალს აქ გაუშვებ იმითა,
რომ შენის წასვლა-მოსვლისა
ჩვენ არაფერი ვიცითა;
და რომ არ გაგვთქვამ, მასზედაც
უნდა შეგვეკვრა ფიცითა.
ჩვენ კიდევ თავდებად ღმერთსა
და წვერს დიდ მაჰმადისასა
მოგცემთ, რომ, როგორც გმობასა
არ ვიქთ მათ სიდიდისასა,
ისე ცუდ სათქვამ-საქმნელსა
მაგ შენის ყვავილისასა.

ი ლ ა ლ ო

მეც გეფიცებით იესოს,
ძეს ზეციური ღმრთისასა,
რომ არც გავწირავ ქალს აქა,
არც ალმანს მოგცემთ მისასა,
და რომ დამთანხმდეთ ამისას
წაყვანას დედ-მამისასა, —
მაშინ კი უარს არ გეტყვით,
რომ არსად წაგივიდეთა,—
ქალი, რა მშობლებს მივგვარო,
მე აქვე მოგივიდეთა,
და არც იმაზედ, რომ ჩემგან
სიტყვა არ გაგივიდესთა.
თითქო უწინვე ამ პასუხს
ელოდენ ქართველისგანა,
ბედენად არ შეიცვალენ, —
მტრები ამ სიტყვებისგანა...
და „სარა ვქმნათო?“ პასუხს რო
ელოდენ ერთ-ურთისგანა, —

მეშვიდე ლეკიც გამოჰჩნდა
ამ დროს მეორე მხრიდამა;
მოვიდა, ერთ-ურთს რაღაცა
ჰკითხეს, იუბნეს დიდხანა.
მერე მოსული მობრუნდა
და უთხრა: „გურჯო, იციო,
რომ ცუდი ვინმე გვეგონო
და არა კაი ბიჭიო, —
მაშინ არც დაგენდობოდით,
არც გვწამდა შენი ფიციო.
მაშინ მაგ შენის გიჟობით
ვერ მოგვრჩებოდი იაფად,
დღეს ღამედ გადაგიქცევდით
და წვიმას — სისხლის ფიალად.
მაგრამ, რომ გითქვამს, იმისა
გამო არ მოგიძულებთა,
რადგან დაბრუნვას გვპირდები,
ერთს ჩვენაც აგისრულებთა,
წადი... და სხვაზედ რაზედმეც
არ-რაზედ გაიძულებთა,
მხოლოდ ის წეღან ნათქვამი
გაიმეორე ფიციოთა,
შიგ მოსვლის ვადაც დაგვიდევ
კარგად დღის ანგარიშითა,
და მერე აღარც გაბრუნებთ,
გაჰწიე შენის გვრიტითა“.
ილალომ სიამოვნებით
მაშინვე დაუჯერაო,
შეჰფიცნა ხვალე მოსვლაზედ,
პირჯვარი დაიწერაო,
ენდნენ, გაუშვეს, წავიდა,
აღარ-ვინ გააჩერაო.

IV

ჩვენი მგზავრები მიდიან,
ალსად არ შეუცდიათა,

კარგა ხანს ერთმანერთისთვის
ხმაც კი არ გაუციათა.
რა მოხდა? საით მიდიან?
თითქო ვერ გაუგიათა.
ეს ქალსა, თორემ ვაჟკაცმა
ნიადამ ყველა იცოდა,
ფიცი და სიტყვა მისგანა
თავის განწირვას ითხოვდა.
ჰთქვა და გადაჰქრა... იმაზედ
ეხლა როდიღა ჰფიქრობდა.
ჯვარი ზოგ ივერიელსა
სულ სხვანაირად ჰხიბლავდა,
ის იმისათვის ჰკვდებოდა,
მისთვის სიცოცხლეს ჰწირავდა.
ამიტომ შავბედობისა
ზღვა იმას ვერა ჰძირავდა;
რამდენსაც მიმოაწყვეტდა
და ჩანთქმას დაუპირებდა,
იმდენჯერ ჯვარით გულზედა
ნაპირსვე გამოჰცურებდა.
ან ფიცის საწინაღმდეგოს
ილოს რა მოაფიქრებდა
ცხადად, როდესაც სიზმრადაც,
არავის აპატივებდა?!
იქნებ ჰთქვათ: „ანა ჰდარდობდა,
ან რისმე მომდურავ იყო?“
— არა, პირიქით ისეთი
ბშვიდი და მხიარულ იყო,
თითქო ამას წინ ტოლებში
ზეიმ-ნადიმზედ ჰმჯდარიყო.
მას გულის სიღრმეს ქმნადისას
იმოდნად გაუდიდებდა,
რომ არა ქვეყნიურ ღვაწლის
სიამეს აგრძნობიებდა.
ცას ეკუთვნოდა სულ-ხორცით,
ფიქრს აღარ აცოდვილებდა,
მაგრამ სურვილი საუბრის

დიდი ჰქონდა... და ეწადა,
რომ სრულ დაეფქვა სათქმელი,
სადაც კი რამე ებადა,
და ქალსაც უჩუმობისა
პირბადე ჩამოეხადა.
უთხრა: „რაღაზედ ჰწუხდები,
ესაც ხომ გამოვბრუნდითო,
ვინც გაშინებდენ დილასა,
იმათაც გადავურჩითო;
მაშ რად არ მეტყვი, რადა ხარ
ჩამოშვებულის ტუჩითო?
მომესაუბრე, გეთაყვა,
მოიხსენ სევდის რიდეო,
რა დაგიშავე, გეხაცვა,
ოვალი რად ამარიდეო?“
— განა მოვრჩები ვარამსა
მე, შენი გადამკიდეო?
— რა წავახდინე მითომა,
აკი რა გადაგკიდეო?
— თუ არა წაახდინე რა,
არცა-რა გაარიგეო,
— თუ ვერ გაიგე, გიამბობ,
ჩემო სიცოცხლის კიბეო!
— თავი სიზმარში მგონია.
კაცო, რა ჰქმენი, რა იყო?
— ისა, რომ მტერი დაგვიხვდა,
ჩვენთვის სიკვდილი მზად იყო,
მაგრამ ღმერთს მადლი, გადავრჩით,
ალბათ განწირვა არ იყო.
— საკვირველია, ღმერთმანი,
როგორღა დავეხწივენით?
— ხომ ჰნახე, მე და ის ძაღლი
ერთიხელ ავიხირენით,
ბეწვი გაგვიწყდა, გულ-და-გულ
სანამდე წავიკიდენით.
ღმერთმა უშველოს, ამ დროსა
მუსა არ წამოგვადგაო!

ბევრჯელ დავუხვდი გომზედა,
ვავუმასპინძლდი კარგაო.
მიცნო. „რას ერჩით მაგ კაცსა?“
ეუბნა, უქადაგაო,
ღა ბოლოს შენაც შეიტყვე,
ღვაწლი არ დამეკარგაო.
— რას შევესწარი! გენაცვა,
დაიცა, ისაც მითხარი,
რა საჭიროება იყო,
რად დაიწერე პირჯვარი?
— რომ შენს მეტს არვის ვეტყოდი,
ვიყავ იმისი მფიცარი.
— რასა?
— რომ მავან ადგილას
ეს და ეს კაცებიაო,
განა არ იცი, ყველაყას
თავისთვის ეშინიაო.
— მაშ, აქეთ რაღად მოვდივართ?
მე ეს ვერ გამიგიაო.
— მუსამ ის მითხრა: „დაბრუნდით,
გზაზედ სხვა ლეკებიაო“. —
მაშინ კი ისევ გაცოცხლდა,
ქალს შვება შაემჩნიაო.
ილალომ უთხრა: „დაბრუნვის
ბიზეზად გასაწამები
არ უნდა იყოს ვისთანმე,
სხვა უნდა ითქვას რამები“.
ქალიც მიუხვდა მაშინვე,
რაზედაც დაარიგებდა;
აღარცა ჰწვიმდა, გადეღო,
ჭალა თვალს აახილებდა,
ტყე ცრემლეობდა, მიზეზს კი
მისას არ გაამხილებდა.
ფრინველი ჟივილ-ხივილით
ხეებზედ დაფრიალებდა,
შემკრთალი ციყვი თრითინით
ცოდვა-ბრალს ატრიალებდა.

დასაღამოხნდა. ნადირი
სხვაც ადგა, ხეტიალებდა,
ტურა აჩხავლდა და მგლისა
ჯოგი, რა იღრიალებდა, —
ის ტყე მთლად თითქო იძრვოდა,
ჭალა სულ ბირდგნიალებდა.
ნელისხან ხარმა ირმებმაც
აქა-იქ გამოჰგმინესა,
სურეილის გაგიჟებულსა
ფურების მომლოდინესა
ხარს არც დგომა აქვს, არც წოლა
უშიშარს სალოგინესა.
ალომ გულ-ხარბად იყურა
ეს. არეული გუგუნი.
ღმუვილი ტურა-მგლებისა
და ხარ-ირმების ბუხუნი, —
აჰღელდა, რაღაც-ნაირად
გულმა დაუწყო ჩუჩუნი.
— შენ, ჩემო თვალის სინათლევ,
ქალს უთხრა, შეიძლებაო
ამ ტურა-მგლების მღერაზედ
იცოდე შეშინებაო?
— ხან მეშინიან, ხან არა,
ჩემი რა გაიგებაო,
ეხლა კი ფიქრი არა მაქვს,
ილო არ მომიკვდებაო.
— მაშ რომ მოგცვივდენ, მაზედ-ღა
რას იტყვი კარგუნელსაო?
— ქა, რაებს ამბობ, რა მიშავს,
განა ვარ მარტოკელაო?
— აცა, რომ მარტოდ გაგწირო,
და თვითონ ხელ-და-ხელაო
ციყვივით ხეზედ ავვარდე,
აღარ ვჩნდე მუშტის ტოლაო?
— მაშინ გურგენი იქნები,[1]

---

[1] „გურგენი" — სასაცილო გმირი ფირდოუსის „ბეჟანიანისა".

განა ილალო შენაო. —
მთვარემაც გადმოაშუქა,
მთა-ბარი დაამშვენაო,
ქარს მოეტაცნა ღრუბელი
მიჰქონდა სხვაკნისკენაო.

ი ლ ა ლ ო

მაშ მარტო აქით შინამდე
წახვიდე, არ იქნებაო?
მე ირმებს დავედევნები,
თუ ჭკვაში მოგიხდებაო.

დ ა რ ო

იჰ, დილანდელი არ იყოს,
ნუ იცი ახირებაო,
თორემ აქედამ მეც მივალ...
ახლო ვართ, სოფლის პირშია.

ი ლ ა ლ ო

შენი ჭირიმე, ლამაზო,
არა გცოდნია შიშია,
მაგრამ თავს არ დაგანებებ,
უნდა მოგდივო ბიჯშია.
შენი ვარ, შენთან ვიქნები
ლხინსა და გასაჭირშია;
ბევრჯელ მომიკლავ ირემი,
ამოვთხეფილვარ სისხლშია,
ეხლა კი აღარას ვერჩი
ლამაზს შვილს ტყე-ველისასა,
ფეხ-ფაქიზს, თვალმარდ, ყურცქვიტსა,
პატრონს რქა-ბოჯოლისასა;
მწყურიან დიდხანს ვისმენდე
ჩქროსა მე მაგის ხმისასა.
ვის რას უშავებს? მთელს წელსა
მწირივით დაეხეტება,
მხოლოდ ერთ-ორ დღეს ლიღარი
ფურისა მოეფეთება.

შქუნავს და ეძებს შეშლილი,
ხეს და ქვას შაეხეთქება,
საჭიროც იყოს, ამ დროსა
თავს არვის შეაბრალებსა,
სატრფოს ძებნაში მოკვდება,
თავს იმას ანაცვალებსა;
არც რას თავს დაემდურება,
არც რას სხვას დააბრალებსა.
მე ეს პირუტყვი მირჩევნავ
ბევრს და უამრავს მეტყველსა,
რამდენს გიჩვენებ იმათში
ირემზედ შეუგნებელსა,
აჯამსა, ავის და კარგის
შუა მძღვარ-დაუდებელსა,
სიყმე-სიბერის მატლივით
მძორში კაცობის მძებნელსა.[1]
ირმებმა პირი აიკრეს,
მგლის ჯოგი ისევ იბრძოდა
და იმათ ხმაში რაღაცა
სიკვდილის ზარი ისმოდა.
ილალო აღშფოთებული
თავისთვის ასე იტყოდა:
„ღმერთმა დაჰწყევლოს მგლის თავი
და მისი დასაბამიო,
სულ სისხლის წყურვილს გამოჰთქვამს
მისი თვალი და ჩქამიო,
არ ჰღირსებია უბედურს
სიკეთის ერთი წამიო.
ერთხელ პაპასა ვკითხევი
ეშმაკის შესახებაო:
„ვინ შეჰქმნა! მართლა არსებობს?
მწადიან მის გაგებაო“.
მანამდე მიპასუხებდა,
ზოგი რა მკითხა, ზოგი რა,
და ბოლოს ხელმისაწვდომი

---

[1] „მძორში კაცობის მძებნელი“ — გარყვნილი, ზნეობით დაცემული.

სიტყვებით მომინადირა;
მკითხა, ავის და ცუდის მეტს
რას იქს და ჰფიქრობს მგელიო?
— არც-რას... — ვის გაჩენილია?
— ღმრთისა, ვით ცა და ხმელიო.
აღარ-რა ვკითხე, გავიგე,
სახე კი ჩარჩა ხსოვნასა,
მტრებსა და მგლებსამც უფალი
ერთს მოაბამდა გოგრასა,
რომ ერთის ხმლის შემოკვრითა
ვერ გავიგებდი მოჭრასა.
რა ცოტანი ვართ, ვაჰ, დედას!
მტერი ურიცხვი გვხვევია,
ჯერ კი მივკაფავთ ლელოსა,
უკან არ დაგვიხევია.
არ გაგვიქვრია სანთელი,
კერა არ შეგვიხვევია!
ღმერთო! ბატონი გვიცოცხლე,
ერეკლე დაუღალავი,
ვინა ჰთქვას მისი გმირობა
სიკეთე დაუთვალავი,
ვისაც ეტაკა, არ დარჩა
გაუტეხ-დაუძალავი.
მოუკვდეს ილო ბატონსა,
მაგ ქვეყნისათვის მაშვრალსა;
მაგრამ ვინ მიჰცა შნოება
ზოგიერთს, სვინდის გამქრალსა,
სიკეთის ნაცვლად შვილები
მოკვლას ვუპირობთ საწყალსა!
ჯერ სულ რანი ვართ... და ისაც
გავრბივართ აქა-იქითა,
როსნამდე ასე ვიქნებით,
როსნამდე ასე მივდითა?
როდემდე მხოლოდ ბატონმა
გვინახოს ერეჯიბითა[1]

[1] „ერეჯიბი" — თოფი ხირიმი. ქართულ თოფს სხვა სახელებიც ჰქონდა, მაგალითად: ერეჯიბი, სტამბოლი, ისტამბოლი, ხარა, აჟარა, სიათა, მაჟარი, მაშა.

და ბედი ჩვენის ქვეყნისა
ატაროს უბე-ჯიბითა?—
შემდეგ ამ საუბარისა
არ გაუვლია დიდხანსა,
რომ ძილპირის დროს ილალო
სიმამრთან უჯდა ვახშამსა.
ჰქამდა და არხეინადა
დააყოლებდა მაჭარსა,
არ აჩქარებდა სათქმელად
თავის დაბრუნვის ამბავსა.
მერე კი, როცა სიმამრმა
უთხრა, „დალიე, სიძეო,
აკი გირჩივე, ვერ ივლი,
დაბრუნდი, არა გიძეო“, —
მიუგო, „შენ ხომ მიშალე,
მე კი მაინცა ვსინჯეო,
როცა გამწუწა, შემნანდა,
რატო არ იქვე ვიჯეო,
დაბოლოს უწადინოდა
უკანვე გადმოვბიჯეო“.
ამით მოისპო დაბრუნვის
მიზეზზედ გამომძევლობა.
ძისი სიძაძრი ქართულად
ხალბათად იყო, მსმელობდა;
ილალოს ბევრი არ უსვამს,
არც ჭამით ბევრსა ჰქმელობდა,
დიდხანს არ გაგრძელებულა
მალე გათავდა სერობა.

V

რა აუმატეს სუფრასა,
აღარც რა ალოდინესა,
ილოს და მის ცოლს ოთახი
საკუთრად მიუჩინესა.

საჩქაროდ მილაგ-მოლაგდენ,
დაწვენ და დაიძინესა.
სულ მოკლე ხანში ილოს მეტს
ყველას ეძინა ტკბილადა,
ის კი ბუმბულის ლოგინზედ
ჰწუხდა, არ იწვა რბილადა,
კარგა ხანს ასე მწოლარე
მერე წამოჰდგა ფრთხილადა.
რაფზედ სანთელი იწვოდა,
ქალზედ სინათლის მფინარე,
დაძმარებულის გულითა
ჩუმად ცრემლების მდინარე.
რა ტურფა ჰჩანდა ამ დროსა
ქალი მის შუქზედ მძინარე!
ისეთი ლამაზი იყო,
ისეთი გასაკვირველი,
ისეთი მადლი ეხვია,
ისეთი გამოუთქმელი,
რომ ილო გაოცებული
იყო იმისი მხილველი!
ილომ უცქირა, უცქირა,
ჰთქვა, „რა ბედნივრად ჰძინავსო,
ვინ იცის ეხლა ფიქრითა
სად არის, სადა ჰფრინავსო,
ხვალეღა, როცა შეიტყობს
ნეტავი რაღას იქამსო“.
მერე ხატისკე მიბრუნდა,
ფიქრით ცად აწეულიყო,
შემღაღადები საფრთხიდამ
იმგვარად დახწეულიყო,
რომ უნებურად კაცისა
სისხლში არ გარეულიყო.
ლოცვამ გაუჭრა, გულიდამ
სევდები გადაუყარა,
ქალს დაეხარა და ნელა
პირიდამ კოცნა მოჰპარა.

გამოიყვანა შავ ცხენი,
ლაგამი შემოუყარა,
აისხა იარაღები,
შეჯდა და გამოიპარა.

VI

უმეცრად გავჩნდი ბუნების
კალთაში გამოხვეული,
წამოვიზარდე, გავიცან
დედა, სიტურფე ფრქვეული,
და დღესაც ნატვრით შევცქერი
ჭაღარა გამორეული!
თორემ რა მე და რა შენა?
ქვეყნად ვითა-ერთს უვლია!
რამდენს უთელავ მთა-ბარი,
ავი და კარგი უცდია,
ხან სიხარულით უმღერნავ,
ხან ცხარე ცრემლი უღვრია,
და ბოლოს თავი დაღლილსა
მიწის ქვეშ ამოუდვია!
ბევრი დამშვრალა თავისთვის,
სარჩოს ძებნაში გამწყდარა;
სხვას თავი დაჰვიწყებია,
სიმართლის მძევლად დამდგარა,
ხალხის ჭირის და ლხინისა
მეოხ-მოზარედ გამხდარა.
როცა პირველი ქონსა და
ფუფუნებაში ჩამღრძალა, —
ამ დროს სიცოცხლე მეორის
ჯვარზედ, ან ძელზედ მომრჩალა.
ესაც მომკვდარა, ისაცა...
მხოლოდ სახელი დამრჩალა!
ავ-კარგისათვის რომ ბოლოს
გარჩევა არ იპოება, —
მის გამო ბევრმა საწუთროს

უწოდა ამაოება.
მაგრამ დღეს-ხვალეობითა
დიდივ გამოვა დროება,
ამ დროებასთან სიცოცხლეც
ჯერ დიდხანს ირონინებსა.
წინა კაცთ ღვაწლი შემდგომთა
სიცოცხლეს უადვილებსა,
და კაციც ამაგს კაცისას
ფასსა ჰდებს, არ იცილებსა!
დიდება მათ და ნათელი
იმათ სულ-საიქიოსა,
ვინებიც ჩვენის გულისთვის
ჰწირავდენ სააქაოსა.
ვაშა და ხსოვნა-დიდება,
იმასაც გაუმარჯოსა,
ეშმარიტების გულისთვის
ან შემდგომ გაისარჯოსა,
და „უკვდავება“! ამ გზაზედ
უკეთუ დაიხარჯოსა.
ახ, რა კარგია მსოფლიო,
რა საუცხოვოდ მორთული,
და ტურფა სფერო ქვეყნისა
იმაში გამონასკვული!
და რა უცვლელი წესი აქვს
მის კერძოს შემოსაზღვრული!
ვინ მიჰხვდეს ნეტა ღვთაების
შემოქმედობის უნარსა?
ვინ მიჰცეს ფასი სიცოცხლეს
ზოგთათვის ფუჭს და უხმარსა,
და ან ჭკვა კაცსა მცირე ხნის
წუთისოფელის სტუმარსა.
ახ, რა ბრმანი ვართ და ყრუვნი,
რა ჭია-მატლებრ მთუვანნი,
რა სულ ერთ-ურთის საწეწად
მშიერ მგელთაებრ მღმუვანნი
და რა უძღებნი ავითა,
მოშურნენი და მტყუანნი!

სიცოცხლე ნადიმია და
ჩვენ იქა ვსხედვართ საზმოდ.,
ამ ღმრთის სუფრაზედ ვის რა გვრჯის
ერთ-ურთის საკამათოდა?
კმარა, ნუ ვდრტვინავთ, ჩვენთვისაც,
სხვისთვისაც სათავაზოდა.
ნუ გძინავს, გონების თვალი
მყოფადში გადავისროლოთ
და ვსთქვათ, „სად მივალთ, რა ერ.ი
სიცოცხლე გადავიშოროთ?
არა ჰჯობია ერთ-ურთსა
სიამით გავაძლებიოთ,
სანამ წამს ვიყვნეთ და ისაც
სიმწარით დავალეევიოთ?
ახ, რა პატარა მატლია
კაცი ამ ბუნებაშია,
და მაინც რამოდენია
ზოგ-ზოგი თავის ჭკვაშია!
მთებს შეახედო, არ გაგკვლევს,
იცინის გუნებაშია,
თითქო ის იყოს სხვა არ-რა
ამოდენს ქვეყანაშია!
ეს კიდევ არც-რა, ჩემთვისა
უფრო ის საკვირველია,
რომ ზოგს მოყვასის შევრდომის
ცნებაც ვერ მოუნელია.
თავი კი ისე უზომოდ
მოაქვს, რასაკვირველია,
თითქოს სულ-გული შემომქმედს
იმისთვის გაუმხელია!
რა ითქმის ნეტა, არ ვიცი
იმის თვალის და ყურისა,
ვისაც რომ ინჩიც არა აქვს
ერთ-ურთის სამსახურისა,
თავი კი მაღლა უჭერავ
ციური მოციქულისა!
ვაი რა ვუთხრა მისთანას

ტუტუცს და მატრაკვეცასა,
ვინაც რომ მოყვარს ვერ იცნობს,
თავის ძმასა და დედასა,
და თავს კი „დიდად“ უყურებს,
ეპოტინება ზეცასა!
რა ვუთხრა კიდე იმგვარსა
სულელს და ბატის ტვინასა,
ვინც სივრცის საზღვარს ვერ ჰპოვებს,
სხვასაც ბევრს იმისთანასა;
ჰბჭობს კი და გვამცნებს ღმრთის ნების
საკვირველს გამოცანასა!
ვაი მის თავსა, მის პირით
მითომ უფალი ჰღაღადებს,
როცა მის სახელისთვისა
ხალხთა გამუსრვას ჰქადაგებს![1]

VII

მე ჩემსას ვამბობ... და ილამ
რა ჰქმნა, რომ გამოიპარა!
ცხენზედ ჰზის, იმ გზას მიჰყვება,
რაც გუშინ გამოიარა.
მთვარე ჰდგას... სასწორ-მრავალმაც
შუა ცა გადაიარა,
ისევ ის ჩქამი მგლის ჯოგის,
ისევ ის ბორგვნა ხარისა,
ტყის მეტი კერძო რა ჩანდა
გაღმა-გამოღმა მხარისა.[2]
მოაწყდა ზვავი ილალოს
ფიქრების ნაორღვენისა,
ვის შეუძლიან მოთხრობა
მათის ან ნაასალისა?
დიახ, მთელი გზა ილალო

---

[1] „ღმრთის სახელის გულისთვის“ მუჰამედმა კურანში იქადაგა საღმრთო ომი.
[2] „გაღმა-გამოღმა მხარისა“ კახეთი: ალაზნის ორივე მხარე.

სულ ფიქრში დაინთქმებოდა,
უმეტეს კაცის მკვლელობა
საგონად გაუხდებოდა,
და ბოლოს შესახებ მისა
თავს ასე გაუტყდებოდა,
რომ მოკლვა ურჯულოსიცა
არავის შაენდობოდა.
მაგრამ, რა ირგვლივ მტრის ურდო
მოჰგონდა შემოხვეული,
და მისგან თავის სამშობლო
ათასჯერ მიმონგრეული,
მაშინ კი ცეცხლი მოედვა,
იტყოდა გადარეული:
„ღმერთო, ნუ გაწყენ და რითმე
თუ კი ჩემსკ გავიყვანდიო,
და ჩვენს მტრებს სათითოოდა
სულ ყელებს დავღადრავდიო,
მაშინ საეშმაკ-ქაჯოდა
სულსაც არ დავზოგავდიო“.
მაგრამ ვერა-რა გრძნობასა
გული ვერ დააძლევინა,
„იქნებ გიშვებენ?“ ამ სჯამა
მას უკან დაახევინა,
და დანაბოლოს ლეკებზედ
თავისთვის ეს ათქმევინა:
„თუ მაინც აღარ იშლიან
და მიპირობენ ჩათქმასო,
მაშინ კი უნდა ვკითხოო
მეც თავის მაჯა-აბჯარსო“.
მისულა... აუსრულებლავ
კიდევაც დაპირებული,
გათენებულაც... ჩიტებსა
ლხინი აქვსთ გახშირებული.
ლეკებსაც ნამაზი უქმნავსთ,
ლამაზად დაწკეპილანო,
სულ ტურფა იარაღითა
საომრად დამზადულანო.

ჰჩანს, მოლოდინში არიან,
მგლებივით დაჰცქვეტილანო.
რა მიმავალი შეჰნიშნეს,
ჰსინჯავენ მუშტრის თვალითა...
იცნეს, ის არის, სხვა არვინ,
მარტოკა, თავის ძალითა,
ფარ-ხმალი, წელში დამბაჩა,
აქვს თოფი სპილოს ძვალითა,
დაუახლოვდა იმათა,
ესაც მტკიცედა ჰსინჯავდა.
„კაცებო, აბა, აჰდეგით?
ან რას მიპირობთ?“ ჰკითხავდა,
ელოდა პასუხს: დუშმანი
რა რიგად გაიკითხავდა.
„ბიჭოს! შენა ხარ, მოჰსულხარ?
ყოჩაღ, რომ გამოჰცხადდიო,
ავდეგით, გელოდებოდით,
აღარც შენ დაჰგვიანდიო,
ვიცოდით, მოგვიხვიდოდი,
ფულებსაც მოგვიტანდიო“.
— რომ არ-რა მომეტანოსრა
ამ ჩემის თავის გარდაო,
იმაზედ რაღას მიპირობთ,
შემატყობინეთ კარგაო.
— მაშინ თუ ნებით ინებებ,
ტკბილად წაგიყვანთ ყმადაო...
და თუ შეჰდგები ძალზედა,
წაგსვლია ყოფნის ვადაო,
გიაურების სისხლისა
მგლებივითა გვაქვს მადაო.
— მაშ დაიფიცეთ, რომ მართლა
ეგა გაქვსთ განზრახულია?
— ერთი უყურეთ, რას ამბობს
ეს ღორის დაგდებულია.
ახლა ამასაც უფიცე
თავის ღმერთი და სჯულია!
თუ არა გჯერავს, გიჩვენებთ,

რაც არის ჩვენი ადათი,
აბჯარიც მოგვეც, მანამ არ
წაგვირთმევია ძალათი.—
როდილა არის ხუმრობა:
ქართველს თავს ადგას ჯალათი!
ისაცა ჰხედავს და ეტყვის:
-- არ მოველ იმაადაო,
რომ თქვენთვის თავი დამეკრა,
გამოგყოლოდით ყმადაო.
რაც გნებავთ, იმას მაგრე ვერც
იშოვნით იაფადაო,
მაგრამ არ მჯერავს ჯერ კიდევ,
რასაც თქვენ მეუბნებითა,
რა დაგიშავეთ? რა გავნეთ?
ნეტა რას გვემართლებითა,
რომ გვაწიოკებთ და გვესხმით,
მგლებივით გვეტანებითა?
კაცნო, ჩვენც თქვენი ძმები ვართ,
განსხვავებულნი სჯულითა,
და როცა გვხოცავთ და გვცარცვავთ
მტრობით აღსავსე გულითა,—
ჩვენ თავის კერაზედ ვსხედვართ
თავის ღვინით და პურითა,
სჯულიან-უსჯულოსთანა,
ძმურად ვცხოვრობთ და ვფრთხილობთა,
მაინც არავინ გვასვენებთ,
სულ ჩვენს ვნებასა ჰცდილობთა.
კაცებო! მოდი, დაჰდეგით,
საქმეს ნუ გავაბევრებთა,
კაცის მკვლელობა-ცოდვაში
ერთ-ურთს ნუ ჩავაყენებთა.

ლ ე კ ე ბ ი

არა, ქოფაკო, სოროში
ჩვენ მელს არ გავაჩერებთა,
თუ არ გამოვა, გამოეთხრით,
შავს დღესაც დავაყენებთა.

ი ლ ა ლ ო

მელის ტყავი ჰჯობს ნიადამ
ტყეში ღანძილის კრეფასა!

ლ ე კ ე ბ ი

— მაგასაც ამბობ? დაგვაცა,
მაშ კი გიტირებთ დედასა,
ჰნახავ, თუ ვერ გადაგიჩეხთ
შუაზედ თავის კეფასა! —
და ერთ წამს თავი ყველამა
გაიკრა იარაღებსა. —
ღმერთმანი, პატრონ-აბჯარი
ერთმანეთს უღალატებსა.
ილალო წარბ-შეუხრელად
შაექცა ავარელებსა:
— თუ სიკვდილი არადა გიჩნსთ
თქვენ საით-სადაველებსა,
ჩვენ რაღა გულგასახეთქად
გვექნება აქაველებსა?
მე არ მეწადა, მაგრამ თქვენ
მაინც არ დამეხსენითა.
თუ ვაჟები ხართ, იყვენით
ცოტა ხანს სმენა-თმენითა,
მინდა, რომ გითხრათ კიდევა,
მერე, რაც გინდათ, ჰქმენითა.
რაც პირი გვქონდა, აქამდე
არავინ გადავედითა,
არც გაგთქვით, ჩემმა საქმემა
თქვენი არ გააბედითა,
ეს იმით, რომ ერთის მხრითა
თქვენც კარგად მოიქეცითა.
მაგრამ მეც იარაღი მაქვს,
ხეს მაინც ავიფარებდი
და თოფს იდუმლივ გკრავდით თუ
ცხადლივ ვერ მოვიხმარებდი.
და რა ეს? სხვა და სხვას რასმეც
განა ვერ მოვიგვარებდი?

მაგრამ მე ერთიც არა ვქმენ...
თქვენ კი დამრიშხნეთ ისევა,
ტყვეობა-ლიკვდილის ხმაზედ
ღვთაებაც გადაირევა.
ვგრძნობ, ჩვენი შეყრა დღეისი
ღმრთის რისხვად გადაიქცევა,
მაგრამ რა რიგად მოვშველდეთ?—
აი ეს არის ძნელია:
თქვენ გამტეევები არა ხართ,
მე კიდე—წამომსვლელია,
ნიადაგ ჩვენში სამართლის
ხმალია გადამჭრელია.
ახლა როგორა? ერთისთვის
შვიდნი ნიადამ ძალია,
შემირცხვეს შვიდნი ერთზედა,
მერე ხმლის სამართალია! —
ლეკებსაც ჭკვაში დაუჯდათ,
ერთ-ურთ დაუცეს თვალია,
ჰთქვეს: „სათითაოდ გამოვალთ.
არა-ვინა ვართ ქალია".
ილომაც უთხრა: „ვინც მოჰკვდეს,
თქვენ გედვასთ ცოდვა-ბრალია".
ჩვენი და ერთიც სხვა დარჩენ...
სხვებმა დაუგდეს განია.

VIII

არ გინახნიათ, როდესაც
ქარი დაიწყებს ქროლასა?..
ბალახს და შტოებს ხეთას კლდეც
თითქო დაუწყებს ყოლასა,
აირევიან ერთ-ურთში,
ტურფად შეიქმნენ თრთოლასა,
იგივე სახე დაჰყვება
საგულდაგულო ბრძოლასა.
მშუღლარხი შიგით... და სხვანი

იქით ჰყუდიან გარესა...
ესენი არცა-რა, და სხვებსა
გულს რაღაც შემოჰყარესა.
კლდე ჩუმად არის, ვინ ჰხედავს
წყაროს, შიგ მოჩანჩქარესა?
მხოლოდ ეს ორი არ არის
უერთოდ გასათავები,
ერთ-ურთის შესაჭმელადა
გადაუდვიათ თავები.
უმეცრის მტრობამ არ იცის
მსწავლულის კილო-კავები,
და ყველათ მარტო ორთათვის
მიუბჯენიათ თვალები;
გაუთამაშეს ერთურთსა,
დაისაბღუჭეს ფარები.
ხელში შიშველა ხმლებითა,
რა ერთ-ურთს დაეგანნენა,
ქვანიცა უსინათლონი
სამზერლად დაემზადენა.
ჰღირანცა თვალის საჭრელად, —
კარგები შეიყარენა,
ურჯულოს ქართვლის გაქრობა
ერთის შემოკრით უნდა რა;
დასჭყივლა თავის ენაზედ,
რაღაცას დაემუქარა,
ჩამოაცვითა ფრანგული...
ილალომ ფარი უფარა.
ფარის რგოლები დაუჭრა,
ხმალმა მხარზედაც უწია,
აღარა ხანი გავიდა,
ქართველმაც ჩამოუქნია.
გალოებს მოჰხვდა... და ლეკმა
ფეხები ამოიქნია!
ილალო წელში გაჰწორდა,
არ გაჩუჩვილა მეტადა,
ჰყუდია, როგორც ქვიტკირი,
ამოყვანილი სვეტადა.

„მოდითო“, თითქოს ამბობდეს,
„მზად ვარ თქვენს დასაფეთადა“.
ახლა მეორე მოიჭრა,
ხმლებმა დაიწყეს პრიალი,
ილალო არის მშვიდადა...
ლეკსა აქვს გულის ფრიალი.
რა ჰქმნას? ვერ დაუმაგრებავ,
გაჰფიცხებია ტიალი!
ჰცემს, რომ არ იქმნა, ხმალს წვერი
ვერსაით შეაყოფინა, —
წვერწაღმე ფარზედ-ღა დაჰცა,
წყრთაზედ შიგ გააგდებინა.
ილალომც ხელი გაუშვა,
ფარი ხმალს წააღებინა,
მერე თვითონაც შემოჰკრა,
თავიც იქ დაადებინა.
ორ-ორი კაცის სიკვდილმა
მტერს ცეცხლი მოადებინა,
ისე, რომ ბრაზმა მესამეს
აღარა გააგებინა.
ამლათზედ გაჰჩნდა და ხმალი
შამოუგირგლა ილასა,
ის მიჰდრკა... აჰცდა მახვილი
და გამოევლო მიწასა.
გურჯმაც გაუსვა და თავი
წააჭრა, როგორც დიფჩასა,
კიდევაც უნდა არაყი
წითელი დილის სიფთასა!
მაშინ სხვა ლეკის შვილები
სულ ცოფმა აიყოლია,
დაიძვრეს დამბაჩაები,
გამოიძაბა ბოლია.
ბოლმა ხმა, ხმამა ლეკები
ერთ წამს იქ მოიყოლია,
და ხმალ-ხანჯლებით მებრძოლი
ერთ-ურთში აიმდგვალაო!
წამლისა ბოლი ნისლივით

მიწაზედ გაიშალაო,
და ასპარეზიც რაინდთა
თვალისთვის დაიმალაო.
კვამლი ავიდა, გავიგოთ,
დაიცათ ცოტა-ხანაო,
ვინ დაჰრჩა მთელი, სიკვდილმა
ან იქ ვინ წაიყვანაო?
ეჰა! იქ ჰყრია სულყველა,
ილალოც თანა ჰტანაო!
ცალკე ჰწევს მარტოდ, გულ-აღმა,
ხმალი დაუდვავ გვერდითა,
სატევარი და დამბაჩა
არ აუხსნია წელითა.
რაღაც მწუხარე სიმშვიდე
სახეზე გადაჰფენია,
რომ ჰნახო, იტყვი; „ვაჟკაცო,
შენი ჭირიმე, შენია,
უფალო, გამოაღვიძე,
მშვიდობით ააყენია“.
და სხვებსაც იმის გვერდითა,
სისხლი რომ გადაჰდენია,
დაჰკვლიო, იტყვი: „ესენიც
სწორედ სიტურფის ძენია,
თეთრ-ფეროვანნი, აყრილნი,
როგორც ალვისა ხენია“.
ამოგკენესს გული... და ფიქრი
წაგიღებს რამოდენია!

IX

დრო იყო სადილობისა,
მზე დაჰდგომოდათ თავზედა,
თითქო არ იძვრის აღარვინ,
გაჩუმებულან ძალზედა.
მაგრამ აგერა ტყიდამა
უეცრად თოფის ხმაზედა,

ორი ვიღაცა სიფრთხილით
წამოჰჩნდა ნაომარზედა,
ხელში შიშველა თოფებით
გასასროლელად მზაზედა.
რა დაინახეს თვის წინა
დახოცილ-დასხეპილები,
სისხლის ონჩორში ართული
უბედო, ცოდვი-შვილები,
ერთი იქ შეჰდგა, და სხვამ კი
ჩამოუარა იმათა.
„სრულ დახოცილან“, წარმოჰთქვა,
„ზოგი გაუჭრავ ჭიმადა“.
მერე ილოსთან მივიდა,
სინჯვა დაუწყო ფრთხილადა.
ეს ხომ ილოა. ახ, ნეტამც
გვეევლო პატარა წინადა.
მუშტი ჩაიკრა გულს მაგრად
და თავი გაიქნიაო,
სხვაც იმავ წამში იქ გაჰჩნდა,
ამბობს, „რა დაჰმართვნიაო?
ალალი იყოს ის ძუძუ,
რაც ამას უწოვნიაო,
მარტომ რომ შვიდნი დახოცეს,
უთქვამსთ: „არს საკვირველიო“.
ერთი კი, ბევრთა მოკლული;
საბრალო, სატირელიო,
თორემ, დაიცა, გავსინჯოთ,
იქნე ცოცხალი არიო.
ორი ჰჭირს: ერთი ნახმლევი,
სხვა კიდევ ნატყვიარიო.
სულს ითქვამს... ალბათ საწყალი
გულ-შემოყრილი არიო“.
წყალი მოჰზიდეს მუჭითა
გუბიდამ ამოღებული,
ილალო გონად მოვიდა
ცოტახან დასუსტებული.
იცნობს და ეტყვის იმათა

წყნარი და გაოცებული:
„ამ უკანასკნელს დღეშია
აქ საით მომაგენითო?“
მათ ჯერ წყლულები შეუკრეს
ტანსაცმლის ნაკუწებითო,
მიუსხდენ, თავით კალთაზედ
მიირქვეს მზრუნველობითო
და მერე უთხრეს: „ამ დილით
ნადირობ წამოვედითო,
თელიან კორუმს ვუელიდით
ირმების გუმანზედაო,
როცა თოფის ხმა მოვიდა,
ორ-სამი ერთ-ურთზედაო,
„რაღაც საქმეა“, ვიფიქრეთ...
მოვედით ქუხილზედაო“.

ი ლ ა ლ ო

მადლობა ღმერთსა დალოცვილს,
რომ თქვენს ხელშია ვკვდებია,
ძმების ცრემლსა და მათ ხელით
სამარეს ველირსებია.
მოვკვდე — ცოცხალივ ვიქნები.
მკვდრებში არ გავითვლებია. —
იმათ ნუგეში დაუწყეს,
ჰკოცნიან ძმურად, ტკბილადა.
„არაო“, ილალომ უთხრა:
„ომი დამიჯდა ძვირადა;
ვგრძნობ, ნათელი მზე ჩემთვის დღეს
ჩასული არის გრილადა“.
იმათ ისევაც ნუგეში...
ილალო ეტყვის: „არაო.
რა ვუყვათ, რომა სიკვდილი
დამიდგა მხარ-და-მხარაო,
თქვენ თუ ცოცხლები დამრჩებით,
ჩემთვის ისაცა კმარაო.
თქვენი ჭირიმე, უთხარით
ჩემებს თუ ვინმე მყავისა,

აქ, ჩვენს სოფელში, თუ სხვაგან...
სულ საქართველო არისა;
ოღონდ ამ გულზედ სამშობლოს
მიწა და ქვიშა მეყაროს,
თქვენ არ მოუკვდეთ, ილალოს
გულზედ არ შემოეყაროს![1]
ერთს კი გთხოვთ, ძმებო, გენაცვათ,
ეგები დამავალოთო,
უზიარები არ მომკლათ,
მოძღვარი მოიყვანოთო,
და ეგ ბრმა ძმები ჩვენები,
სამარეს მიაბაროთო;
თოფ-იარაღიც თავისი
ყველას თან ჩააყოლოთო".
იმათ წაყვანა უნდოდათ,
საკაცის გაკეთებაო,
მაგრამ ვერ დაიყოლიეს,
ილალო არა შვებაო:
„ორნი ხართ, დაიხოცებით...
მე ჩემი გადამხდებაო.
ცხენია, ერთი შაჯექით...
წაგიღებსთ ნიავივითა".
და მაშინ ერთი იქ დარჩა,
ძმას ჩაჰცქერს მზის სხივივითა.
მეორემ პირზედ აკოცა
მოწყვეტილს იმედივითა,
ცხენზედ შეჯდა და გაჰწია...
წავიდა შიკრიკივითა...

X

ერთ კვირის უკან შარაზედ
მგზავრებმა შემდეგ სალმისა,
დაიწყეს სორბოითლობა
აქა-იქური ამბისა.

---

[1] „გულზედ არ შემოეყაროს" — არ დაენაღვლოს.

— თუ ძმა ხარ,—ერთმა სხვას ჰკითხა:—
ხომ არა შეგიტყვიაო,
ცხონებულ ილოსათვის მღვდელს,
მართლა ვერ მოუსწრიაო?
— რა გაუგია, მოძღვარი
მაშინვე ცხენზედ შემჯდარა,
ჩქარა წასულა, მაგრამა
ბედი სხვარიგად მომხდარა;
იმის მისვლამდი საბრალო
უზიარები მომკვდარა.
— ახ, რად მოაკლო ღმერთმა ის
უკანასკნელი ნუგეში.
— ისა გგონია, რომ მაგით
ჩაეარდა ცოდვის გუბეში?
არა, არ დაიკარგება,
არის ღვთაების უბეში.
ცა მაღალია... და ღმერთი
იქიდამ ჩამოგვცქერისა,
ის არის შეუცთომელი,
მპყრობელი ყველაფერისა,
იცის, რომ ავის მოქმედი
არ იყო არაფერისა.
განა ურჯულოთ დახოცვა
ცოდვაში ჩაუვარდება?
და დალოცვილ ღმერთს მითომა
კიდეც არ გაუხარდება,
თუ მაგათ სახსენებელი
ერთიან ამოვარდება?
თორემ სულ საანდერძოა
საქმე იმ ცხონებულისა,
რჯულზედ და კაცობაზედა,
როგორც თავდადებულისა.
— დაუმარხნიათ ჯერამ-ღა
ნეტა სულკურთხეულიო?
— განა არ იცი, ხალხიცა
არ არის უმადურიო.
ერთიან თავს დაჰცემიან,

იქით შინ წაუღიათო,
და ამ დღეებში ბეჩავი
კიდევაც მიუღიათო.
— ღმერთო, რა გული ექნება
მის მამას საცოდავსაო,
საწუთროს გაწბილებულსა,
ილალოს დამკარგავსაო.
— გული და ბედი ეგეთი
მხოლოდ ჩვენს დამწყევარსაო,
ცოდვა-ბრალს ხალხი დაეწვა
უფრო კი დაროსასაო.
— ნუ მეტყვი... არაფერი მწამს
ქვრივების სიმწუხარისა,
ბევრი მინახავს ღრუბელი,
გადაყოლილი ქარისა.
— ვინ იცის. მაგრამ ყველაყა
განა ერთ-ფერი არისა?
ეგები ღმერთმა ნუგეში
მიჰცეს, უცხონოს ქმარიცა.
— ამინო!—სხვამ დააყოლა,
გამოისახეს ჯვარიცა!

XI

რა ვქნათ, თუ ვინმე ჰტიროდა!
კახეთი ისევ იქ იყო.
მთათა სიმაგრეც იქავე,
ერთ მხარეს შემაღლულიყო
და მისი თეთრი საყვავე
ზეცაში შემალულიყო.
აქეთ იგივე ტრიალი
მინდვრები დაძაბულიყვნენ,
და ზედ კახეთის სოფლები
საამოდ დახატულიყვნენ.
შუაზედ კიდე სადენი
ალაზანს, დინჯ ზანზარასა,

ექმნა და მიიკლაკნვოდა,
მოჰთქვამდა წარა-მარასა.
გველვეშაპივით უვლიდა
ტყიანს და მინდვრიანებსა,
შორს სოფლებს, ახლოს ტყეებსა,
ლერწმოვან, ჩალიანებსა.
დარბაისელი მნათობი
მზე ძველებრ ად-ჩადიოდა,
და გულით უხვი კახეთი
ხშირი რთვლებითა ჰხვიოდა,
მღერა და შვება — ლხინს იქდა...
ღვინო წყალივით ჰდიოდა.

XII

„მერე დარიკომ რაღა ჰქნას
ყვავილმა გლოვიარემა?“
იქნებ იკითხოს მის ამბის
გაცნობის მნდომიარემა.
„კი გაიყოლა ძაძები
დღეს სევდის მოზიარემა.
აკი სილაღე და სევდა
ამოხსნილია ღოლითა?
დღეს რომ იწვოდეს ცეცხლითა,
იფარებოდეს ბოლითა,
ხვალ ისე დაჰწვიმს... და მდელო
შეიმოსება მოლითა?“
—მდელო ჰო, მაგრამ ხმელ ხესა
ბევრჯელაც დაასველებსა,
მაგრამ ის იგრეკ ხმელი ჰდგას,
ვეღარა გაანედლებსა.
ნუ მოჰკვდეს ერთხელ, თორემ გულს
ვეღარ-რა გაამთელებსა!
მზემ რომ ჩავიდა, ნათელიც
დღისი თან გაიყოლია,
ორ-სამ წლის შემდეგ ილალომ

მამაც იქ გაიყოლია.
დარო იქ დარჩა ქმრეულთასს...
ის ვერ-ვინ აიყოლია.
ჩვენ ვიტყვით, მამაკაცები:
„ქალებს რა შეუძლიაო?“
მაგრამ ოჯახი სიკვდილმდე
დაროს არ მოუშლიაო,
რაც უფრო უკეთესადა
საქმე არ მოუწყვიაო.
პატარა გოგო-ბიჭების
სწავლებაც დაუწყვიაო,
და ერთი ობოლი ბალღი
შვილადაც გაუზრდიაო,
უქორწინებავ და თავის
მემკვიდრედ გაუხდიაო.
მერე რა გულმოდგენითა
მიჰდევს ღმრთის მსახურებასა,
და რა საზეო კრძალვითა
ლოცვას და მარხულობასა!
თანც მამა-შვილის საფლავზედ
თლილი დაუწყვავ ლოდები,
ვინ იცის, რამდენჯელ უთქომს
მათზედ მხურვალე ლოცვები!
ვინ იცის, რამდენს ღამესა
დარდით არ უძინიაო?
ვინ იცის, მწარე გულითა
რამდენჯერ უტირნიაო?
დღეს ხომა მისი საფლავი
არის მამა-შვილთ გვერდითა,
საყდრის ეზოში, საესავს
ქრისტე-მაცხოვრის ფეხთითა,
და, რაც მიცვლილა, დროებაც
დიდი გასულა მასქითა.
მაგრამ იმ სოფლის მცხოვრებნი
არ ივიწყებენ დაროსა,
აახსენებენ, როგორც ხატს
სალოცავს, სამუდაროსა,

გიამბობენცა მასზედ ბევრს
საკვირველს, სამწუხაროსა.
იტყვიან, „აღდგომა ღამეს
სანამ ვინ წამოჰდგებაო,
ეხლაც ილალოს საფლავზედ
სანთელი აენთებაო,
სპეტაკ ტანსაცმლით მოსილი
დარიკო გამოჰჩნდებაო.
ხელში წითელი კვერცხითა
მეტანიასა შვრებაო.
„ქრისტე აღჰდგაო“, ულოცავს,
თან კვერცხსაც შეუგორებსო,
ქვევიდამ: „ჰეშმარიტადა!“
ილალო გააგონებსო“.

XIII

ჩვენ, ქართლოსიანთ შიგა-შიგ
მთა-ბარად, სოფელ-სოფლადა,
ბევრი გვყოლია გმირები,
მოავის დასამხობლადა.
თუმც მატიანე, წერილი
არ გვაქვს მათს შესამკობლადა,
მაგრამ იმათი სახელი
ხალხის ხსოვნაში შთენილა,
და მათ სურათი ბევრს ლექსს და
ამბებში გამოჩენილა.
ხშირად, რა შარა გზაზედა
ურემი გაჰჭიჭინდება, —
მოაგონდება მეურმეს,
კოფოზედ აღიღინდება.
ან უსინათლო აშუღი
თარზე ჩამოჰკრავს სიმებსა,
და გამოიწვევს ბნელიდამ
განსვენებულთა ჩრდილებსა.
გლეხი შინ, მწყემსი გარესა

მხარში ცეცხლს დააგუგუნებს.
და ვახშმათ უკან იმათზე
ფანდურზედ დააღუღუნებს,
ილალოს ნაომრისთვისაც
მის ველი დაურქმევიათ,
და ზედ ტკეცილი საურმე
შარა გზა გაულევიათ.
დაჩარდახულის ურმებით
დღესაცა ჰნახავთ თავადა,
რა მიდიოდეს ქვეყანა
ჯვარობას სალოცავადა, —
ამ ადგილს შეისვენებენ,
ხარ-კამეჩს უღლებს აჰხსნიან,
ჩეროში გადახდებიან,
მწვანეზედ სუფრას გაჰშლიან.
იპყრობენ ხელში ჭიქასა,
კულას და აზარფეშასა,
და აღტაცებით გადაჰკვრენ
ილალოს შესანდობარსა!
საუზმის უკან გარმონი
და ნეშტვი აწკრიალდება,
თან დიპლიპიტო დაჰყვება,
დაირა აკრიალდება,
და ზედ ყმაწვილი ქალ-ვაჟი,
ქარიკით დაჰტრიალდება.

1891 წ.

მესამე ტომში შესული პოემები იბეჭდება შემდეგი გამოცემების მიხედვით

რაფიელ ერისთავი — ლექსები და პოემები. თბ., „ნაკადული“, 1974 წ.

ილია ჭავჭავაძე — თხზულებანი ორ ტომად, ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977 წ.

აკაკი წერეთელი — თხზულებანი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ. („მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“).

ვაჟა-ფშაველა — თხზულებანი ათ ტომად, ტ. III, IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.

ბაჩანა — ლექსები. პოემები. თბ., „ფედერაცია“, 1938 წ.

სარჩევი

რაფიელ ერისთავი
ასპინძის ომი 5
ილია ჭავჭავაძე
აჩრდილი 19
ქართვლის დედა 37
რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ 45
მეფე დიმიტრი თავდადებული 63
განდეგილი 88
აკაკი წერეთელი
თორნიკე ერისთავი 107
ორი ქართველი 167
ნათელა 182
გამზრდელი 220
პატარა კახი 235
ვაჟა-ფშაველა
გიგლია 317
გოგოთურ და აფშინა 329
ალუდა ქეთელაური 342
ბახტრიონი 359
სტუმარ-მასპინძელი 404
სისხლის ძიება 436
გველის მჭამელი 470
ძაღლიკა ხიმიკაური 506
ბაჩანა
თაღლაურა 517
საფრთხე 544

ГРУЗИНСКАЯ ПОЭМА
Книга III

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1986

რედაქტორი ზ. აბესაძე
მხატვარი ჯ. უაელაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორები: ნ. მშვიდლიშვილი, დ. ცინცაძე
გამომშვები მ. წივწივაძე

სბ. 4397

გადაეცა წარმოებას 24.07.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-86 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 34,41. პირ. საღ. გატ. 34.41. სააღრ.-საგამომც. თაბახი 27,11. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2139.
ფასი 2 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.